

**KOBA KHARADZE**

**TOPONYMY  
STUDIOS**

**II**

Tbilisi  
2019

კობა ხარაძე

# ტოპონიმიკური შტუდიები

II

თბილისი  
2019

უკ (UDC) 910.4 (479.22) + 910.4 (5)

ხ - 259

წიგნში გადმოცემულია ავტორის მიერ წლების განმავლობაში დაბეჭდილი და გამოქვეყნებული ტოპონიმიკური საკითხები; ნაწილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში, ხოლო ნაწილი ხელნაწერის სახითაა დარჩენილი. ისინი დალაგებულია გამოქვეყნების ქრონოლოგიით, რაც მითითებულია თითოეული წერილის ბოლოს. ბევრი მათგანი დღესაც აქტუალურს წარმოადგენს, რამდენადაც ისინი უმეტესად ჟურნალ არ იღეს და არ გაატარეს შესაბამისი ღონისძიებები მათი გამოსწორებისათვის. ახლა ბევრ მათგანს თავი მოუყარეთ, ერთიან სურათად წარმოვადგინეთ, რადგან მათი მოძებნა გაუანტულად შედარებით გაძნელებულია; ამიტომ ერთად თავმოყრილი სახით შევთავაზეთ მკითხველს. პირველი ნაწილი 2018 წელს გამოვეყვით; გარდა გამოქვეყნებული წერილებისა, წიგნის მეორე ნაწილში შევიდა ის წერილები, რომლებიც არ გამოქვეყნებულა და ჩემს არქივს ხელნაწერების სახით შემორჩა. ცხადია, მათში ტოპონიმიკის აქტუალური საკითხებია განხილული.

The book considers the toponymy issues published by the author during years in different journals, newspapers and transactions. They are listed chronologically according to the date of publication applied at the end of each letter. Many of them are burning issues even nowadays as they were underestimated and no appropriate measures were undertaken to correct them. We have combined all the issues in one book and presented them as a whole. As far as it would be difficult to search for each issue separately, we have put them together in front of the reader. However, the book does not contain those ten monographs on the separate regions of Georgia touching important issues of toponymy.

რედაქტორი ნიკოლოზ ოთინაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი

© კ. ხარაძე, 2019  
გამომცემლობა შპს „სვეტი“

ISBN 978-9941-9617-9-3

## წინასიტყვაობა

ტოპონიმისადმი ინტერესი დიდად გამოღვივა პროფესორ ლევან მარუაშვილმა, რომლის ასპირანტი 1969 წლიდან გახდა. მან პირველივე დღიდან, სადისერტაციო თემის პარალელურად, მიზნად დამისახა ძველი ქართული ტოპონიმების კვლევა. მიხდებოდა უამრავი ისტორიული წყაროსა და მასალის დამუშავება; აქედან მოყოლებული ცალკეულ ტოპონიმზე ათეულობით გამოკვლევა და სტატია გამოვაქვეყნებული უფრო მეტიც, პროფესორ ლევან მარუაშვილის დიდი თანადგომით შეიქმნა საკმაოდ მოზრდილი წიგნი „საქართველოს ძველი ტოპონიმები“, აიწყო წიგნის ფაბრიკაში, რამდენჯერმე გაუკეთდა კორექტურა და ბეჭდვის წინ მავანის და მავანის უსულგულო დამოკიდებულების გამო წიგნის გამოცემა, სუბიექტური მიზეზების გამო, ვეღარ მოხერხდა.

არადა, წიგნის რედაქტორი, პროფესორ ლევან მარუაშვილი „რედაქტორისგან“ წამძღვარებულ წერილში წერდა – „რვა წელი მონაღომა კობა ხარაძემ ძველი ტოპონიმების შეკრებას, განმარტებას და დახასიათებას. მისი დაძაბული შრომის შედეგად მივიღეთ ფრიალ საჭირო წიგნი – ჩვენი ქვეყნის გაუქმებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი... კ. ხარაძის წიგნი ბეჯითი, კეთილსინდისიერი და პატრიოტიზმით სულშთანაბერი შრომის ნაყოფია. ქართველი საზოგადოება ღებულობს სამაგიდო წიგნს, რომელიც შეავსებს ყველა ბიბლიოთეკას, – საჯაროდან საოჯახომდე. ვერ წარმომიდგენია განათლებული თანამემამულე ძველი ტოპონიმების განმარტებითი ლექსიკონის გარეშე. მწერალი თუ მეცნიერი, ადმინისტრატორი თუ სახალხო მეურნეობის პასუხისმგებელი მუშაკი, პედაგოგი თუ ტურიზმის მოყვარული კ. ხარაძის წიგნის სახით მეტად სასარგებლო ცნობარს ჰპოვებს“.

წინამდებარე წიგნში გადმოვეცი ქართული ტოპონიმის აქტუალური პრობლემები, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გამოცემებში გაფანტული ტოპონიმთა ლოკალიზაციის, ეტიმოლოგიის და მათი

სწორი მართლწერისადმი მიძღვნილ საკითხებზე. ეს მასალა ძირითადად დალაგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. გარდა ამისა, გამოცემაში შევიტანეთ ის მასალაც, რომლებიც პასუხად დაგვზავნათ შესაბამის უწყებებს და არ გამოქვეყნებულა. ისინი წიგნის ბოლოშია მოთავსებული.

წინამდებარე გამოცემაში ზოგიერთ პუბლიკაციაში დამატებულია ილუსტრაცია.

მე ბედნიერად ვთვლი თავს, რადგან ამ ნახევარსაუკუნოვანმა აქტიურობამ რამდენადმე შედეგი გამოიღო;

ვინაიდან საკმაოდ რთულია მოძებნო სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებსა და კრებულებში გაფანტული ცალკეული წერილები, ამიტომ თავი მოვუყარეთ ძირითად ნაწილს და წიგნად შევკარით. ეს წიგნი უკვე ამ სახით მეორეა. ცხადია, იგი მაინც სრულყოფილი არ არის, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, თუ რა ინტენსივობით ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში ინტერესის დაკმაყოფილება. სამწუხაროდ, წინამდებარე წიგნი დიდი ტირაჟით არ იბეჭდება, რათა მეტი ადამიანი გაეცნოს აღნიშნულ პრობლემებს.

წინა წიგნში ყველა ჩვენი წერილი ტოპონიმიზაც არ შევიდა; ამის გაკეთება შეუძლებელი შეიქმნა, რამდენადაც დმანისის, ბოლნისის, თეორიწყაროს და სხვა რაიონულ გაზეთებში ტოპონიმიზაც ბევრი წერილია გამოქვეყნებული. არც ამჯერად შევიდა ეს წერილები წინამდებარე გამოცემაში. ტოპონიმიკურ მასალას შეიცავს მონოგრაფიები: „გლდანი“, „ჩხარი“, „ენციკლოპედია ჩხარი“ და სხვ. ასევე, ინტერვიუები. რომლებიც სხვადასხვა გაზეთებშია გამოქვეყნებული.

1972 წელს მარნეულის რაიონის აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს მიართვა თხოვნა-წერილი, რათა მარნეულისათვის აღედგინათ ძველი სახელწოდება – სარვანი. აღნიშნული წერილი დასკვნისათვის გამოგზავნეს გეოგრაფიის ინსტიტუტში. ინსტიტუტის სწავლულმა მდივანმა გურამ ღონღუამ დამავალა პასუხი დამეწერა. მეც თხოვნა შევასრულე და ორგვერდიანი დასკვნა „მარნე-

ულის სახელწოდებისათვის“ გაიგზავნა ცენტრალურ კომიტეტში. ამ დასკვნის საფუძველზე მარნეულის რაიონის აზერბაიჯანული მოსახლეობის თხოვნა არ დაკმაყოფილდა. ახლაც მიკვირს ამ საკითხის ასე გადაწყვეტა, რადგან იმ დროს არაქართველ მოსახლეობას „ლოიალურად“ ეპყრობოდნენ. ასე გადაურჩა რეპრესიას იმ დროს ეს ძირძველი ქართული სახელი. მე ავდექი და ეს პასუხი სტატიის სახით გავაფორმე და ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ 1973 წლის №2-ში გამოვაქვეყნე და რომელიც „ტოპონიმიკური შტუდიების“ პირველ ნაწილში გადმოვბეჭდე (იხ. გვ. 21-23). სამწუხაროდ, ეს შენიშვნა წინა გამოცემაში არ დაბეჭდილა.

ასეთი მაგალითების მოყვანა სხვაც შეიძლება, წერილების ნაწილი არ გამოქვეყნებულა, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა თავისი დანიშნულება შეასრულა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა წლებში ჟურნალ-გაზეთების რედაქციები ძალიან სიფრთხილით ეკიდებოდნენ ტოპონიმიაზე წერილების გამოქვეყნებას – ეს ეროვნული საკითხი და ბევრი წერილი ამიტომაც ვერ დავბეჭდე. თუმცა, მაინც ვახერხებდით ზოგი მათგანის გამოქვეყნებას. ამ დაუბეჭდავი წერილების ნაწილი წინამდებარე წიგნში მოხვდა.

## რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის ტექსტის ზოგი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის

რაფიელ დანიბეგაშვილი იყო პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც ინდოეთისა და ბირმის აღწერილობა მოგვცა. მან გადაკვეთა ყარაყორუმის მაღალი მუდმივთოვლიანი მთაგრებილი. ამავე დროს მონახულა რამდენიმე სახელმწიფო და ოკეანეში მრავლი ფათურაკებით აღსავსე მოგზაურობა ჩაატარა.

უკანასკნელ წლებამდე რ. დანიბეგაშვილის ერთი მოგზაურობა იყო ცნობილი, რაც დამყარებულია მოსკოვში 1815 წლის რუსული გამოცემის ტექსტზე [1]. ორენბურგისა და ომსკის არქივებში აღმოჩენილი საბუთების მიხედვით, აგრეთვე სვლაგეზის თარიღების სწორად წაკითხვით დადგინდა, რომ რ. დანიბეგაშვილი ინდოეთში ხუთჯერ ყოფილა.

რ. დანიბეგაშვილი მოგზაურობის სვლაგეზთაგან დაწერილებითაა ცნობილი მხოლოდ მესამე, ყველაზე ხანგრძლივი მოგზაურობის სვლაგეზი, რომელიც აღწერილია ნაშრომში. პირველი ორი მოგზაურობის სვლაგეზიდან მხოლოდ დასაწყისი და ბოლო პუნქტები ვიცით, ხოლო მეოთხე და მეხუთე მოგზაურობისა თითქმის მთლიანად არის ცნობილი.

მოგზაურობის აღწერის პირველ აბზაცში მოხსენიებული სოფელი ლორე, გ. ზარდალიშვილის [2] აზრით, არ შეიძლება იქნას გაიგივებული მხარესთან, როგორც მაგალითად ეს აქვს გაკეთებული ლ. მარუაშვილს [3]. გ. ზარდალიშვილის ეს ცნობა დაზუსტებას მოითხოვს, რადგან სწორედ მხარე იგულისხმება და არა დღევანდელი მნიშვნელობით სოფელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ ზ. ჭიჭინაძე [4] „სოფელ ლორეს“ (რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის ტექსტის მიხედვით) ამავე სახელწოდების მაზრასთან აიგივებდა.

ჩვენი დაკვირვებითაც, შახრიმიანს ერეკლე მეორემ ერთი სოფელი კი არ უბოძა, არამედ გარკვეული ტერიტორია. ეს გამოძღინარეობს შენდები მოსაზრებიდან:

ა) შახრიმიანს უფლება მიეცა გადმოსულიყო თავისი 15 ათასი ყმით, გაეშენებინა საქართველოში (ლორე იმ დროს საქართველოში შედიოდა) შაქრის ღერწამი, ბაბა და სხვა კულტურები, რომლებიც ჩვენში არ იყო. ამისათვის კი, ცხადია საკმაოდ ვრცელი ტერიტორია იყო საჭირო და ამ ადგილს დიდხანს უნახავდნენ შახრიმიანის შეიქსაც კი.

ბ) როგორც გაზუთ „ივერიის“ [5] ფურცლებიდან ჩანს, ერეკლე მეორეს შახრიმიანისათვის უჩუქნია მთელი ლორეს მაზრა იმის საპასუხოდ, რომ შახრიმიანს ერეკლე მეფის წინაშე ერთგულება გამოუჩინა. აქვე აღნიშნულია, რომ ლორეს მაზრა ერეკლეს ამ დროისათვის ორბელიანებისათვის ჩამოურთმევია.


გ) ცნობილია, რომ ლორე იყო ციხესიმაგრე და დასახლებული პუნქტი ტაშირში, მდ. ბერდუჯის (დებედა) და მდ. ტაშირისწყლის (ძორაგეტი) შესართავში. ამავე დროს იხმარებოდა ლორი, ლორის სოფლები, რაც ფართო გაგებით ტაშირს შეესაბამება. ლორე ასეთი ფართო გაგებითაა ცნობილი XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ წყაროებში [6,7], სადაც მოცემულია როგორც პროვინცია.

დ) ადრე ტერმინი – სოფელი თანამედროვე მნიშვნელობით არ იხმარებოდა, სოფლის ქვეშ იგულისხმებოდა მხარე, ქვეყანა [8]. თვით ლორე სოფლად არცერთ ლიტერატურულ წყაროში არაა მოხსენიებული.

ამრიგად, რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის მიხედვით აღნიშნული სოფელი ლორე, რომელსაც ერეკლე მეორეს უბოძებია ვაჭრისათვის, არის მხარე და არა სოფელი. იგი შეესაბამება ტაშირს. ტაშირის ქვეშ კი იგულისხმებოდა ლოქის ქედის თხემის სამხრეთით მდებარე



სივრცე ლორეს ვაკის ჩათვლით დებუდამდე. XIX საუკუნის ლიტერატურიდან კი სრულიად ვარდება ხმარებიდან სახელწოდება ტაშირი.



— I-III - 1799-1814    - - - IV - 1815-1820    ····· V - 1822-1871

ჩვენს მოგზაურს გაუვლია ტიგრანაკერტი, რომელსაც მეორენაირად ტიარბეჭირს უწოდებს. ეს პუნქტი გაიგივებულია [2,3] დიარბეჭირთან. მართალია ამ სელაგეზს ემთხვევა მისი მოგზაურობა, მაგრამ 1800 წლის გერმანულ ატლასზე [9] აღნიშნულია ტიგრანაკერტი, რომელიც დღევანდელი სიირტის რაიონში მდებარეობს მდ. ტიგროსის მარცხენა შენაკად ბითლისზე. ამავე რუკაზე აღნიშნულია თვით დიარბეჭირი იმ ადგილას, სადაც დღესაც მდებარეობს. აქ საქმე გვაქვს ორ პუნქტთან, რომელთაც უთუოდ ამ შემთხვევაში მოგზაური ერთმანეთში ურევს. თვით დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში [10,11] ისინი აღნიშნულია ცალ-ცალკე ქალაქებად და მათი გაიგივება არ არის აღნიშნული. ტიგრანაკერტი სომხეთის ძველი ქალაქი ყოფილა, რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

ციელონიდან მოგზაური ინდოსტანის აღმოსავლეთ სანაპირო ქალაქებში შეივლის. ჯერ ბონდოჩერის ან კოსტ-მალვარს (პონდიშერი), შემდეგ თრაპებრში მისულა და აქედან ქ. მადრასში. აქ იგი აღნიშნავს, რომ მიემგზავრება ბეკუში ან რანჰუნში. ამ ქალაქს ს. იორდანიშვილი [12] ათავსებდა თვით ინდოეთის ტერიტორიაზე და აიგივებდა ქ. რანგპურთან, ხოლო შემდეგ ლ. მარუაშვილის მიერ [3, 13] ბირმის ძველ დედაქალაქ ბეკუსთან არის გაიგივებული. ამით მოგზაურობის სელაგეზი საკმაოდ გაიზარდა და შორს გადაიწია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ოკეანით მიმავალი რ. დანიბეგაშვილი საშიშროების წინაშე ვარდება: ჯერ ბეკუსაკენ, შემდეგ კი კალკუტისაკენ მიმავალს ქარიშხალი ამოუვარდება და დაღუპვას უქადის. მოგზაურს მოუღწევია ბაჰარკანი-სათვის.

რ. დანიბეგაშვილის მიერ მოხსენიებულ ამ პუნქტის შესახებ თავის ვარაუდს გამოთქვამდა ლ. მარუაშვილი [3]: „ბაჰარ-ქანი უნდა შეესაბამებოდეს რომელიღაც დასახლებულ პუნქტს ბირმის დასავლურ (არაკანულ) სანაპიროზე. ინგლისელი მთავარსარდლის ხსენება რ. დანიბეგაშვილის მიერ უნდა მიგვითითებდეს, რომ ეს პუნქტი იმ დროს ბრიტანეთის საყრდენ ბაზას წარმოადგენდა. სახელწოდების უღერის

მომსგავსების საფუძველზე იგი შეიძლება სავარაუდოდ გაიგივებულ იქნეს ზღვიისპირა ქალაქ ბაზარკოქსთან<sup>1</sup>, რომელიც ჩიტაგონგსა და აკიაბს შორის მდებარეობს“. როგორც ვხედავთ, აქ ვარაუდია გამოთქმული, რომ შეიძლება ბაჰარ-ქანი ბაზარკოქსთან იყოს გაიგივებული. ამ საკითხს შემდეგ თვით ლ. მარუაშვილი [14, 15] ისევ უბრუნდება და წერს: „რაც შეეხება ბაჰარქანის გაიგივება ბაზარკოქსთან, როგორც სავარაუდო ვიგეჟონდარ. დანიბეგაშვილის კომენტარებში, ეს მოსაზრება საკითხის შემდგომი შესწავლის საფუძველზე უმართებულად წარმოგვიდგება. სახელწოდება „ბაზარკოქს“ საქმაოდ შორს დგას „ბაჰარ-ქანისაგან“. ლ. მარუაშვილი დაწერილებით მსჯელობით მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ბაჰარ“ არაბულად ნიშნავს მდინარეს, ხოლო „არქან“ იყო ბირმის პროვინცია ბენგალის უბესთან. იგი უნდა გაიგივდეს ბირმის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე პუნქტ არაქანთან, ანუ მროჰაუნთან, ანუ დაგნავადთან. მართლაც, ეს ადგილი შეესაბამება მოგზაურობის ტექსტის მსვლელობასაც. როგორც ირკვევა, გ. ზარდალიშვილი [2] ლ. მარუაშვილის პირველ ვარაუდს დაეყრდნო თავის გამოცემაში და აღნიშნა, რომ „ლ. მარუაშვილი ბაქარკანს აიგივებს ბირმის დასავლურ (არაქანულ) სანაპიროზე მდებარე ქალაქ ბაზარკოქსთან (სახელწოდების უღერის მომსგავსების საფუძველზე) რაც სწორი არ არის“. თვით გ. ზარდალიშვილი კი ბაქარკანს აიგივებს აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზე მდებარე ქ. ბაქარკანდისთან, რაც როგორც აღვნიშნეთ, არასწორად მიგვაჩნია.

კალკადიდან (კალკუტა) მოგზაურმა მდინარე განგის აღმა მართულებით მთელი რიგი ქალაქები გაიარა და ინდოეთის დედაქალაქს მიაღწია. დელიში მისვლამდე მას გაუვლია ქ. კამბერი, რასაც მართებულად აიგივებენ [2,3] კამპურთან. ეს სწორია, რადგან მოგზაუ-

<sup>1</sup> ზაზგასმა ყველგან ჩვენია - კ.ზ.

რობის სელაგეზის აღწერილობა ზუსტად ემთხვევა ამ პუნქტს. აქ იგი ხმელეთით მისულა და თუ მოგზაური ნავსადგურს იხსენიებს, იმიტომ, რომ იგი წყალუხვი მდინარის განგის ნაპირზეა. რ. ო რ ბ ე ლ ი ს [16] მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს მოგზაური პირველი სელაგეზის პუნქტს აღნიშნავს და იგი ბომბეისთან ახლო მდებარე კამბეისთან უნდა იქნეს გაიგივებული, არ შეიძლება იყო სწორი.

რ. დანიბეგაშვილის, როგორც მოგზაურის, ღვაწლი ბევრად აღმატება სხვა ქართველი მოგზაურების წვლილს, დანიბეგაშვილი უდავოდ მიეკუთვნება მსოფლიოს უშესანიშნავეს მოგზაურთა რიცხვს.

## К ЛОКАЛИЗАЦИИ НЕКОТОРЫХ ТОПОНИМОВ ТЕКСТА ПУТЕШЕСТВИЯ Р. ДАНИБЕГАШВИЛИ

### Р е з ю м е

Рассматриваются различные мнения исследователей по вопросам локализации топонимов из текста путешествия Рафаила Данибегашвили. На основе архивных и литературных материалов уточняется значение некоторых топонимов.

## TCWARDS THE IDENTIFICFTION OF SOME TOPONIYMS IN THE TEXT OF RAFAIL DANIBEGASHVILIS TRAVEL'S

### Summary

Various opinions of researchers on the identification of the toponyms in the text of the travels of Rafail Danibegashvili in India, Burma and other Asian Countries are considered in the article. On the basis of archival and literary sources the meanings of some toponyms are specified.



1. Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова. М., 1815.
2. ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში (ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობანი). თბილისი, 1971.
3. რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში. თერამეტი წელი აზიის ქვეყნებში. თბილისი, 1963.
4. ზ. ჭიჭინაძე. საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღუართა და მოგზაურთა ცნობები. ტფილისი, 1900.
5. გაზეთი „ივერია“, ახალი ამბები, 1890, №218.
6. პაპუნა ორბელიანი. საქართველოს ცხოვრება. თბილისი, 1913.
7. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относ. до Грузии, т. II. вып. 2. СПб, 1902.
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბილისი, 1960.
9. F. A. Schraembe. Allgemeiner grosser Atlas. W.en, 1800.
10. Днарбекир. БСЭ, т. 14, 1952.
11. Тигранакерт. БСЭ, т. 42, 1956.
12. რაფიელ დანიბეგაშვილი. მოგზაურობა ინდოეთში. თბილისი, 1950.
13. ლ. მარუაშვილი. ქართველი მოგზაური რაფიელ დანიბეგაშვილი და მისი ცნობები ინდოეთის, ბირმის და ჩინეთის შესახებ. თბილისი, 1956.
14. ლ. მარუაშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 43, №3, 1967.
15. ლ. მარუაშვილი. მეცნიერება და ტექნიკა, №6, 1967.
16. Р. Орбели. Страны и народы Востока, вып. V. М., 1967.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 72, №3, 1973, გვ. 749-752.

## თბილისი XVIII-XIX საუკუნეების ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით


თბილისი არაერთ ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული და დატანილია ძველ რუკებზე. სხვადასხვა საუკუნეების თბილისის გარეგან სახეს მრავალი მკვლევარი შეხება [1,2]. ჩვენს მიზანს შეადგენს თბილისის ტერიტორიისა და გეოგრაფიული სახელწოდებების ცვალებადობათა განსაზღვრა XVIII-XIX საუკუნეების ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით (ძველი თბილისის მიდამოები ამჟამად ქალაქის ფარგლებშია).

თბილისის ტერიტორია სხვადასხვა მიზეზების (განუწყვეტელი შოთის და რბეის და სხვ.) გამო პერიოდების მიხედვით იცვლებოდა. თბილისის უმეტესი ნაწილი ძველთაგანვე ყოფილა დასახლებული, რომლის ირგვლივ პუნქტები (ავჭალა, დიდუბე, კუკია, ჩულურეთი და სხვ.) ხელს უწყობდა ქალაქის ზრდას და XIX ს-ის მანძილზე მის ფარგლებში შემოდიოდა. აი, სწორედ ქალაქის ტერიტორიული ფარდა კარგად არის ნაჩვენები თბილისის ძველ გეგმებზე (XIX ს-ის თბილისის გეგმიდან დაწერილებით ვიხილავთ მხოლოდ პირველ წლებში შედგენილ გეგმებს, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია სხვადასხვა წლების გამოცემებში).



ჟან შარდენის თბილისის გეგმა-ნახატი (1673)

პირველად ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარდენმა [3] 1673 წელს გამოსახა თბილისი, ხოლო შემდეგ 1701 წელს – ჟ. ტურნეფორმა. ორივე გეგმა გრაფიურითაა წარმოდგენილი და გაღალღებულია მტკვრის მარცხენა ნაპირიდან, მახათას მთის ძირიდან. აღნიშნულ გეგმებზე გამოხატულია ქალაქის იმდროინდელი ფარგლები, მაგრამ ისინი პერსპექტიული ნახატების სახითაა, ისე როგორც იმ დროის პარიზის ხელები [4].



ჟ. პ. ტურნეფორის თბილისის გეგმა-ნახატი (1701)

ქალაქის ტოპოგრაფიული გეგმების შედგენა XVIII საუკუნიდან იწყება [5, გვ.17]. თბილისის პირველი გეგმა ქართველ კარტოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს [6] ეკუთვნის. აკად. ვ. ბერიძის თქმით: „ვახუშტისეული გეგმა თბილისისა უეჭველად სანდო, დიდი კეთისინდისიერებით შედგენილი დოკუმენტია, იგი მდიდარ კონკრეტულ მასალას გვაწვდის ქალაქის იმდროინდელი ვითარებისათვის და მის მიხედვით, არსებითად, შეიძლება ვიმსჯელოთ თბილისის შესახებ მთელი XVIII ს-ის მანძილზე...“ [7, გვ. 144].

მართლაც, ვახუშტის გეგმა, ჩვენამდე მოღწეული მასალების მიხედვით, წარმოადგენს ქართული კარტოგრაფიის პირველ ნაშუშვევარს. იგი ტოპოგრაფიული აგეგმვის საფუძველზეა შესრულებული. მართალია, მასზე მასშტაბი არაა მითითებული, მაგრამ ჩვენი განსაზღვრით მისი მასშტაბი 1 სმ-ში 180 მეტრი (1:18000) უნდა იყოს. ამიტომ არ იქნებოდა ზუსტი აზრი, თითქოს „ვახუშტისეული „თბილისი“ ტოპოგრაფიული აზომვის შედეგს არ წარმოადგენსო“ [7]. ვახუშტისეული გეგმის ტოპოგრაფიულ საფუძველს ადასტურებს მრავალი ფაქტი. კერძოდ. გეგმაზე სწორადაა ნაჩვენები მდინარე მტკვრისა და სხვა პატარა ხეების მიმართულება, მრავალრიცხოვანი გზების გადაკვეთა, ნაგებობათა კომპლექსების განლაგება, გორაკებისა და მთების სიმაღლითი სხვაობა და, რაც მთავარია, წერტილებს შორის სხვაობა თანამედროვე საფუძველთან საკმაოდ ზუსტია. ვახუშტისეული თბილისის გეგმა შესრულებულია იმდროინდელი ტოპოგრაფიული განვითარების საფეხურზე. გეგმის ძირითადი ნაწილი ჰორიზონტალურ პროექციაშია გაკეთებული და უახლოვდება იმავე პერიოდში საფრანგეთში შესრულებულ გეგმებს; განსაკუთრებით ახლოს დგას, როგორც ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს [7], 1714 წელს შედგენილ დე ლა კაის პარიზის გეგმასთან [4, გვ., 196], რომელიც საფრანგეთიდან სულხან-საბა ორბელიანის მიერ უნდა იყოს ჩამოტანილი.

ვახუშტის გეგმის სათაურია: „სახე ტბილისისა ახლად დახაზული ამისვე მხაზველისა, რომელ არს სატახტო ქართლისა: ნიშანნი ციფრით ზემორე წერილ არიან თვითვეულად ყოვლისა“ [6]. გეგმაზე პირობითი ნიშნებიცაა აღნიშნული და 80-მდე სახელწოდებაა დანომრილი, ზოგი წარწერა გეგმაზეცაა მოცემული.

ვახუშტის გეგმაზე თბილისის სამი ნაწილი არის არნიშნული: თბილისი, კალა და ისანი. პირველი მათგანი მოიცავდა ახლანდელი აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის მიდამოებს; მეორე, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რომელიც ძირითადად V საუკუნეში არსებობდა. ქალაქის ცენტრს ვახუშტის დროსაც კალა




ეწოდებოდა, მაგრამ თუ კალა V საუკუნეში იმდროინდელი ქალაქის მხოლოდ ციხეს ეწოდებოდა, XVIII საუკუნეში მისი საზღვარი საკმაოდ გაზრდილა; ქალაქის მესამე ნაწილი მტკვრის მარცხენა მხარეზე მდებარეობდა და ისანი ეწოდებოდა. მიუხედავად ამისა, ქალაქის ტერიტორია თანდათან იზრდებოდა და ვახუშტის გეგმაზე კარგად ჩანს აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ადგილების ათვისება. მათ შორის გამოირჩევა ე.წ. გარეთუბანი, რომელსაც ვახუშტის თქმით მეოთხე „ქალაქს“ უწოდებდნენ.



ვახუშტის თბილისის გეგმის (1735 წ.) ფრაგმენტი

ჩვენ მოვახდინეთ ქალაქის ფართობის გაზომვა ვახუშტის გეგმის მიხედვით და გაირკვა რომ ქალაქ თბილისის დასახლებული ფართობი XVIII ს-ის დასაწყისისათვის 240 ჰექტარს შეადგენდა, რაც თანამედროვე ქ. თბილისის ფართობზე 54-ჯერ მცირეა.

ვახუშტის შემდეგ, თბილისის გეგმა შედგენილია XVIII ს-ის დასასრულს, კერძოდ, 1782 წელს. ამ თარიღით მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში დაცულია თბილისის გეგმა [8], რომელსაც ეთანხმება პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმას [9]. აღნიშნულ გეგმაზე 90-მდე ადგილია დანომრილი, წარწერები კი გეგმის გარეთაა გამოტანილი. ვახუშტის გეგმის მსგავსად, ამ გეგმებზე ქალაქის სამი ნაწილია გამოყოფილი. ქალაქის სიერცე არ შორდება ვახუშტის დროინდელი თბილისის საზღვრებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს გეგმები ვახუშტის თბილისის გეგმებისაგან დამოუკიდებლად უნდა იყოს შესრულებული, რასაც მოწმობს როგორც გეგმის ორიენტირება და მოხაზულობა, ისე გეგმაზე არსებული წარწერები.



პიშჩევიჩის 1785 წლის თბილისის გეგმა

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამეფოში, ისე როგორც სვან-გან, რუკები და გეგმები სამხედრო მიზნით დგებოდა. რუსეთ-საქათველოს ურთიერთობის ისტორიის ამსახველი მასალებით დასტურდება, რომ მეფის რუსეთი დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს გეოგრაფიული აღწერებისა და ტოპოგრაფიული მასალებისადმი. რუსეთის იმპერატორები თავიანთი მომართვებით ქართველ მეფეთაგან პირველ რიგში ითხოვდნენ სწორედ ამგვარი შინაარსის მასალებს. ხშირი იყო შემთხვევა, როცა რუსეთიდან აგზავნიდნენ სპეციალურად მომზადებულ პირებს ამგვარი შინაარსის მასალის ახლად შედგენისა და რუსეთში ჩატანისათვის. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, ამიერკავკასიაში დამკვიდრება-გაბატონების მოსურნე რუსეთის თვითმპყრობელობას, ცხადია, უნდა სცოდნოდა ასათვისებელ-დასაპყრობი ტერიტორიის რაობა, თუნდაც სამხედრო ოპერაციების ჩატარებისათვის. ზუსტი გეგმების შედგენა საჭირო იყო, აგრეთვე, ეკონომიური თვალსაზრისითაც.


სწორედ ამიტომ დაიწყო კავკასიის ტოპოგრაფიული აგეგმვა, რომელსაც რუსეთის გენერალური შტაბის სამხედრო საინჟინერო უწყება ატარებდა. ამის საფუძველზე შედგა მთელი რიგი სამხედრო-ტოპოგრაფიული რუკები და ქალაქის გეგმები. მათ შორის თბილისის ათეულობით გეგმა იქნა გადაღებული. XIX ს-ის თბილისის გეგმებიდან ჩვენთვის საინტერესოა პირველად შედგენილი გეგმები, რადგან შემდგომში დამზადებული გეგმები ძირითადად უკვე შესრულებულს ეყრდნობოდა და მსგავსება მათ შორის დიდია. ამიტომ განვიხილავთ XIX ს-ის დასაწყისის თბილისის გეგმებს და აღვნიშნავთ მხოლოდ შემდგომი წლების გეგმების მიხედვით ქალაქის ფართობის ზრდას.

მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში შემონახულია 1800 წლის თბილისის ორი გეგმა: ერთი მათგანი თბილისის ცენტრს ასახავს [10], მეორე კი — ქალაქის მადამოებს [11]. ორივე გეგმა შედგენილი და გადაღებულია რუსეთიდან სპეციალურად მოვლინებულ კაპიტან ჩუიკოს მიერ, რომელსაც შეუსრულე-

ბია, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა კუთხის რუკები [12]. ყველა ეს ნამუშევრები შებრუნებით, ე.ი. სამხრეთითაა გაგნებული. იმავე არქივში ინახება თბილისის სხვა გეგმები [13], რომელთაგან პირველი (თბილისის ცენტრისა) [იქვე], 1802 წელსაა შესრულებული. ჩვენი დაკვირვებით, იგი ასლია 1800 წლის თბილისის გეგმისა [10], ხოლო მეორე [14] ამავე წლის თბილისის მიდამოების გეგმისა [11]. აქედან უთარილო გეგმა [14], ჩვენი განსაზღვრით, შესრულებულ უნდა იყოს 1803-1805 წლებში. სწორედ ამ დროს ჩამოდის პოლკოვნიკი ტიხონოვი (ოფიცერთა ჯგუფით) საქართველოში რუკებისა და აღწერის შედგენისათვის [15, გვ.17], რომელიც ხელს აწერს აღნიშნულ გეგმას.

1800 წლის თბილისის გეგმა [10] იმდროისათვის ზუსტი ტოპოგრაფიული აზომვის საფუძველზეა შედგენილი. მისი მასშტაბია: ინგლისურ დუიმში 25 საყენი, ანუ თანამედროვე საზომ ერთეულებში გადაყვანით, 1 სმ-ში 21 მეტრი (1:2100). ასეთი მსხვილმასშტაბიანი გეგმები თბილისისა მანამდე არ არსებობდა. გეგმაზე დაწვრილებით და ზუსტად არის დატანილი თბილისის ყველა ადგილი. ამავე დროს ქალაქის საზღვრები თითქმის ძველებურადაა გაყოფილი, თუმცა, განსხვავებით ვახუშტის გეგმისა მთელი ტერიტორია 12 უბნად არის დაყოფილი. ქალაქის ფართობის ზრდას ეტყობა ხელი შეუშალა იმ რბევა-აოხრებამ, რასაც ადგილი ჰქონდა XVIII ს-ის დასასრულს. ამიტომ ქალაქის ფართობი მცირედ ან თითქმის არ არის შეცვლილი.

გეგმის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ რელიეფის ფორმების ხელოვნურ და ბუნებრივ ცვალებადობაზე. კერძოდ, ახლანდელი თავისუფლების მოედნითა და პუშკინის ქუჩით ჩამოედინებოდა მდინარე, რომელიც სხვა პატარა ხეობთან ერთად ამჟამად ხელოვნურ გვირაბებში მიედინება. გეგმაზე კარგადაა გამოხაზული ორბელიანების (მადათოვის) კუნძული (ამჟამად აღარ არსებობს) და ის ხიდი, რომელთაც ერთმანეთს უკავშირდებოდნენ თბილისის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები. გეგმაზე გამოხაზულია, აგრეთვე, ქალაქის გარეუბნებში მდებარე ვრცელი ბაღები.



1800 წლის თბილისის გეგმა შედგენილი კაპიტან ჩუიკოს მიერ

გეგმაზე აღნიშნული ტოპონიმებიდან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს „შთა შაიტახტი“. ამ სახელით ციხე-კოშკის ნანგრევები დღესაცაა შემორჩენილი ძველი თბილისის ციხე-გალავანში. სწორედ ამავე ადგილას, ანუ როგორც გეგმის ავტორი უწოდებს „Не большой Замокъ Шайтахтъ“-ის გაგრძელებაზე აწერია „Гора Шайтахтъ“. იგი იწყება ძველი კედლიდან და მიემართება წავკისის გზამდე. იქვე აღ-

ნიშნულია წისკილი. ეს ადგილი შეესაბამება სოლოლაკის სერს. ამავე გეგმაზე აღნიშნულია წყალსადენი, რომლითაც წყალი ციხეში შემოდის, მის პარალელურად კი დატანილია გზა სოფელ ტაბახმელი-საკენ. როგორც ვახუშტის, ისე 1800 წლის თბილისის გეგმაზე [10], ქალაქში შემოსასეღელი 6 კარია ნაჩვენები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ვახუშტის „კოყრის კარი“ და „წყლის კარი“ შეესაბამება 1800 წლის თბილისის გეგმის „წავეკისის კარს“ და „მუხრანის კარს“. გეგმაზე აღნიშნული სინორი ჩუღურეთი ქალაქგარეთ მდებარეობდა, ხოლო მოედანი ყაბახი (ახლანდელი კომუნარების ბაღი) გარეუბანს წარმოადგენდა. კუკია (ახლანდელი მარქსის მოედნის მიდამოები)<sup>1</sup> იმ დროისათვის თბილისთან ახლო მდებარე სოფელი იყო.

საინტერესოა ქალაქში შემომავალი გზებზე მრავალრიცხოვანი წარწერები. ერთ-ერთი მათგანი ასე იკითხება: „გზა სოფელ ნეთლუ-ლიდან ანუ ერეკლეს-ციხიდან“. რადგან ეს უკანასკნელი სახელწოდება ჩვენამდე ვერ მოვიდა და მისი ზუსტი ადგიმდებარეობა დადგენილი არ არის, უფრო დაწვრილებით შეკრერდებით ამ სახელწოდების შესახებ<sup>2</sup>.

უაღრესად საინტერესოა, აგრეთვე, 1800 წლის თბილისის მიდამოების გეგმა [11]. როგორც წინა, ისე ეს გეგმაც ტოპოგრაფიული აგეგმვის საფუძველზეა შედგენილი. მასზე კარგადაა ნაჩვენები რელიეფის დაღებითი და უარყოფითი ფორმები, ჰიდროგრაფიული ქსელის კონფიგურაცია. გეგმა 140X142 სმ სიდიდისაა. გეგმაზე პირობითი ნიშნები არაა ახსნილი, მაგრამ გეგმა ადვილად იკითხება.

ისე როგორც ამ პერიოდის სხვა გეგმები და რუკები, 1800 წლის გეგმაც სამხედრო მიზნითაა შესრულებული. პირველ რიგში, ამას ამტკიცებს წარწერები, რომლებიც მასზეა მოცემული: „Каменная башня для защиты от набітовъ неприятельскихъ“, „погребъ“ და სხვა, აგრეთვე, ქალაქში გამავალი გზების დაწვრილებითი აღნიშვნა

<sup>1</sup> ახლა ზაარბრიუკენის მოედანი.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ტოპონიმიკური შტულებების პირველ ნაწილში, გვ.31-36.

და წარწერები. ასევე მეტეხის მიდამოებში წერია: „ФОРШАТЪ  
 Авлабар“, ე.ი. ქალაქის წინა მხარე. გარდა ამისა, გეგმაზე ჰიდროგ-  
 რაფიული ქსელისა და რელიეფის ფორმები დაწვრილებით არის გამო-  
 სახული, რაც კიდევ ერთხელ მიგვითითებს აღნიშნული გეგმის სამ-  
 ხედრო მიზნით შესრულებაზე.



თბილისის მიდამოების 1800 წლის გეგმა

გეგმის მასშტაბია „ინგლისურ ლუიმში ასი საუენი“. თანამედრო-  
 ვე საზომ ერთეულებში გადაყვანით იანგარიშება ასე: 1 სმ-ში 84 მეტ-

რი (1:8400). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს [11] და სხვა გეგმა [14] შეცდომით ხუთვერსიანად მიუჩნეოდა თ. ბერიძეს [16]. ჩანს ავტორს სწორედ ვერ გაუგია წარწერა: „Планъ города Тифлиза... находящеюся около его пяти-верстою ситуацию“, რაც მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ გეგმაზე ნაჩვენებია ქალაქის მისადგომები ხუთი ვერსი რადიუსით.

გეგმაზე რელიეფი დაჩრდილვითაა აღნიშნული. გარდა ამისა, გამოყენებულია შტრიხები, რომელიც ამ დროისათვის უახლესი მეთოდი იყო რელიეფის შედგენისა და დამუშავებული ლემანის მიერ 1799 წელს [17, გვ. 34]. განსაკუთრებით მრავალფეროვანია რელიეფის ფორმების გამოსახვა მდინარეთა გასწვრივ. მდინარე მტკვარი ორმაგი ხაზითაა მოკემული, ხოლო მისი შენაკადები და ხეობები – განსხვავებული სისქის ერთმაგი ხაზით.

მდინარე მტკვრის კალაპოტში აღნიშნულია რამდენიმე კუნძული. აქედან ყველაზე დიდი ყოფილა ორთაჭალის (ორთაჭალქესის ხიდიდან ახალ ავტოვაგზლამდე), ორბელიანის (ბარათაშვილისა და მარქსის<sup>1</sup> სახელობის ხიდებს შორის), უსახელო (მეტეხის ხიდან) და სხვ. სულ ახლო წარსულში მტკვრის სანაპიროების აგებასთან დაკავშირებით ეს კუნძულებიც გაქრა.

ინტერესს მოკლებული არაა გეგმაზე აღნიშნული ტოპონიმები, მით უმეტეს, რომ ბევრი მათგანი შეიცვალა ან დავიწყებას მიეცა. გეგმაზე აღნიშნულია მტკვრის მარჯვენა შენაკადები – ვ ე რ ე და ვ ა რ ა ზ ი ს ხ ე ვ ი, ზემო ნაწილში დატანილია წ ყ ნ ე თ ი ს ტ ბ ა, რომელიც თავისი მდებარეობითა და მოხაზულობით ახლანდელ კუს ტბას შეესაბამება.

გეგმაზე მტკვრის მარჯვენა შენაკადია წ ა ვ კ ი ს ი, რომელიც ახლანდელ ბოტანიკურ ბაღში გადის. ამავე დროს ზოგიერთ გეგმაზე [10,13] აღნიშნულია „წაკვისის წყალი იგივე სალაღაკი“ (სალა-

<sup>1</sup> თანამედროვე ზაარბრიუკენის.



ლაკის წყალს უწოდებდნენ აენაანთ ხევს, რომელიც ახლანდელ თავისუფლების მოედნითა და პუშკინის ქუჩის ჩამოვლით მტკვარს ერთვოდა ბარათაშვილის სახელობის ხიდთან), ამჟამად ამ მდინარეს „ლეღთა ხევის“ ან „დაბახანას“ სახელით იხსენიებენ. თანამედროვე რუკებზე მდინარეს ზემო ნაწილს „წაკისის ხევი“, ქველას კი „სამარხახევი“ აწერია. მდინარის ზედა ნაწილში სოფელი წაკისია აღნიშნული, რომელიც დღემდე ამ სახელს ატარებს. ამავე მდინარის მარცხენა მხარეზე (ამჟამად ბოტანიკის ინსტიტუტის დასავლეთით) „იმიტურტუსის მთა“ არის აღნიშნული, უთარილო გეგმაზე [14] „იმიტურტუსის მთა“. ამ სახელწოდების ლოკალიზაციაზე სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა, ამიტომ აქვე მოვიტანთ ჩვენს აზრსაც.

პირველად ეს სახელწოდება ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის შრომებშია მოხსენიებული. უფრო ადრე იგი წერილობით წყაროებში არსად არ გვხვდება. შესაძლოა ეს სახელწოდება XVII საუკუნიდან გაჩნდა.

ბერი ეგნატაშვილი „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნავს: „... და კუალად აღაშენა ბალი იმიტურტუქს ქუემორე და მუნცა აღაშენა მეჩიტი“ [18, გვ. 418]. აქედან ვგებულობთ, რომ ბალი გაუშენებიათ იმიტურტუქს ქვემოთ. თუ ვახუშტის ან მის შემდგომ შემდგენილ თბილისის გეგმებს დავხედავთ, ბალი რამდენიმე ადგილასაა აღნიშნული.

ვახუშტ ბაგრატიონი „იმიტურტუქის“ მდებარეობას უფრო დაწვრილებით მიგვანიშნებს: „ხოლო კვალად დასავლეთით, იმიტურტუქის კლდესა შინა არს მონასტერი მთაწმინდისა და აწ ცალიერი“ [19, გვ.54]. ამავე ავტორის გეგმაზე იმიტურტუქის კლდე კოჯრის გზის ჩრდილოეთითაა აღნიშნული [6].

უფრო მოგვიანებით იმიტურტუქი მოიხსენია მოგზაურმა გიულდენშტედტმა [20, გვ.91]. იგი მიგვითითებს: „ქალაქის გარეთ (1772 წლის მდგომარეობით. — კ.ხ.) ჩრდილო-დასავლეთით, იმიტურტუქის კლდეზედ დგას დანგრეული ეკლესია მთაწმინდა“. გიულდენშტედტის

ეს ცნობა ვახუშტისაგან დამოუკიდებლად არის მიღებული, რადგან ამ დროისათვის ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ დაუბეჭდავია და ისიც ქართული ხელნაწერის სახით იყო.

1800 წლის გეგმაზე [11], როგორც აღვნიშნეთ, „იშითუტრუქის მთა“ შეესაბამება ბოტანიკის ინსტიტუტიდან დასავლეთის მიმართულებით ამართულ ამალლებას, რომელიც კოჯრის გზატკეცილიდან გადაღის ოქროყანის პლატოზე.

აღნიშნული ტოპონიმის ლოკალიზაციას და ეტიმოლოგიას შეეხო: პლ. იოსელიანი [21, გვ. 3-4], დ. ბაქრაძე [22, გვ.104-105], ლ. მელიქსეთ-ბეგი [23, გვ. 232], ვ. ბერიძე [24, გვ. 135], თ. ბერიძე [25, 195-198] და სხვ. გარდა ბოლო დასახელებული ავტორისა ყველა „იშითუტრუქის მთას“ მთაწმინდის კლდესთან აიგივებენ. თ. ბერიძე [იქვე] ემყარება 1800 წლის გეგმას [11] და იშითუტრუქს „სალალაკის“ მთასთან აიგივებს.

როგორც ცნობილია, „სალალაკის სერი“ შეესაბამება ბოტანიკურ ბაღსა და ენგელს-კოჯრის ქუჩებს შორის ამართულ კლდოვან სერს, რომელზედაც მდებარეობს კომკავშირის ხეივანი. გეგმის მიხედვით იშითუტრუქის მდებარეობას თ. ბერიძე ზუსტად აღწერს, მაგრამ იგი სალალაკის სერი არ არის, ხოლო სალალაკის სერის ადგილზე 1800 და 1802 წლების ქ. თბილისის დაწვრილებით გეგმაზე „შაიტახტის“ მთა არის აღნიშნული [10, 13].

ამავე დროს ძნელი დასაჯერებელია, რომ ვახუშტომ თავის დროინდელი სახელწოდების ლოკალიზაციაში დაუშვა შეცდომა, როცა მის მიერ შედგენილი გეგმა საკმაოდ ზუსტია. რაც მთავარია, ვახუშტი აღწერს და ასახელებს სალალაკის კლდესაც: „კალა მოზღუდა მეორე შააბაზ, პირველი შემუსვრილი სამჯრით მოავლო სალალაკის კლდეზედ“ [19]. ასევე „სალალაკი“ დასახელებულია 1748 წლის საბუთში [23, გვ. 193], 1756 წლის ბრძანებაში [24, გვ. 270], ომან ხერხეულიძის „საქართველოს ცხოვრებაში“ [25, გვ. 278] და სხვ.

ირკვევა, რომ ერთროულად არსებობდა სახელწოდება „იშიტუტ-რუქი“ და „სალალაკი“. არცერთ წყაროში არაა აღნიშნული მათი გაიგივება. იშიტუტრუქი და სალალაკი ერთი და იგივე ადგილები რომ ყოფილიყო, შეუძლებელია ვახუშტის სხვადასხვა მდებარეობით აღნიშნა თავის გეგმაზე [6] და ტექსტშიც [19, გვ. 53, 54]. თ. ბერიძე [16, გვ. 195-198] ემყარება გეგმას [11], რომელიც უცხო პირებისაგან ერთი საუკუნის შემდეგაა შედგენილი, როცა ეს სახელწოდება თითქმის ამოვარდნილი იყო ხმარებიდან, რადგან ცოტა ხნის შემდეგ თვით პლატონ იოსელიანი [21, გვ. 3-4] ეძებს ამ ადგილს.

ამრიგად „იშიტუტრუქის კლდე“ შეესაბამება ფლატეს, რომელიც მთაწმინდის პანთეონს დაჰყურებს.

წავკისისწყლის პარალელურად სამხრეთით მტკვარს ერთვის მდინარე კრწანისი. ამჟამად მას იხსენიებენ როგორც „ტაბახმელას“, ისე „ლუქნის ხევის“ სახელით. აღნიშნული მდინარის ხეობაში განლაგებულია სოფლები: ტაბახმელა, შინდისი, კრწანისი. პირველი მათგანი დღესაც იმავე სახელწოდებითაა ცნობილი, მეორე შინდისის, ხოლო მესამე, ამჟამად ქალაქის უბანს წარმოადგენს.

გეგმაზე დატანილია სოფელი კუკია, რომელიც დღევანდელი ოქტომბრის რაიონის<sup>1</sup> ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანია (იმ ადგილას, სადაც პლეხანოვის გამზირის<sup>2</sup> დასაწყისში №1 და 14 სვლაგეზის ტროლეიბუსი უხვევს თანამედროვე ფოსტამტის შენობამდე). XIX საუკუნის დასაწყისამდე იგი დამოუკიდებელ პუნქტს (სოფელს) წარმოადგენდა, რომელის შემდეგ თანდათან ქალაქის საზღვრებში მოექცა.

დამოუკიდებელ პუნქტებს წარმოადგენდა, აგრეთვე დ ი დ უ ბ ე და ო ქ რ ო ყ ა ნ ა, თუმცა გეგმის მიხედვით, ამ პერიოდში მათ განუცდიათ ნგრევა და მოსახლეობის შემცირება. დიდუბის ადგილას აღ-

<sup>1</sup> ახლა ჩუღურეთის


<sup>2</sup> ახლა დავით აღმაშენებლის გამზირი.

ნიშნულია „ყოფილი სოფელი დიდუბის დანგრეული ციხე“. დღევანდელი ოქროყანის ადგილზე – „სოფელ ოქროყანის დანგრეული კოშკი“ [11, 14]. ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო გარეშე მტერთა შემოსევებით, კერძოდ, 1789 წელს ჭარელთა, 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანისა და 1796-1800 წლებში ავარიელთა ბრძოლების შედეგად (XIX ს-ის მანძილზე ამ მიდამოებში კვლავ აღდგა ნორმალური ცხოვრება).

ამავე პერიოდში მცირე ფართობი ეკავა თვით ქალაქ თბილისსაც. გეგმიდან ირკვევა, რომ ქალაქი მტკვრის მარჯვენა მხარეზე წავკისისწყლის ქვემო ნაწილიდან, ახლანდელ კინოთეატრ „რუსთაველამდე“ ვრცელდებოდა; მტკვრის მარცხენა მხარე კი მხოლოდ ისანის მიდამოებს ეჭირა. ახლანდელი რუსთაველის გამზირის დასაწყისიც კი ცარიელი იყო და საჯირითო მოედნად იყო გამოყენებული. მოსახლეობა მცირე ყოფილა და 1803 წლის აღწერით [26, გვ.29] მხოლოდ 20 ათას აღწევდა.

გეგმაზე მოცემულია მთა ვ ე რ ე (მდინარის მარცხენა სანაპიროზე), მთა ს ა ბ უ რ თ ა ლ ო (ახლანდელი იპოდრომის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ამავე გეგმაზე დატანილია მთები: თელეთი, მახათა, ოქროყანა, თაბორი; ხევები: კვირაცხოველი (ახლანდელი არსენალის-ხევი მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი მარქსის სახელობის სიღთან), მეკერტიხევი (ახლანდელი მამრაძისხევი) და სხვ. უამრავი უსახელო ხევები.

საერთოდ 1800 წლის თბილისის მიდამოების გეგმა [11] იმდროისათვის საკმაოდ მაღალ ტექნიკურ დონეზეა შესრულებული და გამოყენებულია აგეგმვის უახლესი მეთოდები. ამიტომ აღნიშნულ გეგმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თბილისის მიდამოების ისტორიის აღდგენისათვის. იგი პირველი სრულყოფილი გეგმაა თბილისის მიდამოებისა და სრულიად აკმაყოფილებს იმდროინდელ ტოპოგრაფიულ-კარტოგრაფიულ მოთხოვნებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი ტოპონიმის დამახინჯებას.



1867 წლის თბილისის გეგმა

რაც შეეხება შემდგომი წლების გეგმებს, მათზე თბილისის საზღვრები უმნიშვნელოდ იზრდება, რაც კარგად ჩანს მოსახლეობის განაწილებითაც. 1803 წლის ქალაქს ეჭირა 268 ჰექტარი დასახლებული ფართობი და როგორც აღვნიშნეთ, სულ 20 ათასი მცხოვრები იყო, 1850 წელს ფართობი 347 ჰექტარამდე გაზრდილა, ხოლო მოსახლეობას 55 ათასისათვის მიუღწევია (სწორედ ამ დროს გაშენებულა კუკია და ჩუღურეთი ქალაქის უბნებად), 1863 წელს 100 ათასამდე ასულა მისი მოსახლეობა, ხოლო 1876 წელს 104 ათასი ყოფილა [27, გვ. 260-264].

ჩვენ მოვახდინეთ სხვადასვა წლების ქ. თბილისის (გეგმების მიხედვით) დასახლებული ფართობის გაზომვა, რომელიც მოსახლეობის განაწილებასთან ერთად შემდეგ სახეს ღებულობს:

## XVIII-XIX სს. ქ. თბილისის ფართობისა და მოსახლეობის განაწილება

№№ რიგზე	წლები	ფართობი (ჰა)	მოსახლეობა (ათასი კაცი)	შენიშვნა
1	1735	240,5	30 (?)	გარეთუბანით 268 ჰა
2	1800	268,5	20	მოსახლეობის რაოდენობა 1803 წლით
3	1850	346,7	55	
4	1863	—	100	
5	1876	—	104	
6	1898	523,6	159,6	

როგორც ვხედავთ ქალაქის მოსახლეობა და ფართობი წლების მიხედვით იზრდებოდა, ამას ხელი შეუწყო ახალი ხიდების მშენებლობამ, რომლითაც ქალაქის ზრდამ უფრო მეტად მტკვრის მარცხენა მხარეზე გადაინაცვლა. ქალაქი დაუკავშირდა სოფლებს კუკიას და ჩულურეთს, ხოლო ცოტა მოგვიანებით დიდუბესაც. ეს ადგილები თანდათან თბილისის უბნებად იქცა. ასევე სოფლები ვარდისუბანი, ვერე, ნავთლული, მირზააბადი და სხვ. XIX ს-ის დასასრულისათვის ქალაქის უბნებად იქცა.

ასეთია მოკლედ ქალაქ თბილისის საზღვრებისა და გეოგრაფიული სახელწოდებების ცვლილება XVIII-XIX ს-ის ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით.

## ლიტერატურა

1. მესხია შ. თბილისის ტერიტორია და გარეგანი სახე, წიგნში თბილისის ისტორია, თბ., 1952.
2. ბერძნიშვილი მ. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში. თბ., 1965.
3. ჟან შარდენი, მოგზაურობა საქართველოში (1672-1673), თარგმნა ვასილ ბარნოვა, ტფ., 1935.
4. Бунин А.В., Ильин Л.Л., Поляков Н.Х., Шкварников В.А. Градостроительство, М., 1945.
5. Фель С.Е. Картография России XVIII в., М., 1960.
6. თბილისის ვახუშტისეული გეგმის დედანი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ფონდი Н – 2079.
7. ბერიძე ვ. XVIII საუკუნის თბილისის ვახუშტი გეგმის მიხედვით, „ანალები“, ტ. I, თბ., 1947.
8. ЦГВИА, ф. ВУА, № 22656.
9. План г. Тифлиса в 1785., Записки Императорского Одесского общества истории и древностей, т. XXIV, Одесса, 1902.
10. ЦГВИА, ф. ВУА, № 22660.
11. ЦГВИА, ф. ВУА, № 19807.
12. ЦГВИА, ф. ВУА, № 16716.
13. ЦГВИА, ф. ВУА, № 22661.
14. ЦГВИА, ф. ВУА, № 22659.
15. Новокшинова-Соколовская З.К. Картографические и геодезические работы в России в XIX – начале XX в., М., 1967.
16. ბერიძე თ. ვახუშტის „იშითურუქის“ ადგილის მისანიშნებლად, „მაცნე“, 1970, №5.
17. Гараевская Л.С. Картография, М., 1955.
18. ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბ., 1959.

19. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
20. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962.
21. Пл. Иосселиани, гора св. Давида в Тифлис, 1858.
22. Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства, 1875.
23. ჟორდანია თ. ქრონიკები, III, თბ., 1967.
24. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, XVI-XIX სს., წ. I, შედგენილი ნ. ბერძენიშვილისა და მ. ბერძენიშვილის მიერ, თბ., 1962.
25. ხერხეულიძე ომან. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1913.
26. კაკაბაძე ს. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისა, „საისტორიო მოამბე“, წ. II, ტფ., 1925.
27. საქართველოს კალენდარი, 1904

მაცნე ისტორიის სერია, №3, 1975, გვ.114-126.



## საიდან წარმოდგა ეს სახელწოდებები

შავი ზღვა ევროპასა და მცირე აზიას შორის მდებარეობს: ხმელთაშუა ზღვასთან შეერთებულია ბოსფორის სრუტით, მარმარილოს ზღვითა და დარდანელის სრუტით; ფართობი 412 ათასი კმ<sup>2</sup>-მდეა. იგი წარმოადგენს ღრმაწყლიან ქვაბულს, რომლის საშუალო სიღრმეა 1271 მ. ყველაზე ღრმა ადგილი 2245 მ-ია. წყლის ზედა ფენა ნაკლებ მარილიანია. წყალი ზღვიდან სრუტეების მეშვეობით ხმელთაშუა ზღვაში გაედინება, ქვედა ფენებში კი ამავე სრუტეებით უფრო მარილიანი წყალი შემოდის, რომელიც გროვდება შავი ზღვის ქვაბულის ქვედა ფენებში. ქვედა ფენის წყალი ვერ ერევა ზედა ფენის წყალს, ამიტომ ღრმა ფენებში ჟანგბადი ვერ აღწევს და 200 მ-ის ქვემოთ წყალი იწამლება გოგირდწყალბადით: იქ მხოლოდ ბაქტერიები ცოცხლობს.




შავი ზღვის სანაპირო მწვანე კონცხთან

შავი ზღვა ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში ეკქსინის პონტოს სახელითაა ცნობილი. იგი ბერძნული სიტყვაა, რაც ქართულად შავ ზღვას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ შემოდგომასა და ზამთარში შავი ზღვისათვის დამახასიათებელია ძლიერი ქარიშხალი და ხშირი ნისლი. ქართველი მოგზაურის იონა გედევანიშვილის მიხედვით, სწორედ ამიტომ ეწოდა შავ ზღვას ეს სახელი. რომაელებიც შავ ზღვას პონტოს ზღვას ეძახდნენ, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, სხვადასხვა ხალხთა ენაზე ეს სახელწოდება ძირითადად ნათარგმნი სახით იხმარება.

მცირე აზიის ნახევარკუნძულზე არსებობდა პონტოს ვრცელი სამეფო. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე ეს სახელწოდება შერჩა მთაგრეხილს, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივაა გადაჭიმული. ქართველები ძველად შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს სპერის ზღვასაც უწოდებდნენ, რადგან მის სანაპიროზე მდებარეობდა სპერის (ისპირის) სამეფო.

მთაწმინდა თრიალეთის ქედის ერთ-ერთი ტოტია თბილისის დასავლეთით. მისი უმაღლესი მწვერვალია უბო. აღმოსავლეთ ნაწილში მთაწმინდის ქედი დაბლდება და თბილისის ქვაბულის ძირზე ეშვება. ქედის ჩრდილოეთი კალთები მდ. ვერეს ხეობის ძლიერ დანაწევრებულ მარცხენა ფერდობს ქმნის, ხოლო სამხრეთის ფართო და დამრეცი კალთები წაკვისისა და ოქროყანის ვაკეებში გადადის.

მთაწმინდის დასავლეთ კალთაზე ერთ-ერთი პირველი ბინადარი იყო „კამეტი სირიელი მამათაგანი“ ღავითი, რომელიც საქართველოში VI საუკუნეში მოვიდა. მან ააშენა აქ საცხოვრებელი სენაკი და სამლოცველო. უფრო მოგვიანებით მ ა მ ა დ ა ვ ი თ ი ს დანგრეული ეკლესია გააჩლდა ათონის (საბერძნეთი) ივერთა მონასტრის მსახურთა თაოსნობით. ამ დღიდან როგორც მთას, ისე მასზე აშენებულ საყდარს ათონის მთის სახელი „მ თ ა წ მ ი ნ დ ა“ ეწოდა.



მამდაეთის ეკლესია

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1973, №8. გვ. 44

დიდუბე თბილისის ერთ-ერთი უბნის სახელია. ადრეულ პერიოდში დიდუბე დამოუკიდებელ სამოსახლო პუნქტს (სოფელს) წარმოადგენდა. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, აქ, დიდუბის სამეფო სასახლეში, დაქორწინებულა მეფე თამარი. ამჟამად დიდუბის ტაძრის ეზოში მოთავსებულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი.

სახელწოდება დიდუბე ქართული წარმოშობისაა. სულხან-საბას განმატებით, „დუბე“ დაბალ ადგილს, ე. ი. ვაკეს ნიშნავს; დიდუბე კი „დიდ-დუბეს“ შეკუმშული ფორმაა და დიდ ვაკე ადგილს ნიშნავს.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1974, №1. გვ. 39

კოლხეთი (კოლხიდა) ერთ დროს ვრცელი ქვეყანა, რომელიც შავი ზღვის მთელ სანაპიროზე იყო გადაჭიმული და კავკასიონის ქედთან მოყოლებული ტრაპიზონის დასავლეთითაც ვრცელდებოდა. მოხსენიებულია ჯერ კიდევ 2700 წლის წინათ. არსებობს აზრი, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II-I საუკუნეებში, კოლხეთი ჩამოყალიბებული მონათმფლობელი სახელმწიფო იყო. სტრაბონის დროს (I ს.) კოლხეთში სამეფო ძალაუფლება დასუსტებულია და კოლხეთი ცალკეულ ტომურ ორგანიზაციებად დანაწილებულა. ამის შემდეგ კოლხეთის საზღვრები თანდათან ვიწროვდებოდა. ამჟამად ამ სახელწოდებაში გულისხმობენ დაბლობ ვაკეს. რომელიც მდებარეობს იმერეთში, სამეგრელოსა და გურიის ფარგლებში სამურზაყანოს დაბლობის მიმატებით.

სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებულია ხალხის – კოლხების – სახელწოდებასთან კოლხი, ანუ კულხა, მეცნიერთა ვარაუდით, უძველესი თემის კოლას სახელწოდებას უკავშირდება, კოლა კი მტკვრის სათავეში მდებარე მხარეს ერქვა. **ხა** სატომო სახელთა მწარმოებელი დაბოლოებაა, ისე როგორც დღევანდელი **მლ** სუფიქსი. ამდენად, კოლხი ნიშნავს „კოლას მცხოვრებს“, კოლაელს, რომელიც გავრცელდა შავი ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებ მთელ ხალხზე, აქედან კი ქვეყანას მიუღია სახელწოდება კოლხეთი (კოლხიდა).

ასირიულ წყაროებში ((XII ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანას ეწოდებოდა „გილხი“, „კოლხი“. ურარტულ წყაროებში ეს ქვეყანა „კულხაა“. ვარაუდობენ, რომ VII საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსულ ბერძენ კოლონისტებს აქ დახვედრიათ კოლხები (ძველი კულხები), რომელთა ქვეყანას ბერძნებმა კოლხიდა უწოდეს. ამრიგად, „კოლხიდა“ „კოლხეთის“ ბერძნული ფორმაა.

საინგილო ძველი ჰერეთის ნაწილია. თვით ჰერეთმა გვიან პერიოდში სახელი შეიცვალა და აღმოსავლეთ ნაწილს გაღმა-მხარი, ანუ კაკელისენი (დღევანდელი საინგილო) ეწოდა. იგი მოიცავდა ალაზნის მარცხენა შემდინარეთა – ბელაქნისწყლის, კატეხისწყლის, მულანლის-ჩაისა და სხვ აუზებს. 1801-1830 წწ. ეს მხარე საქართველოს მოხარკე ქვეყანა იყო, 1832-1844 წწ. – საქართველოს უშუალო ნაწილი, 1844-1860 წწ. – ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქი, ხოლო 1860-1916 წწ. ზაქათალის ოლქი. დღეისათვის საინგილო ეწოდება კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარეს, რომელიც საბჭოთა აზერბაიჯანში<sup>1</sup> შედის და შეადგენს მის სამ ადმინისტრაციულ რაიონს: ბელაქანს, ზაქათალას და კახს.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ამ სახელწოდების წარმოშობას უკავშირებდნენ თათრულ სიტყვას „ჰენგს“, რაც ნიშნავს (ინგილოს) ხელახლა გადარჯულებას. XX საუკუნის დასაწყისში არასწორად ცნეს ეს აზრი და ინგილო დაუკავშირეს ინგირს, ე. ი. ეგრელს, ანუ ბერძენი მწერლების ჰენიოზებს. ფიქრობდნენ, რომ ჰენიოზი გადავიდა ჰენგილოდ – ინგილოდ. აკად. ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, ტერმინი საინგილო XIX საუკუნეში წარმოიშვა და ნიშნავს ინგილოებით დასახლებულ მხარეს. „ინგილო“ ეწოდა აღნიშნული მხარის მკვიდრ ქართული მოსახლეობის ნაწილს. ეს კი შემდეგნაირად მოხდა: ჭარელებმა ქართული სოფლები მიიმეღ დაბეგრეს და აიძულეს ქართველ მოსახლეობას მაჰმადიანობა მიეღო. ამ დამორჩილებულ-დაბეგრულ გლეხს კი ლეკისაგან განსხვავებით, რომლებიც მებატონე ან თავისუფალი იყო (დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ იყო წარმოშობით), ინგილო ეწოდა. ამდენად, ინგილო არა ეთნიკური, არამედ სოციალური შინაარსის ცნებაა, საიდანაც შემდეგში მთელმა მხარემ მიიღო სახელწოდება „საინგილო“.

<sup>1</sup> ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ნარიყალა ციხესიმაგრე, ძველად ნარინყალა, მდებარეობს თბილისში, სოლოლაკის სერის გაყოლებით, ბოტანიკურ ბაღსა და დავითაშვილის ქუჩებს შორის ამართულ სერზე. ამავე სახელწოდების ციხე ყოფილა ქ. ყარსიაც. ნარიყალა საქართველოშიც რამდენიმე ციხეს ერქვა; იგი XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ციხეთა ერთი, განსაკუთრებული სახის ზოგადი სახელი იყო.

„ნარიყალა ციხე“ ჰქონდა გორს, სურამს, ანანურს, ბოჭორმას, სიღნაღს და სხვ.



ციხე ნარიყალა (ფოტო გადმოღებულია გიორგი ხუციშვილის წიგნიდან — „თბილისი“, 1981)

„ნარიყალა“ ნარინ-ყალასაგან უნდა იყოს წარმომდგარი და „უმცროსი“, „მცირე“ (მარინ) — მონგოლური სიტყვაა და უმცროსს შეესატყვისება) ციხეს უნდა ნიშნავდეს. „უმცროსი“, „მცირე“, ანუ „ნა-

რინყალა ციხე“. განსხვავდებოდა ციხესიმაგრის „დედაციხისაგან“, ანუ „თავადი“ (მთავარი) ციხისაგან.

მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ ნარიყალა არაბულად „მსუბუქ ციხეს“ ნიშნავს, ე. ი. ციხე მცირე მნიშვნელობის დამნაშავეთათვის. პირველად ეს სახელწოდება საკუთრივ ციხის ერთ კოშკს ეწოდებოდა, ხოლო შემდგისათვის ეს სახელი საერთოდ „ციხეზე“ გავრცელდა.

„ქართლის ცხოვრებაში“ ამ ციხის თავდაპირველი სახელწოდება „შურის ციხედ“ არის დამოწმებული. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ „შური“ დამახინჯებულია და შემდგომში არასწორადაა გააზრებული და გადატანილი, სინამდვილეში უნდა იყოს „შორის“ („კართა შორის“).

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1974, №4. გვ. 29.

ისანი უბანი თბილისში. ძველად იგი ეწოდებოდა დღევანდელ მეტეხის ციხის უბანს, მტკვრის მარცხენა მხარეს. ვახუშტის გეგმით, ისანი მჭიდროდ დასახლებული გალავანშემოვლებული ადგილია. თბილისის გალავანი ისანში მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარე ციხის (ნარიყალა) გაგრძელება იყო და ეს ორი სიმაგრე ერთად ძველი თბილისის ტერიტორიას ქმნიდა.

ისანი საკმაოდ ადრე გვხვდება ლიტერატურულ წყაროებში. XI საუკუნეში აქ ყოფილა თამარის სამეფო ტახტი. მეცნიერთა აზრით, სახელწოდების წარმოშობა დაკავშირებულია არაბულ სიტყვა „ესანთან“, რაც ნიშნავს თავდასაცავ ადგილს, ციხეს. ამჟამად მის სახელს ატარებს თბილისის მეტროპოლიტენის ერთ-ერთი სადგური. ისნის პარალელური სახელწოდება — ა ვ ლ ა ბ ა რ ი XIV საუკუნიდან დასტურდება. ამიტომ მეცნიერები ფიქრობენ, რომ ავლაბარი ისანს შეერქვა სწორედ აღნიშნულ საუკუნეში. XVIII საუკუნიდან შეიმჩნევა

ავლაბრის ტერიტორიის ზრდა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მტკვრის დინების პარალელურად. სახელწოდება „ავლაბარს“ მეცნიერთა ერთი ნაწილი არაბულ ენას უკავშირებს (არაბულად „ავლაბარი“ სასახლის მიდამოებს ნიშნავს), ხოლო მეორე – ქართულ სიტყვად მიიჩნევს (ნიშნავს ავლას ბარზე, ე. ი. მინდორზე, რადგან მტკვრის ნაპირიდან ავლაბარში რომ ახვიდეთ, საკმაოდ დიდი აღმართი უნდა აიაროთ).



ავლაბრის კლდეები და მეტეხის ტაძარი

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1974, №8 გვ. 42.



მარტყოფი სოფელია გარდაბნის რაიონში. მას თბილისისათვის ძველთაგანვე გარკვეული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. VI საუკუნეში ანტონ მარტყოფელმა აქ დააარსა ღვთაების მონასტერი, რომელსაც მთელ აღმოსავლეთ საქართველოში უდიდესი როლი ენიჭებოდა. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება საეპისკოპოსოდ გამოცხადების შემდეგ. მეცნიერები ფიქრობენ, რომ სწორედ VI საუკუნიდან შეერქვა სოფელს ეს სახელი ანტონ მარტყოფელის პატივსაცემად. მაგრამ ის მოსაზრება, რომ თითქოს ამ დროს იქნა იგი დაარსებული, სწორი არ უნდა იყოს. მკვლევარ ა. მათიაშვილის გამოკვლევის მიხედვით, უფრო ძველად სოფლის სახელწოდება ა კ რ ი ა ნ ი იყო. 545 წელს იქ ქრისტიანობის განსამტკიცებლად ჩამოსულა ანტონი. განმარტოებული ცხოვრებისათვის აკრიანის მცხოვრებლებს ანტონისათვის მარტომყოფელი, ანუ მარტომყოფი შეუქრქმევიათ. აქედან წარმოდგა სოფლის ახალი სახელწოდება — მარტომყოფი. ვახუშტი ბაგრატიონი გვამცნობს, რომ მარტყოფის ადრინდელი სახელი მარტომყოფია. შემდგომში ამ სახელწოდებამ ცვლილება განიცადა და დღეისათვის მარტყოფად იწოდება. ასევე იაღნოს ქედის გარკვეულ ნაწილს, რომელსაც აკრიანის მთები ერქვა, მარტყოფის მთები ეწოდება.

მყინვარწყვერი სიმაღლით კავკასიონზე მეორე მწვერვალია (5033 მ). მისი სახელწოდება რამდენიმე ვარიანტად გვხვდება. ზოგ რუკაზე იგი „მყინვარწყვერია“, ზოგზე — „მყინვარი“, ზოგზე — „ყაზბეგი“. ქისტურად მას „ბეშლამქორთს“ უწოდებენ. ოსურად „ჩრისტიწუფს“. ზოგჯერ ამ სახელწოდებას ურევენ მყინვართან, რაც გლეტჩერს (რუსულად „Ледник“) აღმნიშვნელი ტერმინია. სახელწოდება „მყინვარს“ ძირითადად ხმარობენ ქართლ-კახეთში. „ქართლის ცხოვრებაში“ „მყინვარი“ თრიალეთშიც (წალკის რაიონი) არის დამოწმებული. ხევეში, მყინვარწყვერის მთის ძირში, დასახლებული პუნქტი ყაზბეგის (აღრე

სტეფანწმინდა<sup>1</sup>) სახელს ატარებს. ეს სახელწოდება რუსებმა ამ ადგილს ალ. ყაზბეგის პაპის გაბრიელ ყაზიბეგის ძე ჩოფიკაშვილის პატივსაცემად უწოდეს.



მცინვარწვერი სოფ. გერგეტის ფონზე

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და 1804 წლის ქართველ მთიელთა აჯანყების ჩახშობის პერიოდში გაბრიელი რუსეთის ეროგული მოხელე იყო. მას აზნაურობა უბოძეს და სამხედრო სამსახურში

<sup>1</sup> ამჟამად კვლავ სტეფანწმინდა — კ.ხ.

დააწინაურეს. გაბრიელმა თავისი გვარი უარყო, გაემიჯნა მეთემეებად დარჩენილ ჩოფიკაშვილებს და გვარად მამის სახელი მიიღო. აქედან წარმოდგა სოფლისა და მთის სახელწოდება — ყაზბეგი, რომელიც უკვე XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს რუკებზეა აღნიშნული, ხოლო ქართულ ტოპონიმიაში მთის სახელწოდება კვლავ მყინვარწვერის (მყინვარი) სახით დარჩა.

მთიულეთი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთიანი რაიონია მდ. მთიულეთის არაგვის აუზში. იგი ესაზღვრება ხევს, ხევსურეთს და შიდა ქართლს. მთლიანად შედის დუშეთის რაიონში. ძველად („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით) მთიულეთად იწოდებოდა საქართველოს ყველა რაიონი, რომლებიც მდებარეობდა კავკასიონის მაღალმთიან ზოლში. ერთ-ერთი მათგანი იყო ზემო რაჭის ნაწილი, რომელსაც ეკავა მდ. რიონის ზემო ხეობა სოფ. გლოლადან ფასის მთამდე; XV საუკუნემდე კი შეადგენდა სვანეთის ნაწილს, რომელიც შემდეგ რაჭის თავადებს — ჯაფარიძეებს გადაეცა.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1975, №2. გვ. 56-57.

კახეთი — აღმოსავლეთ საქართველოს ნაწილი, მხარე. ვიწრო გაგებით შეიცავს მდ. ალაზნის ზემო და შუა აუზს (თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის რაიონებს და გურჯაანის აღმოსავლეთ ნაწილს). ისტორიულად კახეთს უკავია ტერიტორია მცხეთა — თელავის ხაზის ჩრდილოეთით. იგი ქართლის სამეფოს, ხოლო შემდეგ ქართლის საერისმთავროს შემადგენლობაში შედიოდა. როგორც ირკვევა, VII საუკუნის მანძილზე და შემდეგშიც ქართლი მთელ აღმოსავლეთ საქარ-

თველოს მოიცავდა (კახეთი ცალკე გამოთიშული არ ჩანს). ისტორიული მონაცემებით, IX საუკუნიდან კახეთი უკვე ცალკე ფეოდალური სამთავროა, რომელსაც სათავეში საკუთარი მთავარი უდგას. აქედან მოყოლებული ის უკვე კახეთ-კუხეთ-გარდაბნის, ანუ ახალი ფეოდალური სამთავროს აღმნიშვნელ სახელად იქცა. შემდგომში ეს პოლიტიკური მნიშვნელობაც უფრო ფართოვდება, კერძოდ, მას შემდეგ, რაც კახეთის მთავრები ჰერეთს იპყრობენ და კახეთის სამთავროს უერთებენ, კახეთი ჰერეთის უდიდეს ჩრდილო ნაწილს მოიცავს. სახელწოდება „კახეთი“ საკუთრივ კახეთის საერისთავოდან თავდაპირველად კახეთის სამთავროზე გადადის, ხოლო შემდეგ — კახეთის მთავრების მიერ შემოერთებულ ჰერეთის სამთავროზეც. ამიერიდან ეს გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფო კახეთად იწოდება. კახეთის სამეფოს საბოლოოდ შემოერთება გაერთიანებულ საქართველოსთან დავით აღმაშენებლის დროს ხდება (მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან. კახეთის სამთავრო VIII-XI სს. — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31. თბ., 1954).

კახეთის სამეფოში განსაზღვრულ პერიოდებში შედიოდა აგრეთვე თუშეთი, გარე კახეთი, ქიზიყი, ფშავ-ხევსურეთი და დაღესტნის ნაწილი. შუა საუკუნეების სპარსულ ისტორიულ საბუთებში კახეთი იწოდება „გორჯესთან ქახეთ“ (კახეთის საქართველო).

სახელწოდება კახეთი ნაწარმოებია ქართველი ტომის სახელიდან — კახი, რომელსაც დაერთვის *ქო* სუფიქსი. აღსანიშნავია, რომ ადრე კახეთის მკვიდრი კახის სახელით მოიხსენიებოდა (ისე როგორც მესხი, სვანი, ხევსური და სხვ.).

ისტორიული და ლიტერატურული წყაროებით დადასტურებულია აგრეთვე, რომ „კახეთის“ სახელს ატარებდა ძველ თბილისშიერთ-ერთი კარი, ხიდი და მოედანი; იყო კახეთის ხევიც.


ყვირილა დასავლეთ საქართველოს მდინარეა, რიონის მარცხენა შენაკადი (სათავეს იღებს ტბა ერწოსთან): სიგრძე – 155 კმ, აუზის ფართობი – 4526 კმ<sup>2</sup>.

ძველ ბერძნულ წყაროებში ყვირილა ბოას სახელით არის წარმოდგენილი (თუმცა არის ასეთი აზრიც, რომ ბოაში ძველი ბერძენი მწერლები მდ. ჭოროხს გულისხმობდნენ), რაც ქართული სახელწოდების თარგმანს წარმოადგენს. თვით ქართული სახელწოდების წარმოშობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „კვალად ხანისწყლის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ყვირილა, აღმოსავლეთიდან. მდინარემან მოიგი სახელი ესე თუისის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინაღან ჯმოვანებს შორ სასმენლად“. მართლაც, აღიღების დროს მდინარე ყვირილა ვაკეზე გამოსვლამდე ძლიერი ხმაურით, „ყვირილით“ მიედინება.



მდ. ყვირილა ქ. ზესტაფონთან

თელავი ერთ-ერთი უძველესია კახეთის ქალაქებს შორის. ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე აქ ძლიერი დასახლებული პუნქტი ყოფილა. VIII-X სს. კახეთ-ჰერეთის გაძლიერებასთან ერთად თელავი მისი ცენტრი ხდება. მართალია, XI საუკუნიდან კახეთ-ჰერეთის სამეფოს გაუქმებასთან ერთად თელავმაც დაკარგა დედაქალაქის სახელი, მაგრამ პატარა ქალაქად მაინც დარჩა. თელავის აღორძინება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. იგი ხდება კახეთის მეფეთა რეზიდენცია. თელავში შემორჩენილია მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები: „ბატონის ციხე“, „ვახუხიშვილების ციხე“, „ყორჩიბაშიშვილების ციხე“, „ძველი გალავანი“ და სხვ.



ბატონის სასახლის გალავანი

პროფ. ზ. ჭუმბურიძის მიხედვით, თ ე ლ ა ვ ი უკავშირდება მცენარის — თ ე ლ ა ს სახელს. ბოლოში მას დართული აქვს სუფიქსი აჰ, რომელიც გვხვდება აგრეთვე სხვა გეოგრაფიულ სახელებ-

შიც (ზანაევი, მანაევი, ცურტაევი და სხვ.). მცენარე თელასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები საქართველოში შემდეგია: თელა, თელეთი, თელიანი, თელოვანი, თელათგორი, თელათი, თელათუბანი, თელაწმინდა.

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1975, №6. გვ. 55.

იმერეთი ახლანდელი გაგებით დასავლეთ საქართველოს ნაწილია. მოქცეულია რაჭის, სურამის (ლიხის), აჭარა-იმერეთის (გურია-ახალციხის) ქედებსა და გურია-სამეგრელოს შორის. ძველად ამ სახელწოდებას უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. იგი სინონიმი იყო „ლიხთ იმერისა“, ე. ი. აღნიშნავდა დასავლეთ საქართველოს.

იმერეთის სამეფო საბოლოოდ XV საუკუნის დასასრულისათვის ჩამოყალიბდა; მართალია, ფიზიკურ-გეოგრაფიულად ქართლ-იმერეთის გამყოფი ლიხის ქედია, მაგრამ ადმინისტრაციულად ეს საზღვარი ყოველთვის არ ემთხვევოდა ბუნებრივს. ტერიტორიულად დღევანდელი იმერეთი ორ ნაწილად იყოფა: ზემო იმერეთი (დაახლოებით ქუთაისში გამავალი მერიდიანის აღმოსავლეთით) და ქვემო იმერეთი.

იმერეთი წარმომდგარია სიტყვისაგან იმიერი (იმერი) რომელსაც დართული აქვს ქმ სუფიქსი; ე.ი. ის არემარეა, რომელიც სურამის (ლიხის) ქედს იქით მდებარეობს. ამდენად, ამ სახელწოდებას ტომ-ნათესაობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. აღმოსავლეთ საქართველოს ამიერი (ამერი) ეწოდებოდა (ანალოგიურადაა ნაწარმოები იმიერკაკვასია, იმიერვოლგისპირეთი, იმიერკარპატები და სხვ.). ისტორიულად იმერეთი და ამერეთი მთელი საქართველოა.

იორი აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეა, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის კალთბზე. ქვემო წელზე იგი თითქმის მოკლებულია შენაკადებს, ხოლო შუა და ზემო წელზე მოსაზღვრე სერების კალთებიდან ჩამომდინარე პატარა ნაკადულები უერთდება; ზოგი მათგანი მხოლოდ გაზაფხულობით არსებობს. მდ. იორი მაგისტრალური არხით დაკავშირებულია თბილისის წყალსაცავთან. ქვემო ნაწილში იორი კლაკნილ კალაპოტებში მოედინება და მუანდრეების (კლაკნილების მთლიან ჯაჭვს ქმნის.). წინათ იორი და ალაზანი ერთმანეთს და შემდეგ მტკვარს უერთდებოდა. ამჟამად კახეთის ორი მთავარი მდინარე დამოუკიდებლად ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს. სიგრძის მიხედვით იორი მეორეა საქართველოში ალაზნის შემდეგ (მტკვარი საქართველოს ფარგლებში 384 კმ-ია). აუზის ფართობი 4840 კმ-ია.


ძველ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში იორი მცირე ალაზნის ან პატარა ალაზნის სახელით არის ცნობილი (დიდი ალაზანი კი ახლანდელი ალაზანია, რომელიც მდინარის უძველეს სახელად არის მიჩნეული. ძველ უცხოურ წყაროებში იგი კაპისის სახელით არის აღნიშნული. მუსლიმანურ წყაროებში კაბური (კაფური), ავარიულად ქაბრი არის მოცემული.

იორის სახელწოდების წარმოშობის შესახებ რამდენიმე ლეგენდა არსებობს, მაგრამ ისინი ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. საინტერესოა ქართველი გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის აზრი იორის სახელწოდების შესახებ: „ხოლო არს ქვეყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი, ანუ იორი, რომელთა მოიგეს სახელნი ალონის გამო. არამედ იორი გაორებისათვის, ვინადგან აქუთ სახელი ერთი – „იორა ამ მდინარემ“. ამდენად, ხალხის წარმოდგენით მდინარე ალაზანმა იორა, ე. ი. ორად გადაიქცა. ვახუშტის ეს აზრი იორის სახელის წარმოშობის შესახებ, როგორც ვარაუდობენ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.



ნიკორწმინდა სოფელია რაჭაში (ამბროლაურის რაიონი). იგი ერთ-ერთ ულამაზეს ადგილზეა გაშენებული. მთის ფერდობზე, სოფლის შუაგულში, ამაღლებულ ადგილზე მდებარეობს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი არქიტექტურული ძეგლი ნიკორწმინდის ტაძარი (აგებულია XI საუკუნის პირველ მეოთხედში). იგი გამოირჩევა ქართული ხუროთმოძღვრული ჩუქურთმების საუკეთესო ნიმუშებით. ნიკორწმინდის ტაძარმა აღფრთოვანებაში მოიყვანა ფრანგი მეცნიერი დიუბუა დე მონპერე და მარი ბროსე. რუსი მეცნიერი აკადემიკოსი კონდაკოვი; ხოლო მრავალმა ქართველმა მეცნიერმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ამ დიდებულ ნაგებობას. პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ იგი ასე შეაქო:

„აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება —  
ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება;  
ნეტა ვინ ააგო, რა ნიჭმა ააგო,  
რა მადლმა ააგო სვეტი ნიკორწმინდა“!



ნიკორწმინდის ტაძარი

სახელწოდება ნიკორწმინდა მიღებულია ადამიანის სახელის ნიკოლოზისაგან, რომელსაც დაერთო სიტყვა წმინდა; ე. ი. ტაძრის თავდაპირველი სახელი წმინდა ნიკოლოზთან არის დაკავშირებული. ასე ეწოდებოდა ვახუშტი ბგრატიონის დროსაც: „ხოტევეს ზეთ, ამის წყალსვე, ერთვის აგარისჯევი. ამ ჯეგზედ არს ნ ი კ ო ლ ა – წ მ ი დ ა, ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი“, როგორც ჩანს, ტაძრის სახელწოდება მთელ სოფელზე გადასულა და შემდგომში რამდენადმე ცვლილება განუცდია: ნიკოლაწმინდა – ნიკორწმინდა.

ტაბისყური სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი და ულამაზესი ტბაა, რომელც მდებარეობს სამსარის ქედის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში. ტბას უჭირავს ვრცელი ტაფობის ძირი (ზღვის დონიდან 1990 მ სიმაღლეზე), რომელიც შემოზღუდულია მაღალი ვულკანური ქედებითა და მთებით. ტაბისყური ჯაგახეთის ტბებს შორის პირველ ადგილზეა სიღრმის მიხედვით (საშუალო სიღრმე – 15,5 მ, მაქსიმალური 40 მ), ხოლო ფართობით 2,5-ჯერ მცირე (14,42 კმ<sup>2</sup>), ვიდრე საქართველოს უდიდესი ტბა – ფარავანი. სამაგიეროდ, მასში რამდენჯერმე მეტი წყალია, ვიდრე ფარავანში. ტბა ტაბისყური იყინება დეკემბერ-აპრილში (ყინულის სისქე ზოგჯერ ნახევარ მეტრზე მეტია). ტაბისყურს შესანიშნავად ახასიათებს ვახუშტი ბაგრატიონი: „ტბა ტბისყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახით სავსე, დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა“.



ტაბისყური (ტაბაწყური)

სახელწოდება ტაბისყური საკმაოდ ძველია და თვით ტბასთან არის დაკავშირებული; ტაბა ძველ ქართულში ტბას ნიშნავდა. ტბის ერთ-ერთ ყურესთან მდებარე სოფელს ტაბისყური დარქმევია, რომლის სახელიც შემდეგ მთელ ტბაზე გავრცელებულა; ხოლო თვით სოფელს ამჟამად ტაბაწყური ჰქვია. ტბასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდებები საქართველოში მრავალია, მათ შორის, ტაბახმელა (ამომშრალი ტბები), ტობანიერი (ტბიანი ადგილი), ტბეთი, ტბისი და სხვ.

ყურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1976, №1. გვ. 46-47

მაშავერა მდინარის სახელია ქვემო ქართლში, სათავეს იღებს მთა ემლიკლის კალთებიდან რამდენიმე ნაკადულის (სარფდერე, ნაზიგ-კლიჩი და სხვ.) სახით; უერთდება მდ. ქციას მარჯვენა მხრიდან. სოფ. არუხლოდან 3,5 კმ-ზე. მაშავერა მიედინება დმანისისა და ბოლნისის რაიონების ტერიტორიაზე. მეტწილად ეროზიულ კანიონში, რომელიც დოლერიტული ლავებით არის აგებული. მდინარის კანიონის შვეულ კლდოვან გვერდებში მრავალი გამოქვაბულია, რომლებიც ძველად თავდასაცავად ან საცხოვრებლად იყო გამოყენებული.

მდ. მაშავერას სიგრძე 84 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი 1390 კმ<sup>2</sup>.

სახელწოდება „მაშავერას“ შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩდილოთ კერძი არს ღბანისის ჴეობა, და მდინარე მაშავერი. მიმდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის რთვისათჳს: „მა, შავერიე ქციას“, და აწ მაშავერად წოდებული“. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ვახუშტი ამ მდინარის სახელწოდებას სწორად ხსნის. თავდაპირველმა სახელწოდებამ ცვლილება განიცადა და მივიღეთ სახელწოდება მაშავერა.

დმანისი ამჟამად ერთ-ერთი რაიონული ცენტრისა და სამი დასახლებული პუნქტის სახელია. თავდაპირველად ეს სახელწოდება მიკუთვნებული ჰქონდა სულ სხვა ადგილს – ამჟამად ნაქალაქარს. გარდა ამისა, დმანისის ზევი ვახუშტის ცალკე გეოგრაფიულ ერთეულად აქვს გამოყოფილი. მისივე თქმით, „ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩრდილოთ კერძი არს ღბანისის ჴეობა, და მდინარე მაშავერი მის შორის“. თვით ნაქალაქარი (დმანისი) თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით ასიოდე კმ მანძილზე, მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურს შორის, მდებარეობს. დმანისი შედიოდა ძველი გაჩაიანისა, შემდეგ სამშვილდის საერისთავოში. ჯერ კიდევ V საუკუნეში იყო ეპისკოპოსის კათედრა დმანისისა და ტაშირის ტიტულით. დმანისის ქალაქად

გადაქცევა IX საუკუნეში მომხდარა, XI-XII საუკუნეებში კი იგი უკვე დიდ როლს ასრულებდა როგორც საქართველოსა და ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი.



დმანისის ნაქალაქარი

დმანისს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა ბუნებრივად დაცულ მაღალ კონცხზე, ხერთვისში (ამჟამად ნაქალაქარი დაუსახლებელია). შემორჩენილია ძველი არქიტექტურის ნიმუშები. არქეოლოგიური გათხრების და ისტორიული წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ დმანისს არაერთხელ განუცდია ნგრევა და აოხრება, რაც საბოლოოდ მისი „ნაქალაქარად“ ქცევით დამთავრებულა. XVIII საუკუნის ბოლოს აქ გადმოსახლებულ ჯავახელ გლეხებს იგი უკაცრიელი დახვედრიათ.

დმანისის სახელწოდება დაკავშირებულია სიტყვა დ ა ბ ა ს თ ა ნ. თვით ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ბოლო დ ბ ა ნ ი ს ს

უღის ჩდილოთ მაშავერი, სამჯრით ფინეზაური, და ეწოდა სახელი, ესე დაბნებთა გამო: დაბანი ისი“. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით დაბა არის „მომცრო ქალაქი მოზღუდვილი“. დაბნი, დაბნები კი – სოფლები. მკვლევართა მიხედვით, აქ არსებობდა რამდენიმე დაბა, შემდეგ ისინი გაერთიანდნენ ერთ დიდ დაბა-ქალაქად – დმანისად (აღრეული სახელწოდება იყო დაბანისი).

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, 1977, №3. გვ. 40..

## „რანისა ბოროტთა მოვიკვეთთ?“

„განთიადის“ გასული წლის შედეგსე ნომერში ამ სათაურით მოვსახელებულია აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტური წერილი. მასში ლაპარაკია ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისა და წარმოსახვის მნიშვნელოვან საკითხებზე. წერილში დასმული საკითხები აქტუალურია, თითოეული ჩვენთაგანის გულისტკივილია და მისასალმებელია მისი პუბლიცისტური პათოსი. ამასთან, პატივცემულ ბაქრაძეს ერთ საკითხში დაშვებული აქვს შეცდომა, რომლის შესახებ გვინდა წინამდებარე წერილში საუბარი.

ა. ბაქრაძე მიმოიხილავს 1971 წლის 19 თებერვლის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ჰ. მიქაელიანის წერილს და წერს: „ჰაკოფ მიქაელიანის წერილის გამოქვეყნების მერე 5 გ რ ძ ე ლ ი წ ე ლ ი წ ა დ ი გ ა ვ ი დ ა<sup>1</sup>, მაგრამ სტატიაში დასმული პრობლემის მოსაგვარებლად არაფერი გაკეთებულა. უფრო მეტიც: ისიც არ ვიცით, ფიქრობს თუ არა ვინმე რაიმეს გაკეთებას. თუმცა მთლად მართალი არ ვარ“. შემდეგ იქვე განაგრძობს: „ჰ. მიქაელიანს გამოეხმაურა კობა ხარაძე, 1975 წლის 11 აპრილს „ლიტერატურული საქართველოში“ დაბეჭდა წერილი – „გეოგრაფიულ სახელწოდებათა გამო“. თურმე ჰ. მიქაელიანს გეოგრაფიული სახელების დაწერაში ორთოგრაფიული შეცდომები დაუშვია... ჰ. მიქაელიანი ეროვნული მნიშვნელობის საკითხს სუამს და იმის მაგიერ რომ მხარი დაუჭიროთ, გვერდით ამოვუდგეთ, ვუკუყინებთ, ორთოგრაფიული შეცდომები დაგიშვიაო. ჰ. მიქაელიანის მიერ დასმულ ძირითად საკითხებს რატომ ვხვდებით დუმილით? რატომ ჩავიგუბეთ პირში წყალი?...“

<sup>1</sup> ხაზგასმა ყველგან ჩვენია – კ. ხ.

სამწუხაროდ, ა. ბაქრაძეს აქ უნიებლიე შეცდომა მოსვლია; საქმე შემდეგშია: 1971 წლის 19 თებერვალს პ. მიქაელიანმა „ლიტერატურული საქართველოში“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით – „ამის მოგვარება შეიძლება“. იგი მოითხოვდა, რომ წალკის რაიონში (ძველთრიალეთში) აღდგენილიყო ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს საკითხი ახალი არ არის. ჯერ კიდევ XX საუკუნის გარიჟრაჟზე, წალკის რაიონის ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენაზე ოცნებობდა და გულისტკივილით წერდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში ზ. გულისაშვილი; ეს საკითხი მრავალჯერ დაისვა რესპუბლიკის პრესაში; ჩვენ ყველა მათგანის ჩამოთვლას ვერ შევუძლებით, დავასახელებთ ზოგ მათგანს, მათ შორის – ავტორთა კოლექტივის – „ნუ წავშლით ჩვენი ერის ცოცხალ მატყანებს“ (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1960.21.V), ა. კოჭლავაშვილის – „საყურადღებო წინადადება“ (გაზ. „თბილისი“, 1961.29.VI), ნ. კეცხოველის – „წმინდა საუნჯე“ (გაზ. „კომუნისტი“, 1965.25.VI), ლ. მარუაშვილის – „გადაუღებელი საქმე“ (გაზ. „კომუნისტი“, 1965.3.XI) და სხვ. აქედან მხოლოდ ერთ ციტატას მოვიტან პრაფ. ლ. მარუაშვილის წერილიდან: „ისტორიული უკულმართობის შედეგად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დამკვიდრებულია უცხოური წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც დამპყრობელთა ბატონობის კვალია. მათ შორის პირველ ადგილზე, გავრცელების მიხედვით თურქული ტოპონიმია, რომელიც მოდებულია მესხეთ-ჯავახეთის, ქ ვ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი ს ა და ნაწილობრივ კახეთის ტერიტორიაზე. მისი აღმოფხვრა გადაუღებელი ამოცანაა და თუ ეს დღემდე არ განხორციელებულა, ისე როგორც ე ს მ ო ხ დ ა, მაგალითად, ჩ ვ ე ნ ს მ ე ზ ო ბ ე ლ ს ო მ ხ ე თ შ ი, ამაში თვით ჩვენ მიგვიძღვის ბრალი“. ა. ბაქრაძის ნათქვამიდან კი იმ აზრის გამოტანა შეიძლება, თითქოს პირველად ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენის შესახებ საკითხი პ. მიქაელიანმა წამოჭრა და თითქოს პ. მიქაელიანმა გვამცნო, რომ სომხეთში



უცხოური წარმოშობის სახელწოდებები საკუთარი სახელებით შეცვალესო. ამასთან, ა. ბაქრაძის ნათქვამიდან გამოდის, რომ ამ მხრივ ჩვენთან არავითარი ღონისძიება არ ტარდება. ამ საკითხებთან დაკავშირებით მრავალი მასალაა წარდგენილი შესაბამის ინსტანციებში. მიუხედავად ამისა, დღემდე გატარებული ღონისძიებანი საკმარისი არ არის. ეს იმითაა გამოწვეული, რომ თითოეული გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც კმარა: როგორც იქნა, მივალწიეთ იმას, რომ უცხო სახელწოდება „ნავთლული“ შეგვეცვალა „სამგორის“ სახელით, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა, რომ „ნავთლულისა“ და „სოლანლულის“ რკინიგზის სადგურებისათვის შესაბამისად დაგვემკვიდრებია ქართული სახელწოდებები – „სამგორი“ და „ფონიჭალა“. სწორედ ამიტომაც პრესაში კვლავ „ნავთლულისა“ და „სოლანლულის“ რკინიგზის სადგურები იხსენიება. უფრო მეტიც, ზოგი ქართული გეოგრაფიული სახელწოდების დაცვა დღესაც „ბრძოლით“ გვიხდება. ამიტომაც, რომ ყოველგვარ პატრიოტულ წამოწყებას ამ საკითხებზე დიდი მხარდაჭერით ვხვდებით. თვით პ. მიქაელიანის მიერ „ლიტერატურული საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილს რესპუბლიკის საზოგადოებრიობა გულგრილად როდი შეხვდა.

ა. ბაქრაძის თქმით, აღნიშნული „წერილის (ლაპარაკია პ. მიქაელიანის წერილზე – კ.ხ.) გამოქვეყნების მერე 5 გ რ ძ ე ლ ი წ ე ლ ი წ ა დ ი გ ა ვ ი დ ა... პ. მიქაელიანს გამოეხმაურა კობა ხარაძე 1975 წლის 11 აპრილს „ლიტერატურული საქართველოში“ დაიბეჭდა წერილი – „გეოგრაფიულ სახელწოდებათა გამო“. სინამდვილეში, ამ წერილს არაფერი აქვს საერთო პ. მიქაელიანის მიერ „ლიტერატურული საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილთან. ამასთან, პ. მიქაელიანის წერილს მისი გამოქვეყნებისთანავე გამოვეხმაურე, კერძოდ 1971 წლის 27 აგვისტოს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩვენი წერილი სათაურით – „აღვადგინოთ ისტორიული სახელები“. აი, რას ვწერდი მასში: „ეს მნიშვნელოვანი საკითხი (ლაპარაკია

58

კია ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენაზე) კვლავ დაისვა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. კითხულობთ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ჰაკოფ მიქაელიანის წერილს – „ამის მიგვარება შეიძლება“ და შეუძლებელია არ ჩაუფიქრდეს ყველა ქართველი ამ მნიშვნელოვან პატრიოტულ საკითხს. წერილის ავტორი გულისტკივილით ლაპარაკობს, რომ ისტორიულად ცნობილ სოფლებს ამჟამად უცხო სახელები აქვთ“. ან კიდევ: „საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული არაქართული და დამახინჯებული სახელწოდებების შეცვლა ისტორიული ქართული ტოპონიმებით ძალზე მომწიფებული და გადაუღებელი საკითხია...“ აქ აღარ შეჩერდები იმაზე, თუ როგორი პატრიოტული გრძნობით და მხარდაჭერით არის დაწერილი აღნიშნული წერილი. დაე, თვით ა. ბაქრაძემ გადაავლოს ამ წერილს თვალი და თავად დარწმუნდება, რომ მისი კრიტიკა ჩემი მისამართით სრულიად უსაფუძვლოა.

ქვემოთ ა. ბაქრაძე წერს: „პ. მიქაელიანი ეროვნული მნიშვნელობის საკითხს სვამს და იმის მაგიერ რომ მხარი დაუჭიროთ, გვერდით ამოვუდგეთ, ვუკიჟინებთ, ორთოგრაფიული შეცდომები დაგიშვიაო“. ახლა ვეკითხები ა, ბაქრაძეს, ჩვენს ზემოთ მოტანილ წერილის ციტატიდან, ან მთელი წერილიდან, სად ჩანს, რომ მას (მიქაელიანს) მხარი არ დაუჭირეთ? სად ჩანს, რომ ვუკიჟინეთ? ვფიქრობთ ყველაფერი პირიქითაა. შემდეგ ა. ბაქრაძე კვლავ განაგრძობს: „პ. მიქაელიანის მიერ დასმულ ძირითად საკითხს რატომ ვხვდებით ღუმილით? რატომ ჩავიგუბეთ პირში წყალი?“ ა. ბაქრაძეს გვინდა შევახსენოთ, რომ პ. მიქაელიანის წერილის გამოქვეყნების შემდეგ, „5 გ რ ძ ე ლ ი წ ე ლ ი წ ა დ ი“ კი არა, თუ შეიძლება ასე ითქვას, 5 მოკლე წუთიც არ გასულა და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციას ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოხმაურებები მოეძალა. განა ამას არ გვიდასტურებს მორიგ ნომრებში ზედიზედ გამოქვეყნებული წერილები, როგორიცაა: ალ. რობაქიძისა და ლ. ფაშაევას – „დროუ-

ლი მოთხოვნა“ (12 მარტი, 1971 წ.), ვ. გურგენიძის – „მომწიფებუ-  
ლი და გადასაწყვეტი საკითხი“ (19 მარტი, 1971 წ.), – გ. ლუღუნიშ-  
ვილის – „სამართლიანი მოთხოვნა“ (26 მარტი, 1971 წ.), ე. მახარა-  
ძის – „გადაუდებელი საქმე“ (26 ნოემბერი, 1971 წ.) და სხვ. ამის  
შემდეგ განა შეიძლება ითქვას, რომ წერილში დასმულ საკითხს ღუ-  
ბილით ვხვდებოდით?!

ა. ბაქრაძის შეცდომა კი შემდეგში მდგომარეობს: მე მართლაც  
გამოვაქვეყნე 1975 წლის 11 აპრილს გაზეთ „ლიტერატურულ საქარ-  
თველოში“ წერილი სათაურით, – „გეოგრაფიულ სახელწოდებათა გა-  
მო“, მაგრამ იგი სულ სხვა საკითხს ეხებოდა. კერძოდ, ერთ-ერთ  
ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებისა და რედაქციის  
კრიტიკას (ი. კორელოვის – თრიალეთის ზოგიერთი ტოპონიმის გან-  
მარტებისათვის“ – ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა,  
გეოგრაფია სკოლაში“, 1968, №1 და პ. მიქაელიანის – „წალკის რაი-  
ონის სოფლების ძველი და ახალი სახელწოდებები“ – ჟურნალი „ის-  
ტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1973, №2).  
ამ სტატიებში არა მარტო შერყვნილია ქართული გეოგრაფიული სა-  
ხელწოდებები, არამედ ბევრი მათგანი გაყალბებულია და გაუცხოებუ-  
ლია. ნიშუშისათვის ერთი მაგალითიც კმარა, სადაც აღნიშნულია, რომ  
სოფელ წინწყაროს სახელწოდება თურმე თურქულ-ბერძნული სიტყვი-  
საგანაა მიღებული. ძალზე მექანიკური და ყოველგვარ მეცნიერულ  
დონეს მოკლებულია პ. მიქაელიანის ზოგი ქართული გეოგრაფიული  
სახელწოდების წარმოშობის ახსნა. უფრო მეტიც, მას განხილული  
აქვს ბევრად მეტი უცხო სახელწოდებები ვიდრე ქართული. ერთი  
სიტყვით, ამ უკანასკნელ სტატიას არავითარი კავშირი არ აქვს იმ  
ადრინდელ წერილთან, რომელიც მან (მიქაელიანმა) გაზეთ „ლიტერა-  
ტურული საქართველოს“ 1971 წლის 19 თებერვლის ნომერში გამო-  
აქვეყნა.

საკითხი, რომელიც პ. მიქაელიანმა 1971 წლის 19 თებერვალს  
წამოჭრა, სხვებთან ერთად, ერთ-ერთმა პირველმა გავიზიარე და და-  
60

ვუჭირე მხარი, მაგრამ როცა პ. მიქაელიანი მეცნიერებაში „შეიჭრა“ და სულ სხვა საკითხზე დაწერა, სადაც რამდენიმე მეცნიერული დებულება გააყალბა, არ შეიძლებოდა და უფლება არ გვქონდა დუმილით აგვევლო ამისათვის გვერდი.

ჟურნალი „განთიადი“, 1976, №3, გვ. 160-161.

## საქართველოს კველი და ახალი ტოპონიმების შედარებითი კვლევის ზოგი საკითხისათვის

ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები მდიდარი და მრავალფეროვანია ისე როგორც სალიტერატური ენა. ისინი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ქართული კულტურის პროდუქტებია.

სახელწოდებათა დარქმევის პროცესს აქვს კანონზომიერებანი და გაპირობებულია პირველ რიგში ისტორიული მიზეზებით, სახელწოდების წარმოშობის აუცილებლობით. ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს, მის ყოველ კუთხეს თავისი ისტორია აქვს, რომელიც მის სახელწოდებებშია ასახული. იმდენად მრავალფეროვანია ადგილთა სახელწოდებები, რომ შეიძლება ითქვას, თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული შინაარსი გააჩნია. გეოგრაფიული სახელები იცვლება ფორმით, ზოგჯერ შინაარსითაც, ზოგჯერ კი უკვალოდ ქრება. მათი ცხოვრების ხანგრძლივობა სხვადასხვაა. ეს დამოკიდებულია ბუნებრივ და ისტორიულ პირობებზე.

ზოგი გეოგრაფიული სახელწოდება ყალიბდებოდა ათასეული წლების მანძილზე. ერთნი ჩვენს დრომდე შემორჩნენ, მეორემ კი სახე იცვალა, ზოგიც გაქრა ახალი სახელწოდებების ზემოქმედების შედეგ-

გად, მაგრამ არის გეოგრაფიული სახელწოდება რომელიც არქივის გაყვითლებულ ფურცლებზეა შემორჩენილი და ძველი ანუ ისტორიული ხასიათისაა. სწორედ ამ ისტორიული სახელწოდების შედარებაა საჭირო ძველი და ახალი ტოპონიმების კვლევისას. ქვემოთ შევეცდებით ვაჩვენოთ ზოგიერთი კანონზომიერება, რომლებიც მათი შედარებითი კვლევის დროს არის გასათვალისწინებელი.

ქართული ტოპონიმები მრავალმხრივია საინტერესო. მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ბევრი საკითხის დადგენას, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჯერ კიდევ 1905 წელს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი [4] აღნიშნავდა, რომ ქალაქებისა და სოფლების წარმოშობის გმოკვლევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლას. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ჯერ კიდევ არ არსებობს, ამიტომ ვემაყოფილდებით ვახუშტის ცნობილი ნაშრომით.

ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ლოკალიზაციის ცდებს პირველად ლეონტი მროველის შრომებში ვხვდებით, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონთან მას საკმაო ადგილი უკავია. მე-19 საუკუნეში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის გარკვევას დიდი ადგილი უჭირავს მრავალი მეცნიერის შრომებში. საბჭოთა წლებში ამ მხრივ განსაკუთრებული მუშაობა ჩატარდა, რომელიც დღესაც წარმატებით გრძელდება.

საქართველოს უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებების ტრანსკრიფცია მხოლოდ უცხოელთა ნაშრომებშია შემონახული, ამიტომ უძველესი ტოპონიმების კვლევისას ერთადერთი საყრდენი (ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნემდე) მხოლოდ უცხოური წყაროებია. ძველი ქართული ტოპონიმების მნიშვნელოვანი ფონდი აღბეჭდილია იბერიისა და კოლხეთის ადრინდელ წყაროებში. ამ მხრივ პირველ რიგში „ქართლის ცხოვრება“ და ჩვენი ძველთაძველი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ნაშრომებია აღსანიშნავი. მრავალ ტოპონიმზე საუბარი აქვთ, როგორც ანტიკური სამყაროს, ისე მოგვიანო ხანის ავ-

ტორებს, ბერძენ, რომაელ, ირანელ, არაბ, თურქ, ფრანგ, რუს მოგზაურებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, გეოგრაფებს, ბუნებისმეტყველებს, მწერლებს. უცხოურ წყაროთა ძირითადი ნაწილი კარგადაა შესწავლილი, თარგმნილი და გამოცემულიც საჭირო სამეცნიერო აპარატით, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ ხელმეორედაა შესაჯერებელი, მიუგნებელიც და გასათვალისწინებელიც ცოტა როდია. 3-4 წლის წინ, როცა ბევრი ტოპონიმის ადგილსამყოფელი თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მოსკოვის სამხედრო ისტორიულ არქივში მოპოვებულმა ხელნაწერმა გეგმებმა და რუკებმა შეცვალა ადრე აღიარებული შეხედულებები [3].

გეოგრაფიული სახელწოდებების კვლევისას გამოყენებულ უნდა იქნეს ყოველმხრივი კვლევა, რომლის ძირითად ნიშანს წარმოადგენს ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. თითოეულ გეოგრაფიულ სახელს შეიძლება შევხედოთ განსხვავებული პოზიციით. მათ შორის ე. მურზაევი [6] მიგვითითებს შემდეგ სახეებზე: 1. გეოგრაფიული სახელწოდების რეალობა (მთა, მდინარე, ქალაქი და სხვ.); 2. დროისა და მისი ცვალებადობისა; 3. ამა თუ იმ ენის მიხედვით; 4. შინაარსისა და ეტიმოლოგიის; 5. მორფოლოგიისა (სახელწოდება როგორც სიტყვა ისე უნდა ეფარდებოდეს ენის ნორმებს და ემორჩილებოდეს გრამატიკულ წესებს); 6. მეცნიერული საფუძველი (სხვა ენებში გადაცემა და მისი სწორად დაწერა მშობლიურ ენაზე); 7. გავრცელების ოლქი (როცა გამოირკვევა მისი გავრცელება, მიგრაციის გზა). ეს კითხვები, რა თქმა უნდა, არ გადაწყდება ერთი მეთოდით, ამიტომ გამოყენებულ უნდა იქნას ლინგვისტური, ისტორიული და გეოგრაფიული მეთოდების კომპლექსური კვლევა.

საქართველოს თანამედროვე ტოპონიმების დიდი ნაწილი ძველ-თაძველია და ჩვენამდე უცვლელადაა მოსული, რაზედაც ხშირად თვით სახელწოდების წარმოშობა მიგვითითებს. დღეისათვის საქართველოში 4 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტია, რომლის 94,5 პროცენტი უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდეა შერქმეული. გარდა ამისა, თვით ეს სახელწოდებები ხშირად მჟორდება მდინარეების, მთე-

ბის და სხვა ტოპონიმებში, ხოლო ძველი ნასაოფლოარების, ნაქალაქარებისა სხვათა სახელები ძალზე შორს მიდის. გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნაწილმა რამდენადმე განიცადა ცვლილება და დღეისათვის განსხვავებული სახით გვევლინება. ამიტომ მათი წარმომავლობის გარკვევა ხშირად დიდ კვლევას საჭიროებს. ასეთი სახელწოდებების თანამედროვე რაოდენობა მცირეა და დაახლოებით 16,4 პროცენტს შეადგენს.

ადგილმდებარეობის მიხედვით თუ განვიხილავთ ძველ და ახალ ტოპონიმებს, მათი ძრითადი ნაწილი უცვლელია. მიუხედავად ამისა, გვხვდება ისეთებიც, როცა ძველი ადგილმდებარეობას შეცვლილი, ან, პირიქით, ძველ ადგილმდებარეობას შეცვლილი აქვს გეოგრაფიული სახელწოდება. ამ შემთხვევაში, თუ არ იქნა გათვალისწინებული და გამოკვლეული ძველი ტოპონიმების ადგილმდებარეობა, შეიძლება მცდარ დასკვნამდე მივიდეთ. დღევანდელი რაიონული ცენტრი წალკა ძველად სულ სხვა ადგილზე მდებარეობდა. მე-18 საუკუნეში უცხოელთა თარეშმა ეს ადგილი უკაცრიელი გახადა. შემდგომში, მართალია, აქ მოსახლეობა აღდგა, მაგრამ არაქართველმა მოსახლეობამ ვერ შეინარჩუნა ამ ადგილის ქართული სახელი და სულ სხვა მნიშვნელობის სახელი უწოდეს. მე-20 საუკუნეში სახელწოდება წალკა სულ სხვა პუნქტს შეარქვეს. ეს გამოწვეული იყო ისტორიული მიზეზებით, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიის გარკვეულ ეტაპს ასახავს.

ასეთი მოვლენა შეიმჩნევა ზოგ სხვა ადგილებშიც: მარტყოფში, ბოგეში, ბორჯომში და სხვ. კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩათვალოს აგრეთვე ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული სახელწოდებების ადგილმდებარეობის შეცვლა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ბუნების სტიქიის ან ბუნებრივი პირობების გაუარესების გამო მოსახლეობა ამჯობინებს სხვა ადგილზე მიგრაციას.

საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა. ჩვენ შევეცადეთ

დაგვეგუფებინა ეს ცვალებადობა, რომელიც შემდეგი სახით წარმოგვიდგა:

ა) სასელწოდება მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებშია შენახული და მათი ლოკალიზაცია ამჟამად გაძნელებულია, ამიტომ აღარც გეოგრაფიულ სახელად გვხვდება. ასეთი სახელებია: ცურტავი, ფაზისი, ეა, ფისისანი, გუენოსი და სხვ. მათი ადგილმდებარეობის გასარკვევად ერთიანი აზრი არ არის გატარებული. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ცურტავი. მეხუთე საუკუნის ეს ციხე-ქალაქი VII-VIII საუკუნეში არაბების შემოსევის დროს, დანგრეულ იქნა. XI საუკუნის ისტორიკოს ლეონტი მროველიდან მოყოლებული ბევრი ეცადა ამ ადგილის ზუსტ გარკვევას, მაგრამ ყოველი მათგანი განსხვავებულ ადგილს გვთავაზობდა. ასევე ვერ კიდევ დასაზუსტებელია ქალაქ ფაზისის ადგილის ზუსტი პარამეტრები. დღემდე გაურკვეველი და სადავოა ბევრი სხვა ტოპონიმის ადგილმდებარეობის ზუსტი მინიშნება. XIX საუკუნის ბოლოს შედგენილ იქნა ისტორიული რუკა ი. პროცენკოს [5] მიერ, სადაც ბევრი დაკარგული ობიექტის ადგილმდებარეობაა მინიშნებული. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ რუკაზე მთლიანად დაყრდნობა შეუძლებელია, რადგან ბევრი რამ სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ამდენად, გაუქმებული, ხმარებიდან ამოვარდნილი ტოპონიმების ლოკალიზაცია ზოგჯერ მეტად ძნელი და საფრთხილო საქმეა.

ბ) შემდეგი პუნქტი ტოპონიმების ცვალებადობის დაჯგუფებისა არის, როცა გეოგრაფიული სახელწოდებების ადგილი ცნობილია, მაგრამ სახელწოდებების ფუძე რამდენადმე და რამდენჯერმე არის შეცვლილი. ასეთი სახელწოდებები საქართველოს ტოპონიმიაში მრავლად გვხვდება, რომელთა გარკვევა და შესწავლა შედარებით ადვილია. ამ შემთხვევაში ლიტერატურული და ისტორიული წყაროები დიდ დახმარებას გაგვიწევს, თუმცა, უფრო ძნელია სიტყვის ლინგვისტური კვლევა, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. რამდენადმე შეცვლილი სახელწოდება იმ შემთხვევაშია, როცა ფუძის ერთი ასო შეცვლილია ან გადაადგილებულია ისე, რომ ადვილად შეიმჩნევა ეს ცვლილება და



განსაკუთრებულ კვლევას არ საჭიროებს. ასეთებია კოჟორი – კოჯორი, ბაჟი – ბაში, ბაკულიანი – ბაკურიანი, ნიკოლაწმინდა – ნიკორწმინდა, თეთრჟოლა – თერჯოლა და სხვ. შედარებით ძნელი გასარკვევია, როცა ამასთან რამდენჯერმე შეცვლილი სახელწოდება. ასეთებია: ღებანისა – ღებანისი – ღმანისი, კოტაია – ქოთათისი – ქუთათისი – ქუთაისი, ანარგია – ანაკრია – ანაკლეა – ანაკლია და სხვ.

დ) ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთი ძველი ადგილის სახელწოდება ახლაც გვხვდება, მაგრამ სულ სხვა ადგილს აქვს მიკუთვნებული.

ე) ზოგი ადგილის ადრინდელი სახელი ამჟამად მხოლოდ მოსახლეობაში შემორჩენილი და ოფიციალურ მიმოწერაში აღარ იხმარება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალმა სახელმა ძველი ვერ განდევნა ხმარებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის ოფიციალურად აღარ იხმარება. მაგალითად, ადოს მინდორს მოხვევები კვლავ ამ სახელით იხსენიებენ, იმ დროს, როცა ამ ადგილს ოფიციალური სახელი სულ სხვა არის. ასევე ქარჩოხი, აკურისი და სხვ.

ვ) მიუხედავად იმისა, რომ ზოგ ადგილს შეეცვალა გეოგრაფიული სახელი, დროთა განმავლობაში იგი კვლავ აღდგა, ე.ი. დაუბრუნდა ადრინდელი სახელი. ეს გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ. ნასოფლარის ან ნაქალაქარის ხელახალი აღდგენით, ისტორიული მიზეზებით ადრინდელი სახელის კვლავ დაბრუნებით და ა. შ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველი სახელი უმეტესად ასახავს ადგილის სხვადასხვა პირობებს, ხოლო შემდეგ ყველა შეცვლილი სახელი უმეტესად ისტორიული მოვლენით არის გამოწვეული. ადრინდელი გეოგრაფიული სახელები კვლავ დაუბრუნდა ცხინვალს, რუსთავს, ბოლნისს, გარდაბანს, მარნეულს, ღმანისს, ბედიას, ასურეთს და სხვ.

ზ) როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება ერთნაირი გეოგრაფიული სახელები. ეს ძირითადად გამოწვეულია საერთო ამსახველი სიტყვებით ან ბუნებრივი და ისტორიული პროცესების ერთნაირი პირობებით. ასეთ სახელწოდებ-

ბებს განმეორებული სახელები ჰქვიათ. მათი რაოდენობა ამჟამად დიდ რიცხვს აღწევს: ბრილი, მოლითი, ზეკარი, აბანო, მეტეხი, ჭალა, აწყური, ზუბი, ჭანჭახი, ვარძია, სვირი, წედისი, გომი, კაცხი, ბალთა, პერანგა, ბაზალეთი, არგვეთი, გელათი, არაშენდა და სხვ.

თ) ძველ და ახალ ტოპონიმიაში დამახასიათებელია პარალელური სახელები; ეს გამოწვეულია როგორც სხვადასხვა ენების გავლენით, ისე ისტორიული მოვლენებით. პირველის მაგალითს წარმოადგენს თავშანთაფა – ამირანის გორა, თაფარავან-ჩაი – ახალქალაქისწყალი და სხვ., მეორე შემთხვევაში – მამაი-კიროვკა, ღრელი-ლაშისხევი და სხვ.

ძველი და ახალი ტოპონიმების შედარებითი კვლევის დროს გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, რომელთა გარეშე შეიძლება მცდარ დასკვნამდე მივიდეთ. რომელიმე ადგილის სახელწოდების კვლევისას უნდა ვიცოდეთ მისი ყველა ფორმაშერქმეული თავდაპირველი სახით დღევანდელ ფორმამდე. ზოგჯერ ამის დადგენა ძნელი ხდება და გაურკვეველ სახელწოდებად გვევლინება. ეს იმიტომ, რომ ადრინდელი ფორმა ზოგჯერ არ გვხვდება ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში. ამიტომ ასეთი სახელწოდებების კვლევა წმინდა ლინგვისტურ ხასიათს ატარებს და მისი წინანდელი ფორმის დადგენისას მეტად დიდი სიფრთხილეა საჭირო. დღეს, ალბათ, ბევრია დარწმუნებული იმის შესახებ, რომ თბილისში არსებული პატარა გორა, ე. წ. ფიქრის გორა სიტყვა „ფიქრიდან“ არის ნაწარმოები და თავდაპირველი ფორმაც ეს იყო; თითქოს გარკვეულია ამ სახელწოდების ეტიმოლოგია, მაგრამ ცნობილი ენათმეცნიერი არნოლდ ჩიქობავა (ზოგადი ენათმეცნიერება, 1946, გვ. 166) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს იყო „ფიქრის გორა“; პირველ სიტყვას გამოაკლდა „ე“ და „ფიქარი“ იქცა „ფიქრად“. სულხან-საბას მიხედვით ფიქარი ლარის მქსოველია. სხვა შემთხვევაში სოფ. ფეიქრიანი იყო კახეთში, დღევანდელი საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე. ასეთივე ლინგვისტური კვლევა ჩაატარა ენათმეცნიერმა ალ. ლლონტმა, რომელმაც გაარკვია, რომ გორის

რაიონის სოფელ ბროწლეთის (ხალხური გააზრებით ბროწეულეთი) ტერმინის ძირია ძველი ქართული მროწლე (ნახირი) და თავდაპირველად უნდა გვექონოდა მროწლე-ეთ-ი (ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, 1971, გვ. 12). ჩვენი დაკვირვებით, წალკის რაიონის ნასოფლარის საბროწლეს სახელი ძველი სამროწლე უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე სახელწოდების ძირი ბროწეულიდან უნდა იყოს წარმოშობილი, რასაც ბუნებრივი პირობების გათვალისწინების უარყოფამდე მივყავართ. ასეთი მაგალითები მრავლადაა. გასათვალისწინებელია ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიც. კვლევა გაადვილებულია, თუ სახელწოდების მთელი ცვალებადობაა მოცემული. ზოგჯერ სახელწოდების დღევანდელი მცდარი ფორმა სწორად გვეჩვენება, რადგან სიტყვის ძირში რაღაც გარკვეული აზრია მოცემული. ავიღოთ ახლანდელი სოფლის ფარცხანაყანევის სახელი; გვეჩვენება, თითქოს ეს სახელი წარმოდგება ფარცხისა და ნაყანევისაგან, ე. ი. ვიღაცას ალბათ, დაუფარცხავეს ნაყანევიო, მაგრამ ასეთი ახსნა ხალხური ეტიმოლოგია არის და არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება ამ სოფლის ძველი სახელი XIII საუკუნეში, თანაც რამდენიმე ფორმით – ფარსმანაყანევი, ფარცმანაყანევი, ფარცმანაყანევი, ფარცხანაყანევი. ამიტომ სახელი წარმოქმნილია ფარსმანის ყანებიდან, რადგან ერთადერთი სწორი ფორმაა ფარსმანაყანევი. მსგავსი სახელწოდებები ძველ ტოპონიმიკაში დამოწმებულია შემდეგი სახით – ფარსმანი, ფარსმანის თუშეთი, ფარსმანისხევი და სხვ.

ასევეა სახელწოდება დმანისის შესახებაც. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძველი ფორმებია დაბანისა-დბანისი. თავდაპირველი ფორმიდან ჩანს, რომ სახელწოდება დაბა-დან არის წარმომდგარი. ასეთივე სახელწოდებაა დღევანდელი ფორმით სოფელი დმანისი (თეთრიწყაროს რაიონი), მსგავსი ფორმები კი ასეულობით იქნა დადგენილი.

გარდა ამისა, ზოგჯერ თვით ლიტერატურული წყაროებითაც არ ხერხდება თანამედროვე დამახინჯებული სახელის სწორი ფორმით დადგენა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში ვერ მოხვდა ესა თუ ის სახელი ან კიდევ ამოვარდა ცოცხალი მეტყველებიდან. საერთოდ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ უაზრო ტოპონიმები არ არსებობს. ყოველთვის გეოგრაფიულ სახელებში მოცემულია კონკრეტული შინაარსი, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, სადაც აზრი დაკარგულია. ეს გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობით შეცვლით ან უცხო ენის გავლენით. პრაქტიკულად უაზრო სახელწოდებები არ არსებობს და თუ ზოგი მათგანი არაფრის მთქმელად გვევლინება, ამაში უამთა სიავეს მიუძღვის ბრალი. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა ტოპონიმის საწყისი ფორმის დადგენა.

გეოგრაფიული სახელები ცოცხლობს, იცვლება ფორმით, ზოგჯერ შინაარსით და კვდება. მათი ცხოვრების ხანგრძლივობა სხვადასხვაა. განსაკუთრებით სტაბილურია დიდ მდინარეთა და ქალაქთა სახელები, თუმცა ხშირად არც ეს სახელწოდებებია მუდმივი. საქართველოს ძველი და ახალი ტოპონიმების შედარებითმა კვლევამ გამოავლინა ასეთი სახელების ცვლილებები. მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა დასახლებული პუნქტის – ხარაგაულის სახელწოდება. ისტორიულად მას ხარაგაული, ხან ხარაგეული, ხან კიდევ ხარაგოული ერქვა. XIX საუკუნეში, რუსეთის ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით, მას ბელოგორი ეწოდა, XX საუკუნეში კი ჯერ ისევ ხარაგაული დაუბრუნდა, ხოლო 1949 წლიდან ქართველი რევოლუციონერის სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს.<sup>1</sup>

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ სახელწოდების დარქმევის პროცესს აქვს კანონზომიერებანი და გაპირობებულია პირველ რიგში ისტორიული მიზეზებით, სახელწოდების წარმოშობის აუცილებლობით.

<sup>1</sup> 1989 წლიდან კვლავ ხარაგაულის სახელს ატარებს.

ოქტომბრის რევოლუციამდე არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო გეოგრაფიული სახელწოდებები: ლენინისი, ლენინგორი, ოქტომბერი, პირველმაისი და სხვ.

ძველად ადამიანი სიტყვების მცირე რაოდენობას ფლობდა და, ბუნებრივია, ტოპონიმებიც იმ დროს არ იყო დიდად დიფერენცირებული და დეტალიზებული. არც ისე იშვიათად წყალი, მდინარე, ტბა, ზღვა და სხვ. იხმარებოდა როგორც ადგილის სახელწოდება. თანამედროვე პირობებშიც შემორჩა „წყალი“ მდინარის სახელებში. შემდგომში გეოგრაფიული სახელების უფრო დეტალიზაცია მოხდა სხვა სიტყვებით, შინაგანი ფორმების მიხედვით, ფერისა და ობიექტის სხვა ნიშნებით. შევიდა აგრეთვე მეტაფორული გადატანითი სიტყვები (ე. მურზავეი, 1973). ქართულ გეოგრაფიულ ტერმინოლოგიაში, ისე როგორც სხვა ენებში, არის მეტაფორული გადატანით ტოპონიმები დევის ნამუხლი, ხარისთავალა, ყელქცეული, ხიდისთავი, ხელთუბანი, თვალივი, ორპირი და სხვ. არც ისე იშვიათად ტოპონიმები წარმოშობილია რიცხვითი სახელებისაგან შემდგარი სიტყვებით — ორგორა, სამთავისი, ერთაწმინდა, ორმოცი და სხვ. ასევეა ზედსართავი სახელებისაგან — ახალი, ძველი, ზედა, ქვედა, დიდი, პატარა და სხვ.

ადამიანი გეოგრაფიული სახელის დარქმევისას იყენებდა თავის ენაში ხშირად ხმარებულ სიტყვას, მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი წაიშალა, ზოგი აღარ იხმარება სალაპარაკო მეტყველებაში, გადავარდა ე. წ. სიტყვების პასიურ მარაგში. ზოგი სრულიად ამოვარდა ცოცხალი ენის ლექსიკიდან, მაგრამ გეოგრაფიული სახელწოდებები შეინახა როგორც მოწმე ენის ისტორიული პროცესისა (ე. მურზავეი, 1973).

საქართველოს ძველ და ახალ ტოპონიმებში გეოგრაფიული სახელების საკმაო ნაწილი საკუთარი სახელებისაგან არის ნაწარმოები. ისინი საქართველოს ყველა მხარეშია გავრცელებული, მაგრამ უფრო მეტად ხულოს, ქედისა და ღუშეთის რაიონებში. თანამედროვე ტოპონიმიაში ხშირად გვხვდება საკულტო სახელებიც. ასეთებია: წარმარ-

თული რელიგიის (არმაზი, ზედაზენი და სხვ.) და ქრისტიანული პერიოდის (ვაკიჯვარი, ნინოწმინდა, ხუცუბანი და სხვ.) კულტის გამომხატველი ტოპონიმები. გვხვდება აგრეთვე გეოგრაფიული სახელები, მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული (მჭედლური, მჭედლიანთკარი და სხვ). ძალიან ხშირად გეოგრაფიული სახელები წარმოშობილია თვით გეოგრაფიული ტერმინებისაგან. ამ შემთხვევაში სახელწოდება ზუსტად ასახავს ადგილის პირობებს, მაგალითად, დიდუბე, ავჭალა, ხერთვისი, მთისკალთა და სხვ. არც ისე იშვიათ გეოგრაფიული სახელი წარმოიშობა მცენარეებისა და ცხოველების სახელებისაგან – თელავი, ცაცხვათი, არჯაკელი, ცხინვალი, წაბლარისხევი, ფოცხვერიანი, კატავეთი, ღორისთავი, ძაღლისუბანი და სხვ.

ქართულ ტოპონიმიაში გავრცელებულია აგრეთვე გეოგრაფიული სახელების კალკირება – ვარდციხეს (ახლანდელი ვარციხე) ბერძნები როდოპოლის, ზოლო ნაქალაქევს არქეოპოლის უწოდებდნენ. დღევანდელ რაიონულ ცენტრს თეთრიწყაროს ადრე რუსები ბელიკლიურს, შემდეგ თათრები ალბულახს უწოდებდნენ. ამჟამად იხმარება აგრეთვე ახალი ათონი და ნოვი აფონი; ბიჭვინთა და პიცუნდა და სხვ. ყველა ისინი განსხვავებული სახელებია, მაგრამ შესაბამისად მათი შინაარსი ერთი და იგივეა. იცვლება ფორმა და გამოთქმა, ზოლო შინაარსი მთლიანად შენახულია. ქართულ მეტყველებაში ამჟამად კალკირება უცხო ტოპონიმებიდანაც არის შემოსული.

საქართველოს ძველი და ახალი ტოპონიმების შედარებითმა კვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ტოპონიმთა უმეტესი ნაწილი ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა, მაგრამ გვხვდება უცხოური წარმოშობის სახელებიც, რომლებიც ძირითადად შუა საუკუნეებიდან მომდინარეობს. ეს გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში უცხოელთა გავლენით. ამის გამო, ჩვენს ქვეყანაში გეოგრაფიული სახელწოდებების ცვალებადობა ხდებოდა უცხო ხალხების გავლენით და მათი საქართველოში ბატონობის შედეგად. ასე, მაგალითად, ბერძნებისა და რომაელების ბატონობის ხანას ეკუთვნის ისეთი სახელწოდებების შემოსვლა

როგორცაა: კორინთა, კლისურა და სხვ. არაბების ბატონობის ხანაში გაქრა ცურტავი, ურდი და სხვ. მონღოლთა ბატონობის ხანაში გაქრა: ჰერეთი, აძიკვი, ხორნაბუჯი და სხვ., ხოლო შემოვიდა თუქურმიშა, მულანლო, უფადარი და სხვ. ირან-თურქეთის შემოსევათა ხანაში გაქრა სახელწოდებები: არწივანი, აზეულა, ემანი და სხვა მრავალი. სამაგიეროდ შემოვიდა: ბორჩალო, აღჯაყალა, რედუტ-კალე, ხოჯაბეკი და სხვ. რუსეთის ცარიზმის ბატონობის ხანაში დაიკარგა სახელები: სტეფანწმინდა, ფარავანი და სხვ. ხოლო შემოვიდა: ტამბოვკა, როდიონოვკა, ტროიციკოე, როზენბერგი და სხვ.

საბოლოოდ დავასკვნით, რომ საქართველოს თანამედროვე ტოპონიმების კვლევისას უდავოდ საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ძველი ტოპონიმების, მისი ყოველი მხარის გათვალისწინება, რომლის გარშე შესაძლებელია მცდარი დასკვნის გამოტანა.

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СРАВНИТЕЛЬНОГО ИССЛЕДОВАНИЯ СТАРЫХ И НОВЫХ ТОПОНИМОВ ГРУЗИИ

### Резюме

Значительная часть старых топонимов Грузии содержится в ранних Иберийских и Колхских источниках; также в трудах зарубежных путешественников, историков, филологов, писателей и других античной и последующих эпох. Мы сравнили около 15 тысяч старых грузинских топонимов, которые нами были взяты из доступных источников, с употребляемыми в современных условиях соответствующими названиями и вынесли некоторые заключения.

Большая часть современных грузинских топонимов древнего происхождения дошла до нас без сомнений, о чем, часто свидетельствует самопроисхождение названия. 94,5 % названий ныне заселенных пунктов Грузии даны с древнейших времен до

конца XIX века. Помимо этого корни некоторых старых топонимов претерпели некоторые изменения и ныне имеют совершенно другой вид, поэтому при установлении их происхождения мы часто сталкиваемся с большими трудностями. Современное количество таких названий составляет 16,4%.

В течение длительного периода грузинские географические названия часто претерпевали изменения; эти изменения можно сгруппировать следующим образом:

а) названия сохранены лишь в литературных источниках и их локализация ныне затруднена, т.к. не встречаются эти географические названия;

б) местонахождения старых географических названий известны, но корни названий в некотором роде и неоднократно изменились;

в) местонахождения старых географических названий, известны, но под совершенно другими названиями;

г) старые названия употребляются и ныне, но относительно совершенно в других местах;

д) некоторые старые географические названия сохранились лишь среди населения, но и в официальной переписке не употребляются;

е) географические названия которые возвращены старым местам;

ж) одни и те же географические названия, обозначающие разные места;

з) параллельные названия, характерные для некоторых мест.



## ლიტერატურა

1. ა ლ. ლ ლ ო ნ ტ ი. ტოპონიმიკური ძიებანი, I. თბ., 1971.
2. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ზოგადი ენათმეცნიერება. თბ., 1946.
3. კ. ხ ა რ ა ძ ე. თრიალეთის ძველი ქართულ ტოპონიმები, „მაცნე“, 1972, №2.
4. И. А. Дж а в а х и ш в и л и. Государственный строй древней Грузии и древней Армении. 1905.
5. К а р т а В и р и я. составлена по источникам Юрием Петровичем Проценко, изд. первое, Тифлис, 1881.
6. Э. М. М у р з а е в. Топонимика - популярная, М., 1973.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები.  
1980, ტ. XIV, გვ.163-171

## ისტორიული შიდა და ქვემო ქართლის თანამედროვე ეთნიკური შემადგენლობა და ომონიკური ტოპონიმების გავრცელება

ისტორიული შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორია ამჟამად საქართველოს მჭიდროდ დასახლებული მხარეა (ფართობი 16307 კმ<sup>2</sup>, დასახლებული პუნქტი 1429), რომლებიც უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდნენ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. გარეშე მტრის შემოსევათა შედეგად, განსაკუთრებით განაპირა მოსახლეობა დიდად ზარალდებოდა, ხოლო ზოგჯერ კიდევ ნადგურდებოდა. მოსახლეობის მიგრაციის შედეგად კი ეროვნული შემადგენლობა იცვლებოდა. ამჟამად მათ ტერიტორიაზე (თბილის-რუსთავის გამოკლებით) ქართველებთან (48,5 %) ერთად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები (22,9 %), ოსები (12,6 %), სომხები (6,1 %), ბერძნები (5,9 %), რუსები (2,5 %) და სხვ. მათი დასახლება ძირითადად კომპაქტურია და ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ და ალათაურ ენობრივ ოჯახთა ენებზე.

ისტორიული შიდა და ქვემო ქართლის გეოგრაფიული სახელწოდებების შედარებამ შემდეგი კანონზომიერებანი წარმოაჩინა; მიუხედავად მრავალმხრივი ცვალებადობისა, მხარეთა ძველი ტოპონიმების საკმაო ნაწილი (60 %-მდე) შენარჩუნებულია. მათი რაოდენობა იზრდება ორივე მხარის ურთიერთ მიახლოების რაიონებში. შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილისათვის დამახასიათებელია ოსური ტოპონიმების გავრცელება, რაც დაკავშირებულია ოსური მოსახლეობის თანდათან გადაადგილებასთან სამხრეთისაკენ. დანარჩენ რაიონებში მათი რიცხვი საგრძნობლად კლებულობს.

ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილში სომხური გეოგრაფიული სახელები ჯერ კიდევ ვახუშტიმდე გვხვდება, ხოლო XVIII საუკუნის

ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევარში ეს მხარე თითქმის დაიცალა აბორიგენი მოსახლეობისაგან და მათ ნაცვლად დასახლდნენ თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნები და სომხები, დებუდას ხეობიდან ტომი ბორჩალუ, გერმანიიდან და რუსეთიდან მოსული მოსახლეობა და სხვ. ამიტომ შესაბამისად გავრცელდა ამ ხალხთა მიერ შერქმეული გეოგრაფიული სახელები. მიუხედავად ასეთი ჭრელი ეთნიკური შემადგენლობისა, ლექსიკური მარაგის მხოლოდ უმნიშვნელო, მკაცრად შეზღუდული ნაწილი აისახა ტოპონიმიაში. ამის გამო ორივე მხარეში ერთი და იგივე სახელწოდება მრავალჯერ მეორდება. განმეორებადი სახელწოდებანი შემთხვევით, ან შეგნებულად არის გადატანილი ერთი ადგილიდან მეორეზე. ასეთი ომონიმების რაოდენობა ათეულობით განისაზღვრება. ისინი გლობალური გავრცელების ომონიმებია და ეხება როგორც ოიკონიმებს, ისე ჰიდრონიმებს და ბუნებრივ-გეოგრაფიული ობიექტების სხვა სახელწოდებებს, უფრო ხშირად კი განსხვავებულ სახელებს. ამ მხარეთა ომონიმების რაოდენობა საქართველოს სხვა მხარეების ხარჯზეც მკვეთრად იზრდება. ამასთან, ქვემო ქართლში გავრცელდა აზერბაიჯანისა და თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ომონიმური ტოპონიმები, ხოლო შიდა ქართლში ჩრდილო ოსეთის ტოპონიმები. უფრო ფართოდ არის გავრცელებული ადგილობრივი ომონიმური ტოპონიმები. ეს უმთავრესად გამოწვეულია როგორც ერთნაირი ეროვნული შემადგენლობით, ისე კუთხური კოლოკავის იდენტურობით. ამასვე მიეკუთვნება სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი ომონიმები.

მხარეთა ტოპონიმიაში ომონიმები აგებულების მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი, რთული და ნაწარმოები. გავრცელებულია ანტონიმური მსაზღვრელები: ზემო, ქვემო, შუა, ძველი, პატარა, დიდი და სხვ. რთული შედგენილობის სახელებში მეორე მსაზღვრელ კომპონენტად დასტურდება გეოგრაფიული ტერმინები: ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი. ვაკე, ხევი, წყარო, გორა, წყალი და სხვ. გარდა ამისა, აღსანიშნავია: კარი, წმინდა, ჯვარი, ეკლესია და სხვ. ომონიმთა გარკვეუ-

ლი ნაწილი საზოგადო სახელთაგან (მარტივი ან რთული) არის გავრცელებული. საკმაო საკუთარ სახელთაგან წარმოშობილი ომონიმები; გვხვდება სინქრონული და დიაქრონული ტოპონიმებიც, რომელთა გავრცელების ძირითადი მიზეზია ტერიტორიაზე ორენოვნება.

გარდა სახელწოდებებისა, ტოპონიმებში მეორდება სუფიქსები, პრეფიქსები ან ორვე ერთად. მხარეთა ტოპონიმებში შეიმჩნევა *მთ*, *ან*, *ის* სუფიქსიანი სახელწოდებების დომინანტობა. შიდა ქართლში კი დამატებით *ით*, *ულ*, *ურ* სუფიქსიანი სახელწოდებების ფართოდ გავრცელება. შედარებით მცირედ გვხვდება *სა* და *ნა* პრეფიქსიანი ტოპონიმები. მრავლადაა მრავლობითი რიცხვის გამომხატველი *ნ*, *თა*, *მბ*, *მვ* და სხვ. ფორმანტები.

შემაჯამებელი სამეცნიერო სესია მიძღვნილი დიდ სამამულო ომში  
გამარჯვების 40 წლისთავისადმი. 6-7 მაისი, 1985.  
თბილისი, 1985, გვ. 68-70.

# საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასკმტები<sup>1</sup>

საქართველოს ძველი ტოპონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია იბერიისა და კოლხეთის ადრინდელ წყაროებში, ანტიკური სამყაროსა და შემდგომი ხანის უცხოელი მოგზაურების, ისტორიკოსების, ფილოლოგების გეოგრაფების, ბუნებისმეტყველებისა და მწერლების შრომებში. ამასთან, საქართველოს უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებების ერთი ნაწილი მხოლოდ უცხოურ წყაროებშია შემორჩენილი.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის შემდეგ საქართველოს ტოპონიმები ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებშიც არის დამოწმებული. ამ მხრივ აღსანიშნავია: აგიოგრაფიული ძეგლები, მემატინათა ჩანაწერები, სიგელ-გუჯრები, საეკლესიო და სამოქალაქო საბუთები, მხატვრული ნაწარმოებები, ეპიგრაფიკული ძეგლები, სამართლის კანონები, მოსახლეობის აღწერათა მასალები, კარტოგრაფიული წყაროები და სხვა. მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა შთაბეჭდილებები, სამამულო და უცხოური კარტოგრაფიული ნამუშევრები, რომელთა საკმაო ნაწილ მხოლოდ ხელნაწერების სახით არის შემორჩენილი.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები უმეტესად გეოგრაფიული სახელების ცვლილებას ან გაქრობას იწვევდა ხალხურ მეტყველებაში. ასეთ სახელწოდებებს კი ხშირად წერილობითი ძეგლები ინახავდნენ – იქნებოდა ეს მატინაე, გეოგრაფიული აღწერილობა, რუკა თუ სხვა. ... ამასთან, ზოგი ძველი ტოპონიმის ფუძემ რამდენადმე ცვლილება განიცადა და ამჟამად გან-

---

<sup>1</sup> იბეჭდება შემოკლებით.

სხვაეხული სახით გვევლინება. ზოგან აზრიც დაკარგულია, რაც გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობითი ცვლილებებით, ან უცხო ენის გავლენით. ამიტომ მათი წარმომვლობის გარკვევა ხშირად დიდ სიძნელეს იწვევს.

საქართველოს ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა; ეს ცვლილებები უფრო მტად გამოწვეული იყო უცხო ქვეყნების გავლენით და საქართველოში მათი პერიოდული ბატონობით. სწორედ ამან გამოიწვია ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების მნიშვნელოვანი სახეცვლილებანი და ახალი გეოგრაფიული სახელების დამკვიდრება. ყოველივე ამის გამო გეოგრაფიული სახელწოდებების კვლევა ეტიმოლოგიური და ლოკალიზაციური თვალსაზრისით მეტად რთული და თავისებურია.

საქართველოს ძველი ტოპონიმების ლოკალიზება უნდა წარმოედეს კომპლექსური მიდგომით. უპირველესი რიგის ამოცანაა ძველი საკულტო და სამხედრო (თავდაცვითი) მნიშვნელობის ნაგებობების, ნასოფლარების, საცხოვრებლად გამოსადეგი გეოგრაფიული ადგილების, თანამედროვე დასახლებული პუნქტების და სხვათა განლაგება-მედარება. საკულტო ნაგებობების თუნდაც უმნიშვნელო ნარჩენები საბუთია ამ ადგილას ოდესღაც სოფლის არსებობისა. ნაგებობის სიძველის მიხედვით დგინდება დასახლებული პუნქტის ხნოვანება (გათვალისწინებულ უნდა იყოს საკულტო ნაგებობის თავდაპირველი სახე), ხოლო მოცულობის მიხედვით — დასახლების გავრცელება. ზოგი საკულტო ნაგებობის ლაპიდარული წარწერა გვამცნობს ადგილის სახელწოდებასაც. განსხვავებული მდგომარეობაა ციხეების სახელწოდების დადგენაკვლევის დროს. საქმე ისაა, რომ ციკლოპური ციხეები ქალაქებთან მდებარეობდა და ამიტომ დღეს მათი ნარჩენები ძველ ნაქალაქარებთან არის შემორჩენილი. შუა საუკუნეებში ციხეებს ძირითადად მიუვალ ადგილებზე აგებდნენ და ამიტომ ციხის სახელწოდება ზოგჯერ არ ემთხვევა ახლო დასახლებული პუნქტის სახელს; გვიანფეოდალურ ხანაში კი ციხე-გალავნები შიგ სოფლებშია აგებული და ძირითადად იმავე

სოფლის სახელს ატარებს. ძველი დასახლებული პუნქტების ადგილ-  
მებარეობა შეიძლება გარკვეულ იქნას ნასოფლართა მიხედვით, ნასოფ-  
ლარის სიდიდის, განლაგებისა და ბუნებრივი პირობების თავისებურე-  
ბათა გათვალისწინებით. გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც გარეგნული  
ნიშნების მიხედვით საცხოვრისის არავითარი კვალი არ შეიმჩნევა,  
მაგრამ ღრმა არქეოლოგიური შესწავლა ავლენს ძველი დასახლებული  
პუნქტის არსებობას. გარდა ამისა, დამატებით უნდა გამოვლინდეს  
ლოკალიზაციის სხვა ნიშნები, როგორიცაა: რელიეფი, მდინარე, დასახ-  
ლებული პუნქტის დაშორება, მასშტაბი და სხვა.

ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების კვლევისას განსაკუთრე-  
ბულ როლს ასრულებს კარტოგრაფიული მასალები. ვერავითარი აღ-  
წერა ვერ შეცვლის ძველი ტოპონიმების კვლევაში რუკების გამოყენე-  
ბას. სხვადასხვა საუკუნეებში და წლებში დამზადებული რუკების შე-  
დარება საშუალებას გვაძლევს სახელწოდებათა ცვალებადობას მივა-  
დევროთ თვალი (უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ დამა-  
ხინჯებით არის მოცემული სახელწოდება), ზუსტ ტოპოგრაფიულ სა-  
ფუძველზე დამყარებული რუკა კი გეოგრაფიული სახელწოდების ლო-  
კალიზაციისათვის მეტად საიმედო საყრდენია.

ძველი და თანამედროვე კარტოგრაფიული ნამუშევრების გამოყე-  
ნებასთან ერთად, ყურადსაღებია აეროფოტომასალების ამოშიფვრა,  
რის საფუძველზე შეიძლება არა მარტო დასახლებულ პუნქტთა გავ-  
რცელების, არამედ ნასოფლართა განლაგებისა და ხასიათის გარკვე-  
ვაც. საქართველოს ერთ-ერთ რაიონში ჩატარებულმა ამ ექსპერიმენტმა  
კარგი შედეგი გამოიღო. ამჟამად ტყეში ჩაფლული, მიუვალ ადგილებ-  
ში მდებარე შეუმჩნეველი ნაგებობის უმნიშვნელო ნაშთები, საცხოვ-  
რებლად გამოსადეგი ადგილები, რომლებიც შეიძლება ვერც მოძებნო  
ადგილზე, ან სრულიად არ იცოდეს ადგილობრივმა მოსახლეობამ, აღ-  
ნიშნული მასალების ამოშიფვრისას თვალნათლივ გამოჩნდება.

ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების ლოკალიზაციის ერთ-  
ერთ მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს ადგილობრივ მოახლეობაში

შემორჩენილი ცალკეული ადგილების, უბნების და მისთანების სახელწოდებები, რომლებიც ხშირად ძველი დასახლებული პუნქტების სახელებს წარმოადგენენ. ზოგჯერ გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომლებიც დამახინჯებულია და საკმაო დაკვირვებაა საჭირო საწყისი ფორმის დასადგენად. ამის მაგალითები საკმაოა; მაგალითად, ბოლნისის რაიონში „სარგინა“ და „სარკინეთი“...

მიუხედავად ამისა, ეს ხერხი ყოველთვის არ გამოდგება. ამის მაგალითია ბ ე შ თ ა შ ე ნ ი (წალკის რ.). ამ ადგილზე ძველად არსებობდა ბ ე შ ქ ე ნ ა შ ე ნ ი (ბეშქენაშენი), რომელიც მრავალ ძველ ისტორიულ საბუთშია მოხსენიებული. XIX საუკუნის 30-იან წლებში აქ, ნასოფლარზე, დასახლდა თურქეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობა და ადგილს დაარქვა „ბეშთაშ“ (ასე უწოდებს ახლაც ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო ბეშთაშენი გაქართულებული ფორმია). დასახლებული პუნქტი „ბეშთაშ“ მდებარეობდა თურქეთში, კერძოდ, ერზურუმის ვილაიეთში, საიდანაც მოვიდა აღნიშნული მოსახლეობა. „ბეშთაშ“ ხუთ ქვას, ხუთ კლდეს ნიშნავს. ზოგს მანია, რომ ბეშთაშენი ბეშქენაშენის დამახინჯებული ფორმია, რაც სწორი არ არის და, უბრალოდ, სახელწოდების მიმსგავსებასთან უნდა გვეკონდეს საქმე [1, გვ. 66].

გეოგრაფიული სახელწოდების ლოკალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივი გეოგრაფიული პირობების გათვალისწინება, როგორც ცალკეული კომპონენტებისა, ისე მთლიანად ლანდშაფტისა. ამის მაგალითებიც საკმაოა. ძველად თრიალეთში მდებარეობდა დასახლებული პუნქტი ჩ რ დ ი ლ ი ს უ ბ ა ნ ი ახლა ამ ადგილს შიპიაკი ჰქვია. აქ ძველი სახელწოდების ლოკალიზაცია არ გაჭირდება, თუ ადგილობრივ პირობებს გავითვალისწინებთ. საქმე ისაა, რომ აღნიშნულ დასახლებულ პუნქტს სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთით აკრავს საკმაოდ დამრეცი და მაღლა აზიდული ბორცვი, რის გამოც სოფელს დღის საკმაო მონაკვეთში ჩრდილი ადგას. ამდენად, გარკვეულია როგორც ლოკალიზაცია, ისე ეტი-



მოლოგია. ამის მაგალითია აგრეთვე ქვა-თეთრ-ის-ი დმანისის რაიონში [2, გვ.217]...

ზოგჯერ ისტორიულ წყაროებში დაშვებული უზუსტობა ახალი შეცდომის საფუძველი ხდება. ვახუშტის რუკაზე და „აღწერის“ ტექსტში აღნიშნულია, რომ შიდა ქართლში მდებარე ს უ რ ა მ ი ს წ ყ ა ლ ი მტკვარს ოსიაურს ზემოთ შეერთვის. სინამდვილეში, სურამის-წყალი (სურამულა), იერთებს რა ტილიანსა და ალისფრონეს, უერთდება ფციის ფრონეს, რომლის მტკვართან შესართავიც ქარელის ახლოსაა. ეს შეცდომა აიხსნება იმით, რომ ვახუშტის რუკაზე სურამულას ქვემოთ (განედური) მონაკვეთი მტკვრის ტოტადაა გამოსახული. ზოგ ავტორს [3,4] მიაჩნია, რომ 250 წლის პერიოდში მტკვრის კალაპოტის ერთმა ტოტმა შეიცვალა მიმართულება. ამ მოსაზრებას ზოგი ავტორი [5, გვ. 521; ასევე, რედაქტორის შენიშვნა, 4, გვ. 144] არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ „აქ საქმე გვაქვს ვახუშტის რუკის საფუძველად დადებულ ტოპოგრაფიული აგეგმვის ან თვით რუკის შედგენის დროს დაშვებულ შეცდომასთან“... ამასთან, ჩვენ ხელთ არსებულ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის ყველა რუკაზე მდ. სურამულა თანამედროვე მოხაზულობით არის აღნიშნული. ამდენად, ვახუშტისა და შემდეგი რუკების შედგენის პერიოდი 250 წლით კი არ განსხვავდება, არამედ 40-50 წლით....

აქ წარმოვადგინეთ ძველი ტოპონიმების ლოკალიზაციის რამდენიმე ხერხი. დავემყოფილდით მცირე საილუსტრაციო მასალით. რა თქმა უნდა, გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლოკალიზაციის სხვა ხერხებიც შეიძლება იქნას გამოყენებული ტოპონიმიკური კვლევა-ძიების პროცესში.

## ლიტერატურა

1. კ. ხარაძე, თრიალეთის ძველი ქართული ტოპონიმები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, №2.
2. კ. ხარაძე. ზურტაკეტის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და მათი კვლევის მეთოდები, თბ., 1979.
3. Ш. Цховребашвили, К вопросу об изменении устья реки Сурамулы, Известия ВГО, т.85, вып. 1, 1953.
4. შ. ცხოვრებაშვილი. აჭარა-თრიალეთის მთაგრეხილის გეომორფოლოგია, ნაწ. I, თბ., 1978.
5. Л.И.Маруашвили, Современные географические процессы. Геоморфология Грузии, Тб.,1971.

ონომასტიკა I. თბ., 1987. გვ., 234-244.

## ტოპონიმებსაც იურიდიული დაცვა სჭირდებათ!

ქართული ტოპონიმია ისევე ძველი და მრავალფეროვანია, როგორც სალიტერატურო ენა. გეოგრაფიული სახელები ერის საუნჯეა, ქვეყნის ბუნებრივი ხასიათის, ხალხის ყოფისა და ისტორიის სარკეა. ამიტომ მათ ისევე სჭირდებათ მოვლა და დაცვა, როგორც თვით ისტორიას. ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს; ამით იგი ადგილის ბარათს ავსებდა და თაობიდან თაობას გადასცემდა; დღეს კი, წარმოუდგენელია გეოგრაფიული სახელწოდებების გარეშე ცხოვრება. ხშირად არ ვუკვირდებით და არც გავიაზრებთ ამა თუ იმ ადგილის სახელწოდებებს, რომლებიც ასე მძაფრად შემოჭრილა ჩვენს ცხოვრებაში. ალბათ, ძნელი წარმოსადგენია რა ქაოსი და არეულობა იქნებოდა ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრების გარეშე. საქართველოში ათასობით გეოგრაფიული სახელწოდებაა. მარტო დასახლებული პუნქტების რაოდენობა ხუთიათასამდეა, ოცდარვა ათასამდე სახელწოდება მდინარეებს აქვთ მიკუთვნებული; ასევე ათასობით სახელი აქვთ მიკუთვნებული მთებს; ამას თუ დავუმატებთ იმ მიკროტოპონიმებს, რომლებიც თავის მხრივ ყველა დასახლებული პუნქტის სანახებში უამრავია, მაშინ საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა რაოდენობა ორ-სამჯერ მეტია, ვიდრე მთლიანად ენის ლექსიკა დიალექტური შენაკადებითურთ. მართალია, ტოპონიმთა რაოდენობას ზრდის მიკროფონდი, მაგრამ ადამიანი სწორედ ამ მიკრორაიონის ბინადარია და მის ტრადიციას ექვემდებარება. ისიც ნიშნადობლივია, რომ ასეთ მრავალრიცხოვან სახელწოდებებს ყველას საკუთარი ისტორია გააჩნია და ისინი ძვირფასია ერისათვის.

ადგილის სახელწოდებების გაუმჯობესება ყველა მოწინავე ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია. საქართველოში წლების განმავლობაში არათუ მათ გასაუმჯობესებლად, არამედ შესანარჩუნებ-

ლადაც ნაკლებად ზრუნავდნენ. აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ასეულობით გეოგრაფიულ სახელწოდებას უმართებულოდ დაუძკვიდრდა შეუფერებელი სახელი. ბოლო დროს თითქოს ამ მხრივ, გაუმჯობესებისათვის, უფრო სწორად სახელწოდების აღდგენისათვის, გადაიდგა პირველი ნაბიჯი — ხუთიოდე დასახლებულ პუნქტს აღედგინეთ თავისი სახელები, მაგრამ ეს ხომ ზღვაში წვეთია; რეაბილიტაციას ელის ასეულობით ქართული სახელწოდება. არადა, ჩვენს სამეცნიერო თუ სხვა ლიტერატურაში, ჟურნალ-გაზეთებსა და ოფიციალურ მიმოწერაში, საგზაო ნიშნებსა და ზეპირმეტყველებაში გეოგრაფიული სახელწოდებების ხმარებისას ერთი პრინციპი არ არის დაცული; ზოგჯერ ამ საქმეში არაფრად დაგიდევნ და არავითარ დადგენილ წესს არ იცავენ. მეტად ხშირია მიუტყვებელი უზუსტობანი. ამ დროს კი, ტოპონიმების ხმარებას თავისი პრინციპები აქვს და ვისაც როგორ მოესურვება არ შეიძლება ისე ხმარება (ამ მხრივ ბევრი უზუსტობაა გაზეთ „თბილისში“ სამგლოვიარო განცხადებების გამოცხადების დროს). ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების ხმარებას ჩვენს პრესაში ვერავითარ კორექტურას ვერ დავაბრალებთ, ისინი ღრმად აქვთ ჩაჭედვნილი ჩვენს ზოგიერთ ჟურნალისტს, მწერალს, მეცნიერს... ხმარობენ სახელწოდებებს როგორც მონესურვებათ და თავს ახვევენ სხვებსაც. მოვიტანთ სულ ორიოდე მაგალითს: თეთრიწყაროს რაიონში ოდიტოან აქვს შერქმეული სახელი სოფელ ღოუბანს, ზოგჯერ პრესაში ეს სახელწოდება გოუბანის სახელით იხსენიება. ასევე, ამავე რაიონში მდებარე სოფელ სამღერეთის სახელი ხან ასე იხმარება, ხან სამღერეთის სახელით. ერთ-ერთ ჟურნალში კვითხულობთ: „თერგს კქვია თერგი, რიცას კი რიცა“. მოხშირდა ტერმინ მთათუშეთის ხმარება თუშეთის ნაცვლად. იქნებ აგვიხსნას ზოგიერთმა მწერალმა თუ ჟიურნალისტმა რას ნიშნავს მთათუშეთი? თუ მის მთიანობას გულისხმობს, მაშინ რატომ არ ხმარობს მთასეანეთი, მთარაჭა...? ან, რატომ განსხვავებულად ეხმარობთ — შიდა ქართლი და შიგა ქართლი? მართალია უფრო სწორია შიგა ქართლი, მაგრამ ტრადიციულად უძველეს ისტორიულ წყა-

რობში შიდა ქართლი დამკვიდრდა და ჩვენც ამ სახით უნდა მოვიხსენიოთ. რამდენი გეოგრაფიული სახელწოდება დამახინჯებით, შერყვნილი სახით აქვთ ჩაწერილი მოქალაქეებს დაბადების მოწმობებსა და პასპორტებში. ამის მაგალითად გუმბურდო (კუმურდო) და ჩანდურა (ჩამძვრალა) იკმარებდა ახალქალაქის რაიონში. მსგავსი დამახინჯებანი და უზუსტობანი კიდევ მრავალი შეიძლება მოვიტანოთ, მაგრამ მთავარია არა მათი აღნუსხვა, არამედ გასწორება და თითოეული სახელწოდებისათვის მყარი სტატუსის მინიჭება.

რა თქმა უნდა, გეოგრაფიული სახელწოდებები ლექსიკურად ენის ელემენტი, ლინგვისტური კატეგორიაა (გრამატიკულად საკუთარი არსებითი სახელი) და ამიტომ მის კანონებს ემორჩილება; ამავე დროს, ეს სახელწოდებები შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ პირობებში და ბევრი მათგანი ხაზს უსვამს გარკვეული ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს; მაგრამ, ამასთან, ტოპონიმი რუკის ელემენტია. ბევრი სახელწოდება მიუთითებს ბუნებრივ პირობებზე და მზარის სიმდიდრეზე, დასახლების ისტორიაზე, ისტორიულ გეოგრაფიაზე, ესე იგი კონკრეტულ გეოგრაფიულ მდგომარეობაზე.

ტოპონიმების დარქმევის პროცესს აქვს კანონზომიერებანი და გაპირობებულია პირველ რიგში ისტორიული მიზეზებით, სახელწოდების წარმოშობის აუცილებლობით. ამიტომ ყოველი შექმდგომი შერქმეული თუ ვადარქმეული სახელწოდება მისთვის უკანონოა. ჩვენს პირობებში ხშირად გვესმის, თითქოს მოხდა ახალდასახლება და სახელიც შესაბამისად უწოდეს; ეს ყოველთვის როდი შეესაბამება სინამდვილეს; საქმე ისაა, რომ უმთავრესად ხდება ხელახლა დასახლება. მართალია, ზოგჯერ არავითარი კვალი არ ჩანს ნასახლარებისა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეს ადგილი მუდამ ცარიელი იყო. არის რაიონები, სადაც დასახლებულ პუნქტებს გაცილებით სჭარბობს ნასოფლართა რაოდენობა. სწორედ ასეთი ნაჩქარევი გადაწყვეტის შედეგია, რომ დღეს საქართველოში გვაქვს 25 ახალსოფელი, 15 ახალშენი, 8 ოქტომბერი, 8 ახალდაბა, 8 შრომა, 7 განახლება, 7 განთიადი, 5 ახა-

ლუბანი, 5 ულიანოვკა და ასე შემდეგ. ახლა ისიც ვიკითხოთ, ეს სახელწოდებები მართლა ახალდასახლებებს შეერქვათ? ნურას უკაცრავად, უმთავრესი მათგანი ძველი სახელწოდებების ხარჯზეა შერქმეული; აი ზოგი მათგანი: კიროვი დაერქვა სალომინაოს (ვანის რაიონი), ზრესკს (ახალქალაქის რაიონი), ბაღლებს (ლანჩხუთის რაიონი), წობას (მარნეულის რაიონი) და სხვ. ახალსოფელი ძველ გაგაზს (ყვარლის რაიონი), ზას (თეთრიწყაროს რაიონი), ადოს (ყაზბეგის რაიონი), აგვიეს (ხელვაჩაურის რაიონი) და სხვ. შრომა მიქელ გაბრიელს (ოზურგეთის რაიონი), ვაჩნაძიანს (გურჯაანის რაიონი), გუმას (სოხუმის რაიონი), ჯვარისას (ამბროლაურის რაიონი) და სხვა; ახლა რამდენი წმინდა სახელთან დაკავშირებული სახელი შეიცვალა; მირონწმინდას წითელხევი (ხარაგაულის რაიონი) ეწოდა, სტეფანწმინდას – ყაზბეგი, ჯვარას – დუმანისი (თეთრიწყაროს რაიონი), მრავალძალს – ძთისკალთა (ონის რაიონი), მაცხოვარს ოქტობერი (თერჯოლის რაიონი) და სხვა. ან რატომ უნდა ერქვას მეფისქალაქს ახალქალაქი (კასპის რაიონი)? იგი ხომ 1660 წელს განაახლა და ააშენა ქალაქად როსტომ მეფემ და ეს აღნიშნულია კიდევ აქ მდგარ საყდრის ლაპიდარულ წარწერაში. ან კიდევ, რატომ შევარქვით ნაღვარევეს ნაღორევი (დუშეთის რაიონი), კველთას ალგეთი (თეთრიწყაროს რაიონი, საღვიწეს – პირველმაისი (ზესტაფონის რაიონი) და სხვა.

ყოველთვის გეოგრაფიულ სახელებში მოცემულია კონკრეტული შინაარსი, მაგრამ გვხვდება ისეთებიც, სადაც აზრი დაკარგულია; ეს გამოწვეულია სახელწოდებების თანდათანობით შეცვლით ან უცხო ენის გავლენით. პრაქტიკულად უაზრო სახელწოდებები არ არსებობს. საქმე ისაა, რომ ადამიანი გეოგრაფიული სახელელის დარქმევისას იყენებდა თავის ენაში ხშირად ხმარებულ სიტყვას. მაგრამ დროთა განმავლობაში ზოგი მათგანი წაიშალა, ზოგი აღარ იხმარება სალაპარაკო მეტყველებაში, გადავიდა ეგრეთ წოდებულ სიტყვის პასიურ მარაგში. ზოგი სრულიად ამოვარდა ცოცხალი ენის ლექსიკიდან, მაგრამ

გეოგრაფიული სახელწოდებანი შეინახა როგორც მოწმე ენის ისტორიული პროცესისა.

ტოპონიმთა ცვალებადობის პროცესი ერთობლივად განვითარებაგართულებისაკენ არის მიმართული, რაც დამოკიდებულია ბუნებრივ და ისტორიულ პირობებზე. საქართველოს უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებების ტრანსკრიფცია მხოლოდ უცხოელთა ნაშრომებშია შემონახული. მრავალ ტოპონიმზე აქვთ საუბარი ანტიკური სამყაროსა და მოგვიანო ხანის ავტორებს – ბერძენ, რომაელ, ირანელ, არაბ, თურქ, ფრანგ, რუს მოგზაურებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს, გეოგრაფებს, ბუნებისმეტყველებს, მწერლებს, დიპლომატებს... მეზუთე საუკუნიდან საქართველოს ტოპონიმები უამრავ ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებშია მოცემული. ამ მხრივ აღსანიშნავია: აგიოგრაფიული ძეგლები, მემატიანეთა ჩანაწერები, სიგელ-გუჯრები, საეკლესიო და სამოქალაქო საბუთები, მხატვრული ნაწარმოებები, სხვადასხვა ეპიგრაფიკული ძეგლები, სამართლის ძეგლები, მოსახლეობის აღწერათა მასალები, კარტოგრაფიული წყაროები და სხვა.

მრავალფეროვანია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელწოდებები. ასევე მრავალფეროვანია მათი წარმოშობა და ისტორიული მსვლელობა. საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების ცვალებადობა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა. ამასთან, საქართველოს სხვადასხვა მხარეში განსხვავებულად წარიმართა ეს პროცესი, რაც ძირითადად გარე და შიგა მიგრაციულ პროცესებთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ განსაკუთრებით ერთბაშად გარდაიქმნა და ცვალებადობა განიცადა ჯავახეთისა და ქვემო ქართლის გეოგრაფიულმა სახელწოდებებმა, ხოლო დანარჩენ მხარეებში ეს პროცესი შედარებით ნაკლებად და თანდთანობით მოხდა. რესპუბლიკის განსაზღვრულ რეგიონში (ძირითადად სამხრეთ ნაწილში) აბორიგენული ქართული ტოპონიმების მოსპობა ისტორიის გვიანდელ ეტაპებში, მისი შეცვლა უცხოური წარმოშობის სახელწოდებებით ან დამახინჯება, დაპყრობებს და გადასახლებებს ახლდა თან.

ჩვენი ტოპონიმები ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით შეიცავს არამიზანშეწონილ, სხვადასხვა თვალსაზრისით მიუღებელ სახელწოდებებს, რომელთა შეცვლის აუცილებლობა დავას არ იწყევს. სახელწოდებათა ეს კატეგორია შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს; უცხოური წარმოშობის, შერყენილი, არასწორად ხმარებული სახელები და სხვა. უცხო სახელწოდებების დიდი ნაწილი დაკავშირებულია ჯავახეთთან, სადაც თურქულენოვანი მოსახლეობა ამჟამად, შეიძლება ითქვას, სრულიად აღარ ცხოვრობს. ახალი სახელწოდებების მინიჭება უკუღმართულად მოხდა ქვემო ქართლსა და ზოგ სხვა რეგიონშიც, სადაც გაბატონდა აგრეთვე თურქულენოვანი ტოპონიმები. გუშინდელ გაბატონებულ, ამ თურქულენოვანი ტოპონიმების შესახებ კი გასული წლის ოქტომბერში, ონომასტიკის მეორე რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე, მ. ჩობანოვა, რომელიც ქართულ დაწესებულებაში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობს, წაიკითხა მოხსენება — „თურქულ-აზერბაიჯანული ოიკონიმები საქართველოში“; მართალია, მისი მოხსენების თეზისები სამართლიანად არ დაიბეჭდა, მაგრამ გაკვირვებას იწვევდა მისი პოზიცია ამ უცხო სახელწოდებების ქრონოლოგიურ ზღვრებსა და მათ გავრცელებაზე (არეალზე). უფრო მეტიც, მოხსენებაში მან გააყალბა მთელი რიგი ისტორიული წყაროები და აღნიშნავდა, თითქოს ძველ ქართულ წყაროებში იყოს ეს უცხო სახელწოდებები უძველესიდან მოხსენიებული და ზოგიერთი სახელწოდება თითქოს ქართველებმა თარგმნეს თურქულ-აზერბაიჯანული ძველი სახელწოდებიდან... სწორედ ამაზე იტყვიან: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

ტოპონიმების დაცვის არავითარი იურიდიული სტატუსი რომ არ მოქმედებდა, ამის დასტურია აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვის და სახელწოდებების თარგმნის გზით მიღებული ასეულობით გეოგრაფიული სახელწოდებების „აღდგენის“ ცდები, რასაც ითხოვდნენ და დღესაც ითხოვენ. თუმცა, ნაწილობრივ იგი წარსულის განუკითხაობის დროს



მიღწეულ იქნა. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც უძველესი საუკუნეებიდან მოხსენიებულია უცხოურ და ქართულ წყაროებში, უნდა შეეცვალოს სულ ახლახან შერქმეული სახელწოდებებით. ვერ ვეტყვი, მაგრამ ასეთი რამ მგონი არცერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა. და ყველაფერი ეს, ისევ და ისევ ჩვენი დაუდევრობისა და უყურადღებობის შედეგია. არათუ უმართებულოდ გადარქმეული და შერქმეული სახელწოდებები გავასწორეთ, არამედ ახალი შეცდომებიც დავუმატეთ. ავიღოთ 1930 წელსა და 1989 წელს გამოცემული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარები და შევედაროთ მათში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელწოდებები ერთმანეთს; ვნახავთ, რამდენი რამ დაგვიმახინჯებია. ბევრ ობიექტზე სახელწოდების მინიჭება ან გადარქმევა ხშირად სუბიექტურად და არაკვალიფიციურად ხდებოდა. ასეთი სახელწოდებები თავისთავად დასაღუპადაა განწირული. ამის ერთ მაგალითად რაიონისა და მის ცენტრის, ყოფილი ორჯონიკიძის სახელწოდება გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლების მანძილზე ოფიციალურად ორჯონიკიძედ იწოდებოდა, უმთავრესად ხარაგაული იხმარებოდა, როგორც ზეპირმეტყველებაში, ისე წერილობითაც. ვის სჭირდება ისეთი სახელწოდება, რომელიც ხალხმა ვერ გაითავისა? ან როგორ გაითავისებდა, როცა ხარაგაული (ხარაგოული) ოდითგან ერქვა დასახლებას და მის მიხედვით შემდეგ მთელ რაიონსაც ეწოდა! მართალია, რუსეთის თვითმპყრობელობის საქართველოში დამყარების შემდეგ ხარაგაულს ბელოგორი უწოდეს, მაგრამ ხალხმა უარყო იგი და კვლავ ხარაგაულის სახელი დაუბრუნა. ორმოცი წლის წინათ კიდევ ერთხელ წავართვით ძველი სახელი, მაგრამ ხალხმა არ მიიღო კვლავ ძალად თავს მოხვეული სახელწოდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რატომ არ უნდა გავუწიოთ ანგარიში ტრადიციასაც? ძალად მოხვეულ სახელწოდებას ვერ დავამკვიდრებთ. სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს გარემო პირობებთან, ისტორიასთან, რაღაც გარკვეულ მოვლენასთან, ხოლო თვით სახელწოდებას უნდა ახასია-

თებდეს სისადავე, კეთილუღერადობა, ლოგიკური კავშირი ობიექტთან და ასე შემდეგ. ამიტომ სჭირდება გეოგრაფიულ სახელწოდებებს თავიანთი ოურიდიული მდგომარეობა და დაცვა. ან გაგონილა ამდენ ქარხანას, ქუჩას, კოლმეურნეობას, დასახლებულ პუნქტს და სხვა მისთანებს, ერქვას რეპუტაციამელახული პიროვნების სახელი? ჯერ ერთი პიროვნების სახელი დასახლებულ პუნქტს არ უნდა ერქვას, მეორეც, საქართველოში ორჯონიკიძის სახელი კიდევ ოთხ დასახლებულ პუნქტს (ზუგდიდის, მარნეულის, ლაგოდეხის, წალენჯიხის რაიონებში), ერთ რაიონს თბილისში (საბჭოთა კავშირში ორჯონიკიძის სახელს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი ატარებს), ათეულობით ქუჩას, ქარხანას, კოლმეურნეობას, პარკს და მისთანებს ჰქვია. ვის მიანიხსნა ეს ნორმალურად?!... კიდევ უნდა გავიმეოროთ, ყველაფერი ეს განუკითხაობის ბრალია და მარტო ეს მაგალითიც კმარა, რომ ჩვენში გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვა ვერაერთად კრიტიკას ვერ უძლებს...

იქნებ ვინმეს ჰგონია დასახლებული პუნქტების, ყოფილი წულუკიძის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და მახარაძის სახელწოდებები იყო გათავისებული? თავს ნუ მოვიტყუებთ,... ან, რატომ უნდა დაგვეკარგა შესანიშნავი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები — ხონი, მარტვილი, სენაკი და ოზურგეთი? ამ სახელწოდებებთან ხომ ჩვენი ისტორიაა დაკავშირებული და განა, კიდევ არ გვხვდება მათი მსგავსი შეუთვისებელი სახელები? რატომ მონათლეთ კოდორი ვლადიმეროვკად, ოქონა (ტყისუბანი) — ზნაურად, გიორგიწმინდა — ისაკყაუდ, წუნარი — ხეთაგუროვოდ, კავთა — ჩაპაევკად, კოპანეთი — ჯაფარლოდ, ახალგორი — ლენინგორად, შათიში — ულიანოვკად, ბაღდათი მაიაკოვსკად და სხვა.

ახლა. დათვალოთ ჩვენი ეროვნული საფიციარის, დიდი ილიას სახელი რამდენ ობიექტს ჰქვია? არც ერთ დასახლებულ პუნქტს, არც ერთ რაიონს, არ გვაგონდება რომელიმე კოლმეურნეობას ან ქარხანას ერქვას მისი სახელი. ჩვენ გვყავდნენ გამოჩენილი ადამიანები, რომელ-

თა სახელები ჰირიქით, ადგილთა სახელწოდებიდან არის მიღებული. ამით ხომ ორი ღიდება ერთმანეთს შეეთვისა და უკვდავებას ეზიარა, ხოლო თვით გმირს კი საუკუნო ძეგლი დაედგა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარი ამბები ხშირად იწვევდა გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილის აღგვას ხალხური მეტყველებიდან და მესხიერებიდან. გაუქმებულ სახელებს წერილობითი ძეგლები ინახავდნენ, – იქნებოდა ეს მატინე, გეოგრაფიული აღწერილობა, რუკა, საბუთი თუ ტაძრის კედელში ამოჭრილი წარწერა. უკანასკნელ საუკუნეებში კავკასიის ტერიტორიაზე ჩატარდა მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვები, რომელთაც აღბეჭდეს რუკებზე ტოპონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი და არსებობა შეუნარჩუნეს ბევრ სახელწოდებას. ამასთან, ქართული ენისა და სხვა კავკასიურ ენათა არცოდნის გამო ტოპოგრაფებმა ბევრი ტოპონიმი დაამახინჯეს, უმართებულოდ გამოიყენეს ეს ობიექტების მიმართ, ან გამოტოვეს. სათანადო მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. ან კიდევ, საუკუნეების მანძილზე თურქთა ბატონობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე შერქმეული და დამახინჯებული გეოგრაფიული სახელწოდებები აისახა რუსების მიერ შედგენილ რუკებზე. ზოგი სახელწოდება ისე შეირყვნა, რომ მისი სწორი გამოთქმა-დაწერილობის აღდგენა შეუძლებელიც შეიქმნა ადგილობრივი აბორიგენი მოსახლეობის გამოკითხვის გარეშე. ჩვენი საზოგადოების მრავალი სამართლიანი მოთხოვნა გეოგრაფიული სახელწოდებების გასწორებისა და ძველი ქართული სახელწოდებების აღდგენის თაობაზე რჩებოდა „ხმად მლაღლებლისა უდაბნოსა შინა“, რადგანაც გეოგრაფიულ სახელწოდებებს არავითარი დაცვითი საშუალება არ ჰქონდათ. როდემდე უნდა ერქვათ ჩვენს დასახლებულ პუნქტებს ძველი ქართული სახელწოდებების ნაცვლად როდიონოვკა და ტროიციკოე, ტამბოვკა და ამბაროვკა, ყიზილქილისა და თიქილისა, ტაშტიკულარი და ასანხოჯალი, აღამედლო და აღთაქალა, ინჯაოღლი და ყარათიქანი, ფახრალი და დაღარუხლო. ყი-

ზილაჯლო და უსეინქენდი, ქირაჩ-მულანლო და ხანჯიგაზლო.... ან რომელი ერთი ჩამოეთვალათ?! ასეთი სახელწოდებები ხომ ასეულობით შეიძლება მოიძებნოს და მათი შესაბამისი ქართული ძველი სახელები, რომლებიც ასე გავიმეტეთ. როდემდე უნდა იყოს საქართველოს ტოპონიმები ასე აჭრელებული ნაირნაირი უცხო და ხშირ შემთხვევაში არაფრისმთქმელი სახელებით? ის კი არადა, ტოპონიმთა იურიდიული დაუცველობის გამო ბევრ შენარჩუნებულ სახელსაც საფრთხეს უქმნიან აფხაზეთსა და შიდა ქართლში... კარგად მახსოვს, 1970-1971 წლებში საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ასეულობით განცხადება რომ იყო შესული იმის თაობაზე, მარნეულის ძველი სახელი აღგვიდგინეთო. განცხადებების ავტორებს ავიწყდებოდათ, რომ ბორჩალო უძველესიდან მარნეულის სახელით იწოდებოდა და მხოლოდ XIX საუკუნეში ბელის უკულმართობით გადაერქვა საუკუნეებით გამოვლილ ძირძველ ქართულ ადგილს სახელი. გაუკულმართებული სინამდვილის წარმოსადგენად კი განცხადებების ავტორებს, ზემოთ მოხსენიებულ მ. ჩობანოვისთანა „პატრიოტები“ აქეზებდნენ. საბედნიეროდ, ძველი ქართული სახელწოდება მარნეული შევინარჩუნეთ; ეს ის ბედნიერი შემთხვევა იყო, როცა იმდროინდელ ცენტრალურ კომიტეტში აღმოჩნდნენ გეოგრაფიული სახელწოდებების დამცველები და ჩვენი დასკვნაც რეალიზებულ იქნა.

ახლა აღვნიშნოთ ის პირობები და საშუალებები, რითაც მოხდა საქართველოს ერთი რეგიონის, კერძოდ, ქვემო ქართლის უძველესი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ხელყოფა; რა გზები და საშუალებები არსებობს მათი გამოსწორებისა და რეაბილიტაციისათვის?

წარსულში საქართველოს თითქმის არც ერთ მხარეს არ განუცდია იმდენი რბევა და გაჩანაგება, რაც ისტორიულმა ქვემო ქართლმა განიცადა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მხარე თავისი კულტურისა და ეკონომიკის განვითარებით ყოველთვის მეწინავეთა რიგებში იდგა. იგი ყოველთვის საქართველოს ცხოვრებაში განსაკუთრებულ

როლს ასრულებდა. ყოველივე ეს დასტურდება ლიტერატურული და ისტორიული წყაროებით და იმ მატერიალური და კულტურული ძირეულებით, რომლებიც ამ მხარეშია შემორჩენილი. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სიტყვებს თუ გავიმეორებთ: „... ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწა, რომ ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა)“. ისე როგორც საქართველოს სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისა, ქვემო ქართლის ანუ მეწინავე სადროშოს საზღვრები სწორად იყო გააზრებული და იგი ძირითადად ბუნებრივ მიჯნებს ემორჩილებოდა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ძველად არსებული ადმინისტრაციული დაყოფის ერთეულები შესანიშნავად იყო შეხამებული მის ადგილმდებარეობასთან, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძველთან.

ძველთაგანვე ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ძირითადი მოსახლეობა ქართველები იყო და შესაბამისად გეოგრაფიული სახელწოდებებიც ქართული ყოფილა. რასაც ადასტურებს ის უამრავი ლიტერატურული და ისტორიული წყაროები, უცხოელ და ქართველ ავტორებს რომ შეუქმნიათ. მაგრამ შემდგომში, განუწყვეტელი აოხრების გამო, მოსახლეობის ეროვნული და ეთნიკური შემადგენლობა თანდათან შეიცვალა. ქართველი მოსახლეობა დიდ ზემოქმედებას განიცდიდა გარეშე მტერთა შემოსევების გამო, რასაც ქვემო ქართლის მოსახლეობის შემცირება მოჰყვა. მოსახლეობის რაოდენობამ აქ განსაკუთრებით იკლო XVII საუკუნიდან და მინიმუმს XVIII საუკუნეში მიაღწია. ეს იყო შედეგი ოსმალთაგან და ყიზილბაშთაგან ხშირი დალაშქრისა და განსაკუთრებით ლეკთა თარეშისა. მარი ბროსეს ცნობით, ოსმალთა ბატონობისა ხანაში, სხვადასხვა ომსა და ბრძოლაში დაიღუპა 75 ათასი ქართველი, ხოლო ტყვედ წაიყვანეს 1500 ოჯახი. ერთ-ერთი ყველაზე უმძიმესი 1723-1747 წლები იყო. გარეშე მტრების ამ გამანადგურებელი მოქმედების შედეგად კულტურული მემკვიდრეობა დაეცა და მცხოვ-

94

რებთა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა. 1770 წლის საპუთის მიხედვით, სრულიად გაუკაცრიელებული ადგილების გვერდით ძალზე შემცირებული მოსახლეობა იყო და ამიტომ აღწერის ცნობებში ისინი არ არის შეტანილი (თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი, გუჯარეთი, ივრისპირი, სომხით-საბარათიანო). ერთ-ერთ საბუთში კი ნათქვამია, რომ სომხით-საბარათიანოში ასისგან ერთიღა არის დარჩენილიო. სხვაგან კიდევ ძლივს არსებობდა შეთხელებული მოსახლეობა. ამ განაპირა მხარის განადგურება კი ქართლის სამეფოს სამხრეთ საზღვარს საშიშროებას უქმნიდა. ქვეყანა საფრთხის წინაშე იდგა; ოსმალობას ყიზილბაშობა ცვლიდა და, პირიქით. მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. ბევრ ადგილას ხდებოდა აყრა. ასე იქცა XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ქვემო ქართლი თითქმის ნასოფლარებად.

დაუსახლებელმა ადგილებმა, ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, XIX საუკუნის მანძილზე განსახლდნენ ქვემო ქართლის შეესება დასახლებული პუნქტებით და მისი მოსახლეობით. სწორედ ამ პერიოდში გაიმიჯნა ქართველ და არაქართველ მოსახლეთა დასახლება. ამასთან, ქართველი მოსახლეობის ნაწილი ადგილზევე შემორჩა, ხოლო ნაწილი ბრუნდებოდა თავიანთ მამაპაპურ ადგილებში.

თურქული მოდგმის ხალხის გავრცელება ქვემო ქართლში მდინარე დებედას ქვემო ნაწილიდან იწყება XVII საუკუნეში რამდენიმე კომლის სახით, რომლებმაც შემდეგ მთელ ქვემო ქართლს გადაუარეს. ეს ის თურქული მოდგმის ხალხია, კახეთიდან აყრილი და სპარსეთში ტყვედ წაყვანილი ქართველების ნაცვლად რომ ჩამოგვისახლა შაჰაბაზმა. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით რომ ვთქვათ: „...ოდეს მიუხუნა შააბაზ პე (85) და მეფეს გიორგის (გიორგი სიმონისძე, ქართლის მეფე 1600-1605 წწ.), მან მოიყვანა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“. ამ ტომის ხალხის გავრცელებამ განსაკუთრებით იმატა XVIII საუკუნეში, ხოლო შემდგომ მთელ ქვემო ქართლს მოედევნა.

სომეხი მოსახლეობის გამოჩენა ქვემო ქართლში უძველეს პერიოდს მიეკუთვნება. როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია, სომხური მოსახლეობის შემოღწევა აქ რაძენიმე მიგრაციული ტალღით ხორციელდებოდა, მაგრამ მთელი ეს მოსახლეობა XVII-XVIII საუკუნეებში, განუწყვეტელი შემოსევებისა და ლეკიანობის შედეგად, აბორიგენ ქართველ მოსახლეობასთან ერთად ამომწყდარა. უფრო გვიან, სომეხი მოსახლეობა აქ მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულს სახლდება ერეკლე მეფის ნებართვით. სომხური მოსახლეობა ქვემო ქართლში მატულობს 1827-1828 წლებში და შემდგომ პერიოდში რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით.

XIX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1818 წელს საქართველოში ჩამოდის გერმანელთა ერთი ჯგუფი, რომლებიც სახლდებიან აგრეთვე ქვემო ქართლში; მათ შორის დღევანდელი ქ. ბოლნისის ტერიტორიაზე, ასურეთში, ქოთიშში, მანგლისში, თეთრიწყაროში, კიროვისში, თამარისში, თრიალეთში, ოლიანგში და სხვა. მეფის მთავრობამ გერმანელები არათუ დაასახლა, არამედ მათი მეურნეობის მოსაწყობად საგანგებო ზომებიც მიიღო.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დასახლდნენ ბერძნებიც. საერთოდ, ბერძნების მოსვლა ქვემო ქართლში დაკავშირებული იყო სამთამანდო სამუშაოების აღორძინებასთან. ამ მხარეში გამოცდილი ანატოლიელი ბერძნები მოიწვიეს XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ბერძნები საქართველოში მოდიოდნენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში წარმოებული ბერძენ თურქთა და რუსეთ-თურქეთის ომების დროს (1828-1829 წწ.). სწორედ ამ დროს ჩასახლდა ქვემო ქართლში ბერძენთა უმრავლესობა, რომლებიც ძირითადად თურქულენოვანი მოსახლეობა იყო. გარდა ამისა, ბერძნები ქვემო ქართლში XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც დასახლდნენ.

XIX საუკუნეში დასახლდნენ ქვემო ქართლში აგრეთვე რუსები; ჯერ წარმოიშვა სამხედრო დასახლებები, ხოლო შემდეგ ბევრი მათგანი მუდმივ საცხოვრებლად დარჩა. ისინი განლაგებული იყვნენ თეთ-

რწყაროში, მანგლისში, ორბეთში და სხვა. გარდა ამისა, რამდენიმე პუნქტში დასახლდნენ რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან მოსული რუსი სექტანტები.

ზემოთ აღნიშნული მიზეზებისა გამო დავიწყებას მიეცა ქვემო, ქართლის ბევრი ძველი ქართული ტოპონიმი და მათ ნაცვლად შესაბამისად მოედო თურქული, სომხური, გერმანული რუსული და სხვა სახელები. მართალია, ზოგი სახელწოდება (გერმანული, რუსული, თურქული) შევცვალეთ ძველი ქართული სახელით, მაგრამ უმთავრესად უმართებულოდ მივაკუთვნეთ სხვა პუნქტების სახელები, თუმცა ისიც უნდა ითქვას, ამ ღონისძიებებისაგან მიღებული ეფექტი ზღვაში წვეთია. თურქულენოვანმა ტოპონიმებმა, ქართული სახელწოდებების ხარჯზე წააგდო ქვემო ქართლი. აქ, მარტო თურქულენოვანი ოიკონიმების (დასახლებული პუნქტების) სახელწოდებათა რაოდენობა 60 პროცენტს აჭარბებს. თუ აზერბაიჯანში, საინგილოს ქართულ მოსახლეობას თვალსა და ხელს შუა უქრობენ მამაკაპურ ძირძველ ტოპონიმებს, ჩვენ ხომ საამისო მსგავსი არა გვჭირს რა; ლაპარაკია სახელწოდებების აღდგენასა და გასწორებაზე; მაშ, რისი, ან ვისი გვერიდება?...

ორ ათეულ წელზე მეტია საქართველოსა და საბჭოთა კავშირის რიგ არქივებში გამოვლენილი ქართული და არაქართული უამრავი ჩანაწერების, სხვადასხვა საუკუნეების ისტორიული საბუთების, სიგელ-გუჯრების, ნარატიული წყაროებით, უცხოელი მოგზაურების ჩანაწერებით, ასეულობით კარტოგრაფიული წყაროებით, აგრეთვე სხვადასხვა მობოვებული მასალების საფუძველზე შესრულდა ძველი ქართული ტოპონიმების მეცნიერული ლოკალიზაცია; სამწუხაროდ, ადგილის შეზღუდულობის გამო თითოეულ გეოგრაფიულ სახელწოდებაზე ნაკლები მასალა აქ შეუძლებელია გადმოიცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა გამო ისმის კითხვა — როდემდე უნდა დარჩეს საზოგადოების სამართლიანი მოთხოვნა პრაქტიკულად განუხორციელებელი?!... წავიდა ავადმოსაგონარი წლები, საკმაო ხანია გაენთავისუფლდით ვოლუნტარიზმისა და უძრაობის პერიოდისაგან.



დღეს დემოკრატიისა და გარდაქმნის პერიოდში დიდი იმედები გვაქვს წარსულში დაშვებული შეცდომების გასწორებისა. თუ გვინდა ამჯერადაც ავტორიტეტი არ შეგველახოს, მომავალში ეს პერიოდიც ავად არ მოიგონონ, მოვახდინოთ ტოპონიმთა რეაბილიტაცია და მათ იურიდიული სტატუსი მივანიჭოთ.

**რეაბილიტაცია:** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის კობა ზარაძის წერილში მრავალი საყურადღებო პრობლემაა დასმული, რომლებიც ჯეროვან სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ. სავსებით ვიზიარებთ ავტორის პოზიციას. კერძოდ, იმას, რომ ტოპონიმები, როგორც ერის ისტორიის ორგანული ნაწილი და ცივილიზაციის ძეგლები არ შეიძლება იქცნენ თვითნებობის საგნად. სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვეპოვება მათი დაცვის, შეცვლის თუ აღდგენის მომწესრიგებელი ზოგადი წესები. ქართველმა იურისტებმა, თავის დროზე, სათანადო წვლილი შეიტანეს ისტორიული ძეგლების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფი ნორმების შექმნაში. ქართული სამართალშემოქმედების შედეგები სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამაც გაიზიარა. კობა ზარაძის წერილს რედაქცია აქვეყნებს განხილვის წესით და თხოვს საქართველოს მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტებს, მოგვაწოდონ თავიანთი მოსაზრებები ტოპონიმების დაცვის მყარი სამართლებრივი მექანიზმის ჩამოსაყალიბებლად.

## ნებთავ სულ არ მინახა...

ახლახან შემთხვევით ხელში ჩამივარდა მეტად „უნიკალური“ გამოცემა, რომლის შესახებაც მინდა მოვუთხრო მკითხველს; თუმცა გამოცემას გამომცემელი არ ჰყავს (შეკვეთით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაშია დაბეჭდილი). ცხადია, არც რედაქტორი; სამეცნიერო რედაქტორსა ან სარედაქციო კოლეგიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ნაშრომი შექმნილია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, საკმაოდ სოლიდურ ავტორთა ჯგუფის მიერ – ლ.ი. ჩარკვიანი, ლ.კ. შარაშიძე, დ.ა. ღვაშიჩავა, კ.კ. მადიჩი, ზ.ო. რობაქიძე, ნ.ს. ჩაჩანიძე, თ.დ. ჩარკვიანი. ქართველ კაცს მამის სახელით არ მიმართავენ და, ცხადია, აქ ინიციალბიც ზედმეტია. ასევეა ინგლისურშიც. მაგრამ ზოგი ავტორი და გამომცემელიც დაჟინებით მიმართავს ასეთ ხერხს, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია (წლების მანძილზე ზოგიერთ გამომცემლობასა და რედაქციაში დავა მაქვს იმაზე, რომ ქართულში სახელი სრულად უნდა იწერებოდეს.).

თუმცა, რაღა სატიტულო ფურცლიდან ვიწყებ, ნაშრომი ზომიერად იწყება. როცა პირველად ამ გამოცემას გარედან დავხედე, მოსწავლის სახატავი რვეული მეგონა. თეთრ ყდაზე გლობუსის უხეირო იმიტაციაა გაკეთებული ზედხედიდან, ოკეანეები და ზღვები ცისფრად შეღებილია, საბჭოთა კავშირი წითლად, რომელსაც СССР აწერია, ხოლო საქართველო კიდევ უფრო მუქი წითლით არის შეღებილი, ΓССР კი თურქეთის ტერიტორიაზე აწერია. დანარჩენი მსოფლიო თეთრად არის დატოვებული. ყდის მარჯვენა მხარეზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წარწერაა – ატლასი. თქვენ წარმოიდგინეთ, მოსწავლის სახატავი რვეული კი არა, არამედ ატლასი ყოფილა. მკითხველი ალბათ მეტყვის, გადაგეშალა და გაგვეო რა იყო. კი,

მაგრამ წიგნი თუ არ გადაშალე ყდით ვერ უნდა გაიგო რა წიგნია? რისი ატლასი, ვისი ატლასი, ხომ ყდამ უნდა მითხრას? ერთად ერთი, რაც გასაგები გახდა, ატლასი სამ ენოვანი ყოფილა. ტყუილად მაჩქარებდი მკითხველო, ამ ნაშრომის გადაფურცვლას. ნეტავ არ გადამეშალა...

ახლა სათაურიც ვნახოთ – „ქალის სასქესო ორგანოების და სარძევე ჯირკვლის კბოთი დაავადება საქართველოს სსრ-ში 20 წლის მანძილზე (1965-1984)“. კიდევ კარგი საქართველოს სსრ-ში და ღმერთმა გვაშოროს საქართველოს რესპუბლიკაში. სათაურის მიხედვით უკვე არ ჩანს იგი ატლასია თუ წიგნი. მე არ ვიცი, რამდენად ესაჭიროებათ მსოფლიოს ქვეყნებს ასეთი ნაშრომი, იმ დროს როცა ჩვენი ბრწყინვალე ძველი მატერიალური კულტურის ძეგლების ატლასი ვერ გამოგვიცია, რითაც ბევრი უცხოელი ხელოვნებათმცოდნე ნამდვილად დაინტერესდებოდა.

ჩემს კომპეტენციაში სრულიად არ შედის ამ ატლასის შინაარსის ავ-კარგზე მოგახსენოთ, ამის გაკეთება დარგის სპეციალისტების უშუალო საქმეა. წინამდებარე წერილის დაწერა ერთმა აღმაშფოთებელმა გარემოებამ გადაამაწყვეტინა. ადრეც ვფიქრობდი და მით უმეტეს ახლა, რომ საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში, განურჩევლად სპეციალობისა, უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ქვეყნის ისტორია. იგი ექიმსაც, ინჟინერსაც, სოფლის მეურნეობის მუშაკსაც... ერთნაირად სჭირდება. ასე რომ ყოფილიყო, ზემოაღნიშნული ნაშრომის შემქმნელები უხეშ შეცდომას არ დაუშვებდნენ. თავდაპირველად ვიფიქრე – ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში მივალ და ვთხოვ, რათა არ გავრცელებულიყო ეს გამოცემა. თურმე რამდენიმე თვის წინათ იგი საქწიგნის მალაზიებში იყიდებოდა და ოჯახებიდან ახლა ვილას დააბრუნებინებ, მით უმეტეს, ნაშრომი სამ ენოვანია და საზღვარგარეთ თუ არა, საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქში მაინც იქნება ავტორებისაგან კოლეგებისათვის გაგზავნილი. იმ საბჭოთა კავშირში, რომლის შესახებ ავტორები წე-

რენ: „საქართველოს სსრ მდებარეობს ევროპისა და აზიის საზღვარზე სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილში და წარმოადგენს ერთერთს თხუთმეტი სრულუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკიდან“. ამიტომ, ჩვენივე ქართული გამოცემა ბუმერანგივით უკან რომ არ დაგვიბრუნდეს, ეს პატარა კრიტიკული წერილი მაინც არსებობდეს, მით უმეტეს ატლასი უცხოელებისთვისაც არის განკუთვნილი.

ნაშრომის მეორე პარაგრაფში — „საქართველოს სსრ მოკლე ეთნიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და დემოგრაფიული დახასიათება“ — თეთრზე შავით სწერია: „საქართველოს ეთნიკური რაიონების ფორმირება ხდებოდა ჯერ კიდევ უძველეს დროს (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — კ.ხ.) და ამას, როგორც წესი, ხელს უწყობდა ცალკეული პროვინციების ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ნიშნების თავისებურებები“. შემდეგ კი აღნიშნულია: „სხვადასხვა კუთხეების ისტორიული ბედის ერთიანობის მიუხედავად საქართველო ძალზე მრავალფეროვანია როგორც ბუნებრივი, ასევე ეთნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან, ბუნებრივ გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ნიშანთვისებების საფუძველზე ჩამოყალიბდა ცალკეული კუთხეები — რეგიონები (პროვინციები): აღმოსავლეთ საქართველო — ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი, ოსეთი, ფშავ-ხევსურეთი, დასავლეთ საქართველო — აჭარა, აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი“. ვაი, შენ, ჩემო თავო... ბოლოხანს გვიკვირს, საიდან იღებენ მონაცემებს სხვა ხალხი, როცა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას ძველ პროვინციად მიუთითებენ. ამაზე მეტი რა გინდა, შვიდი ქართველი მეცნიერის ნაშრომი (შეიძლება ზოგი მათგანი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი) საქართველოს ძველი რეგიონების (პროვინციების) ჩამოთვლისას გაბედულად იხსენიებს ოსეთს. ამის შემდეგ რომელ სხვა ხალხზე შეიძლება საყვედური? ხომ შემოგობრუნდება და გეტყვის — „პატონო, თქვენი მეცნიერები ასე ბეჭდავენ და ჩვენ რა მოგვეთხოვე-

ბაო“... სამწუხაროდ, სინამდვილეს ვერსად გაექცევი. მით უმეტეს, ის ციტატი, რაც ზემოთ მოვიტანეთ, რუსულ და ინგლისურ ენებზეც უცვლელად არის დაბეჭდილი.

ნაშრომის შემდეგ პარაგრაფში – „რეგიონები“ მოკლედ არის დახასიათებული თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონი. მათი გაცნობით მკითხველს თავს არ შეეაწყენ, მხოლოდ ავტორთა მიერ შემოთავაზებულ საქართველოს ერთ „ძველ რეგიონს“ ოსეთს გაგაცნობთ: – „ოსეთი მდებარეობს ჩრდილოეთის მაღალმთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ძირში. ტერიტორიის ორი მესამედი უჭირავს საშუალო და მაღალმთიან ადგილებს, სადაც ჭარბობს ზღვის დონიდან 1500-3200 მ სიმაღლეები. რეგიონში 4 ადმინისტრაციული რაიონია 3,8 ათასი კვ. კმ საერთო ფართობით.

რეგიონის ჰავა იცვლება ადგილის სიმაღლის ცვლასთან ერთად. აქ ზაფხული მოკლეა და ზამთარი კი – ხანგრძლივთოვლიანი“.

ვერ გეტყვი, რომელ ნაშრომებიდან ისარგებლეს ავტორებმა, მაგრამ ამ მოკლე დახასიათებაში რომ ბევრი უაზრობაა, თქმა არ უნდა. ნაშრომს რომ რედაქტორი ჰყოლოდა, იქნებ ეს უაზრო, ჩიქორთული ქართულით წარმოდგენილი წინადადებაც არ ყოფილიყო – „ოსეთი – მდებარეობს ჩრდილოეთის მაღალმთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ძირში“. რას ჰქვია ჩრდილოეთის მაღალმთიანეთი, რას ჰქვია აღმოსავლეთი ნაწილი, ან სამხრეთის ძირში? ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ცენტრალური კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ნაწილშია და არა აღმოსავლეთ ნაწილში; ამასთან, სამხრეთის ძირში კი არ მდებარეობს, არამედ წყალგამყოფი ქედის სამხრეთით. თურმე მისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი 1500-3200 მ სიმაღლეზე ყოფილა. კიდევ კარგი, შიდა ქართლის ეს ნაწილი ტიბეტის ზეგანს არ შეადარეს. თუმცა, ჰავის მიხედვით, ზემოაღნიშნულ ავტორთა თქმით, ეს მხარე არქტიკულ ზონას არ ჩამოუვარდება – „აქ ზაფხული მოკლეა და ზამთარი კი – ხანგრძლივთოვ-

ლიანი“. ამის წამკითხველი უცხოელი ნამდვილად თუ ამ მხარეში და-  
აპირებს წამოსვლას, ზაფხულშიც თბილ ტანსაცმელს წაპოილებს.

აი, ასე გააცნობიერეს შვიდმა ქართველმა ავტორმა არა მარტო  
უცხოელი მკითხველი, არამედ ჩვენიც. ჩვენიც იმიტომ, რომ ამისთანა  
ისტორია, გეოგრაფია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის  
68 წლიანი არსებობის მანძილზე არსად წამკითხავს.

ყველაფერი ეს კი, შემდეგ თვალსაჩინოდ არის გადმოცემული  
20 კარტოგრამაზე და 5 ცხრილში, რომლებიც ზემოაღნიშნულ ატ-  
ლასშია მოთავსებული. კარტოგრამებზე უკვე ოსეთის ნაცვლად გაჩნდა  
სამხრეთ ოსეთი, ცხადია ავტონომიური ოლქის აღნიშვნის გარეშე.  
ასევეა ცხრილებშიც. მაგრამ გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ კარტოგ-  
რამებზე ყველგან რუსულად „Юго-Осетия“, ცხრილებში „Юго-  
Осети“, ხოლო ტექსტში „Осети“ წერია. აქ კი კომენტარი ზედმე-  
ტია.

ნაშრომის ავტორები ალბათ მეტყვიან, ჩვენი ნაშრომი ხომ 1989  
წელს დაიბეჭდა და ამდენად, ის ცვლილება ვერ მოხდებოდა, რომე-  
ლიც ამჟამად არისო. მე სრულებით არ ვსაყვედურობ იმას, რომ სამ-  
ხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ასახულიყო ტექსტსა და რუკებზე,  
რამდენადაც გინდოდა თუ არა, ფაქტი იყო არსებობდა იგი. საქმე ეხე-  
ბა იმას, რომ საქართველოს ძველი პროვინცია სამხრეთ ოსეთი, მით  
უფრო ოსეთი, არასოდეს ყოფილა. რომელ ძველ პროვინციაზე შეიძ-  
ლება ლაპარაკი, როცა 1921 წელსაც კი ცხინვალში მხოლოდ რამდე-  
ნიმე ოჯახი იყო ოსური. ამის შემდეგ ღირს კი ლაპარაკი ბუნებრივ-  
გეოგრაფიული, ეთნიკურ, ეკონომიკურ პროვინციაზე შიდა ქართლის  
ძირძველ და განუყოფელ ნაწილზე? უფრო მეტიც, თუ სხვაგვარად არ  
ჩამომართმევთ, წინამდებარე ნაშრომის ავტორებს შემიძლია მივუთითო  
„საქართველოს სსრ წითელი წიგნი“, რომელსაც დანართის სახით  
აქვს ჩაკეცილი ფერადი რუკა, რომელზეც სამხრეთ ოსეთის ავტონო-  
მიური ოლქის საზღვარი საერთოდ მოხსნილია, ეს რუკა კი 1981  
წელს არის დაბეჭდილი იმ საიდუმლოებათა №8 კარტოგრაფიულ

ფაბრიკაში, სადაც მოსკოვის გარეშე ერთ წერტილსაც ვერ გააპარებ-  
დი. დღეს შეგვიძლია მსგავსი რამ უშიშრად გავაკეთოთ, მაგრამ იმ  
დროს ეს რისკის ფასი იყო... ჩვენ ავტორებს კი საამისო არაფერი  
სჭირდათ და 1989 წელს სიმართლის დაწერისათვის არ დასჯიდნენ,  
მით უმეტეს, ატლასი ალბათ 1990 წელს გამოვიდა. ავტორებმა კი  
დღევანდლობას ფეხდაფეხ უნდა მისდიონ და დაბეჭდვის წინ უნდა  
მოახდინონ ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივ და პოლიტი-  
კურ ცხოვრებაში აისახება. ჩვენს ავტორებს უნდა გამოეჩინათ მეცნიე-  
რული და მოქალაქეობრივი მრწამსი, ეჩვენებინათ თავიანთი ნაშრომი  
შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის, რათა არ გაპარულიყო ასე-  
თი ლაფსუსი. მით უმეტეს, ნაშრომს არათუ სამეცნიერო რედაქტორი,  
არამედ რეკენზენტებიც არ ჰყოლია (ყოველ შემთხვევაში ნაშრომზე  
მითითებული არ არის).

და კიდევ, ვისარგებლებ შემთხვევით და აღვნიშნავ; ხშირად წე-  
რენ და ზეპირმეტყველებაში გადმოსცემენ ტერმინ რუკის ნაცვლად  
რუქას. ასეა წინამდებარე ნაშრომშიც. უნდა ითქვას, რომ არც ერთ  
თანამედროვე გამოცემულ რუქას რუქა არ აწერია. თვით ქართული  
ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ზაზგასმითაა აღნიშნული – „რუქა  
კი არა რუკა“. ამას წინათ, ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა  
„მოამბეში“ გამოსვლის შემდეგ ერთმა ნაცნობმა დამირეკა და მითხრა:  
„ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ თუ არ გეწყინება ერთი შენიშვნა უნ-  
და გითხრა, საუბრისას რუქის ნაცვლად სულ რუქას ახსენებდი“.

აღარ შეუდგები ნაშრომის განხილვას, მაგრამ თვალის ერთი  
გადავლბითაც ჩანს, რომ თვით კარტოგრაფებიც პრიმიტიულად არის  
გაკეთებული. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი წერილი მხოლოდ ერთ მი-  
ზანს ემსახურება, რათა მომავალში მაინც აღარ განმეორდეს ასეთი  
რამ. საჭიროა შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციების მიღება,  
რათა მეცნიერული ნაშრომი მართლა ნაშრომს დაემსგავსოს...

წინამდებარე ატლასის შესავლის ბოლოს აღვნიშნულია: „ვიმე-  
დოვნებთ, რომ ატლასი გარკვეულ საშსახურს გაუწევს ავთვისებიანი

სიმსივნეების ეტიმოლოგიის დარგში მომუშავე მკვლევარებსა და ჯანდაცვის ორგანიზატორებს. იგი აგრეთვე სასარგებლო იქნება ექიმ-ონკოლოგების, გინეკოლოგებისა და პიგიენისტებისათვის“. ვერ გეტყვით, რა სამსახურს და სარგებლობას გაუწევს ჩამოთვლილ სპეციალისტებს ეს ატლასი, მაგრამ ჩვენს ავთვისებიან მტრებს, რომ სარგებლობას მოუტანს, ეს ნათელია...

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 აპრილი, 1991 წ. გვ. 3.

### ყალბისმძინელებო, შეჩერდით...

„ნუ სცნობნ მარცხენე შენი,  
რასა იქმოდის მარჯვენე შენი“.  
მათე VI-3

უკანასკნელ პერიოდში, აქაოდა თავისუფალი გამოცემის უფლება გაქვსო, გაჩნდა ბევრი ქართული კარტოგრაფიული ნაწარმი; გაგიხარია, კარგი რამ არის ეროვნული კარტოგრაფიული პროდუქციის გამოშვებება და შექმნა. ამ მხრივ, საჭიროა მართლა ეროვნული რუკებისა და გეგმების მიწოდება მოსახლეობის ფართო ნაწილისათვის. პარადოქსია, მაგრამ ეს საქმე თავს უნდა იღვას სპეციალისტმა, 4-5 წელი მაინც რომ სწავლობს ამ საქმეს, და არა შემთხვევითმა პირებმა. პური მეპურემ გამოაცხოს... ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამ ბოლო დროს, ქუჩებში სახელდახელოდ შერჩეულ ადგილებში, სპეციალურ და ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში, მაღაზიებში საკმაოდ მომრავლდა ქართული რუკები და გეგმები, რომლებზედაც წლების განმავლობაში ვოცნებობდით. სამწუხაროდ, უმეტესობა მდარე ხასიათისაა, ვერ აკმა-



კოლხის ვერც მკნიერულ, ვერც ტექნიკურ და ვერც ესთეტიკურ  
 მსაზუნებს.

3. თბილისის გეგმა



1	2	3	4	5
6	7	8	9	10
11	12	13	14	15
16	17	18	19	20
21	22	23	24	25
26	27	28	29	30
31	32	33	34	35
36	37	38	39	40
41	42	43	44	45
46	47	48	49	50
51	52	53	54	55
56	57	58	59	60
61	62	63	64	65
66	67	68	69	70
71	72	73	74	75
76	77	78	79	80
81	82	83	84	85
86	87	88	89	90
91	92	93	94	95
96	97	98	99	100

ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ 1735 წლის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის გეგმაზე. იგი მოთავსებულია მისსავე ატლასის ერთ-ერთ რუკაზე. ეს არის თბილისის პირველი ტოპოგრაფიული გეგმა (მანამდე იყო ორი გეგმა-ნახატი შესრულებული შარდენისა და ტურნეფორის მიერ). გეგმის სათაურია: „სახე ტბილისისა ახლად დახაზული ამისვე მხაზველისა რომელ არს სატახტო ქართლისა: ნიშანი ციფრით ზემორ წერილ არიან თვითვეულად ყოვლისა“. გეგმაზე (სიდიდე 18,2X20 სმ, მასშტაბი 1:8000) საკმაოდ სიზუსტითაა გამოხატული ცალკეული უბნები და ადგილები; ნაჩვენებია მთები, მდინარეები, კვარტალები, მთავარი ქუჩები, ბაღები და სხვა. ვახუშტისეულ თბილისის გეგმაზე ქალაქის სამი ნაწილია აღნიშნული: თბილისი, კალა და ისანი. მიუხედავად ამისა, გეგმაზე კარგად ჩანს აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მდებარე ადგილების ათვისება. მათ შორის გამოირჩევა ე. წ. „გარეთუბანი“, რომელსაც ვახუშტის თქმით მეოთხე „ქალაქს“ უწოდებენ. ცხადია გეგმა ფერადია და იმ დროისათვის მაღალ მეცნიერულ და ტექნიკურ დონეზეა შესრულებული. ეს გეგმა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიბეჭდა საფრანგეთში ცნობილი კარტოგრაფის ჟოზეფ ნიკოლა დელილის ინიციატივით. აღსანიშნავია, რომ რუკები, რომელზედაც თბილისის გეგმა არის გამოსახული, XIX საუკუნეში სხვა წიგნებთან ერთად მოხვედრილა ყაზანის უნივერსიტეტის წიგნსაცავში, რომელიც ოდესღაც გ.ა. პოტიომკინ თავრიზელს ჰქონდა მითვისებული (ამჟამად დაცულია საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის<sup>1</sup> ფონდებში. თბილისის ვახუშტისეული გეგმა რამდენჯერმე დაიბეჭდა სხვადასხვა წიგნებში, როგორც ქართულ, ისე რუსული ვარიანტით (ფერადი ან შავ-თეთრი გამოსახულებით). ქართული გამოცემის საფუძვლად თვით ვახუშტის დედანს იღებენ, ხოლო რუსული ვარიანტისათვის იყენებდნენ ვინმე მხატვარ-ლითოგრაფისტ კ. ტომ-

<sup>1</sup> ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



ცხადია, ამ ისტორიული განძის ყოველი ახალი გამოჩენება სასიამოვნო და მისასალმებელია, მით უმეტეს ახლახან წიგნის მაღაზიებში გაჩნდა ვახუშტისეული თბილისის გეგმა (დენის ზომაზე ორჯერ გადიდებული), გეგმის ქვემოთ აწერია „Т. Т. П. О. Цена догов. 45 коп.“ გიხარია, რომ ბოლო დროს ეღირსა ამ გეგმას ცალკე დაბეჭდვა და მასიურ მკითხველამდე მიტანა. მიუხედავად ამისა, თვალის ერთი შევლვებითაც გული გწყდება, რომ იგი შავ-თეთრი ვარიანტითაა დაბეჭდილი. ვაი, რომ გეგმის გადათვლიერების შემდეგ გულის დაწყვეტა აღშფოთებაში გადადის. გამომცემლის მიერ შედგენილი სათაური და ლეგენდა ქართულია (თუმცა ვახუშტის თბილისის გეგმისათვის ასეთი სათაური არ მიუცია). გეგმაზე წარწერები რუსულადაა გაკეთებული; ზუსტი ასლია ზემოაღნიშნული კ. ტომსონის მიერ რუსული ვარიანტით გაკეთებული გეგმისა, რაც კიდევ მითითებულია გეგმის ჩარჩოს ქვედა მარჯვენა კუთხეში: „Худож. Литогр. К. Томсона в Тифлисе“. ეს გარემოება კი სრულიადაც არ ამართლებს წინამდებარე გეგმის გამომცემლებს, რამდენადაც სათაურისა და ლეგენდის თარგმნის გარდა თვით გეგმაზე არსებული წარწერებიც უნდა გაქართულებულიყო. ცხადია, აქ იოლი გზაა არჩეული და პირდაპირ ასლია გაკეთებული.

წინამდებარე თბილისის გეგმას გამომცემლებმა სათაურად რუსულიდან თარგმნილი ვარიანტი მისცეს — „ქ. თბილისის გეგმა შედგენილი 1735 წელს უფლისწული ვახუშტის მიერ“. თვით ვახუშტის მიერ გაკეთებული სათაურის შესახებ ზემოთ აღვნიშნე. ერთი რამ მაინც გაუგებარია, თუ ამ გეგმის ახლანდელ გამომცემლებს მაინცდამაინც ქართულად უნდოდათ გამოეცათ თბილისის ვახუშტისეული გეგმა, ნუთუ ასე ძნელი იყო მათთვის დენის, ან ქართული ვარიანტის მოძებნა? მით უმეტეს, ამ ლეგენდის უხეირო თარგმანზე არ დაეხარჯებოდათ შრომა. ეს კიდევ არაფერია, მთავარია, რომ ვახუშტისეული თბილისის გეგმის ლეგენდის წარწერების 90 პროცენტი გადასხვაფერებულია, ხოლო ზოგიერთი სულ სხვა შინაარსისაა მოცემული, ცხადია.

ყველას ჩამოთვლა ამ წერილში შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმეს მაინც გაგაცნობთ — ვახუშტის უწერია „დედოფლის ბაღი“, ახლანდელ გამოცემლებს „მეფის ასულის ბაღი“; ასევე — „მეფის ღის ბაღი“, „ტიბლისის ხიდი ციხიდან“ და „ტიბლისის ღია ხიდი“, „მთაბორი“ და „მთა-ბარი“, „ოქუნან ხიდი“ და „ოკოვეების ხიდი“, „მეფის ფუნდუკი“ და „მეფის საჯინიბო“, „ყარბულის ბაღი“ და „ბაღი-კაიბულა“, „საბა-ზიერო მეფის“ და „მეფის საშეგარდენო ეზო“, „სალალაკის წყალი“ და „სოლოლაკის ნაკადული“, „ხვალანგარი“ და „სალათგარი“, „ციხე დაბალი“ და „ქვემო ციხე-სიმაგრე“, „მაღალი ციხე“ და „ზემო ციხე-სიმაგრე“, „კლდისუბანი“ და „კლდიანი უბანი“, „დეღე“ და „ხრამი“, „თხრილი“ და „ღარტაფი“, „გორა“ და „მთა“ და სხვა. როგორც ხედავთ, ბევრი მათგანის შინაარსი სრულიად შეცვლილია, ხოლო ზოგი ადგილის სახელწოდება (მთაბორი, კლდის უბანი და სხვა) სხვა სიტყვებზე არის გააზრებულ. ზოგ სახელწოდებაში არასწორად არის გადატანილი ქ-ს ნაცვლად კ, ღ-ს ნაცვლად გ და სხვ.

ახლა ისიც ვიკითხოთ, ვისთვის არის საჭირო დედანთან შეუსაბამო ასეთი გეგმა? იგი ან ქართულად უნდა გამოცემულიყო, ან რუსულად. ასეთი ნარევი — ქართულ-რუსული გეგმა ვის სჭირდება? მეცნიერისათვის ეს გეგმა სრულიად გამოუსადეგარია, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვახუშტისეული თბილისის გეგმის წარწერების თითქმის 90 პროცენტი გადაკეთებულია.

ვახუშტი ბაგრატიონი, ქართულად აღზრდილი, შემდეგში იძულებით მოსკოვში მოხვედრილი, სულით ზორცამდე ქართველი იყო და არასოდეს შეუცვლია თავისი მრწამსი. მისი ყველა ნაშრომი ქართულად არის გაკეთებული. ქართულად შექმნა მან იმ დროისათვის მსოფლიო სტანდარტების დონეზე საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, საქართველოს ატლასები და სხვა. უფრო მეტიც, მრავალი რუსული და უცხოური ნაწარმოები თარგმნა ქართულად, მათ შორის, მსოფლიო გეოგრაფია და მსოფლიო ატლასი და კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ... ასე, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ ქართულად აზროვ-


ნებდა და მისი მთავარი მიზანი იყო ქართველებისათვის შეექმნა სახელმძღვანელოები და სხვადასხვა ლიტერატურა. მან შესანიშნავად იცოდა რუსული ენა, მაგრამ თითქმის არაფერი შეუქმნია რუსულად. საქართველოს სიყვარულში დამაშვრალმა მეცნიერმა მოსკოვშივე ჰპლვა საუკუნო განსასვენებელი ისე, რომ ერთი წარწერიანი ქვა არ ეღირსა, რათა შთამომავლობას არ დაეკარგა. მალე ამ ღიღი მეცნიერის დაბადების 300 წლისთავი უნდა აღენიშნოთ და ასეთი გამოცემებით მას შეურაცხყოფას ვაყენებთ.

დაბოლოს, თუ ჩვენი წინაპრების ღიღი რუდუნებით შესრულებული კარტოგრაფიული ნაწარმოებების ნორმალური გამოცემა არ შგვიძლია, ისევ სჯობს წიგნთსაცავებსა და არქივებში უძრავად ელაგოს, ვიდრე არ ვისწავლით მათ სათანადო დონეზე გამოცემას.

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელი“, 4 ივლისი, 1991 წელი, გვ. 7.

## დ. ცხინვალის შემოგარენი

ახლანდელი ქალაქ ცხინვალის ქვედა ნაწილში მდებარეობდა „მცირე ქალაქი“, რომელიც ქრცხინვალის სახელით იყო ცნობილი. სახელწოდება წარმოშობილია მცენარე ქრცხილასაგან. ძველ წყაროებში ქრცხინვალია. ქალაქის მიდამოებში ნაპოვნია ადამიანის ცხოვრების ენეოლით-ადრებრინჯაოს კვალი. პლატონ იოსელიანი (1850) ცხინვალის დაარსებას III საუკუნიდან თვლის, მაგრამ საბუთი არ მოჰყავს. ქართულ წყაროებში ცხინვალი XIV საუკუნიდან იხსენიება.



ცხინვალის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარის მარცხენა მხარეზე მდებარეობდა ზღუდერი და ფიჩხის ქალაქი. ზღუდერს ახლაც ეძახიან ეკლესიას და გალავნის შემოგარენს. თვით სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ეს ადგილი ზღუდეშემოვლებული იყო, რომლის ფრამენტებია შემორჩენილი. ფიჩხის ქალაქის შესახებ სპეციალური წერილი აქვს გამოქვეყნებული მ. ცოტნიაშვილს (სად იყო „ფიჩხის ქალაქი“. გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 25 ივნისი, 1967). იგი აღნიშნავს, რომ „ბორცვის (ზღუდერის – კ.ხ.) სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 50 მ-ის მანძილზე შეიმჩნევა სქელი კედლის საძირკვლის ნაშთები. საძირკველი ერთ ზოლად მიემართება; უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ციხე-გალავნის ნაწილი იყო. მის შიგნით შეინიშნება ნასახლარები“. ნასახლარები მართლაც შეიმჩნევა, მაგრამ „საძირკველი“, რომელიც ერთ ზოლად მიემართება და ციხე-გალავნის ნაწილადაა ჩათვლილი, მთლად ასე როდია. საქმე ისაა, რომ სოფ. ერგენტის მიდამოებიდან, ხეობის მარცხენა მხარეზე, ტერასა გამოკვეთილია კონგლომერატებით აგებულ მთისწინეთიდან და გასდევს ფერდობს სოფ. ხეთამდე. სწორედ ეს კონგლომერატების ზოლი გასდევს აქ რამდენიმე კილომეტრზეც კი, რომელიც ცხინვალის გზის მშენებლობასთან ერთად უფრო გაშიშვლდა და ზღუდის საძირკველს დაემსგავსა. ამის შესახებ გამოკვლევა აქვს ლ. კოლოშვილს (ტირიფონ-მუხრანის დეპრესიის კონგლომერატების შესწავლის ცდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, №3, 1956). იგი აღნიშნავს, რომ ქ. ცხინვალსა და სოფ. ბებნისზე გამავალ ჭრილში კონგლომერატების შედგენილობა და მარცვლებში სიდიდე ქვიშაქვებში იცვლება, სადაც კონგლომერატები შედგება ეოცენური არკოზული ქვიშისაგან (80 პროცენტი), სენონური კირქვისა და მერგელის (20 პროცენტი) ქვარგვალებისაგან. ამდენად, ამ კონგლომერატებით აგებული ზოლი ბუნებრივ საძირკველადაც ვერ ჩაითვლება და ვერც ფიჩხის ქალაქის ზღუდედ. ფიჩხის ქალაქი, როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, გალავნით შემოზღუდულ ქალაქს ნიშნავს. ფიჩხი, ფიცხი ძველ ქართულში ნიშნავდა გამაგრებულ ად-



გილს. ის კი უძველესი სუფიქსია. ამავე სახელწოდების დასახლებული პუნქტი იყო ქვემო ქართლშიც (ახლანდელი სოფ. ორბეთის ადგილზე). რაც შეეხება იმას, ვახუშტის ტექსტში არ აქვს მოხსენიებული ფიჩხის ქალაქი და ამიტომ იგი ვახუშტის დროს აღარ არსებობდა, მტკიცების არგუმენტად არ გამოდგება. საქმე ისაა, რომ ვახუშტის რუკაზე ფიჩხის ქალაქი აღნიშნულია დასახლებული პუნქტის პირობითი ნიშნით, როგორც სხვა იმ პერიოდის დასახლებული პუნქტები. ნასოფლარი კი სულ სხვა პირობითი ნიშნით არის აღნიშნული. ამასთან, ვახუშტისავე სოფლების სიაში ფიჩხის ქალაქი სხვა მოქმედ სოფლებთან არის მოხსენიებული. ამდენად, არავითარი საფუძველი არ გვაქვს ფიჩხის ქალაქის არ არსებობისა XVIII საუკუნეში.

ლიახვის ხეობის ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებები ძველი წარმოშობისაა და ქართულია. არის როგორც მარტივი, ისე რთული სახელები. სახელწოდებათა ნაწილი მხოლოდ სუფიქსით ან პრეფიქსით ან ორივეთა წარმოშობილი. ხშირია სახელწოდებები მრავლობითი ნიშნის და დაბოლოებით ნაწარმოები.

ქ. ცხინვალის ქვემო მხარე XV საუკუნეში სამემკვიდრეოდ უბოძეს ზედგენიძე-ამილახვარს (ქალაქ გორის მოურავი), რომელიც უშუალოდ მეფეს ემორჩილებოდა (ს. მაკალათია. ლიახვის ხეობა, თბილისი, 1971, გვ. 17).

მდ. ლიახვის მარცხენა მხარეზე მდებარეობდნენ: ფრისი, ერედვი და ერკნეთი. სამივე ეს პუნქტი ახლაც ძველი სახელითაა. ერედვის დგას X საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკა.

მდ. ლიახვის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს ნიქოზი. ზემო ნიქოზში არის სამონასტრო კომპლექსი. ნიქოზი ქრისტიანობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ჯერ კიდევ V საუკუნეში შექმნილია რელიგიური ცენტრი. ნიქოზის საეპისკოპოზო ვახტანგ გორგასალს დაუარსებია წარმართული კულტის ადგილას. ამჟამად შემორჩენილია გუმბათიანი ტაძარი, აგებული XIV-XV საუკუნეებში. სახელწოდება ნიქოზი ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად გადმოტანილია საზღვარგარეთის

წმინდა ადგილებიდან. ნიკოზის მოპირდაპირედ მელურეკისი მღებარე-  
ობს. აქაც შემორჩენილია მონასტრის ნაშთი. ეს სახელი დღესაც შე-  
მორჩენილია, ოღონდ ძველ წყაროებში მელურეკისის ტრანსკრიპციით  
არის მოცემული.



ნიკოზის ტაძარი

მდინარის ქვემოთ განლაგებული იყო სოფლები თერგვისი, სალთვისი,  
ორი სოფელი ზეთი და ფხვენისი; ახლა ყველა ეს სახელწოდება ამ

სახით არის შემორჩენილი. ისინი ხვითის გარდა ის სუფიქსით არის ნაწარმოები,

მდ. დიდ ლიახვს სოფელ შერთულთან ერთვის პატარა ლიახვი. სახელწოდება შერთული, ხშირად გამოხატავს მის შინაარს: ეს არის ორი მდინარის შეერთების ადგილი. თვით პატარა ლიახვი სათავეს იღებს გერმუხის ქედის სამხრულ კალთებზე. ვახუშტის მდინარის სათავედ ქნოლოს ტბა აქვს აღნიშნული.

ამონარიდი წიგნიდან – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი“, გამ-ბა „განათლება“, თბ., 1992, გვ. 133-137.

## მდგომარეობა აფხაზეთში ჩვენს მიერ წლების გან- მავლობაში ბატარაული კოლიტიკის შედეგია...

ახლანან გამომცემლობა „განათლებლამ“ გამოსცა კობა ხა-  
რაძის კიდევ ერთი წიგნი „საქართველოს ისტორიული  
გეოგრაფია. შიდა ქართლი“; ჩვენი კორესპონდენტი შხს-  
ვდა და მსაუბრა კობა ხარაძის.

– ბატონო კობა, ფართო მკითხველმა მიიღო თქვენი წიგნი, რო-  
მელიც ეძღვნება შიდა ქართლს. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ  
წიგნში ვრცლად არის განხილული სამაჩაბლოს წარსული. გთხოვთ  
გვიამბოთ, როდის დაიწყეთ ამ პრობლემაზე მუშაობა?

– შიდა ქართლისა და სრულიად საქართველოს ისტორიულ-გე-  
ოგრაფიულ კვლევას თითქმის მეოთხედი საუკუნეა ვაწარმოებ. ჩემს  
წიგნს საერთო სათაური გააჩნია – „საქართველოს ისტორიული გეოგ-  
რაფია“. 1991 წელს გამოვიდა მისი პირველი ნაკვეთი – „ქვემო ქარ-  
თლი“, ახლა კი „შიდა ქართლი“. გამოსაცემად მზად არის „ზემო  
ქართლი“. შეიძლება პარადოქსულადაც მოგეჩვენოს, მაგრამ 1975  
წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ (ახლა „საქართვე-  
ლო“) ჩაბარდა ჩემი წიგნი „საქართველოს ძველი ტოპონიმები“. სხვა-  
დასხვა წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი 1982 წელს აიწყო და მომ-  
ზადდა გამოსაცემად. ახლა შორს წაგვიყვანს იმ მიზეზებზე საუბარი,  
რამაც შეაჩერა დიდძალხარჯგაწეული წიგნის გამოცემა, მაგრამ ამ  
შემთხვევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა აფხაზურმა სინდრომმა.  
მიუხედავად ერთხანს ჩემი დიდი მცდელობისა, წიგნმა დღის სინათლე  
ვერ იხილა; სადღაც თითო ეგზემპლარი შემორჩა, ხოლო მე დავერჩი  
ერთადერთი ეგზემპლარის ამარა.

იქნებ უფრო დეტალურად გვიამბოთ, რამ შეაფერხა ათ წელზე  
მეტი ხნით წიგნის გამოცემა?

საქართველოს  
ძველი ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს
საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს
საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს
საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს
საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს	საქართველოს

საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები  
საქართველოს ტოპონიმები

საქართველოს ტოპონიმები

— ამის შესახებ საუბარს თქვენი გაზეთის რამდენიმე ნომერი ვერ დაიტევს, მაგრამ ორიოდ სიტყვით მაინ გეტყვი: ასპირანტურის პერიოდიდან, რამდენიმე წელი ვიმუშავე საქართველოს, მოსკოვის, ლენინგრადის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ჩავატარე საველე სამუშაოები საქართველოს რიგ რეგიონებში, დავამუშავე დიდძალი ისტორიული წყაროები და დავწერე წიგნი „საქართველოს ძველი ტოპონიმები“. როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1975 წელს გამომცემლობას ჩავაბარე ამ წიგნის მხოლოდ პირველი ნაკვეთი. ნაშრომში თავმოყრილი იყო წერილობითი და კარტოგრაფიული წყაროებიდან ამოკრებილი შვიდი ათასამდე ძველი ტოპონიმი, რომლებიც არ აღინიშნება თანამედროვე რუკებზე მათი თავდაპირველი მნიშვნელობით და არ იხმარება ოფიციალურ მიმოწერაში. თითოეულ ტოპონიმს ახლდა თანამედროვე შესატყვისები, მდებარეობა, ხმარების ქრონოლოგიური ზღვრები, ნაწი-

ლობრივ ეტიმოლოგია. ნაშრომის გამოცემას თითქმის აღარაფერი უღდა წინ, მაგრამ აფხაზეთთან გამწვავებული მდგომარეობის გამო „მთავ-ლიტმა“ ვერ აიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა და წიგნი პირდა-პირ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა. შემდეგში მავანმა და მავანმა შემოშთავაზა, რომ წიგნიდან ამოშლო აფხაზეთის ნაწილი, რაზეც უა-რი განვაცხადე. 26 ფორმიანი წიგნის ანაწყოების მატრიცები ისე ჩაშა-ლეს და გადაადნეს, წარბიც არ შეუხრიათ. 1989 წლის 29 მარტს მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე ამ წიგნზედაც ყოფილა საუბარი, რაც შევიტყვე გაზეთ „თბილისის“ 4 აპრილის პუბლიკაციი-დან, სადაც გამოშცემლობა ამის შესახებ იძლეოდა განმარტებას:

## გაზეთ „თბილისის“ რედაქციას

შობიანარე წლის 29 მარტს მთა-ვრობის სასახლის წინ გამართულ მიტინგზე წაიკითხეს ანონიმური აე-ტორის წერილი, რომელშიც აღნიშ-ნული იყო, თითქოს გამომცემლო-ბა „საბჭოთა საქართველომ“ წლე-ბის მანძილზე შეაჩერა მეტად მნი-შვნელოვანი წიგნის „ძველი ქართუ-ლი ტოპონიმების“ გამოცემა. ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სი-ნამდვილეს. საქმის ნამდვილი ვითა-რება ასეთია: გამომცემლობამ 1983 წლის გეგმაში შეიტანა 4 ხა-

რძის „ძველი ქართული ტოპონი-მები“. წიგნი იიწყო და მომზადდა დასაბეჭდად იმავე წელს დაბეჭდვის ვიზა მისცა მთავარმა რედაქტორმა ვახტანგ ჭავჭავაძემ. მაგრამ შემდეგ მოითხოვეს წიგნიდან ამოგველო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ტოპონიმები, რაზეც აე-ტორი არ დათანხმდა აღნიშნულის გამო წიგნის გამოცემა ვერ მო-ხერხდა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

გაზეთი „თბილისი“, 4 აპრილი, 1989 წ.

„... მოითხოვეს წიგნიდან ამოგველო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მდებარე ტოპონიმები, რაზედაც აეტორი არ დათანხმდა. აღნიშ-ნულის გამო წიგნის გამოცემა ვერ მოხერხდა“. აქ კომენტარი ზედმე-ტია, მაგრამ მაინც უნდა ითქვას ის, რომ კარგად ჩანს პარტიული სტილი — „მოითხოვეს“, „არის აზრი“ და ასე შემდეგ. და, რაც მთა-ვარია, თურმე აფხაზეთი ყოფილა „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ“. დღევანდელი მდგომარეობა აფხაზეთში ჩვენს მიერ წლების განმავლო-

ბაში გატარებული პოლიტიკის შედეგია. ქართული მეცნიერებისათვის აკრძალული თემა იყო აფხაზეთზე და ყოფილ სამხრეთ ოსეთზე წერა. ამ დროს კი აფხაზი და ოსი ჰქმნიდა ყალბ ისტორიას და სრულიადაც არ უჭირდათ მისი გამოცემა არათუ მოსკოვში, არამედ აქ, ჩვენთან, სოხუმში, ცხინვალში და თბილისში. განა ქართველების ხელშეწყობით არ ხდებოდა ის, რომ ბევრი ტოპონიმი გავააფხაზეთ, გავარუსეთ, გავაოსეთ და ასე შემდეგ? განა ქართველმა არ მოაწერა ხელი დადგენილებას, სადაც შავით თეთრზე წერია – გადაერქვას და ეწოდოს ახალი სახელწოდებები დასახლებულ პუნქტებს – ბამბუკოვანს – აკალამრა, ალპურს – ალპიისკოე, თხილოვანს – არასარა, ბზისხევეს – არმიანსკოე უშჩელიე, ვარდისუბანს – ატიშადუ, აჭანდარას – გუფა-აგუ, ფსოუსხევეს – დემერჩენც, ბაღნაშენს – ესტონკა, კოდორს – ვლადიმროვკა, სალხინოს – ვესიოლოვკა, ზემო ბედიას – ვტორიო კოპიტი, კაკლიანს – ორეხოვო, სიხარულს – ოტრადნოე, შუამთას – ჩირუტა, ოჩამჩირეს – ოჩამჩირა, ბიჭვინთას – პიცუნდა და სხვა მრავალი. დიხს, როგორადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ოჩამჩირე და ბიჭვინთა კი არა, ოფიციალური სახელია ოჩამჩირა და პიცუნდა.

– ხომ არ განმარტავდით ერთხელ კიდევ ტოპონიმების მნიშვნელობას?

– საყოველთაო გამოთქმით რომ ვისარგებლოი, ტოპონიმები ქვეყნის სარკეა, რომელშიც არეკლილია ბუნებისა და მოსახლეობის თანადროული სურათი და ისტორიული განვითარება. ამიტომაც, რომ ტოპონიმების შესწავლა-გაუმჯობესების საკითხს დიდი ყურადღება ექცევა ყველა მოწინავე სახელმწიფოში.

საქართველოს ტოპონიმები მდიდარი, რთული და მრავალფეროვანია. ეს აიხსნება ჩვენი ქვეყნის მდიდარი ნაირგვარი ბუნებრივი პირობებით და რთული ისტორიული წარსულით. ამ ღირსებებთან ერთად, საქართველოს ტოპონიმებს არსებითი ნაკლოვანებები ახლავს; მთავარი მათგანი არის რესპუბლიკის ტერიტორიის განსაზღვრულ რე-

გიონებში აბორიგენული ქართული ტოპონიმების მოსპობა ისტორიის გვიანდელ ეტაპებზე.

ჩვენი ტოპონიმები ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით შეიცავს არამიზანშეწონილ, სხვადასხვა თვალსაზრისით მიუღებელ სახელწოდებებს, რომელთა შეცვლის აუცილებლობა დავას არ იწვევს. სახელწოდებათა ეს კატეგორია შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: უცხოური წარმოშობის, შერყენილი, არასწორად ხმარებული და სხვ. უცხო სახელწოდებების დიდი ნაწილი დაკავშირებულია სამცხე-ჯავახეთთან, სადაც თურქულენოვანი მოსახლეობა ამჟამად, შეიძლება ითქვას, სრულიად აღარ ცხოვრობს. სახელწოდების მინიჭება უკუღმართულად მოხდა ქვემო ქართლში და ზოგ სხვა რეგიონში, სადაც გაბატონდა აგრეთვე თურქულენოვანი ტოპონიმები. ყოველივე ეს მოხდა წარსულში. და თუ აზერბაიჯანში საინგილოს ქართველ მოსახლეობას თვალსა და ხელს შუა უქრობენ მამაპაპურ ძირძველ ტოპონიმებს, ჩვენ ხომ საამისო მსგავსი არა გვიჭირს რა; ლაპარაკია სახელწოდებების აღდგენასა და გასწორებაზე; მაშ, რისი, ან ვისი გვერიდება?.. მაგრამ, არათუ უმართებულოდ გადარქმეული და შერქმეული სახელწოდებები გავასწორეთ, არამედ ახალი შეცდომები დავუმატეთ; ბევრ ობიექტზე სახელწოდებების მინიჭება ან გადარქმევა ხშირად სუბიექტურად, არაკვალიფიციურად ხდებოდა. ასეთი სახელწოდებები თავისთავად დასალუპადაა განწირული. წარსულში ჩვენ ყოველნაირად განვაკითხარეთ, თუ შეიძლება ითქვას, დირექტიული ტოპონიმიკა. ძალად მოხვეულ ტოპონიმს ვერ დავამკვიდრებთ. სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს გარემო პირობებთან, ისტორიასთან, რაღაც გარკვეულ მოვლენასთან, ხოლო თვით სახელწოდებას უნდა ახასიათებდეს სისადავე, კეთილშედრადობა, ლოგიკური კავშირი ობიექტთან და ასე შემდეგ. მაგალითები? ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე იყო სოფელი გიორგიწმინდა, 30-იან წლებში მას ისაკყაუ ეწოდა, რევოლუციონერ ისაკ ხარებოვის სახელის მიხედვით. ამ ღროს კი იგი ჯავის რაიონის სოფელ ხეწვიდან იყო. იქვე, სოფელ წუნარს ხეთაგუროვო ეწოდა



კოსტა ხეთაგუროვის სახელის მიხედვით. იგი ჩრდილო ოსეთში დაიბადა. ლურშევს – ყადისარი და სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანს. ასე რომ, ჩვენი ტოპონიმების დიდმა ნაწილმა რეპრესია განიცადა, როგორც გარეშე შემოსული მოსახლეობისაგან, ისე ადგილობრივი ქართველი ხალხისაგან.

ვინ მოთვლის საქართველოში რამდენ დაბას, სოფელს, მთას, მდინარეს და მისთანებს უმართებულოდ დაუმკვიდრდა შეუფერებელი სახელწოდება, რამდენი საერთოდ გაქრა ქართული მეტყველებიდან; ახლა რამდენი გეოგრაფიული სახელი შეიცვალა ან ისე შეირყვნა, ვერც კი იცნობთ. რამდენი დაეიწყებას მიეცა, რამდენი მხოლოდ ნა-სოფლარსა და ნაქალაქარს, ნაციხარს და ნამონასტრალს შემორჩა. ასეთი ტოპონიმები ზომ ათასეულობით განისაზღვრება, დიახ, ათასეულობით...

სწორედ ეს შერყენილი, უმართებულოდ გადარქმეული და გაუქმებული 7 ათასამდე სახელწოდება იყო შეტანილი ზემოთ აღნიშნულ წიგნში, რომელსაც დღის სინათლე არ ეღირსა.


– შემდეგ აღარ გიცდიათ ამ წიგნის გამოცემა?

– ჩავთვალე რა ამ ეტაპზე მისი გამოცემა შეუძლებლად, გადავწყვიტე ცალკეული რეგიონების სახით მაინც დაბეჭდილიყო და როცა ამის შესაძლებლობა იქნებოდა, აფხაზეთიც გამოგვექვეყნებინა. ამიტომ დაეიწყე „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის“ ნაკვეთების სახით გამოცემა.

– შიდა ქართლის გამოცემა არ გაგიჭირდათ?

– სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რომ არ გაუქმებულიყო, მიუხედავად იმისა, შიდა ქართლის მცირე ნაწილი იყო იგი, ამ სახით მაინც არ გამოვიდოდა, შესაძლოა საერთოდ ვერ გამოცემულიყო. არც აქ – შიდა ქართლზე და არც აფხაზეთზე მოგონილს არაფერს ეწერ. იგი ეყრდნობა მდიდარ წყაროებს და მათ შორის, ძველ ხელნაწერ კარტოგრაფიულ მასალებს.

ქართული საბჭოთაო



# საქართველოს ისტორიული გეოგრაფია უძველესი უბანი



— ბატონო კობა, თქვენ გეოგრაფი და ისტორიკოსი ბრძანდებით და ალბათ ორიოდ სიტყვას საზღვრების შესახებაც გვეტყვი.

— საქართველოს საზღვრების მდგომარეობას თვით მისი ტერიტორიული მდებარეობა განსაზღვრავს. აი, რას წერდა ჯერ კიდევ 1918 წელს პავლე ინგოროვცა — „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს — ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით. საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკურ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა — შემოფარგლული ბუნებრივი საზღვრებით. საქართველო მიაგავს ცი-

ხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია“... ძნელია ამ სიტყვებს კომენტარი გაუკეთო. მართალია იშვიათია, ასეთი გამოკვეთილი საზღვრები ჰქონდეს ქვეყანას. ცხადია, საქართველოს ეს შეუვალობა ახლო წარსულში დარღვეული იქნა მეზობელი სახელმწიფოების მიერ და მომავალში მისი კიდევ დარღვევა კატასტროფის ტოლფასია, მით უმეტეს, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადმოლახვა.

– ამასთან ზომ არსებობდა აფხაზეთის სამეფო?

– ცხადია, არსებობდა, მაგრამ ასევე ზომ არსებობდა იმერეთის სამეფო, კახეთის სამეფო და სხვები, განა ისინი არაქართული სამეფოები იყო? ერთ დროს მთელ დასავლეთ საქართველოს აფხაზეთი (აბხაზეთი) ერქვა, მაგრამ განა იგი საქართველო არ იყო? ანდა, აფხაზეთის მეფეები ქართველები არ იყვნენ? ასევე ზღებოდა ყოფილ სამხრეთ ოსეთშიც; ზომ შესანიშნავად იციან, როდის ჩამოსახლდნენ, მაგრამ არქეოლოგიურ ნაპოვნებს ოსურს მიაწერდნენ. ეს ზომ ისტორიის არათუ დამახინჯება, არამედ გაყალბებაა. ან, როცა ძველ გეოგრაფიულ სახელს ახლით ცვლი და იძახი, ეს ძველია, ზალზში იყო შემორჩენილი, სად მიუღიხარ საარქივო საბუთებს? ყოველგვარ ქართულს რომ სპობ, ამით გინდა ისტორია შექმნა? კარგი, ჩვენს ქართულ მასალებს არაფრად აგდებ, ზომ არსებობს უცხოური წერილობითი წყაროები! კვარაცხელიას და ჭავჭავაძის, ბარათაშვილს და ბეგიაშვილს და სხვა ქართულ გვარებს აფსუად და ოსურად რომ გამოაცხადებ, მართლა ბნელა? ძველი საფლავის ქვებზე წარწერებს მაინც სად მიუღიხარ?

– როგორ მიგაჩნიათ აფხაზთა და ოსთა პრობლემის გადაწყვეტა?

– მე ვფიქრობ, ეს ორივე პრობლემა თვით ჩვენს მიერ არის შექმნილი, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არა მარტო დღევანდელ თაობას, არამედ წარსულსაც. ლიტერატურული და ისტორიული წყაროების, ანალიზის და სხვადასხვა დაკვირვებათა საფუძველზე დარწმუნებული ვარ, და ასეც წერდა ზოგი ისტორიკოსი, რომ აფხაზი ტომით

არ არსებობს. აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც სვანი, მეგრელი, ლაზი და ასე შემდეგ. აფხაზი, როგორც ერის შექმნა, მოხდა გაცილებით გვიან. კერძოდ XVII საუკუნის შემდეგ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული ადიღური ხალხის მიერ. ასე რომ, ხელოვნურად შეიქმნა ერთი ერისაგან ორი განსხვავებული სახელწოდების ერი. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ოსებსაც შიდა ქართლში სხვა სახელწოდების რეგიონი რომ დახვედროდათ, სამხრეთ ოსეთს კი არ შექმნიდნენ (თუმცა ქართველებმა შეუქმნეს), არამედ ახალი სახელწოდების ერი იქნებოდა ოსებისაგან განსხვავებით. ეს რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, პირობითად ვთქვათ რაჭაში ჩამოსახლებული იყვნენ ოსები (თუმცა მცირე ნაწილი იქაცაა), შეიქმნებოდა ახალი ერი – რაჭველი, მიუხედავად იმისა, რომ იქ ცხადია, ქართველებიც იცხოვრებდნენ. აი, სწორედ ამის თქმა არ გვინდა. ახლა იკითხავთ, რა საბუთი არსებობს ამოსიო! მთელ აფხაზეთში და უფრო შორსაც რომ ქართველები ცხოვრობდნენ, ამის მრავალი საბუთია – ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები, ტოპონიმები, არქეოლოგიური მასალები, მატერიალური კულტურის ძეგლები და მათზე წარწერები. იქნებ ეს არ არის საკმარისი? იქნებ არც ეს კმარა! გეკითხებით, რა საბუთი არსებობს, რომ აფხაზი ქართველი არ იყო! გული მეტკინა, ახლახან თქვენს გაზეთში აფხაზეთზე რომ წავიკითხე: „მე არასოდეს დამავიწყდება ის დამცინავი თვალები და შეურაცხყოფა (ფიზიკურიც კი), რომელსაც გვაყენებდა იქ ადგილობრივი რუსი და სომეხი მოსახლეობა. გვეუბნებოდნენ, თქვენი მიწა არ არის და აქ არარასოდეს დაბრუნდებითო“. აი, სადამდე მივდივით, ვილაც გადამთიელი შენს მიწაზე გეუბნება, წადი აქედან, აღარ დაგინახო. ამაზე მეტი დაცინვა იქნება? ამას ხომ ბევრი მტკიცება არ სჭირდება, რომ იქ რუსიც და სომეხიც გუშინ მოვიდა, დასახლდა და ახლა შენ გეუბნება, წადი აქედანო. ტყუილად კი არ გვაქვს ქართველებს ანდაზა – „გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდო“.

— მაშ. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, დასახლდა ეს ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე და ახლა აყვაროთ და გაავასახლოთ?

— მე მაგას არ გეუბნებით, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი. იცხოვროს, ისარგებლოს ყველაფერი იმით, რაც კანონით არის გათვალისწინებული, მაგრამ გაავაგებინოთ, რომ იგი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ვუთხრათ, როდის მოვიდა და რაც მთავარია, აუცილებლად შევასწავლოთ საქართველოს ისტორია. რუსეთში მცხოვრებ ბავშვებს სკოლაში თუ რუსეთის ისტორიას ასწავლიან — განურჩევლად ეროვნებისა, რატომ საქართველოში ყველა მოსწავლეს არ ვასწავლით საქართველოს ისტორიას და ვასწავლით სომხეთის ან აზერბაიჯანის ისტორიას? ამ დროს სომეხიც, აზერბაიჯანელიც, ოსიც და აფხაზიც სხვაგვარ ინფორმაციას ღებულობენ. იმ დროს, როცა აწყურთან მაგრად ჩავრაზეთ შლაგაუმი და სამცხე-ჯავახეთში არათუ სანახავად, ვიზის გარეშე მიცვალებულის ნათესაებს არ უშვებდით, როკის გვირაბი გაეჭვრით და ჩვენ თვითონ შევეურთეთ ოსეთს ცხინვალი. ხომ ცნობილია, ზეპირად კი არა, წერილობით, რუსების აღწერილი მასალებით, რომ XIX საუკუნის ბოლოს ცხინვალში არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა. ხომ ცნობილია, რომ 1828 წლამდე სამცხე-ჯავახეთში სომხები თითქმის არ ცხოვრობდნენ. ახლა მიპასუხეთ, თუ აფხაზეთი, ქვემო და შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი საქართველოსი არ იყო, მაშ, რა ტერიტორია ეკუთვნოდა ქართველებს? განა ბედის დაცივნა არ არის, 1828 წელს და უფრო გვიანაც მოსულმა სომეხმა ჯავახეთში გითხრას, ეს VIII, X, XI საუკუნეების ძეგლები ჩვენიო? განა, სამარცხვინო არ არის ამ საუკუნეში ცხინვალში ჩასახლებულმა ოსმა გითხრას, წაეთრიე აქედან, ეს თქვენი ტერიტორია არ არისო? განა ბედის ირონია არ არის, აფხაზეთში რუსმა და სომეხმა გითხრას, წადი აქედან, შენი მიწა არ არისო?

— თქვენ საკმაოდ მუქი ფერებით დაგვიხატეთ დღევანდელი საქართველო, რაში ხედავთ გამოსავალს?

აქ გადაჭარბებული არაფერია, სინამდვილეს ვერსად გაექცევი, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ და თავისი ადგილი მივუჩინო. „ჭირი თუ დამალე, ჭირი თვითონ დაგმალავს“. წლების განმავლობაში აღიზარდნენ სამცხე-ჯავახეთში, აფხაზეთში, ყოფილ სამხრეთ ოსეთში არაქართველები ყალბ ისტორიასა და ლიტერატურაზე და შედეგიც აშკარაა. ამიტომ თანდათანობით, მაგრამ აუცილებლად საჭიროა ამ ხალხთა ენებზე შეიქმნას სამეცნიერო ლიტერატურა პოპულარული სახით, სკოლებში ისწავლებოდეს საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, წინააღმდეგ შემთხვევაში უარესსაც მივიღებთ, ვიდრე დღეს გვაქვს. მთავარია, დაეუნშოთ ყოველი გზა სიყალბეს. ძალით და ფიზიკური დაშინებით უარეს შედეგს მივიღებთ.

გაზეთი „ივერია ექსპრესი“, 4 თებერვალი, 1993, გვ. 1-2.

## სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და ტოპონიმთა განვითარების საკითხისათვის

სამცხე-ჯავახეთი ისტორიულად და გეოგრაფიულად შეადგენდა ზემო ქართლის ნაწილს და მდ. მტკვრის ზემო წელის აუზში მდებარეობდა. ლიტერატურული და ისტორიული წყაროების საფუძველზე დადგინდა, რომ აქ ეთნიკური შემადგენლობა უძველესიდან ქართული იყო; მოსახლეობა ქართულ ენაზე თავისებური კილოკავით მეტყველებდა; ყოფა-ცხოვრებით და ხასიათით ქართლის დანარჩენი რეგიონებისაგან არ განსხვავდებოდა. თავდაპირველი გეოგრაფიული სახელწოდებები მთელს სამცხე-ჯავახეთში ქართულენოვანი იყო.

ადრეურობადალურ ხანაში სამცხე-ჯავახეთში საქართველოს სხვა რეგიონებიდან ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია, ხოლო მოგვიანებით პირიქით, სამცხე-ჯავახეთიდან სხვა მხარეებისაკენ. მიგრაციული პროცესები ძირითადად მტრის შემოსევების შედეგი იყო, რასაც თან ახლდა ქართველთა გამაჰმადიანება და ნასოფლარების გაჩენა; ყოველივე ამის შედეგად მოსახლეობის რიცხვი მცირდებოდა, ადგილის ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები კი დავიწყებას ეძლეოდა. საკვლევ ტერიტორიაზე ნასოფლარების რიცხვი დასახლებულ პუნქტთა რაოდენობას აღემატება.

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძლიერ შეიცვალა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა ოსმალებისაგან განთავისუფლების შემდეგ ამ რეგიონის მაჰმადიანური მოსახლეობის დიდი ნაწილი გაქრისტიანების შიშით ოსმალეთში გაიხიზნა, ხოლო დაცლილ ადგილებში ოსმალეთიდან ლტოლვილი სომხები დაასახლეს; ამას ემატებოდა ქურთები, თარაქაშები, ბერძნები და აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან გადმოსახლებული დუხობორები. რუსების შემოსვლის შემდეგ ქართველთა მასიური აყრა გაგრძელდა, ხოლო რუსეთის იმპე-

რიასთან შეერთებას მოჰყვა სამცხე-ჯავახეთის ახალ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაყოფებად გადაკეთება, რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება, რასაც მოჰყვა მხარის ეთნიკური მთლიანობის დარღვევა.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მკვეთრ ცვლილებებს გეოგრაფიული სახელწოდების გარდაქმნა მოჰყვა. ზოგი მათგანი ახალი სახელწოდებით შეიცვალა, მოხდა მოსული ხალხის ლექსიკის გაბატონება. ასე შეიცვალა მთლიანად რუსი სექტანტებით დასახლებული ადგილების სახელწოდებები ქართული ტოპონიმების ხარჯზე, სადაც გაჩნდა რუსეთის გუბერნიების, ქალაქების პარალელური სახელები (ტამბოვი-ტამბოვკა, ორიოლი-ორლოვკა, ვლადიმირი-ვლადიმროვკა, ეფრემოვი-ეფრემოვკა, გორელოვი-გორელოვკა და სხვ.). ადგილობრივი სახელები ასევე შეიცვალა სომეხი მოსახლეობის მიერ (გალმა ზოსპიო-მარტუნი, ზრესკი-კიროვაკანი, დაბნია-მიასნიკიანი და სხვ.); გარდა ამისა, მათ მიერვეა დამახინჯებული ტოპონიმებიც (კუმურდო-გუმბურდო, ჩამძვრალა-ჩამდურა, კაჭიო-კოჩიო, ტამალია-დამალა, ღრტილა-იხტილა და სხვ.). სამცხე-ჯავახეთში გვხვდება თურქეთიდან გადმოსახლებულთა მიერ შემოტანილი თურქული ტოპონიმებიც (თახჩა, თოთხამი, ზოჯაბეგი, ყულალისი და სხვ.).

სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმის დიდი ნაწილი ქართულია და ძველი პერიოდიდან არის შერქმეული. ასეთ სახელწოდებათა რაოდენობა ასეულობითაა. მათში შეიმჩნევა ზანური ენის მნიშვნელოვანი გავლენა (ჭობარეთი, ტოლოში, დაღეში, მირაშხანი, კორუშეთი, კვარშა, ბურნაშეთი, სალოშეთი, ბარალეთი, ჯანჯღა, ჩუნჩხა, ეშტიო და სხვ.). ამ ტოპონიმთა ნაწილს პარალელური სახელები საქართველოს ყველა კუთხეში მოეძებნებათ.

ლიტერატურული და ისტორიული წყაროების, საველე სამუშაოების საფუძველზე მოხდა ზოგი გეოგრაფიული ობიექტის ლოკალიზაცია და სახელწოდების ეტიმოლოგიური ახსნა; დადგინდა მათი საწყისი ფორმა და ხმარების ქრონოლოგიური ზღვრები; გაირკვა ტოპონიმ-



თა ძველი და ახალი შესატყვისები. ყოველივე ამის საფუძველზე მოხ-  
და სამცხე-ჯავახეთის ტოპონიმთა რეტროსპექტული კარტოგრაფირება.

სამეცნიერო სესია მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის 75 და ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგ-  
რაფიის ინსტიტუტის მე-60 წლისთავისადმი, თბ., 1993, გვ. 65-66.

## გლდანის ტოპონიმია

გლდანისა და მისი მიდამოების ტოპონიმია მრავალფეროვანი და  
საყურადღებოა. მათი წარმოშობა და ქრონოლოგიური ზღვრები საინ-  
ტერესო მასალას იძლევა მთელი რიგი საკითხების გასარკვევად. ცხა-  
დია, ისინი ქართული წარმოშობისაა, შემადგენლობით მარტივი, ნაერ-  
თი კომპოზიციების სახით და სხვ. ტოპონიმთა საკმაო ნაწილი ნაწარ-  
მოებაა აფიქსების დართვით. ნაწილი სუფიქსებითაა გაფორმებული, ან  
პრეფიქს-სუფიქსებით. ტოპონიმთა დიდი ნაწილი როული სახელებია.  
გეოგრაფიული სახელწოდებები მრავლად არის ბუნებრივი პირობების  
მიხედვით შერქმეული და ასახავს ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს.  
სახელწოდებების ეს ჯგუფი უძველესი პერიოდიდან არის შერქმეული,  
რამდენადაც ადამიანი დასაბამიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული გა-  
რემოსთან და საცხოვრებელ ტერიტორიაზე ადგილების სახელებს,  
უპირველესად, მისი ბუნებრივი პირობების მიხედვით არქმევდა. გარდა  
ამისა, გვხვდება ანთროპოტოპონიმები (ადამიანის გვარ-სახელებისაგან

ნაწარმოები ტოპონიმები). ქვემოთ აღუბატზე ჩამოთვლილია გლდანისა და მისი მიდამოების ტოპონიმია ადგილმდებარეობის მითითებით.<sup>1</sup>

აბუაშვილების უბანი უბანი სოფ. გლდანში (შუაუბანი).

ავთანდილოვის მამული მიწის ნაკვეთი სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით.

ახალი გლდანი ივ. რიყიანი. აქ ჩამოსახლდნენ მამკოლიდან, ლელუბნიდან, მშრალხევიდან, ნორიოდან და სხვ.

ახალი რიყიანი უბ., ახლ. სკოლა-ინტერნატის ქვემოთ მდებარე ტერიტორია.

ბანკის ტყე ტყის მასივი ნასოფ. ვეჯინთან. სოფ. გლდანის ტერიტორიაზე მებატონეებისაგან ტყის მასივი უყიდა ხაზინას (ე.ი. ბანკს) და სახელწოდებაშიც ეს აქტი აისახა.

ბერთახევი მდ, გლდანისხევის მარჯვ. შენაკადი.

ბზითაგორი ადგ. სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით.

ბოგირები ადგ. ჯოხტანისხევის მარჯვ. მხარეზე, სოფ. გლდანის ჩრდ-ით 4 კმ-ის დაშორებით.

ბოსტნები ეწოდებოდა გლდანულას დასახლების ფერდობებს.

ბურძგლავის წყარო წყარო ნასოფ. მშრალხევიში.

გამოღმა გლდანი უბ. მდ. გლდანისხევის მარცხ. მხარეზე.

გამოღმა უბანი უბ. სოფ. გლდანში, მდ-ის მარცხ. მხარეზე.

გაღმა გლდანი უბ. სოფ. გლდანში, მდ-ის მარცხ. მხარეზე.

გაღმა უბანი ივ. გაღმა გლდანი.

გვერდიბალები ბალების სახელწოდება სოფ. გლდანთან.

გვერდიბაღი ჯოხტანისხევიზე.

---

<sup>1</sup> შემოკლებები: ადგ. — ადგილი, აღმ. — აღმოსავლეთი, ახლ. — ახლანდელი, დას. — დასავლეთი, ივ. — ივივე, იხ. — იხილეთ, მარცხ. — მარცხენა, მარჯვ. — მარჯვენა, მინდ. — მინდორი, ნასოფ. — ნასოფლარი, სათ. — სათიბი, სამხრ. — სამხრეთი, საძ. — საძოვარი, სოფ. — სოფელი, უბ. — უბანი, ჩრდ. — ჩრდილოეთი.

გიორგობიანების უბანი უბ. სოფ. გლდანში (შუაუბანი).

გლდანის დიდი ტბა იგ. დიდი ტბა (იხ.).

გლდანის დასახლება იგ. გლდანის მასივი, სოფ. გლდანსა და თემქას შორის.

გლდანის პატარა ტბა იგ. პატარა ტბა (იხ.).

გლდანისწყალი იგ. გლდანისხევი (იხ.).

გლდანისხევი მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი ავჭალასთან. მას ეწოდება აგრეთვე ლელუბნისწყალი, გლდანისწყალი, რიყე. ადგილობრივი მოსახლეობა მას რიყეს უწოდებს. ლიტერატურაში, კარტოგრაფიულ მასალებზე პირველი-ორი სახელწოდება იხმარება.

დაბლატყე ტყის მასივი სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით.

ღვერის ქელი მთა სოფ. გლდანის ჩრდ-ით.

დიღვაკე ადგ. სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით.

დიღველი ადგ. სოფ. გლდანის ჩრდ.- აღმ-ით.

დიდი ბაღი სოფ. გლდანის მეურნეობის ტერიტორიაზე.

დიდი მანიანთკარი იგ. დიდმანიანი.

დიდი ტბა გლდანის დასახლების ბოლოში.

დიდმანიანი ნასოფ. ჯოხტანისხევის მარცხ. სანაპიროზე.

დიდმანიანთკარი იგ. დიდმანიანი.

ფურებისწყალი წყარო სოფ. გლდანის ჩრდ.-დას-ით.

ემშაკხევი ტყიანი ადგ. სოფ. გლდანის დას-ით.

ვაკეტყე ადგ. ნასოფ. მამკოდის სამხ-ით 1 კმ-ზე.

ვანაძიანთბაღი ადგ. და ბაღი სოფ გლდანში.

ვარდანი ადგ. და სათ. ნაველების აღმ-ით.

ვეები ძლიერ მარილიანი წყარო ნასოფ. მამკოდის ჩრდ.-აღმ-ით.

ვეჯინი ნასოფ. სოფ. გლდანის ჩრდ-ით.

ვეჯინისუბანი უბ. სოფ. გლდანში, ამალღებულის ადგილი, იგ. ჯოხტანი.

ვეჯინისწყარო ნასოფ. ვეჯინში.

ვეჯინისხევი მდ. გლდანისხევის მარჯვ. შენაკადი.

ზელავაკე ნასოფ. ვეჯინისხევის მარჯვ. მხარეს.  
თაკვერები ვაკე ადგილი სოფ. პატარა გლდანთან.  
თამარის ბაღი ერქვა ახლ. სკოლა-ინტერნატის მიდამოებს. და-  
ერქვა ექიმ ვაწაძის შვილის თამარის სახელის მიხედვით.  
თექაძეების უბანი უბ. სოფ. გლდანში, ივ. ქვემო უბანი.  
თრილანთწყარო წყარო ნასოფ. მშრალხევში.  
იფლრია (იგრია) ეკლესია ღიდი ტბის ჩრდ-ით მდებარე სერზე.  
კალოები ადგ. სოფ. გლდანის სამხ.-აღმ-ით, სასაფლაოს გვერ-  
დით.

კატკატისხევი მდ. და წყარო სოფ. გლდანის ჩრდ-ით.  
კლდისთავი ადგ. და ნამოსახლარი სოფ. გლდანის ჩრდ. 1 კმ-ზე.  
ლეღუბანი ნასოფ. მდ. გლდანისხევის სათავეებში, იაღნოს ქედ-  
ზე.

ლეღუბნისწყალი ივ. გლდანისხევი (იხ.).  
ლეკის ქვა ივ. წვეტიანი ქვა სოფ. გლდანში, მდ. გლდანისხევში.  
ლურჯისერი მთა სოფ. გლდანის ჩრდ-ით, ჯოხტანისხევში.  
ლურჯიქელი იხ. ლურჯისერი.  
მაისურაძეების უბანი უბ. სოფ. გლდანში (შუაუბანი).  
მამკოლა ნასოფ. გლდანისხევის მარცხ. მხარეზე, თბილისის  
ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.

მანიანთკარი იხ. ღიდმანიანი.  
მაყვლიანი ველი სათ., საძ. და მთა სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით.  
მაყვლიანის მთები იხ. მაყვლიანთ ველი, ნასოფ. ვეჯინთან.  
მაჩქათელა მთა ნასოფ. მამკოლასთან.  
მლაშე ტბა იხ. ხოჭა.  
მოსაცური მთა და ადგ. სოფ. გლდანის ჩრდ-ით.  
მუხიანი უბ., დასახლება მდ. ხევძარას მარცხ. მხარეზე.  
მშრალხევი ნასოფ. გლდანისხევის მარჯვ. მხარეზე, მამკოლას  
ზემოთ.

მშრალხევი მდ. გლდანისხევის მარჯვ. შენაკადი.

ნადიკვრები ადგ. გლდანისხევის მარჯვ. მხარეზე, მამკოდასთან.

ნავიწყალი წყარო მამკოდასთან, ტბის მახლობლად.

ნარუსელა (ნარუსალა) მინდ. სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით.

ნარსელა გორა სოფ. გლდანს აკრავს აღმ-ით.

ნატბურები ერქვა ახლ. გლდანის დასახლების ზედა მიკრორაიონების მოვაკებულ ნაწილს.

ნატუსები ნასოფ. ჯვარისხევის მარჯვ. ნაპირზე, სოფ. გლდანის ჩრდ-ით.

ნაფოსტარი ადგ., საღაც წინათ ფოსტა იყო და იდგა დაცვა, სოფ. გლდანთან.

ნაჩხატები საძ. და უბ. სოფ. გლდანის ჩრდ-ით.

ორქვები მთა სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით. აქვია ქვის ორი სვეტი.

ოსიანთუბანი უბ. სოფ. გლდანში (ქვემო უბანი).

პავლიანთწყარო წყარო ნასოფ. მამკოდას ჩრდ-ით.

პატარა გლდანი უბ. მდ. გლდანისხევის მარცხ. მხარეზე, გლდანულასა და ავჭალას შორის. ადრე სოფელი იყო.

პატარა ვაკე ადგ. გლდანის დიდი ტბის აღმ-ით.

პატარა მანიანი ნასოფ. ჯოხტანისხევის მარცხ. მხარეზე, სოფ. გლდანის ჩრდ.-დას-ით 2-3 კმ-ზე.

პატარა მანიანთკარი იხ. პატარა მანიანი.

პატარა ტბა გლდანის დასახლებასა და რიყიანს შორის.

რიყე იხ. გლდანისხევი.

რიყიანი უბ. გლდანის პატარა ტბისა და გლდანის დასახლების მერვე მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე.

რიყის ბაღი ეწოდება სათბურების ტერიტორიას სოფ. გლდანში.

საფარისხევი მდ. ერთვის ხეცმარას ავჭალასთან.

საბატონო მინდვრები ეწოდებოდა ახლ. გლდანის დასახლების ზედა მიკრორაიონების ტერიტორიას.

საგანელიძეების უბანი უბ. სოფ. გლდანში (შუაუბანი).

სათბურები ადგ. სოფ. გლდანთან, გაშენებულია სათბურები.

სალოკები მინდ. სოფ. გლდანის ჩრდ.-აღმ-ით. აქ ნიადაგი მლა-  
შეა. ნადირი ეტანება მარილის სალოკავად.

სამების ქელი სოფ. გლდანის დას-ით.

საყდრისფერდი ნამოსახლარი გლდანისხევის მარჯვ. ნაპირზე,  
სოფ. გლდანის ჩრდ-ით.

საყინულე ნასოფლარი ჯოხტანისხევის მარჯვ. ნაპირზე, სოფ.  
გლდანის ჩრდ-ით 4-5 კმ-ზე.

საყინულე მთა ნასოფ. ვეჯინის თავზე.

ტურისხევი მდ. გლდანისხევის მარცხ. შენაკადი.

ქვაკალო ადგ. საგურამო-იალნოს ქელზე.

ქეემო უბანი უბ. სოფ. ვლდანში.

ღარიბიწყალი იხ. ღარიბისწყლის ხეობა.

ღარიბისწყლის ხეობა (ღარიბწყარო, ღარიბიწყალი) მდ. და წყა-  
რო, მიედინება ნასოფ. ვეჯინის თავზე, დიდველის მთის ძირში. უერ-  
თდება მდ. ჯოხტანისხევს.

ღვიასერი სერი სოფ. გლდანის ჩრდ-ით.

ღვთისმშობლის ტყე მშრალხევის დას-ით.

შუაუბანი უბ. სოფ. გლდანში.

ჩირდილები ტყის ნაკვეთი მშრალხევთან.

ცელეურები მინდ. გლდანის ჩრდ.-დას-ით.

ცერაგზა ტყიანი და დაქანებული ადგილი მშრალხევთან.

ძველი რიყიანი უბ. გლდანის დასახლების მერვე მიკრორაიონის  
მიმდებარე ტერიტორიაზე.

ძველი უბანი უბ. სოფ. გლდანში, ცენტრი.

წვეტიანი ქვა იხ. ლეკის ქვა.

ხეებმარა მდ. მტკვრის მარცხ. შენაკადი.

ხოდაბუნები ნასოფ. ჯვარისხევის მარცხ. ნაპირზე, სოფ. გლდა-  
ნის ჩრდ-ით 3-4 კმ-ზე. ხოდაბუნები ერქვა აგრეთვე ცენტროლიტის  
დასახლებას.

ხოჭა ტბა იგ. მლაშე ტბა, მამკოდის სამხრ.-აღმ-ით.

ჯაჭვლისწყალი (ჯაჭვისწყალი) საგურამო-იალნოს ქედის სამხ.  
კალთებიდან იწყება და ერთვის შტკვარს ავჭალასთან.

ჯაჭვისწყლის მთა მთა სოფ. გლდანის სამხრ.-დას-ით.

ჯვარა საძ. ჯოხტანის ხეობაში.

ჯვარისხევი მდ. ჯოხტანისხევის მარცხ. შენაკადი.

ჯოხტანი ვეჯინისუბანი.

ჯოხტანისხევი მდ. გლდანისხევის მარჯვ. შენაკადი სოფ.  
გლდანთან.

შენიშვნა: ზოგიერთი ტოპონიმის შეგროვებასა და დაზუსტებაზე  
გარკვეული დახმარება გაგვიწიეს: გ. მუხიაშვილმა, ა. ელგენდარაშ-  
ვილმა, ვ. ბითაძემ, შ. მიდელაურმა.

ამონარიდი წიგნიდან – „გლდანი“, თბ., 1997, გვ. 32-37.

## „საქართველოში გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვის არავითარი მმქანიზმი არ არსებობს“<sup>1</sup>

ლადო სულაბერიძე – ინტერვიუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელ, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორ ბატონ კობა ხარაძესთან

– ბატონო კობა, გასული წლის შემოდგომაზე აღინიშნა ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავი. საინტერესოა, ამ დიდი პიროვნების დიდი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ხელისუფლების მხრიდან გაკეთდა თუ არა რაიმე, თუ ყველაფერმა მხოლოდ ორგანიზატორთა ერთუზიანობის ხარჯზე ჩაიარა?

– გასული წლის ოქტომბერში საქართველოს მეცნიერებისა კულტურის სფეროში მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა – ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავი აღინიშნა. ეს იყო საერთაშორისო მასშტაბით, იუნესკოს ეგიდით განხორციელებული ღონისძიება, რომელსაც გამოეხმაურნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის ქალაქები, არამედ საზღვარგარეთის ბევრი ქვეყანა. საიუბილეო დღეებში ჩამოსული მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი, მათ შორის, საფრანგეთიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, გერმანიიდან, მოსკოვიდან და სხვა. საიუბილეო ღონისძიებებს ესწრებოდა აგრეთვე იუნესკოს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი. შექმნილი იყო სამთავრობო საიუბილეო კომიტეტი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ბრძანებულებით, რომელშიც შედიოდნენ 23 წევრი, მათ შორის, საქართველოს

<sup>1</sup> იბეჭდება შემოკლებით



წამყვანი მეცნიერები, კულტურის მუშაკები, მინისტრები და შესაბამისი სპეციალისტები. გარდა თბილისისა, ეს ღონისძიებები გასულ წელს ჩატარებულ იქნა როგორც საიუბილეო სხდომების სახით, ასევე გაზეთები და მეცნიერები გამოუხმარნენ გერმანიაში, საფრანგეთში ირანში. ბაქოში სპეციალური სესია იქნა მიძღვნილი ამ თარიღთან დაკავშირებით აზერბაიჯანის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ.

– ჩემი შეკითხვის მიზეზი ის ინფორმაცია გახლავთ, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების წარმომადგენლები საიუბილეო საღამოს ნაცვლად საფეხბურთო მატჩს ესწრებოდნენ, რომელიც იმავე დღეს იმართებოდა დინამოს სტადიონზე.

– იცით, რა? ეს უკვე განვლილი ფაქტია, და, მოდით, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ.

...

– ბატონო კობა, სამცხე-ჯავახეთს კიდევ ერთი პრობლემური საკითხი უკავშირდება. ეს თურქი მესხების ჩამოსახლების საკითხი, რაზედაც ზოგიერთი ქართული ორგანიზაცია, როგორცაა, ვთქვათ, ნაირა გელაშვილის „კაკასიური სახლი“, რომელიც კულტურის სამინისტროს სტრუქტურაა, მომხრეა მათი ჩამოსახლებისა საქართველოში. მიუხედავად დღევანდელი ასეთი დაქსაქსული და აჭრელებული მდგომარეობისა. თქვენი აზრით, თავი რომ დავანებოთ მათ ეთნიკურ წარმომავლობას, არის ამის აუცილებლობა ამგვარ რთულ ვითარებაში?

– საერთოდ, ტერმინი „თურქი მესხი“ უაზრობაა. თურქი მესხი არ არსებობს და ეს ხელოვნურად შექმნილი, შეკოწიწებული ტერმინი გახლავთ. არსებობს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებული, დეპორტირებული ხალხი, ვინც, ცხადია, სხვადასხვა ეროვნებისა გახლდათ, მაგრამ ამ ხალხის ძირითადი ნაწილი წარმოშობით ქართველია. თავისთავად ცხადია, გარკვეული პროცენტი მათში იყო თურქიც, ქურთიც და სხვა მუსლიმანი არაქართველი. ხელთ მაქვს 1926 წლის აღწერა, აგრეთვე 1939 წლის მოსახლეობის აღწერა, სადაც გარკვევით არის

გრაფები: ქართველი, სომეხი, რუსი, აზერბაიჯანელი და იქვეა კიდევ ერთი გრაფა, დასახელებით „მუსლიმანი“. ცხადია, რომ მუსლიმანობა ეროვნება არ გახლავთ, რომ ეს დასახელებული მუსლიმანი არც თურქი არის, ამას მოწმობს შემდეგი გრაფაც, სახელწოდება „ოსმალო“.

რუსულად იქვე – „ტუროკ“, ე. ი. ხსენებული მუსლიმანი თურქი კი არ არის, არამედ გამაჰმადიანებული ქართველია. სამწუხარო ის არის, რომ ის, რაც ვერ შეძლო თურქეთმა 300 წლის განმავლობაში, რათა ეს ქართველები გადაეგვარებინა, განხორციელდა რუსეთის ბატონობის პერიოდში, განსაკუთრებით კი, საბჭოთა წლებში, როცა ამ ხალხს აზერბაიჯანული გაზეთებით „ანათლებდა“. ცხადია, შემდგომში შუა აზიაში დეპორტირებული ეს ხალხი უფრო გადაგვარდა. ბევრმა ირწმუნა, კიდევ, რომ ისინი თურქები იყვნენ. რა თქმა უნდა, დღეს ხელალებით მათი ჩამოსახლების არც საშუალებაა და არც პოლიტიკური თუ ეროვნული ნიადაგია მზად, მაგრამ, პირველ რიგში, ისინი უნდა გავაცნობიეროთ იმაში, თუ სადაური წარმომავლობა აქვთ და ვინც ამას შეიგნებს, თანდათანობით შეიძლება დაეიწყოს მათი ჩამოსახლება იმ ნასოფლარ ადგილებში, რომლებიც გვაქვს იმავე ხვესურეთში, თუშეთში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩვენს სისხლსა და ხორცს ხელი არ უნდა ვკრათ. ეს პრობლემა დიდია და ამას, ცხადია, გონივრული მიდგომა სჭირდება და არა ერთი ხელის მოსმით მათი ჩამოსახლება.

– აჭარელიც მაჰმადიანია, მაგრამ აჭარელს შენარჩუნებული აქვს თავისი ეროვნული ენა და რატომ მოხდა ისე, რომ ამ ხალხმა ენაც დაკარგა, რელიგიაც დაკარგა და დღეს პირიქით, ისინი ქართულ წარმომავლობაზე უარს აცხადებენ და საქართველოს ტერიტორიაზე ავტონომიურ უფლებებს ითხოვენ?

– ქართველს ავტონომია არ შეიძლება მიეცეს საკუთარ ტერიტორიაზე და მეტიც, ავტონომია საქართველოში საერთოდ არ უნდა არსებობდეს. არც ოსს ეკუთვნის ავტონომია ჩვენთან, არც აზერბაიჯანელს. სომეხს თუ აფხაზს, რაც შეეხება აჭარელს. ეს ისეთივე ქარ-

თველია, როგორც იმერელი, რაჭველი, გურული, თუ კახელი. ამ ავტონომიური ერთეულების არსებობა სწორედ რუსული პოლიტიკის შედეგი გახლავთ.

– ეი. თქვენ იზიარებთ იმ აზრს, რომ დღეს ნაადრევია მათი ჩამოსახლება საქართველოში, თუნდაც იმის გამო, რომ მათი ჩამოსახლება უფრო გაადრმავებს იმ საკითხს, რასაც ჰქვია საქართველოს ფედერალური მოწყობა, იმიტომ, რომ თუ ეს ხალხი ჩამოვასახლეთ იმ პრინციპით, რომ მათ ავტონომიური უფლებები უნდა მიეცეთ და საქართველოში ისედაც მომრავლებული ავტონომიებს კიდევ ერთი დაემატება, ბუნებრივია უფრო მეტი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით.

– დღეს ჩვენ ძალიან მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში ვართ და დღევანდელ პერიოდში მათი მასობრივი ჩამოსახლების მომხრე არავინ იქნება, მაგრამ მომავლისათვის ის, ვინც ქართულ ენას, ქართულ კულტურას ეზიარება, მათ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებაზე უარი არ უნდა ეთქვას.

– ბატონო კობა, დღევანდელ მასმედიაში ხშირად გაისმის ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ და არა მარტო მას მედიაში, არამედ ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც. თვითონ საქართველოს პრეზიდენტსაც არაერთხელ მოუხსენებია ეს ტერმინი. ყველას კარგად გვახსოვს, რომ 1991 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომია გაუქმდა და შიდა ქართლს მიეცა თავისი ისტორიული სახელწოდება. ბოლოს და ბოლოს დღეს ეს მიწა-წყალი როგორ სახელს ატარებს – სამაჩაბლოს თუ სამხრეთ ოსეთს?

– ჩვენთვის ეს ტერიტორია საქართველოს შუაგულია, შიდა ქართლი, რომელშიც არ შეიძლება რაღაც ავტონომია არსებობდეს, რამდენადაც უძველესი პერიოდიდან, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვაში ეს გახლდათ საქართველოს ტერიტორია ანუ „ზენა სოფელი“, შემდგომში – „შიდა ქართლი“. ეს „ზენა სოფელი“ ანტიკური პერიოდისაა წარმომოხილი. ასე რომ, აქ სხვა ეროვნების ხალხი არ ცხოვრობდა. თვითონ ოსი მეცნიერი აბაევი წერს, რომ დღევანდელი

ის ოსებიც კი, რომლებიც ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობენ და ოსეთის სახელმწიფო გააჩნიათ, იმ ტერიტორიაზეც მოსულები არიან. ის, რომ საქართველოში არსებობდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეული, გახლდათ უკანონო მოვლენა. იგი წარმოადგენდა „სამაღ-ლობელო საჩუქარს“ ოსებისათვის ბოლშევიკებისაგან, საქართველოს გასაბჭოებაში გაწეული დახმარების გამო.

– დაბოლოს, ამჟამად რაზე მუშაობთ, რა საქმიანობას ეწევით?

– ამჟამად ვმუშაობ აჭარის ისტორიულ გეოგრაფიაზე. ჩვენთან, ინსტიტუტში, დამუშავდა და გადაეცა აჭარის ატლასი, რომელშიც 150-ზე მეტი რუკაა მოთავსებული. ეს გაკეთდა ასლან აბაშიძის პირადი შეკვეთით. მე განლაგართ ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი. გეგმაში გვაქვს ზოგადგეოგრაფიული ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემა, რომელშიც ჩემთან ერთად კიდევ ოთხი კაცია ჩართული. გარდა ამისა, ჩემი ხელმძღვანელობით გაკეთდება აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ენციკლოპედიური ლექსიკონი, რაც ერთ-ერთი პრობლემური საკითხია, რადგან დღეს უკვე შეადგინეს აფხაზეთმა რუკები და ევროპულ სივრცეში გაუშვეს. ამ რუკებზე კი მთლიანად შეცვლილია ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები. ასევე შეცვლილია ადმინისტრაციული დაყოფა. ჩვენი ნაშრომით ფიქსაციას გავუკეთებთ და შევინარჩუნებთ იმ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

– ანაზღაურება რამდენი გაქვთ?

– დღეს ფაქტობრივად ხელფასი არავის გააჩნია, მით უმეტეს, მეცნიერ-მუშაკს. ჩვენთან მუშაობენ მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებსც 50 ლარამდე აქვთ ხელფასი.

გაზეთი „ახალი თაობა“, 15 თებერვალი, 1998, №43, გვ. 6,21.

## ორბელიანის კუნძული

მდინარის ტალღეებში – ხეობის ყველაზე ღრმა, ღერძულ ნაწილში, ხშირად წარმოიშობა კუნძული, როცა მდინარის ნაკადი ორ ტოტად იყოფა და გარკვეული მანძილის შემდეგ ისევ ერთდება; სწორედ ამ ორ ტოტს შორის მოქცეული ტერიტორია არის მდინარეული კუნძული. მისი გაჩენა დამოკიდებულია რელიეფის, ამგებელი ქანების, წყლის ნაკადის და სხვ. პირობებზე. ამასთან, წყალდიდობის ან წყალმოვარდნის დროს ზოგიერთი კუნძული ნაწილობრივ, ან სრულად იფარება (იტბორება) წყლით და დროებით ქრება. მდინარეული კუნძულების ზედაპირი დაფარულია ფხვიერი ნალექებით – ქვიშით, რიყით, თიხით და მეტწილად შემოსილია მცენარეულობით.




ორბელიანის კუნძული (XIX საუკუნის ფოტო)

მდ. მტკვრის გაყოფებით დღესაც მრავლად არის მდინარეული კუნძული; ზოგი კი ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად დიდი ხა-

ნია აღარ არსებობს, რის გამოც შეცვლილია ბუნებრივი ლანდშაფტის იერსახე. ერთ-ერთი ასეთი კუნძული იყო თბილისში, ახლანდელი ზა-არბრიუკენის ხიდის მიდამოებში.

კუნძული კარგად ჩანს ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის თბილისის გეგმაზე; მასზე თვალნათლივ არის გამოსახული მდინარე მტკვრის ორ ტოტს შორის მოქცეული ვრცელი კუნძული, რომლის მარცხენა და ჩრდილო ნაწილი დაფარული ყოფილა ქვიშნარით, ხოლო მარჯვენა და შუა ნაწილი – მცენარეულობით. ვახუშტისეული გეგმის მიხედვით, ზუსტად შეიძლება განისაზღვროს კუნძულის არა მარტო მდებარეობა, არამედ კონფიგურაცია; გეგმაზე კარგად ჩანს მტკვრის ორი ტოტის სანაპიროზე მდებარე ნაგებობათა განლაგებაც.



ორბელიანის კუნძული,  
ფრაგმენტი ვახუშტი ბაგრატიონის  
თბილისის გეგმიდან, 1735 წ.

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თბილისის გალაენის ჩრდილოეთით და დასავლეთითაც ვრცელდებოდა ქალაქის ტერიტორია, რასაც იმხანად გარეთუბანი ერქვა; იგი გაშლილი იყო ახლანდელი თავისუფლების მოედნისა და ქაშვეთის ეკლესიის გასწვრივ, პუშკინის ქუჩით (სადაც ძველად მდინარე ავანანთხევი გადიოდა, რომელიც ახლა გვირაბში მიედინება) მდინარე მტკვრამდე ჩამოდიოდა, ჩრდილოეთით კი ყაბულას ბაღის გასწვრივ (დღევანდელი ეკონომიკის სამინისტროსა და ბანკის შენობის ტერიტორია) ვრცელდებოდა. გარეთუბნის ტერიტორია მტკვრის სანაპიროზე ნაკლებად იყო ათვისებული; აქ მხოლოდ შეიღანი ანუ ასპარეზი (9 აპრილის ბაღი), მოგვიანო პერიოდის — ყაბახი, ეკლესია და სასაფლაო იყო, უკიდურეს ჩრდილო ნაწილს, როგორც აღვნიშნეთ, ყაბულას ბაღი წარმოადგენდა. რაც შეეხება მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს, აქ მცირე დასახლება, ახალი სოფელი (ზაარბრიუკერის მოედნის მიმდებარე ტერიტორია) და ჩუღურეთის დასახლება იყო, რამდენიმე ეკლესიით, მათ შორის კვირაცხოვლის ეკლესია (ეს სოფლები თბილისს მხოლოდ 1824 წელს შეუერთდა).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, და განსაკუთრებით შემდეგ საუკუნეებში, თბილისის ინტენსიური ზრდა მიმდინარეობდა, რაც ნათლად ჩანს თბილისის ტოპოგრაფიულ გეგმებზე. თვით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გარეთუბანს რიგი ნაგებობები შეემატა. 1751 წლის 9 იანვრის წყალობის წიგნით, თეიმურაზ მეორემ სარდალ რამაზ ორბელიანს უბოძა გარეთუბანში, კუნძულის მარჯვენა ტოტის სანაპიროზე, მეფის სახასო სასახლის ტერიტორია. „...მაშულის სასახლის წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ ... გარეთუბანს მეიდნის პირზედ ჩვენი სახასო სასახლის ადგილი, რაც დღეს გალაჟანი ავლაა, შიგ გალაჟანში, თავისი საყინულითა. ერთი გვერდი მტკვრის რიყის ძიდგამდის, მეორე გვერდი მეიდნის მიდგამდის, ზოლო რაც დღეს კედელი არის გადავლებული ისიც გადასწვრივ მტკვრის მიდგომამდის და თვით მტკვრისაკენ, მოგლეჯილს ფლატესთან რომ ლურჯი კლდე

144

არის და გალავანი მიადგამს, იქამდის...“ (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, 1962, საბუთი №191).

წყალობის წიგნით ორბელიანებს ებოძათ ტერიტორია მეიდანს (ასპარეზს) და მტკვარს შორის; ამ ტერიტორიის საკმაო ნაწილი გალავნით ყოფილა შემოზღუდული და სახასო სასახლის ადგილად ითვლებოდა. ბოლო წლებამდე მოაღწია ორბელიანთ მამულის ამ ზღუდის ერთმა ნაწილს და კარის ეკლესიამ (მ. ბერძნიშვილი, 1965), ხოლო თეიმურაზ მეორისაგან ნაწყალობები სასახლის ადგილას შემდეგში ორბელიანების სახლი აიგო (ამერიკის საელჩოს დღევანდელი შენობა)<sup>1</sup>. ორბელიანების შთამომავალი, პოეტი გრიგოლ ორბელიანი, ამ სახლში ხშირად მართავდა ლიტერატურულ კითხვებს (თ. ბერიძე, 1980). ორბელიანების მამული ვრცელდებოდა მტკვრის სანაპიროზე ახლანდელ მშრალ ხიდამდე, სადაც, სანაპიროს ხელოვნურად შეცვლამდე, „მოგლევჯილი ფლატე“ და „ლურჯი კლდე“ მდებარეობდა. მამულში იყო ძველად აგებული „საყინულე“. ასეთი ხელოვნური (ყინულის დასაგროვებლად) კონსტრუქციის საყინულეები აღმოჩნდა თბილისის ძველ უბნებში.

ორბელიანების გარეთუბანში დასახლების შემდეგ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა მიკროტოპონიმი „ორბელიანთუბანი“, მიუხედავად იმისა, რომ ორბელიანები თბილისის ცენტრშიც ფლობდნენ ტერიტორიას (კალას ზედა უბანში). ორბელიანთუბანი გარეთუბანში დატანილია უკვე ალექსანდრე პიშჩევიჩის 1785 წლისა და კაპიტან ჩუიკოს 1800 წლის თბილისის გეგმებზე.


ორბელიანებს ეკუთვნოდათ, აგრეთვე, მათი უბნის მიმდებარე კუნძული, რომელმაც ორბელიანის კუნძულის სახელი მიიღო (გარეთუბნის ახალი ბალების ნაცვლად). შემდეგში, აქ დავით ორბელიანმა (ერეკლე მეორის სიმეძე), სახლთუხუცესმა გააღრმავა მტკვრის ტოტი

---

<sup>1</sup> 2018 წლის დეკემბრიდან საქართველოს პრეზიდენტის სასახლე.



სასახლის წინ: უფრო მეტად აითვისეს კუნძული ბალების გასაშენებლად. კუნძულს სარდარის (სარდალის) სახელიც შეერქვა.



ორბელიანის კუნძული  
ფრაგმენტი 1800 წლის თბილისის გეგმიდან


XIX საუკუნის 20-იან წლებში კი დავით ორბელიანის მემკვიდრეებმა კუნძული ოჯახის მეგობარს, გენერალ მადათოვს დაუთმეს. ამ პერიოდიდან კუნძულმა მადათოვის სახელი მიიღო. შემდეგში კუნძულმა დაკარგა პირვანდელი სახე; კუნძულის ნაწილი მცირე საწარმოებმა დაიკავა, ნაწილი ნაგვის საყრელად გადაიქცა, ხოლო ბალები აჩეხეს. ეს ცვლილება კარგად ჩანს XIX საუკუნის ფოტოსურათზე. თვით სახელწოდება „მადათოვი“ აღნიშნულია მხოლოდ XIX საუკუნის 40-იანი წლების თბილისის გეგმებზე.

XIX საუკუნეში თბილისის ტერიტორიის ინტენსიურმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა მტკვრის მოპირდაპირე მხარეების დაკავშირება. მართალია, მესანგრეები ორბელიანის კუნძულის ტერიტორიაზე აშენებდნენ ხის კონსტრუქციის მცირე ხიდებს, მაგრამ წყალი ხშირად იტაცებდა მათ. ამიტომ, XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, დამუშავდა კაპიტალური ხიდის მშენებლობის პროექტი (პროექტის ავტორი იყო იტალიელი ჯოვანი სკუდიერი), რომელიც მეფის მთავრობამ არ დააფინანსა. მოგვიანებით, როცა კავკასიის მეფის ნაცვლად ვორონცოვი გახდა, შესაძლებელი შეიქმნა საკითხის ხელახლა დაყენება; მტკვრის ძირითად კალაპოტზე უნდა აგებულიყო ხიდი, რომელიც დააკავშირებდა მარჯვენა ტოტზე განხორციელებულ ნაგებობას. 1848 წელს დაიწყო ხიდის მშენებლობა და 1853 წლის აპრილში დამთავრდა. ხიდმა ორბელიანის კუნძული ორ არათანაბარ ნაწილად გაყო. ხიდს ოფიციალურად მიხეილის სახელი ეწოდა (რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის ძმისწულის, მეფისნაცვლის, მიხეილ რომანოვის პატივსაცემად), მაგრამ თბილისელები ვორონცოვის ხიდს უწოდებდნენ, ხიდის მშენებლობაში მისი ქმედითი მონაწილეობის აღსანიშნავად. ამასთან, ხიდის დასაწყისში, მოედანზე 1867 წლის 25 მარტს გაიხსნა ვორონცოვის ძეგლი.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ხიდი გადაკეთდა, ხოლო 1961 წელს ქართველი არქიტექტორების მიერ აღნიშნული ხიდი ბირფესვიანად შეიცვალა და დღევანდელი სახე მიიღო. შენარჩუნებულ იქნა ძველი ბურჯები, ხუთმალაიანი კონსტრუქცია და თაღების მოყვანილობა (თ. კვირკველია, 1985).

XX საუკუნის 30-იან წლებში დაწყებულმა მტკვრის სანაპიროების რეკონსტრუქციამ და ჯებირების აგებამ მთლიანად გარდაქმნა სანაპიროები, მათ შორის მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ორბელიანის კუნძულმა. 1933 წელს გადაიკეტა კუნძულის მარჯვენა მხარეზე მიმავალი მტკვრის ტოტი. ნაყარი მასალით ამოავსეს მისი კალაპოტი და სანაპირო და გაიყვანეს გზა. გაქრა ორბელიანის კუნძული

და, მასთან ერთად, გარდაიქმნა ბუნებრივი ლანდშაფტი. ამჟამად ყოფილი კუნძულის ტერიტორიის დიდ ნაწილზე მშენებრივი პარკია გაშენებული, რომელშიც „დედაენის ძეგლია“ აღმართული. ხიდის უწყლოდ დარჩენილ მარჯვენა ნაწილს, რომლის ქვეშ გადის გზა, „მშრალი ხიდი“ ეწოდა.



მიხეილის მცირე ხიდი, ახლანდელი „მშრალი ხიდი“

(ი. ვასილენკოს ნახატი)

#### ლიტერატურა

მ. ბერძნიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში. თბ., 1965.

თ. ბერიძე. ძველი თბილისის სურათები. თბ., 1980.

ი. კვიციანი. ძველთბილისური დასახლებანი. თბ., 1985.

ჟურნალი „გეოგრაფია“, 1998, №2, გვ. 50-54.


## ამის მძიმელს ვას უშბი ბატონიშვილი ნამდვილად მკლავს მოკვეთდა...

ანუ საჯარო რეპლიკა იმაზე, რომ ქართული რუკების გამოცემა  
სასხვათაშორისოდ არ უნდა ხდებოდეს

რუკა თვალსაჩინო საშუალებაა, რომელზედაც ამა თუ იმ ტერიტორიის ზედაპირის შემცირებული პირობითი გამოსახულებაა სიბრტყეზე. ქართული რუკათმცოდნეობის საწყისები და ჩამოყალიბება საუკუნეების მიღმა იკარგება. არქეოლოგიური, ლიტერატურული და ისტორიული წყაროებით მტკიცდება, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეპოქის შესაფერისი რუკათმედგენა ხდებოდა. სწორედ ამ წყაროების ანალიზის საფუძველზე XIX საუკუნეში გერმანელი მეცნიერი კარლ რიტერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „კარტოგრაფიული ხელოვნების პატივ-ღიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“. XVIII საუკუნის I ნახევარში ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა მსოფლიო კარტოგრაფიის ბრწყინვალე ნიმუშები. XX საუკუნეში ბევრმა ქართველმა კარტოგრაფმა დიდი ღვაწლი დასდო ამ დარგის განვითარებას. ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან არსებობდა საამისო პირობები, როცა საქართველოს კარტოგრაფიული ინსტიტუტი შეიქმნა, ხოლო შემდეგ, და დღესაც, დიდ როლს ასრულებს მაღალი ტექნიკური აღჭურვილობის ორი კარტოგრაფიული ფაბრიკა.

საბედნიეროდ, დღეს ნაირგვარი თემატური რუკების შესადგენად ყველა სახის საფუძველი არსებობს, რაც მეცნიერებს საშუალებას აძლევს თავიანთი კვლევის შედეგები თუ საინფორმაციო მასალები წარმატებით გამოიყენონ რუკების შედგენასა და გამოცემაში. სამწუხაროდ, ხშირად გამოშვებული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს და მკითხველს დიდი ხარვეზებით მიეწოდება. ქართულ კარტოგრაფიულ პრო-

დუქციაზე ადრეც არაერთხელ გამოგვითქვამს ჩვენი შეხედულება და ხშირ შემთხვევაში უკმაყოფილება, მაგრამ უმეტესად ისინი დარჩა „ხმად მლალადებისად უღაბნოსა შინა“. მიუხედავად ამისა, კვლავ შევეხებით რამდენიმე რუკას, რომელთა უწყურადღებოდ დატოვება არ ეგების. მით უმეტეს, სავაჭრო დაწესებულებებში საკმაოდ მომრავლდა ქართული კარტოგრაფიული ნიმუშები.



თემატური რუკების გამოცემა არათუ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა, ოღონდ ერთი პირობით, — რუკაზე არ შეიძლება იყოს კორექტურული უზუსტობაც კი, მით უმეტეს, უხეში შეცდომები. ამ მხრივ საკმაოდ უხემ შეცდომებს შეიცავს სამხედრო კარტოგრაფიული ფაბრიკის მიერ გამოცემული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყო-

ფის რუკა (მასშტაბი 1:1000000), რომლის ტირაჟი მითითებული არ არის; სავაჭრო დაწესებულებებიდან ჩანს, რომ საკმაოდ დიდი ტირაჟით უნდა იყოს დაბეჭდილი. სხვათა შორის, ამავე სამხედრო ფაბრიკის მიერ ცოტა ადრე გამოცემული ასეთივე ხასიათის უფრო მსხვილმასშტაბიან (1:600000) რუკაზეც ტირაჟი მითითებული არ არის. თავის დროზე ამ უკანასკნელ რუკაზე განგაში რომ აგვეტეხა, ალბათ ახალ გამოცემულ რუკაზე ზოგ შეცდომასაც ავიცილებდით. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ რუკის დიდი რაოდენობა დღესაც იყიდება სავაჭრო ქსელში, ამიტომ ჯერ ამ რუკის ზოგიერთ დამახასიათებელ უზუსტობებს გადმოვცემთ, რამდენადაც აღნიშნული რუკის ამ სახით გამოყენება შეუძლებელია.

წინამდებარე რუკის დანიშნულებაა: 1. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა თვალსაჩინოდ ასახოს; 2. რუკაზე მოცემული გეოგრაფიული ობიექტები სწორად იყოს განლაგებული და ასახული სახელწოდებათა ცვალებადობა და სწორი მართლწერა.

ამ მხრივ იგი ვერც ერთ პირობას სრულად ვერ აკმაყოფილებს, რამდენადაც პირველ შემთხვევაში რუკაზე ასახული არ არის ის ცვლილებები, რომლებიც რუკის გამოცემამდე მოხდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფაში. მხედველობაში გვაქვს ათეულობით სასოფლო საკრებულოს გაყოფა და ახლის წარმოქმნა; წინამდებარე რუკაზე ასახული სასოფლო საკრებულოების ცენტრები მოძველებული დაყოფით არის გაკეთებული და ცვლილებები ასახული არ არის. ყველაფერ ამაზე არსებობს ოფიციალური დადგენილებები, რაც რუკის შემდგენლებს უნდა გაეთვალისწინებინათ. ასე მაგალითად: ურთას, ყულიშქარის (ზუგდიდის რ-ნი), წვირმის (მესტიის რ-ნი), ნადაბურის (ხარაგაულის რ-ნი), გორაბერეჟოულის, გოგოლესუბნის (ჩოხატაურის რ-ნი), საგვიჩიოს (ხობის რ-ნი), ლემშენიერის (გარდაბნის რ-ნი), თოხლიაურის (საგარეჯოს რ-ნი), კოლაგის (გურჯაანის რ-ნი), ტყვირის (აბაშის რ-ნი), ფუმრუკაულის (ხულოს რ-ნი), ფხეროს, გორგულის, ბენარას, ზანავის (ადიგენის რ-ნი), პტენის, კოთელიას, გოგაშენის, ტურცხის (ახალქალაქის რ-ნი), ტანძიის (ბოლნისის რ-ნი), მაშავერას (დმანისის რ-ნი), წერაქვის (მარნეულის რ-ნი), რეხას,

აშკალას (წალკის რ-ნი), ზუმუშკირის (გალის რ-ნი) და სხვა სასოფლო საკრებულოების ცენტრები. ყველა ამ და დაუსახელებელ სასოფლო საკრებულოების შექმნა, რუკაზე მითითებული თარიღის გაცილებით ადრე მოხდა.

ახლა ვნახოთ, როგორ აისახა რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა ცვლადობა; 1992 წელს ბოლნისის რაიონის რამდენიმე ათეულ დასახლებულ პუნქტს აღედგინა ძველი სახელი, მათ შორის სასოფლო საკრებულოს ცენტრებს, რომელი ცვლილებაც რუკაზე არ არის ასახული. ასე მაგალითად: არუხლოს (და არა არახლოს) ნახიდური ეწოდა, სარაჩლოს – მამხუტი, ფახრალოს – ტალავერი და სხვ. მხედველობაში არც უფრო აღრინდელი ცვლილება არ არის მიღებული, რომელთა დასახელებები შორს წაგვიყვანს, მაგრამ მინც ძირითადს დავასახელებთ: ალაიანი – წმინდა ნინო, ყარაღაჯი – თელიანი (კასპის რ-ნი), კალინინო – თამილწყარო (გარდაბნის რ-ნი), შრომა – ვაჩნაძიანი (გურჯაანის რ-ნი), ცოდნა – მაწიმი (ლაგოდეხის რ-ნი), მთისკალთა – მრავალძალი (ონის რ-ნი), ზედა ულიანოვკა – ზედა საჩინო (ქობულეთის რ-ნი) და სხვა.

საკმაო ობიექტების სახელები ან დამახინჯებულა, ან კორექტურული შეცდომებითაა წარმოდგენილი. ასე მაგალითად: ბაშქო – ბაშქოი, ხაჩქოი – ხაჩკოი (წალკის რ-ნი), ხეთაგუროვი – ხეთაგუროვო (გორის რ-ნი). ძველანაგა – ძველი ანაგა (სიღნაღის რ-ნი), გიორგეთი – გორგეთი (ლაგოდეხის რ-ნი), პირველი ონტოფი – პირველი ონტოფო (აბაშის რ-ნი), სარეკველთუბანი – სარქველთუბანი (ჭიათურის რ-ნი), გადადი – ვადიდი (ვანის რ-ნი), ჭაქქინჯა – ჭაქქინჯი (ზუგდიდის რ-ნი), ბაღდადი – ბაღდათი, ნერგეთი – ნერგეთი (ბაღდათის რ-ნი), ქვედა მარდი – ქვემო მარდი (მესტიის რ-ნი), კვაისი – კვაისა (ონის რ-ნი), ფარცნალი – ფარცნალი (ხარაგაულის რ-ნი), ახალხიბულა – ახალი ხიბულა, ხამისყური – ჯამისყური (ხობის რ-ნი) და სხვა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბეჭდვის ხარისხის გამო ყველგან სოკითხება როგორც ხ; ასე რომ, თუ არ იცი სახელწოდების მართლწერა, ხშირად გაჭირდება მისი სწორი ფორმის დადგენა.

რუკაზე სხვა დამატებითი ინფორმაციის მოწოდებისას ყველაფერი რიგზე როდია; საკმაოდ არის დატანილი ქედები და რატომღაც საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილების გამყოფი ლიხის ქედი დატანილი არ არის (?!). კოდორის უღელტეხილი კახეთის კავკასიონზეა აღნიშნული, რაც უაზრობაა (ამის შესახებ ცოტა ქვემოთ). ტბა ხოზაფინს ქართული სახელი კარწახიც ჰქვია, რაც უნდა აღნიშნულიყო კიდევ. კურორტებს – ავადჰარას, ლებარდეს, ბახმაროს და სხვ. არავითარი პირობითი ნიშანი არ უზის, სამაგიეროდ კურორტ შოვს პუნსონი უზის. მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა რუკაზე რატომღაც აღნიშნული არ არის. საქართველოს ფარგლებს გარეთ აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებები ერთ სტილში არ არის მოყვანილი, ხოლო ზოგიერთი სახელწოდება უზუსტოდ არის მოცემული. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება, რაც რუკის გამოყენების საშუალებას ბევრად ზღუდავს და მათი შემდგენლების კომპეტენტურობას ეჭვის ქვეშ აყენებს.

(გაგრძელება იქნება)

გაზ. „თვალთაი“, 18-24 თებერვალი, 1998, გვ. 5.



# ამ რუკუს შემდგენელს ვახუშტი ბატონიშვილი მარ- ჯვენს მოჰკავებდა!

(შენიშვნა მიორა)

ახლა გადავხედოთ იგივე სამხედრო კარტოგრაფიული ფაბრიკის მი-  
ერ 1997 წელს გამოცემულ რუკას, ოღონდ ამჯერად ქართულ-ინგლისურ  
ენაზე გაკეთებულს; ეს რუკაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის  
შინაარსისა და არაფრით ჩამოუვარდება უზუსტობებით მის წინამორბედ  
რუკას; სამწუხაროდ, ამჯერად უცხოელებსაც გავაცანით ჩვენი არაკომპე-  
ტენტურობა, რაც შეიძლება უკანვე დაგვიბრუნდეს. რუკის მასშტაბი ამჯე-  
რად 1:1000000.

როგორც აღინიშნა, იგი ორენოვანია, რაც, ალბათ, სასურველი არ  
არის. სომ შეიძლებოდა ისინი ცალ-ცალკე გამოცემულიყო, ამ მხრივ იგი  
არც ესთეტიკურად არის მიმზიდველი და არც ხარისხი აკმაყოფილებს;  
კერძოდ, ქალაქის ბეჭდვის, ფერების და სხვ. ხარისხი მისაღები არ  
არის.

რუკას მითითებული აქვს მთარგმნელის ვინაობა. რუკაზე სომ ძირი-  
თადად ტოპონიმებია მოცემული, ხოლო ტოპონიმი არ ითარგმნება. პირო-  
ბითი ნიშნების რამდენიმე წინადადება კი ყველა ინგლისურენოვან რუკაზეა  
გაკეთებული. ამ რამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა საქართველოს რუკა ქარ-  
თულ ენაზე. მასზე კი მითითებული იყო „თარგმანი შეასრულა...“ საინტე-  
რესო მხოლოდ ის არის, საქართველოს რუკის ქართული ვარიანტი საი-  
დან ითარგმნა?! არადა, ამ რუკას გამომცემელიც ჰყავს და რედაქტორიც.  
ასევეა წინამდებარე რუკაც.

მართალია, რუკის სათაური სწორადაა მითითებული „საქართველო“,  
მაგრამ იქვე, მეორე საზზე „საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაცი-  
ულ-ტერიტორიული დაყოფა“ არის მოცემული.

რადგან რუკა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისაა, ალბათ  
არც იყო საჭირო ქედებისა და მთების სახელწოდებების აღნიშვნა, რამდე-

ნადაც, ჯერ ერთი, ტვირთავს რუკას და, მეორეც, მარტო სახელების აღნიშვნა არაფერს გვეუბნება. ასეთი წარწერები ფიზიკურ რუკაზე უნდა იყოს, სადაც ფერებში ნაჩვენები იქნება სიმაღლეებიც.

მდინარეებზე მოცემული წარწერები არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება — უხერხულია არ ჰქონდეს წარწერა ყვირილას, ძირულას, ქსანს, მეჯუღას, მაშავერს, აჭარისწყალს, ალგეთს და მისთანებს.

შეცდომით არის წარწერა „ხრამი“ მდინარე ზურტაკეტზე (შავეყა-ლაზე), მით უმეტეს, თვით სახელწოდება „ხრამი“ შეცდომით დაუმკვიდრდა მდინარე ქციას XIX საუკუნის მეორე ნახევარში. თანამედროვე რუკებზე ზემო ნაწილში კვლავ ქციას აღნიშნავენ, ხოლო შუა და ქვემო ნაწილში — ხრამს. წინამდებარე რუკაზე კი ხრამი ქციას მარჯვენა შენაკადს აქვს მიკუთვნებული.

ოფიციალური სახელწოდება არის ბაღდათი. რუკაზე ბაღდათი მოცემული. ასევე კვაისა არის მიღებული და არა კვაისი (თუმცა სწორი ფორმაა ქვაისა).

„კოლორის უღელტ“. კახეთის კავკასიონზე არ უნა იყოს. „ქართულ ენციკლოპედიასა“ (ტ.10, გვ. 606), ლ. მარუაშვილის „საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიასა“ (ტ.2, 1970, გვ. 111) და სხვ. ყალბი არის აღნიშნული.


რუკაზე გამორჩენილია ასპინძისა და ხელვაჩაურის რაიონების რიგითი აღმნიშვნელი ნუმერაცია. შესაბამისად №42 და №60.

რუკა გამოდის 1997 წელ, ხოლო მითითებულია 1989 წლის მონაცემები. ეს უხერხულია, რამდენადაც ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა და ახალი მონაცემების აღნიშვნა სასურველი იყო.

„საქალაქო საკრებულოსადმი დაქვემდებარებული ტერიტორიები“ — ცხადია, აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია და მათი ცალკე განყენებულად წარმოდგენა უხერხულია.

ქ. ქუთაისში, სადგურ რიონიდან რკინიგზის ხაზი აცდენილია სინამდვილეს და ისეთი შთაბეჭდილება იქნება, თითქოს იგი მდინარე წყალწითელაზე იყოს გატარებული. ამას მოსდევს კიდევ უფრო უხეში შეცდომა,

რომ რკინიგზის ხაზი თერჯოლის რაიონის დასავლეთი საზღვარი მდინარე რიონზეა გატარებული; ცხადია, თერჯოლისა და წყალტუბოს რაიონების გამგეობებსა და ქუთაისის მერიას ამ რუკის მიხედვით „დიდი დავა“ მოუწევთ საზღვრების დასადგენად.



რუკაზე ზოგიერთი მდინარის სათავე წყალგამყოფი ქედის თხემს იქითაა ნაჩვენები. უხერხულია მდინარეთა აღმნიშვნელი ხაზების შეწყვეტა საქართველოს საზღვრებთან, იმ დროს, როცა მოსაზღვრე ქვეყნები საზღვრებშია მოქცეული და შესაბამისი წარწერებიც აქვს მოცემული.

რუკაზე არ არის დატანილი ისეთი მაღალი მთები, როგორცა: ტე-ბულოს მთა (4493 მ), ქომიტო (4261 მ) და სხვ. იმ დროს, როცა უფრო დაბალი მთებია დატანილი (მაგალითად, შავი კლდე – 3578 მ). რუკაზე ზოგიერთი ქედის მიმართულება უზუსტოდ არის აღნიშნული, ხოლო წარწერები არაერთგვარად. მაგალითად, მესხეთის ქედი სრული დასახელებით არის აღნიშნული, სხვები შემოკლებით – ქდ. ამასთან, რუკაზე ქედების აღნიშვნის არავითარი კანონზომიერება არ არის დაცული; მაგალითად, გუ-ღამაყრის და ალექის ქედები აღნიშნულია, მთიულეთისა და ხარულის – არა. უფრო მეტიც, აღნიშნულია ქედები: გაგრის, ბზიფის, კოდორის, ევ-რისის, ლეჩხუმის და სხვ. ხოლო ამ დროს ლიხის ქედი დატანილი არ არის.

მდინარე მაშავერა რაიონულ ცენტრ დმანისში გაივლის, რუკაზე კი იგი მოშორებულია და გაცილებით სამხრეთით მიედინება. უფრო მეტიც, მეჯუღა ქალაქ გორთან უერთდება ლიხს, წინამდებარე რუკაზე კი მეჯუღა მტკვარს ერთვის ქალაქ გორიდან აღმოსავლეთით.

ზოგიერთ წყალსაცავს სახელი არ აწერია, მაგალითად, – გუმათის, ხოლო ჟინვალის სახელწოდება ძალიან მოშორებითაა.

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი ქ. თეთრიწყაროს სამხრეთი-დან და დასავლეთიდან აუვლის, ხოლო წინამდებარე რუკაზე პირიქითაა – აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით არის დატანილი.

გეოგრაფიული სახელწოდებების ინგლისურ მართლწერაშიც ყველა-ფერი რიგზე არ არის. ამ და სხვა შენიშვნებზე საუბარი საკმაოდ შორს წაგვიყვანს, ვინაიდან ამით არ ამოიწურება ყველა შენიშვნა. რუკა სერიო-ზულ გადამუშავებას საჭიროებს როგორც საზღვრების, ისე ფერების და ტექნიკური თვალსაზრისით, მით უმეტეს, იგი უცხოელთათვისაც არის განკუთვნილი და ამიტომ შეცდომა ხვალ ან ზეგ ბუმერანგით უკან დაგ-ვიბრუნდება უცხოური პუბლიკაციების სახით.

## ასეთი რუკის შემდგენელს მარჯვენს მოჰკვეთდა ვასუშტი ბატონიშვილი

ახლა კი სავაჭრო დაწესებულებებში გამოჩნდა ახალი შედგენილი რუკა - „საქართველოს არქიტექტურული ძეგლები“. რუკა თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაშია დაბეჭდილი. როცა რუკასა და ამხსნელ ტექსტს ახლოს გაეცნობი, უნებურად გებადება კითხვა: ნუთუ ავტორებმა იგი ერთ რომელიმე ხელოვნებათმცოდნეს, ან ჩვეულებრივ ზოგადი განათლების ისტორიკოსს არ აჩვენეს? დავანებოთ ამას თავი: თვით ავტორებს ხომ შეეძლოთ რომელიმე საინფორმაციო წყაროსათვის გადაეხედათ, თუნდაც „ქართული ენციკლოპედიის“ შესაბამის ტომებისათვის, რომლებშიც სწორადაა მოცემული თითოეული ძეგლის ქრონოლოგიური ზღვარი, სტილი და მდებარეობა. აქ უმეტესად შეცდომებთან და უზუსტობებთან გვაქვს საქმე, რომლებიც ზოგჯერ კურიოზებშიც კი გადადის...



რუკაზე დატანილი და განმარტებულია 69 ძეგლი, რაც, ცხადია, მცირეა ამ მასშტაბის რუკისათვის. მაინც როგორ არის შერჩეული ისინი? ძნელი გასარკვევი ხდება, რის მიხედვით არის ეს 69 ძეგლი დალაგებული. ქრონოლოგიურად ყველა პერიოდის ძეგლებია, მათ შორის ქრისტიანობამდელი ძეგლებიც; არც გრანდიოზულობის მიხედვითაა შერჩეული, არც მნიშვნელობის მიხედვით, არც სტილის მიხედვით... ერთი სიტყვით, გაუგებარია, რა საფუძველი უდევს რუკაზე დატანილი ძეგლების შერჩეულ სიას.

რა პრინციპიც უნდა ყოფილიყო ძეგლების შერჩევისას, განა შეიძლება გამოვტოვოთ ისეთი ძეგლები, როგორებიცაა: მატანის (V-VI სს.), ძეგლი შუამთის (V-VII სს.), ზეგანის, შიომღვიმის, იღლეთის, ქვემო ბოლნისის, ვაზისუბნის, გაეაზის (ყველა VI ს.), მანგლისის, აკვანების, კაწარეთის, ზღუდერის (ყველა VI-VII სს), წილკნის, ატენის, სამწევრისის (ყველა VII ს.), წირქოლის (VIII ს.), წინწყაროს, კუსირეთის, კისისხევის, ახალი ათონის, მოსაბრუნის, თელოვანის (ყველა VIII-IX სს.), უბისის, არმაზის, აკურის, ნეძვის (ყველა IX ს.), ქემერტის, გარბანის (ყველა IX-X სს.), აბულის, ვალეს, ხეთის, ერედვის, ტბეთის, კვეტერას, სოხთის, ნადარბაზევის (ყველა X ს.), დიდი თონეთის, კაბენის, ლელიანის, საღამოს (ყველა X-XI სს.), ილორის, მრავალძაღის, იფრარის, ბარალეთის, დიდი კლდეისის, იკვის, პატარა ონის, კაკლიანის, ყაურმის, კვაისას (ყველა XI ს), მაღალანთ ეკლესია, თიღვის, ბარაკონის, ლაბეჭინის, ამაძლოს (ყველა XII ს.), ზედაზენის, ჭუჯაბის, გუდარეხის, ერთაწმინდის, თირის, წალენჯიხის (ყველა XIII ს.), ზედა ვანის, რუისპირის, ქვათახევის, ტიმოთესუბნის, ბეთანიის, წუნდის (ყველა XII-XIII სს.) და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, ძეგლების შერჩევაში არავითარი კრიტერიუმი დაცული არ არის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, შეიძლება ქართული არქიტექტურული ძეგლები ჩამოვთვალოთ და არ ვახსენოთ მანგლისი, ბეთანია, ბოდბე, ერთაწმინდა, ხირსა, მოწამეთა, ხცისი,

სხალთა, კაცხი, ნიქოზი, თიღვა, საბაწმინდა, სავანე და ან რომელი ერთი ჩამოვთვალთ!

ახლა ისიც ვიკითხოთ, ეს 69 ძეგლი, რომლებიც დატანილია რუკაზე, როგორ და რა სახით არის მოცემული?

რუკის მეორე მხარეზე ძეგლის ფოტო განმეორებულია რუკიდან და ძეგლის დასახელებას ახლავს რაობა, ქრონოლოგიური ზღვარი. ძეგლების დიდ ნაწილში მითითებულია შუა საუკუნეები; შუა საუკუნეები ხომ V საუკუნიდან XVIII საუკუნემდეა და ასეთ მითითებას რა აზრი აქვს? ცხადია, ზოგიერთი ძეგლის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში შუა საუკუნეების რაღაც პერიოდი მაინც უნდა იყოს მითითებული; მით უმეტეს, ბევრი დათარიღებული ძეგლი ზოგადი ფრაზით არის წარმოდგენილი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. რუკის ამხსნელ ტექსტში მითითებულია — „იყალთო. მონასტერი. შუა საუკუნეები“. აქ არსებული ეკლესია „ღვთაება“ კი VIII-IX სს., ხოლო „ყველაწმინდა“ XII-XIII სს.; „ლიხაური. დარბაზული ეკლესია. შუა საუკუნეები“. ლიხაურის ეკლესია XIII საუკუნის II ნახევარშია აგებული; „ნეკრესი. ანსაბლი. შუა საუკუნეები“. ამ დროს აქ ყველაზე ადრინდელი IV ს. ეკლესიაა, სამეკლესიანი ბაზილიკა VII საუკუნისაა, ხოლო გუმბათოვანი ეკლესია და სასახლე VIII-IX სს.; „სიონი. ღმანისი. შუა საუკუნეები“. ღმანისის „სიონი“ ხომ VI საუკუნის ძეგლია!

ზშირია შემთხვევა, როცა თვით საუკუნე ძეგლის მთლად ზუსტად არ არის მითითებული. ასე, მაგალითად, „ურბნისი. ბაზილიკა, VI-VII სს.“ ურბნისის ეკლესიის წარწერა V საუკუნისაა. „განთიადი. ბაზილიკა, VI-VII სს.“ ეს ძეგლი VII საუკუნის I ნახევრისაა. „გეგუთი. სასახლის ნანგრევები, XII-XIV სს.“ ციხე-დარბაზის ყველაზე ადრინდელი ნაწილი VIII-IX საუკუნეებისაა, ხოლო აგურით ნაგები ოთხიარუსიანი მეფეთა სადგომი ციხე-დარბაზი XII საუკუნისაა. „თელავე. გალავანი. VIII-IX სს.“ აგებულია X-XI სს., კვირიკე დიდის დროს. „კაბენი. გუმბათიანი ეკლესია, IX-XVIII სს.“ ამ დროს იგი IX

საუკუნეშია აგებული. „მარტილი. გუმბათიანი ეკლესია, VIII ს.“ სი-  
ნამღვილეში აგებულია VII საუკუნის I ნახევარში და სხვა.

არის დიდი შეუსაბამობაც. ასე მაგალითად, „სამშვილდე. ნაქა-  
ლაქარი. ტაძარი, XIII ს.“ სამშვილდის ეკლესია, რომელიც სურათზეა  
ნაჩვენები, ეს არის „სიონი“ და იგი VIII საუკუნეშია აგებული. იგი  
ცენტრალურ გუმბათიანი დიდი საეპისკოპოსო ტაძარი იყო, რომლის  
დიდი ნაწილი ამჟამად დანგრეულია, უმეტესად შემორჩენილია სწო-  
რედ მისი აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც სურათზეა ნაჩვენები. „ნი-  
ნოწმინდა. ტაძარი, XVI ს.“ ნინოწმინდის ტაძარი, VI საუკუნის ძვე-  
ლი ყოფილა, რომელიც ამჟამად შემორჩენილი არ არის. ის, რაც სუ-  
რათზეა ნაჩვენები, ოთხსართულიანი სამრეკლოა, რომელიც მართლაც  
XVI საუკუნეშია აგებული. კიდევ შეიძლება ამ უზუსტობების ჩამოთ-  
ვლა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

განცვიფრებას იწვევს ამხსნელი ტექსტის დამაგვირგვინებელი  
წარწერა: „ჯვარი. ტაძარი. მცხეთა, VI ს. (ბაზილიკა)“. მცხეთის ჯვა-  
რი გუმბათიანი ტაძარია, ე. წ. ტეტრაკონქის ტიპისა, რაც კარგად  
ჩანს სურათზეც.

რუკაზე და ამხსნელ ტექსტში დაშვებულია რიგი უზუსტობები.  
ასე მაგალითად: ჩაქვინჯის ნაცვლად უნდა იყოს ჭაქვინჯი, ჩხუტურე-  
ტის ნაცვლად ჩხუტუნეთი (თანაც უნდა აღინიშნოს, რომელი ჩხუ-  
ტუნეთი — ზედა თუ ქვედა), გერგეთის ნაცვლად გერგეტი, აბათის  
ნაცვლად აბაანთა და სხვ.

ასევე არასწორია მართლწერა — დავით გარეჯა, უნდა იყოს და-  
ვითგარეჯა, ციხე-სიმაგრე, უნდა იყოს ციხესიმაგრე და სხვ.

ადრე რუკებზე აღნიშნული იყო ტბა კარწახი, ხოლო როცა  
თურქეთის ტერიტორიაც იყო ნაჩვენები, მამინ ზოზაფინსაც მიუთითებ-  
დნენ; ახლა კი რუკებზე უმეტესად ქართული დასახელება გაქრა. ამ  
დროს კი ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ამ ტბას კარწახს  
უწოდებს.



გაჩნდა კიდევ არასწორი ტოპონიმი. საქმე ისაა, რომ ქვემო ქართლის ერთ-ერთ უდიდეს მდინარეს, მტკვრის მარჯვენა შენაკადს, უძველესი პერიოდიდან ქცია ერქვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, XIX საუკუნეში მდინარის შუა და ქვემო ნაწილა რუსმა ტოპოგრაფებმა არასწორად დაუმკვიდრეს ხრამი (ამის შესახებ იხ. კ. ჯავრიშვილი, ხრამის სახელწოდებისათვის, ჟურნალი „ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 1967, №1; კ. ხარაძე, „ქცია“ თუ „ხრამი“?! ჟურნალი „საქართველოს ბუნება“, 1988, №11). ახლა ამ რუკებზე სახელწოდება ქცია საერთოდ მოსპეს და, როგორც ზემოთ განხილულ რუკაზე, აქაც შეცდომით, და კიდევ შეცდომით, მდინარე ქციას მარჯვენა შენაკადს აქვს მიკუთვნებული?! ასე რომ, ერთ შეცდომას მეორეც დაუმატეს.

წინამდებარე რუკაზე უზუსტოდ არის დატანილი რიგი ობიექტები. ასე მაგალითად – ლიხნის ქედი, გორის ციხე, ხერთვისი და სხვ.

ვერ ვიტყვიტ სიტყვით უზუსტობას ლიხნის დატანაზე; ეს არის კურიოზი, როცა ლიხნი მდებარეობს გუდაუთიდან სულ რაღაც 5 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 50 მეტრზე. წინამდებარე რუკაზე ლიხნი დატანილია კოდორის სათავეებში (?!). სამაგიეროდ, სოფელ ლიხნის განაპირას მდებარე VII-VIII საუკუნის ძეგლი აბაანთას სახელი უზუსტოდ აბათის სახით არის მოცემული.

ასევე ვერ მიაგნებს რუკის მიხედვით არათუ უცხოელი, არამედ ადგილობრივი ქართველიც საფარის, ლიხაურის, ზარზმის, იკორთის, ფიტარეთის, დმანისის სიონის, ალავერდის და სხვ. მდებარეობას.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოხვედრილი XII საუკუნის ძეგლი იკორთა, რომელიც ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, რუკაზე პირიქითაა დატანილი ცხინვალის სამხრეთ-დასავლეთით. ასევე, კაბენი, IX საუკუნის ძეგლი, რომელიც ახალგორის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, რუკაზე კი ახალგორის სამხრეთით, ქსნის შესართავთან, მცხეთისა და კასპის რაიონების საზღვართან არის ნაჩვენები.

ზოგიერთს ბოლნისის სიონი, დმანისის სიონი დღევანდელ რაიონულ ცენტრებში – ბოლნისსა და დმანისში ჰგონიათ. სინამდვილეში, ახლანდელ რაიონულ ცენტრებს – ბოლნისსა და დმანისს ეს სახელები XX საუკუნეში ეწოდათ, ხოლო ნამდვილი ბოლნისი, ანუ სადაც ბილნისის სიონია, რაიონული ცენტრიდან 12 კილომეტრის დაშორებით, ხოლო დმანისის სიონი რაიონულ ცენტრ დმანისიდან 20 კილომეტრის დაშორებითაა ნაქალაქარ დმანისში. ზემოაღნიშნული უზუსტობა წინამდებარე რუკაზეც არის.

ყოველივე ამ უზუსტობებს და შეცდომებს არაეითარი გამართლება არ აქვს, თუნდაც ის, რომ რუკაზე არ ეტეოდაო. გამონაკლისი ესეც შეიძლება იყოს, მაგრამ ამ სახით ჩვენება ასეთი ხასიათისა და დატვირთვის რუკაზე არ შეიძლება. თუმცა რა გამართლება უნდა ჰქონდეს იმას, რომ რუკაზე ის ადგილები, სადაც ეს ძეგლები უნდა დატანილიყო, უმეტესად მოშიშვლებულია და „უდაბნოდ“ არის ქცეული.

უხერხულია კიდევ გაგრძელება, რამდენადაც რუკაზე სულ 69 ძეგლია დატანილი. აქედან თითქმის ნახევარი უზუსტოდ არის მოცემული.

ახლა იბადება კითხვა: ეს რუკა და ინფორმაცია ქართველი მკითხველისათვის გაუგებარია. მაშ, როგორ გამოიყენებს უცხოელი მკვლევარი თუ ძეგლის მოყვარული? თუ ამ სახით ისარგებლებს მკვლევარი წინამდებარე რუკას, თავდაყირა დააყენებს მის მონაცემებსაც.

ძნელია ამ მწარე სინამდვილის გადმოცემა, მაგრამ არც უთქმელობა ეგების. მეტი დაკვირვება და ყურადღება ესჭირდება ამ საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს – ქართული რუკათმედგენასა და გამოცემას.

P.S. ზემოთ რამდენიმე რუკა მიმოვიხილეთ; მიუხედავად ამისა, ამით არ ამოიწურება უკანასკნელ პერიოდში გამოცემული ქართული

კარტოგრაფიული ნიმუშები. მათი რაოდენობა საკმაოდ ბევრია, რომლებზედაც მეტ-ნაკლებად არის მსგავსი უზუსტობები თუ შეცდომები მოცემული. ამიტომ ყველას გამოტანა სააშკარაოზე, გაზეთის ფურცლებზე, არც აუცილებლობა და არც შესაძლებლობა არსებობს. ერთს მაინც ვიტყვი – ქართული რუკების გამოცემის პრესტიჟს გაფრთხილება სჭირდება...

გაზეთი „თვალთაი“, 1998 წ. 18-24 მარტი, გვ. 6.

**„არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, რომ უპიკველესი სახელწოდება ახლახან შერქმეულით შეეცვალათ“**

ლადო სულაბერიძე – ინტერვიუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორ კობა ხარაბესთან

– თითქმის სამი ათეული წელი იკვლევდით საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რა შედეგები იქნა მიღებული?

საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები ანუ ტოპონიმები ისევე ჭრელი და მრავალფეროვანია, როგორც მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. იყო პერიოდი, როცა საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ქართულენოვანი გეოგრაფიული სახელწოდებები იყო გავრცელებული. დროთა განმავლობაში, გარეშე მტრების შემოჭრის, გარე ქვეყნებიდან მიგრაციული პროცესების შედეგად, განსაკუთრებით მოგვიანო პერიოდში, ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების გარდაქ-

მნით ძლიერ აჭრელდა ისინი. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთობლიობა 250 ათასს აჭარბებს, იმ დროს, როცა ქართული ენის დიდ, რვატომიან განმარტებით ლექსიკონში სულ 113 ათასამდე სიტყვაა შეტანილი.

საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის ცხოვრებაში მომხდარი ამბები ხშირად იწვევდა გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილის აღგვას ხალხური მეტყველებიდან და მეხსიერებიდან. გაუქმებულ სახელებს წერილობითი ძეგლები ინახავდნენ – იქნებოდა ეს მატრიანე, გეოგრაფიული აღწერილობა, რუკა, საბუთი თუ ტაძრის კედელში ამოჭრილი წარწერა. პაპებიდან შვილიშვილებისაკენ მოდის ტრადიცია, საჭიროა ამ სახელწოდებათა დროული აღბეჭდვა ლიტერატურაში, რათა არ ჩაიძირონ მივიწყების მორევში.

– როგორ გამოიყურება საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები დღეისათვის?

– საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები ამჟამად მეტად სიჭრელით გამოირჩევა, რის შექმნაშიც სხვა ერის და ტომთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ასეთი სახელწოდებებით მდიდარია ქვემო ქართლი, სამხრეთ კახეთი, ჯავახეთი. უცხოური წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებების ორი უახლესი ტალღა XVI-XVIII და XIX საუკუნეებში მოედო ამ მხარეებს; ჯერ თურქთა ბატონობის, ხოლო შემდგომ რუსეთის მთავრობის მიერ ბერძენთა და სომეხთა შემოსახლების შედეგად. უცხოურ სახელს ატარებს მრავალი მწვერვალი, უღელტეხილი, მდინარე, დასახლებული პუნქტი და სხვა ობიექტი. თურქული წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებები ბევრი იყო ჩვენი მეზობლის – სომხეთის ტერიტორიაზეც. რამდენიმე ათეული წლის წინათ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით ჩამოყალიბებულმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და გეოგრაფი, მოკლე ვადაში შეიმუშავა და ხელისუფლებას წარუდგინა ახალი (სომხური) გეოგრაფიული სახელწოდებების სია. ეს უკანასკნელი დამტკიცებულ იქნა და საფუძვლად დაედო

ახალ, გაჯანსაღებულ სახელებს. ჩვენთან კი მსგავსის გაკეთება საბჭოთა წლებში შეუძლებელი იყო, ყველგან პასუხი იყო: „ჩვენ ქართველებს არ გვჩვევია ვაწყენინოთ სხვა ერთა წარმომადგენლებს, დაე, იარსებოს უცხოურმა გეოგრაფიული სახელწოდებებმა, ამით ჩვენ არაფერი დაგვაკლდება“. სწორედ ასეთი გულგრილი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ იმხანად გამოუქვეყნებელი დარჩა (ანწყობილი და კორექტირებული) ჩვენი წიგნი „საქართველოს ძველი ტოპონიმების განმარტებითი სიტყვარი“. წიგნში მოცემული მასალა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელწოდებების გაუმჯობესებას იმით, რომ იგი ააშკარავებდა სადღეისოდ შეცვლილი ან დამახინჯებული სახელების თავდაპირველ გამოთქმა დამწერლობას. ამ მხრივ, მდგომარეობა არც ამჟამად არის გამოსწორებული. ამიტომაცაა, რომ დღესაც უამრავი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები რეპრესირებულია და ტერიტორიის დიდ ნაწილზე გავრცელებულია უმართებულოდ შერქმეული სახელები, რომელთა შენარჩუნება არაფრით არ არის გამართლებული.

– გასაგებია, რომ საბჭოთა წლებში სხვაგვარად იდგა ეს პრობლემა და ვერ ხერხდებოდა ბევრი რამის შეცვლა, დღეს დამოუკიდებელ საქართველოში რა უშლის ხელს ამ საკითხის მოგვარებას?

– უკანასკნელ წლებში ბევრი სხვა სიკეთესთან ერთად სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების პრობლემა. თვით თანამეგობრობის ყველა ქვეყანაში ეს საკითხი სათანადო სიმაღლეზე დგას, რასაც ადასტურებს ბოლო 6-7 წლის მანძილზე იქ განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ასეულობით გეოგრაფიულ ობიექტს დაუბრუნდა თავისი ნამდვილი სახელწოდება, რითაც მოხდა რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებათა რეაბილიტაცია.

– იქნებ დავაკონკრეტოთ, ვის ევალება გეოგრაფიულ სახელწოდებათა მოწესრიგება?

– საბჭოთა წლებში და მას შემდეგაც, 1992 წლამდე, უმაღლეს საბჭოში ფუნქციონირებდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისია, რომელიც თავისებურად აწესრიგებდა, არეგულირებდა გეოგრაფიული სახელწოდებების დარქმევისა და შეცვლის პროცესს. 1992 წლიდან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში აღარ არსებობს ასეთი უჯრედი, რისი შედეგიც სახეზე გვაქვს. მას შემდეგ, დღემდე საქართველოს არც ერთ გეოგრაფიულ სახელწოდებაზე დადგენილება ან ბრძანებულება არ გაფორმებულა, თუ არ ჩათვლით 1992 წლის 6 აგვისტოს სახელმწიფო საბჭოს მიერ შედგენილ უხვირო ოქმს, ბოლნისის რაიონის ზოგიერთი დასახლებული პუნქტისათვის სახელის გადარქმევაზე, რაც არც ერთ დადგენილებაში არ აისახა. სწორედ ამის გამოა, რომ ეს ცვლილებები ვერ მოხვდა არათუ თანამეგობრობის ქვეყნების მიერ გამოცემულ იმ ბიულეტენში, რომელშიც 1992-1997 წლებში მომხდარი ცვლილებებია წარმოდგენილი, არამედ საქართველოს შესაბამის, თუნდაც საიდუმლო დაწესებულებებში. ერთადერთი ცვლილება, რომელიც აღნიშნულ ბიულეტენში არის ფიქსირებული – „საქართველოს რესპუბლიკა“ შეცვლილია „საქართველოს“ სახით. ეს არის და ეს. ამ დროს ყველა რესპუბლიკაში, მათ შორის რუსეთშიც მოშორებულია დასახლებული პუნქტების სახელწოდებები, რომლებიც ლენინთან, კიროვთან, ჟდანოვთან, კალინინთან, ორჯონიკიძესთან, ბუდიონოვთან და სხვა რევოლუციონერებთან არის დაკავშირებული.

– ამ მხრივ, საქართველოშიც ხომ შეიცვალა, მაგალითად, ლენინგორი, წულუკიძე, ორჯონიკიძე, მაზარაძე, ცხაკაია და სხვა?

დიახ, ხუთი-ექვსი რაიონული ცენტრის ძველი სახელი აღვადგინეთ და ყველა მათგანი ქართველ რევოლუციონერთა სახელებს ატარებდა. რაც შეეხება ლენინგორს, მისი გადარქმევის დადგენილება არ არის და ვერც მოხვდა ზემოთ დასახლებულ ბიულეტენში. უფრო მეტიც, დღემდე სათუთად არის მოვლილი მსგავსი სახელები ასე „სახელდამშვენებელი“ შევლივართ XXI საუკუნეში. ჯერჯერობით, გვაქვს 4

ულანოვკა, 3 ლენინისი, 7 კიროვი, 2 ორჯონიკიძე, 2 მიასნიკიანი, 2 მაზარაძე, 2 ვლადიმეროვკა, ბოგდანოვკა, ჩაპაევკა, ჯაფარიძე, ჟდანოვი, კიროვკანი, შაუმიანოვკა... ასევე 6 ოქტომბერი, 3 პირველმაისი, სოციალისტური სოფელი და მრავალი, ან, ამდენი ივანოვკა, ალექსეევკა, ვერემოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა, ფილიპოვკა და მისთანანი, როდემდე უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე? ახლად რამდენი თურქულენოვანი გეოგრაფიული სახელწოდებაა გავრცელებული, რომელთა არსებობას არავითარი გამართლება არ გააჩნია, რადგან თურქეთიდან ბერძნებისა და სომხების ჩამოსახლებას თან ახლდა მექანიკურად გადმოტანილი სახელწოდებები. ამ სახელთა შერქმევა კიდეველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ხარჯზე მოხდა. ერთი სიტყვით, ჩვენი გეოგრაფიული სახელწოდებები დიდი რაოდენობით მოიცავს არამიზანშეწინილ, სხვადასხვა თვალსაზრისით მიუღებელ სახელწოდებებს, რომელთა შეცვლის აუცილებლობა დავას არ იწვევს. სახელწოდებათა ეს კატეგორია შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს – უცხოური წარმოშობის, დამახინჯებული, არასწორად ხმარებული და სხვ.

– გამოდის, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებებს დაცვის მექანიზმი არ გააჩნია და ამით ზარალდება ერის საუნჯე.

-- გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვის არავითარი იურიდიული სტატუსა რომ არ მოქმედებდა, ამის დასტურია აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკითხვისა და სახელწოდებების თარგმნის ან შეთხზული გზით მიღებული ასეულობით გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენის ცდები, რასაც ითხოვდნენ აფხაზები და ოსები. თუმცა ნაწილობრივ იგი წარსულის განუკითხაობის დროს მიღწეულ იქნა. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ გეოგრაფიული სახელწოდება, რომელიც უძველესი საუკუნეებიდან მოხსენებულია უცხოურ და ქართულ წყაროებში, უნდა შევცვალოთ სულ ახლახან შერქმეული სახელწოდებებით. ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი რამ მგონი არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებ-

ბულა და, ყველაფერი ეს, ისევ და ისევ ჩვენი დაუდევრობისა და უყურადღებობის შედეგია; არათუ უმართებულოდ გადარქმეული და შერქმეული სახელწოდებები გავასწორეთ, არამედ ახალი შეცდომებიც დავუმატეთ. ავიღოთ 1930 წელსა და ბოლო წლებში გამოცემული საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარი და ერთმანეთს შევადაროთ მათში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელწოდებები; ვნახავთ, რამდენი რამ დაგვიმახინჯებია. ბევრ ობიექტზე სახელწოდების მინიჭება ან გადარქმევა ხშირად სუბიექტურად და არაკვალიფიციურად ხდებოდა. ასეთი სახელწოდებები თავისთავად დასაღუპადაა განწირული. ძალად მოხვეულ სახელწოდებას ვერ დავამკვიდრებთ. სახელწოდებები დაკავშირებული უნდა იყოს გარემო პირობებთან, ისტორიასთან, რაღაც გარკვეულ მოვლენასთან, ხოლო თვით სახელწოდებას უნდა ახასიათებდეს სისადავე, კეთილქერადობა, ლოგიკური კავშირი ობიექტთან და ასე შემდეგ. ამიტომ სჭირდება გეოგრაფიულ სახელწოდებებს თავიანთი იურიდიული მდგომარეობა და დაცვა.

— როგორც ჩანს, საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების პრობლემა საკმაო ხანია არსებობს, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რა ღონისძიებებს იღებდნენ?

— ჯერ კიდევ 30-იან წლებში მუშაობდა საქართველოს დასახლებული პუნქტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული სახელწოდებების დამდგენი კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: პროფესორები — ა. შანიძე, ს. ჯანაშია, ა. ჯავახიშვილი, ა. ჩიქობავა და სხვა. ამ კომისიამ საკმაო მუშაობა ჩაატარა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიდა. 50-იან წლებში კვლავ შეიქმნა კომისია, რომელმაც საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არაქართულ სახელებს შესაბამისად მოუძებნა ძველი ქართული სახელწოდებანი; ჩატარდა დიდი სამუშაო, მაგრამ ვერც ამჯერად მივიდა საქმე ბოლომდე. 60-იან წლებში ხმა აღიმართა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა, თეოფანე დავითაიამ, პროფესორმა ლევან მარუაშვილმა, ალექსანდრე ღლონტმა და სხვა, რომლებიც



მოითხოვდნენ, მოწესრიგებულიყო საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები; 70-იანი წლების დამდეგს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტოპონიმის ლაბორატორია ჩამოყალიბდა.

– როგორ გესახებათ საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელწოდებათა მოწესრიგებისა და გაუმჯობესების ღონისძიებები?

– ყველა ქვეყანაში გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვის მექანიზმი არსებობს და სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანია. სამწუხაროდ, საქართველოში წლების განმავლობაში არათუ მათ გასაუმჯობესებლად, არამედ შესანარჩუნებლადაც ნაკლებად ზრუნავდნენ. ამის უტყუარი მოწმეა ის, რომ ასეულობით გეოგრაფიულ სახელწოდებას უმართებულად დაუმკვიდრდა შეუფერებელი სახელი. გარდა ამისა, ოფიციალურად მიღებული სახელწოდებები ხშირად მახინჯდება სამეცნიერო თუ სხვა ლიტერატურაში, ჟურნალ-გაზეთებსა და ოფიციალურ მიმოწერაში, რადიო-ტელევიზიასა და საგზაო ნიშნებზე და სხვა. უფრო მეტიც, ადგილზე დამახინჯებული სახელწოდებები ბევრ მოქალაქეს უწერია თავიანთ დაბადების მოწმობებსა და პასპორტებში. ამის მაგალითად იკმარება გუმბურღო (კუმურღო), ჩანდურა (ჩამძვრალა) და სხვა. ან როდემდე უნდა ერქვას ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ნაცვლად – ყარათიქანი, აღთაქალა ხანჯიგაზლო ყიზილქილისა, თიქილისა, აღამედლო, ყიზილაჯლო და სხვა მრავალი. ერთი სიტყვით, საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები მოითხოვს გადაუდებელ მოწესრიგებას და გაუმჯობესებას. ამ მხრივ მიზანშეწონილად მიგვაჩნია – პირველ რიგში საკანონმდებლო ორგანოში, კომპეტენტური მუდმივმოქმედი კომისია უნდა შეიქმნას, რომელიც მეცნიერული დასაბუთებით დასამტკიცებლად წარადგენს თითოეულ გეოგრაფიულ სახელწოდებას. ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების გულშემატკივრებს მისი განკურნება-სრულყოფის პრობლემის მოგვარება სრულიად დასაშვებად გვესახება. იმ შემთხვევაში, როდესაც გეოგრაფიული სახელწოდება თავდაპირველი გამოთქმით შენარჩუნებული

ღია ხალხის მიერ, ხოლო არსებულ რუკებსა და ლიტერატურაში შეცვლილია სხვა, ნაკლებ მისაღები სიტყვით ან იხმარება შებღალული ფორმით, საკითხი წყდება ხალხური სიტყვის აღდგენით; როდესაც თანამედროვე რუკებში და ლიტერატურაში ხმარებულ არასასურველ გეოგრაფიულ სახელწოდებას მოეპოვება ძველი (ისტორიულსა და გეოგრაფიულ ნაშრომში აღნიშნული) შესატყვისი, ეს უკანასკნელი უნდა დაკანონდეს როგორც ერთადერთი ვარიანტი, თუ უცხოური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელწოდებას არც ხალხში და არც ძეგლებში შესატყვისი არ გააჩნია, ხშირ შემთხვევაში იგი შეიძლება ითარგმნოს შინაარსის მიხედვით. ამდენად, ამ პრობლემის მოგვარება სრულიად შესაძლებელია და მომავალ თაობას არ უნდა დაეუტოვოთ ის მოუგვარებელი საკითხები, რომლის მოგვარება დღესაც შეიძლება.

გაზეთი „ახალი თაობა“, 1999 წ. 21 თებერვალი, გვ. 6, 8

## სოფელ ჩხარის (თეოჯოლის მუნიციპალიტეტი) ტოპონიმია

ჩხარისა და მისი მიდამოების ტოპონიმია მრავალფეროვანი და საყურადღებოა. მათი წარმოშობა და ქრონოლოგიური ზღვრები საინტერესო მასალას იძლევა რიგი საკითხების გასარკვევად. ბევრი მათგანი გამჭვირვალე სახელწოდებებს მიეკუთვნება და აშკარად ჩანს შერქმეის პირობები; მაგრამ არის სახელწოდებები, რომლებმაც დროთა განმავლობაში განიცადეს ცვლილებები, ლინგვისტური კვლევაა საჭირო მათი პირვანდელი სახის აღდგენისათვის. ყველა სახელწოდებას თავისი დატვირთვა – შინაარსი გააჩნია და შერქმეულია რომელიმე პიროვნების, ბუნებრივი პირობების დამახასიათებელი ნიშნების, ისტორიული მოვლენების და სხვათა მიხედვით, რაც აცოცხლებს ამ ადგილის ისტორიას. მართალია, დიდი ხანია ის პიროვნება აღარ არის, რომლის მიხედვით შეერქვა სახელი რომელიმე ადგილს, ან შეიცვალა ადგილისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები, მაგრამ მათ ნაშთად შემორჩა ეს სახელწოდებები. ცხადია, ისინი ქართული წარმოშობისაა, შემადგენლობით მარტივი, ნაერთი კომპოზიციების სახით და სხვ. ტოპონიმთა საკმაო ნაწილი ნაწარმოებია აფიქსების დართვით. ნაწილი სუფიქსებითაა გაფორმებული, ან პრეფიქს-სუფიქსებით. ტოპონიმთა დიდი ნაწილი რთული სახელებია. გეოგრაფიული სახელწოდებები მრავლად არის ბუნებრივი პირობების მიხედვით შერქმეული და ასახავს ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. სახელწოდებების ეს ჯგუფი უძველესი პერიოდიდან არის შერქმეული, რამდენადაც ადამიანი დასაბამიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან და საცხოვრებელ ტერიტორიაზე ადგილების სახელებს, უპირველესად, მისი ბუნებრივი პირობების მიხედვით არქმევდა. გარდა ამისა, გვხვდება ანთროპოტოპონიმები (ადამიანის გვარ-სახელებისაგან ნაწარმოები ტოპო-

ნიმები). ქვემოთ აღფაბეტზე ჩამოთვლილია ჩხარისა და მისი მიდამოების ტოპონიმი ადგილმდებარეობის მიხედვით.

აბულაძეების უბანი ჩხარის აღმოსავლეთ ნაწილში.

ანდრიასძეები ადგილი, იგივე გუბის (იხ.) ტერიტორია.

ამბაკოსოული ყანა, სამარწყვიას (იხ.) თავზე, მდინარის გაღმა, ამბაკო აბულაძის სახელის მიხედვით.

ამირანაშვილების უბანი ჩხარის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ამირანაშვილების წყარო ამირანაშვილების უბანში.

არაბიძეების უბანი ჩხარის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით.

არაბიძეების წყარო არაბიძეების უბანში.

ასლანას ჭა ფანჩულიძეების უბანში.

ბანკისუბანი წყაროს ზედა უბანი, ყოფილი ბანკის შენობის მიდამოებში. იყო ბანკის ქუჩაც.

ბარამბული წყარო ბუცხრიკიძეების უბანში, ფერდობზე.

ბეგიური ადგილი ჩხარის სამხრეთით, ქარხნისაკენ მიმავალი გზის ზედა მხარეზე. ახლა უწოდებენ ნიგვზნარს.

ბელაძისოული (ბელაისოული) ყანა, ამაღლებული ადგილი ეკლის ხეებით, ფანჩულიძეების უბნის ზედა მხარეზე.

ბრეგვაძეების უბანი ჩხარის აღმოსავლეთ ნაწილში.

ბუცხრიკიძეების უბანი მაცხოვრის ტერიტორიაზე.

გაბრიჭიძეების უბანი არასრული საშუალო სკოლის დასავლეთით.

გაბრიჭიძეების წყარო გაბრიჭიძეების უბანში

გაღალმა ჩხარა აბულაძეების უბნის აღმოსავლეთით.

გალავანი ღვთისმშობლის ეკლესიის ტერიტორიაზე.

გალავანი წმინდა გიორგის მონასტრის ტერიტორიაზე.

გაღმა წყარო ყოფილი რუსთაველის კოლმეურნეობის კანტორასა და აბულაძეების უბანს შორის.

გეწაძეების უბანი ჩხარის დასავლეთით, ძვერის საზღვართან.

გიორგისოული ყანა არაბიძეების უბანში.

გოგასეული ყოფილი მეცხოველეობის ფერმის ტერიტორია.

გუბი ადგილი, ამჟამად ყანები ჩხარის სამხრეთით, ახალთერჯოლის საზღვართან, გზის ზედა მხარეზე. აქ არის ყველა მხრიდან მცირე დაქანება, ხოლო შუა ადგილზე წყალი დგება და გუბდება და ამიტომ ეწოდა ეს სახელი. ეს იყო ანდრიასძეების (იხ.) ადგილი.

დაბლა მაცხოვარი უწოდებენ მაცხოვრის ეკლესიას ოქონის მაცხოვრის ეკლესიისაგან განსასხვავებლად.

დათიაშვილების უბანი მაცხოვრის ეკლესიის სამხრეთით.

დათიკო აბულაძის ბოგირი ჩხარაზე, აბულაძეების უბანში.

დიდი აბულაძეების ქუჩა გზის გადაღმა, გაყოფილა აბულაძეების უბანი. ეს სახელი დარქმევია ფირანას მონაგარის დასახლებას.

დომენტიანეული სახნავი ფართობი ოქონის სერის აღმოსავლეთით მდებარე სასაფლაოს ჩრდილო მხარეზე.

ვაშა წყარო ოქონის სერის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე.

ზვარე სახნავი ფართობი ჩხარის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში, ზესტაფონი-ტყიბულის გზის ზედა მხარეზე.

თვალთაწვერი ადგილი ჩხარის დასავლეთით ძეგრის საზღვართან.

თორთლაძეების უბანი ქარხანასთან, გზის ზედა მხარეზე, დასავლეთით.

იშხნელების უბანი სკოლის აღმოსავლეთით.

კაკასოული ყანა, ცინაძისოულის (იხ.) გვერდით.

კალატოზების უბანი ჩხარის სამხრეთ-დასავლეთ ბოლოში.

კახიძეებისოული ფართობი არაბიძეების უბნის ჩრდილო მხარეზე.

ლავრენტისოული ყანა, გუბის (იხ.) ტერიტორიაზე.

ლაშეტყე სირაძეების უბანში, მაცხოვრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ახლა ტყე აღარ არის, სახელი შემორჩა, გაშენებულია ვენახები და ყანები.

ლელვიწყარო ადგილი, ოქონის სერის დასავლეთით, მდ. ქვერუნის გადასახელისკენ.

ლელვიწყარო წყარო, ოქონის სერის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე.

მაცხოვარი ეწოდება ჩხარის აღმოსავლეთ ნაწილს, საბჭოთა წლებში შეერქვა ოქტომბერი.

მღივნისოული საყანე და სამოსახლო, ოქონის სერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ტერიტორია ეკუთვნოდა მღივანმწიგნობარს, რომლის წასვლის შემდეგ შეუსყიდათ პულუზაშვილებს.

მიხაკოსოული ადგილი, ჩხარის დასავლეთით, სადაც ცხოვრობს ცქიფურიშვილი, გეწაძე და სხვ. ამჟამად ამ ფართობზე 8 მოსახლეა. ადრე ეკუთვნოდა მიხაკო დორგისს.

მოსეს წყარო გუბის ტერიტორიაზე. მოსე ფანჭულიძის სახელის მიხედვით.

მუხნარი სახელმწიფო ტყის ტერიტორია.

მუხნარი არაბიძეების უბანში. აქ იყო მუხის ტყე. ახლა ვენახია გაშენებული. გრიმა არაბიძის ეზოში შემორჩენილია 3 ძირი მუხა.

მუხნარი ქარხნის ტერიტორიაზე, ახლა თითქმის აღარ არის დარჩენილი მუხის ხეები.

ნაბადოური ადგილი და საყანე ფართობი, ჩხარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სანამ მდ. ქვერუნისაკენ ჩახვალთ.

ნავენახარი სახნავი მიწა, მაცხოვრის ეკლესიის სამხრეთით. ჩხარი-საზანოს გზის ქვედა მხარეზე.

ნაკალოვარი ბურქნარი, აბულაძეების უბანში.

ნამანიშევი ვენახი, არასრული საშუალო სკოლის აღმოსავლეთით, არაბიძეების უბნისაკენ.

ნალომარი ადგილი, შოთაძეების ბოგირის ზემოთ, ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის სამხრეთ-დასავლეთით.

ნაჩეხი ბურქნარი, მუხნარის სახელმწიფო ტყის დასავლეთით.

ნახიზნარი ოქონის სერის მთელ სიგრძეზე, ქვერუნის ამოსას-  
ვლელიდან ხახუაშვილის წყარომდე.

ნიგვზნარი ადგილი, ჩხარის სამხრეთით, გაშენებულია ნიგვზის  
(კაკლის) ხეები, ყოფილი ბეგიოური (იხ.).

ნიჭიბიშვილის უბანი ჩხარის აღმოსავლეთ ნაწილში.

ორღარი წყარო ჩხარის ცენტრში, სახელწოდებას იხსენიებს  
ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი.

ოქონა სერი (გორა) ოკრიბა-არგვეთის მაღლობის გაგრძელება,  
ჩხარის ჩრდილო ნაწილში.

ოქონის კლდე ჩამოხევეწილი კლდეები ოქონის სერის სამხრეთ  
ფერდობზე. აქ მშენებლობისათვის მუშავდებოდა ქვები. იტყოდნენ:  
„ოქონას კლდესავით მაგარი“.

ოქტომბერი ეწოდებოდა მაცხოვარს (იხ.).

პარტახი ადგილი, არაბიძეების უბანში, ჩრდილო მხარეზე. აქ  
იყო ვენახი და ყანა.

პეტრეს თუთის პლანტაციები არაბიძეების უბანში, ეკავა 2 ჰა.

პეტრეს ჭა არაბიძეების უბანში.

პლატონასოული საყანე ადგილი, ვაშა წყაროსთან (იხ.).

პრასინა საყანე მიწა, მაცხოვრის აღმოსავლეთით.

პრასინა წყარო მაცხოვრის აღმოსავლეთით.

რობაქიძეების უბანი ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

საკვირაო ნაეკლესიარი, ოქონის სერის აღმოსავლეთ დაბოლოე-  
ბაზე.

სამარწყვია საყანე მიწა, ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის  
სამხრეთ მხარეზე – იქვე ააშენეს საქონლის ფერმა.

სამსონისოული ყანა, გუბის (იხ.) ტერიტორიაზე.

სანერგე აკაციის სანერგე, აბულაძეების და ჯაბიძეების უბნის  
ჩრდილო მხარეზე.

სარცხელა ღელე, ჩხარის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით,  
სოფ. აღისუბნის საზღვართან.

სარცხელა წყარო, სარცხელას ღელესთან, ჩხარი-აღისუბნის გზის ქვედა მხარეზე.

საქათმია ყანა, აგურის ქარხანასთან.

საყავრის ქუჩა ჩხარის სამხრეთ ნაწილში, ქურციკიძეების უბანში.

საჯვარე უბანი, ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რობაქიძეების უბანში. შემორჩენილია ნაგებობათა ნაშთი და ძველი სასაფლაო.

სირაძეების უბანი მაცხოვრის სამხრეთით.

სირაძეების წყარო სირაძეების უბანში, გვალვაში შრება.

სკოლის უბანი შეერქვა სკოლის ამ უბანში აგების შემდეგ.

ფილიასოული ყანა, ადრე ვენახიც იყო, არაბიძეების უბანში.

ქალაქმინდორი უბანი, საავადმყოფოს დასავლეთით, შემდეგში დანაწილდა სხვადასხვა გვარებზე.

ქვერუნა მდინარე, ძვერულას მარცხენა შენაკადი. იწყება გოგნსა და მუხურას შორის. ჩხარის ტერიტორიაზე მხოლოდ ქვემო მცირე ნაწილი შემოდის.

ქურციკიძეების უბანი ჩხარის სამხრეთ ნაწილში.

ღენტორასოული ყანა, გუბის (იხ.) ტერიტორიაზე.

ყარველა სათესი, ნალომარის (იხ.) ქვემოთ, სამხრეთით, ხშირად ეს ადგილი იქცეოდა, ჩაინგრეოდა.

ყვავაძეების უბანი ჩხარის ცენტრის სამხრეთით.

შოთაძეების ბოგირი შოთაძეების უბანში, მდ. ჩრდილო ჩხარაზე გადებული ხიდი.

შოთაძეების უბანი შოთაძეების ბოგირის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

შუბაშვილისოული ყოფილი პოლიკლინიკის ბოლოში, ადრე აბულაძეების საკუთრება ყოფილა, დაპატრონებია წულუკიძე.

ჩილვევი ყანა, ბრეგვაძეების უბანში.

ჩრდილო ჩხარა მდინარე, ჩხარას მარჯვენა შენაკადი აგურის ქარხანასთან.



ჩხარა მდინარე, ოკრიბა-არგვეთის მაღლობის სამხრეთ კალთებზე, თხილთაწყაროს მიდამოებში. რუკებზე შეცდომით „ჩხარი“ აწერია.

ჩხარის ბოლო ჩხარის სამხრეთი ნაწილი.

ჩხოკი ყანა, ჩხარას პირზე, აბულაძეების უბანში.

ცინაძისოული ყანა, ყარველას (იხ.) ზევით, ფერდობის მეორე მხარეზე.

ძელქვიანი საყანე, ჩხარის ბოლოზე (იხ.).

ძველი ჩხარი ნასოფლარი, ოქონის სერის გადაღმა.

წულუკიძისოული საკირის ტერიტორიაზე, ყოფილი მელორეობის ფერმასთან, ჩხარის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ჭალატყე ადგილი ქვერუნის გაღმა.

ჭანტურიძეების უბანი მაცხოვრის (ოქტომბრის) ტერიტორიაზე.

ჭანტურიძისოული ოქონის სერის აღმოსავლეთ ნაწილში, სასაფლაოს ტერიტორია.

ჭურისწყარო ღელე ჩხარიდან გამომდინარე, უერთდება ჩრდილო ჩხარას არაბიძეების უბანში.

ხარატის წყარო უბანი და წყარო ქალაქმინდორის (იხ.) ტერიტორიაზე.

ხატის ყანა ოქონის კლდის ძირში. ეკუთვნოდა ღვთისმშობლის ეკლესიას.

ხახუაშვილის წყარო იხ. ხახულაშვილის წყარო.

ხახულაშვილის (ხახუაშვილის) წყარო აბულაძეების უბანში, ოქონის სერის უკიდურეს აღმოსავლეთ კირქვიან ზოლში. ხახულა აბულაძის შვილებს აქ აუგიათ წყარო და დარკმევია ეს სახელი. ძველ წყაროზე აუზი მოუწყვიათ, მიწით დაუფარავთ და მოშორებით აუზიდან მილი გაუყვანიათ და ახალი წყარო აუგიათ, რაც ძველის დამახინჯებული ვარიანტია.

ხილინდარას წყარო სამარწყვიაში (იხ.), ყოფილ ფერმასთან, ვინმე აბულაძის სახელის მიხედვით.

ხოსროსოული აკაცის ტყე, აბულაძეების უბანში.

ხრამის უბანი ქვერუნას გზაზე, ადრე დასახლებული იყო და სოფელს წარმოადგენდა.

ხრამის წყარო ქვერუნისაკენ ჩაასვლელთან.

ხრამის წყარო ფართობი ხრამის (იხ.) ტერიტორიაზე.

ჯაბიძეების უბანი ჩხარის აღმოსავლეთ ნაწილში.

ამონარიდი წიგნიდან – ჩხარი. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი.

თბილისი, 2001, გვ. 95-100

## ბუნებრივი პირობების ცვალებადობის ამსახველი კალეოგეოგრაფიული ტოპონიმია

ტოპონიმთა წარმოშობა და განვითარება რთული პროცესია, – განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველოა; მისი რელიეფი, კლიმატი, ჰიდროგრაფია, ნიადაგები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო და ლანდშაფტი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ცხადია, ასეთი მრავალგვარი ბუნებრივი პირობების ქვეყანაში ტოპონიმებიც მრავალმხრივი და თავისებური ჩამოყალიბდა. ამას ემატებოდა ისტორიული მდგომარეობაც, – მტრის შემოსევების, დაპყრობების და მათთან ასე თუ ისე დაკავშირებული ეთნიკური ცვლილებები; მიგრაციული პროცესები ზეგავლენას ახდენდა გეოგრაფიულ სახელწოდებებზე.

ტოპონიმია ქვეყნის სახეს გვიჩვენებს, რომელშიც არეკლილია ბუნებისა და მოსახლეობის თანადროული სურათი და ისტორიული განვითარება. ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს, რომელშიც უმთავრესად კონკრეტული შინაარსი იყო მოცემული. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ობიექტის სახელწოდების შერქმევის პროცესს გააზრებულად და მოტივირებულად უდგებოდნენ. სწორედ ამიტომ სახელწოდებათა დიდ ნაწილში ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისათვის დამახასიათებელი შინაარსი აისახა. თუმცა, წლების და საუკუნეების განმავლობაში ეს პირობები გარკვეული მიზეზების გამო შეიცვალა, გარდაიქმნა, ზოლო გეოგრაფიული სახელწოდებები უმეტესად უცვლელი დარჩა. ამასთან, ზოგი სახელწოდება ამ გარდაქმნისა და შეცვლის შედეგად წარმოიშვა. ასე მივიღეთ საქართველოს ტოპონიმთა დიდი ნაწილი, რომელმაც რთული და ხანგრძლივი გზა განვლო. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები სრულიად აკმაყოფილებენ ტოპონიმები-

სადმი წაყენებულ მოთხოვნებს – სისადავე, კეთილქურადობა, ლოგიკური კავშირი ობიექტთან და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ტოპონიმები ხშირად წარმოიშობა ობიექტის დამახასიათებელი ნიშნების ასახვის საფუძველზე. ასეა შერქმეული უძველესი პერიოდიდან უმეტესი სახელი, რამდენადაც თვით ადამიანი მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან. შეუძლებელია, ბუნებრივი პირობების მიხედვით შერქმეული სახელების ჩამოთვლა, მაგრამ ორიოდ მაგალითს მაინც აღვნიშნავთ; ტოპონიმი „თბილისი“ მიუთითებს მაღალი ტემპერატურის მქონე წყაროებზე, „მყინვარწყერი“ – მთის ყინულიანობაზე, „გორი“ გორაკის არსებობაზე, „წაბლოვანი“ მცენარე წაბლის გავრცელებაზე, „ტაბახმელა“ ამომშრალი ტბის ადგილის არსებობაზე, „რიყე“ – მდინარის ქვის ნაპირზე და სხვა.

მსგავსი გეოგრაფიული სახელები საქართველოში მრავლადაა. ამასთან, საკმაო რაოდენობით არის ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა მნიშვნელობა ამჟამად არ შეესაბამება ობიექტს. ამგვარი სახელების გაჩენა უნდა აიხსნას იმით, რომ ისინი თავდაპირველად გამართლებული იყო ობიექტის ნიშანთვისებებით და მხოლოდ შემდგომში ეს უკანასკნელები გარდაიქმნა, ტოპონიმი კი ტრადიციით შემონახა. ასეთი გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლას შეუძლია რიგ შემთხვევაში მიგვიყვანოს პალეოგეოგრაფიულ (უძველესი დროის გეოგრაფია) და ისტორიულ გეოგრაფიულ დასკვნებთან – რეგიონის ბუნებრივი პირობების იმ ცვალებადობათა დადგენასთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ წარსულში (ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი 1000-1500 წლის განმავლობაში).

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტოპონიმთა პალეოგეოგრაფიული ინტერპრეტაცია სიფრთხილეს მოითხოვს. ტოპონიმების თავდაპირველი გააზრება ჩვენთვის ხშირად გაურკვეველია, სადავოა. ცხოველებთა სახელები ზოგ გეოგრაფიულ ობიექტს დარქმეული აქვს არა როგორც ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენელზე მითითება, არამედ როგორც ხატოვანი გამოთქმა, ადამიანის სახელის ან

გვარის აღნიშვნა და ასე შემდეგ. ამის მაგალითები საკმაოაა; სიტყვა „ლომი“, რომელიც ბევრ ტოპონიმში გვხვდება – ლომთაგორა, ლომისთა, ლომისა, ლომისღელე, სალომია, ლომისთავი, ლომისციხე, ლომსა, ლომა და სხვები, ძირითადად უნდა მიგვითითებდეს არა ცხოველთა სამყაროს ელემენტზე, არამედ ადამიანებში განსაკუთრებულ ლომურ თვისებებზე და საქციელზე; გადატანითი, მეტაფორული სიტყვებისგან არის ნაწარმოები ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა დევის ნამუხლი, დევისხერელი, დევის ტბა, და სხვა. ფოცხვერის, კურდღლის, მელიის, შვეარდნის, ჯიხვის, ჩხიკის, ხარის, მგლის, მიმინოს, ირმის, ქორის, ყვავის, არჩვის, გველის, კაკაბის, კვერნას და სხვა. ზოგიერთი ცხოველის აღნიშნული ტერმინები ხშირად ადამიანთა სახელებად ან გვარის ძირად იხმარება. ამასთან, ზოგჯერ გაურკვეველია ერთი და იმავე ცხოველის ან მცენარის რომელი ნაირსახეობა იგულისხმება ტოპონიმში – გარეული თუ შინაური (ღორი, კატა, თხა, ქათამი, ბატი, ჩიტრედი, კაკალი, მსხალი, ბროწეული, ბალი, თხილი, ტყემალი და სხვა).

ტოპონიმების პალეოგეოგრაფიული ინტერპრეტაციის სიძნელეს ქმნის, აგრეთვე, თანადროული მიკროლანდშაფტის სუსტი შესწავლილობა (ობიექტების დღევანდელი მდგომარეობის აღურიცხველობა), რიგი ძველი სახელწოდებების შესატყვისი ობიექტების ზუსტად დადგენილი მდებარეობის უცოდინარობა; ტოპონიმების თავდაპირველი შინაარსის მოცულობის განსაზღვრის ნაირ-ნაირი ვარიანტების ალბათობა; გეოგრაფიულ სახელწოდებათა დამახინჯებული გადმოცემა ხალხის მიერ ან აგეგმვა-აღწერისას ადგილობრივი ენა-კილოკავთა უცოდინარი ტოპოგრაფიისა და მკვლევარების მიერ; ადრეულ პერიოდში მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკების მოსპობა, რის შედეგადაც დაიკარგა მრავალი სოფლის თუ ნასოფლარის, ციხის თუ საყდრის ან სხვა ობიექტის ტრადიციული სახელწოდება და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი დაბრკოლებას უქმნის დასახული ამოცანის გადაწყვეტას;

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტიპის ტოპონიმები მოპოვება საქართველოს თანადროული (ცოცხალი), ისევე ძველ (მკვდარ) ტოპონიმიაშიც.

ბუნებრივი ლანდშაფტის კომპონენტებს შორის ორი — გეოლოგიური აღნაგობა და რელიეფი ძლიერ ნელა ცვალებადობას განიცდის. მიუხედავად ამისა, არის ექსტრემალური პერიოდები, როცა ერთბაშად ხდება რელიეფის გარდაქმნა (მიწისძვრები, მეწყერები, კლდეზვავები, ღვარცოფები და სხვ.); ამის გამო ხშირად ობიექტი წინანდელ სახელის შინაარსს ვეღარ ამართლებს.

რელიეფისა და გეოლოგიური აღნაგობის მიხედვით შერქმეული ტოპონიმები გვხვდება სხვადასხვა ობიექტების მიმართ; კერძოდ, დასახლებული პუნქტების, უბნების, მდინარეების, ტბების, ვაკეების, ქედების, მთების, უღელტეხილების, მღვიმეების და სხვათა სახელებად. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იგივე სახელწოდება მიკუთვნებული აქვს განსხვავებულ ობიექტს. ქვემოთ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს თითოეულ ტერმინთან მიმართებაში.

ტერმინ კლდესთან დაკავშირებული სახელწოდებები ჰქვია დასახლებულ პუნქტებს — კლდე, კლდეკარი, კლდისი, კლდიანი, კლდეეთი, კლდისუბანი, კლდისარი, კლდეკანევი, კენჭიკლდე, კლდუ, კლდისწყარო, კლდისწყარო, კლდისთავი; უბნებს — კლდისუბანი; მდინარეებს — კლდისისწყალს; მთებს — კლდობაძლი, კლდეკარი, ბებერიკლდე, კლდოვანი; მღვიმეებს — ბნელაკლდე<sup>1</sup>.

გორასთან დაკავშირებული სახელები — დასახლებული პუნქტები — გოროვანი, ზედაგორა, ზემო გორეთი, ორგორა, სამგორი, უკანგორი, გორა, გორაბერეჟოული, გორაკა, გორანა, გორაძირი, გორანა, გორეთი, გორთუბანი, გორი, გორისი, გორისციხე, გორიჯვარი, გორმაღალა; მდინარეებს — გორანა, გორეთისწყალი, უკანგორი, გორულა, გორწყალი; ქედებს — გორაკეთი, გორმაღალის ქედი, დიდგორი; მთებს — გორმაღალი, დიდგორმაღალი, დიდგორი, დიდგორა.

<sup>1</sup> ნომინაციის ჩამოთვლა აქ და ქვემოთაც არასრულია.

ჭალასთან დაკავშირებული სახელები – დასახლებულ პუნქტებს – ჭალადიდი, ჭალათი, ჭალასთავი, ჭალატყე, ჭალახშელა, ჭალე, ჭალა, ჭალისსოფელი, ჭალისუბანი, ჭალოვანი, ავჭალა, ფონიჭალა, გრძელიჭალა, ხევისჭალა; მდინარეებს – მთისჭალა, ახალჭალა, ხეი-ჭალა, ჭალისწყალი, ჭალახევი; მყინვარებს – ჭალათი; უღელტეხი-ლებს – ჭალათი; მწვერვალებს – ჭალისთავი.

ველთან დაკავშირებული სახელები – დასახლებულ პუნქტებს – გრძელი ველები, დიდველი, ველები, ველევი, ველთაურთკარი, ველი, ველისა, ველისპირი, ველისციხე, ველურა; მდინარეებს – ველეულა, ველთხევი, ველისწყალი; მთებს – ველანთა, დიდი ველები, დიდველე-ბი; ტბებს – გრძელველების ტბა.

ვაკესთან დაკავშირებული სახელები – დასახლებულ პუნქტებს – დიდვაკე, დიდი ვაკე, ვაკევისა, ვაკეპანტები, ვაკისა, ვაკე, ვაკისპირი, ვაკიჯვარი, წიფლავაკე, ლელისვაკე, ზენი, თუზი, ნაკი, ნაკიეთი, ნაკი-ფარი; უბანი – ვაკე; ტყე – ვაკე, ვაკეწიფნარი და სხვ.


მთასთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტებს – მთისკალთა, მთისუბანი, მთისძირი, მთისჭალა, მთიულთუბანი, თია-ნეთი; ქედი – მთიულეთის ქედი; მდინარე – მთისკალთა, მთისჭალა, მთიულეთის არაგვი, მთიულთხევი.

ბართან დაკავშირებული სახელები – დასახლებულ პუნქტებს – ბარი, ბარისახო, ბარეული, ზემო ბარი; მდინარე – ბარეულა.

მერესთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები – მარაბდა, მერეყანა, ალისმერეთი, მერეთი, მარადიდი, მერენია, მერია; მდინარეები – მერია, მერისი; ტბები – მარაბდის ტბა.

რიყესთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები – რიყე, რიყეთი; უბანი – რიყე; მდინარე – დიდი რიყე.

მღვიმესთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტე-ბი – მღვიმევი, მალარო, მალაროსკარი, ფოქვეში; მთები – ქვაბები; მდინარეები – მღვიმევი, ქვაბიკარი, ქვაბისხევი, ქვაბლიანი.



საქართველო კომპლექსური

- ბაქტერიული
- ფორმული
- კლორა
- ჰიდროქარბონატი
- ნიტრატები
- მანგანუმი
- სპილენძი

34.10

33.10

საქართველო კომპლექსური  
ბაქტერიული და ფორმული  
სპილენძი

საქართველო კომპლექსური  
ბაქტერიული და ფორმული  
სპილენძი



ლოდნართან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნ-  
ქტები – გოხნარი, გორვაში, ღვირიში; მდინარეები – ლოდნარი.

ქელთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები –  
ქელა, ქელი, ქელიგორა, ქელისუბანი, ქელქელი.

გარდა ამისა, ქართული გეოგრაფიული სახელების წარმო-  
შობა დაკავშირებულია სხვა ტერმინებთან – სერი, ფონი, ფლა-  
ტე, ზეგანი, ბორცვი, დელტა, უბანი, ხეობა, ზრამი და სხვა. თუ  
იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რელიეფთან დაკავშირებული  
ტერმინებისაგან ნაწარმოები სახელები გაცილებით მეტია მიკრო-  
ტოპონიმიაში – სათიბი, საძოვარი, ტყე, დელე, ნასახლარი, სა-  
კარმიდამო, გორი, კუთხე, ბალი, პლანტაცია, ყანა, ბუჩქნარი და  
სხვ., მაშინ ასეთი ტოპონიმების რიცხვი ათასეულებს გადააჭარ-  
ბებს.

მედარებით სუსტად ცვალებადობს ისტორიულ წარსულში  
ნიადაგსაბურველი და კლიმატი; ამასთან, ამ კომპონენტების და-  
ხასიათება არცთუ ისე ზმირად გამოიყენებოდა ტოპონიმების სა-  
ფუძვლად, რის გამოც მათი ცვალებადობის დამმოწმებელი სა-  
ხელწოდებებიც უმნიშვნელო რაოდენობითაა.

კლიმატთან დაკავშირებული ტოპონიმებია – დასახლებული  
პუნქტები – გრიგალათი, ზამთარეთი, საქარა, მზიანი, სათოვლე, საქა-  
რიქელი, საქარა, ქარელი, ქარიანი, ღრუბელა, ნოსირი; ქედები – სა-  
თოვლე; მთები – სანისლია, სანისლო, საქარია, საქარისძირი; მდინა-  
რეები – სათოვლისხევი, სათოვლისწყალი, საქარია.

ნიადაგსაბურველის მიხედვით შერქმეული სახელწოდებები –  
დასახლებული პუნქტები – დაბალი ეწერი, ეწერბაში, ეწერი, ეწერ-  
ფერდი, მიწაწითელი, სათიხარი, დიხაშხო; მთები – ტალახა.

განსახილველი ტოპონიმების უმეტესი ნაწილი არეკლავს დანარ-  
ჩენი სამი ბუნებრივი კომპონენტის – ჰიდროგრაფიული ქსელის, მცე-

ნარეულობისა და ცხოველთა სამყაროს ცვალებადობას, ვინაიდან ეს კომპონენტები მოკლე ქრონოლოგიურ მონაკვეთებშიც არსებითს გარდაქმნას განიცდიდნენ და, გარდა ამისა, ისინი ხშირად ედებოდა საფუძვლად გეოგრაფიულ სახელწოდებებს.

ტოპონიმების ანალიზის საფუძველზე დადგენილი, ლანდშაფტის ელემენტების – ჰიდროგრაფიული ობიექტების, მცენარეების, ცხოველების, – ადგილსამყოფელების უმრავლესობა კანონზომიერად თავსდება ამ მეცნიერულად დადგენილ არეალებში და, ამრიგად, მოულოდნელს არაფერს შეიცავს, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია, როგორც კონკრეტული მასალა ისტორიული წარსულის ბუნებრივი პირობების დეტალური რეკონსტრუქციისათვის. ამასთან ერთად, არის ისეთი ტოპონიმები, რომლებიც რამდენადმე ავსებენ, ცვლიან დაკანონებულ შეხედულებებს.

ამ სახის ტოპონიმთა ჩამოთვლა შეუძლებელია. მათი საერთო რაოდენობა 600-ზე მეტია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ რომ მიკროტოპონიმია ამ ციფრს რამდენჯერმე გაზრდის, ცხადია, საერთო რაოდენობა რამდენიმე ათასეულს აღრიცხავს. მიუხედავად ამისა, აქვე დავასახელებთ ზოგიერთ ტოპონიმს, რომლებიც ამ კომპონენტებთან არიან დაკავშირებული.

ჰიდროგრაფიულ ქსელთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები – აბანოსხევი, ვეძათხევი, გუბი, რუსთავი, სამწყარო, ტბეთი, ჩაბარუხა, ჭყვიში; მთები – ტბათაუბანი, ტბისწვერი, ტბისერი, ტბეთი, მყინვარწვერი; უღელტეხილები – უკანტბა, სამყინვარწვერი, აბანოსსერი; მდინარეები – აბანოსღელე, დიდი ღელე, ვეძათხევი, ნაკადული, ორწყალი, გუბისწყალი, სამწყარო, ღალიძგა; ტბები – ტაბაწყური, დიდი ღელე, მლაშე ტბა, გრძელი ტბა.

მცენარეულ საფართან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები – ალავერდი, ასკილაური, პანტიანი, ბზანა, ბირკიანი, ბიჭვინთა, ბოლოკიანი, თელა, თხინვალი, იელი, იონჩა, იფნარი, კაკლიანი, კოპიტი, კრობანი, ლაფანიანოკარი, ლელვა, ლელიანი, მოცვნა-

რი. მსხალგორი, მუხათი, ნიგეზნარა, რცხილათი, საწაბლე, სანიორე, ფიჭვნარი, ცაცხვი, წიწმატიანი, შქმერი, აჭანდარა, დგნალი, ლაჯანა, ოქუმი; მთები — ეკალამთა, ლეკნარი, მერქნისწვერი, ნარიანი, მუხათი, საკანაფო, საღანძილე, საწალიკე, სოჭიანისთავი, ტყემთა, შამბიანი, შვინდისყელი, შვინდისწვერი, შინდისის მთა; მდინარეები — არყინარეთი, არყნალისხევი, ბზანა, ბზისწყალი, ბზიფი, ბლისხევი, ვაშლეულა, ვაშლიანი, ვენახებისხევი, თელიანხევი, ლეღვანურა, ლეკნარისდელე, რცხელური, სოჭისდელე, ტყემლიანისდელე, წაბლარისწყალი, წიფლიანი ჭალა, ლაჯანურა, წიფლისხევი, წიფლოვანისწყალი.

ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა სახელების მიხედვით — დასახლებული პუნქტები — ყანჩიეთი, აზავრეთი, აკაურთა, ბატყური, ბულბულისციხე, ბელურა, გავაზი, გველეთი, დათვისა, საირმე, თაგვეთი, კაკაბაური, კვერნაულა, კურდღელაური, ლაკლაკეთი, მელაანი, მიმინოსხევი, ორბეთი, საბუე, სათხე, სამტრედია, საქორეთი, საშეგარდნო, საცხენეთი, ჩიტათა, ჩხიკვთა, წეროვანი, ხარისთვალა, არშა, ბორი, ონტოფო, ოჩხამური, ჩხუნიში, ჭანჭათი; მთები — გველისმთა, ვირიგვერდი, ირმისრქა, მამლისმთა, მგლისსაწოლი, პეპელეთი, საარწივისწვერი, საბუეთი, საირმე, სამგლეგორა, სამერცხლე, სამეცხვარო, საორბე, საქორია, საყორნე, საჩიტე, საცხენისი, საძროხე, ცხენისაძოვარი, ხარისთავი; მდინარეები — გავაზისწყალი, გველისწყალი, დათვისდელე, ოკალმახე, პეპელა, სავერძისწყალი საირმედელე, საკალმახე, სამერცხლე, საცხენისი, ცხენისწყალი; ტბები — არჩვების ტბა, საწურბლია, ბატეთის ტბა, დათვის ტბა, თევზის ტბა, კუსტბა.

როგორც აღინიშნა, შედარებით მოკლე ქრონოლოგიურ მონაკვეთებში არსებით გარდაქმნებს განიცდიდნენ მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ამ ცვლილებების ასახვას ვხედავთ ტოპონიმიაში. ასე მაგალითად, შიდა ქართლის მცენარეულობა მკვეთრად გარდაიქმნა ადამიანის ჩარევით; პირველად მცენარეულ საბურველს აქ ტყის ხასიათი უნდა ჰქონოდა, რაც მუხის, რცხილისა და სხვა სახეებისგან შედგებოდა. ამაზე მიგვითითებს ტოპონიმები — მუხრანი, მოხისი, მუხათ-

188

გვერდი, მუხათი, მუხაური. ურთხვა, ცხინვალი, მტკერის ზეობის ლანდშაფტი ძირითადად მეორად ხასიათს (ანთროპოგენური) ატარებს, რაც დაკავშირებულია ხანგრძლივ სამეურნეო ზემოქმედებასთან. ჭალე-ბის ანუ ტუგაის ტყეები, რომელთაც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა მტკერისა და მისი შემდინარეთა ხეობების ფსკერზე, სადღესოდ თითქმის გამქრალა. მაგალითად სხერტისა და ყურყუთას ჭალები. ასევე, ფაუნის წარმომადგენელთა სახელები შემორჩა ზოგიერთ ობიექტს, სადაც ამჟამად ისინი აღარ ბინადრობენ. მაგალითად, ფოცხვერიანი, საირმე, ირმისრქა, ნუკრიანი. სათხე, საშვეარდნო, ოირემე, საჯიხვეები, სატრედო და სხვები.

ზემოთ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებები მხოლოდ ნაწილია იმ ქართული ტოპონიმებისა, რომლებიც წარმოებულია ბუნებრივი პირობების მიხედვით. გეოგრაფიული შინაარსის შემცველი ტოპონიმების ეს არასრული სია ამოკრეფილია „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონიდან“ (თბილისი, 2003), თუმცა სრული სიის წარმოდგენა სტატიაში ვერ მოხერხდა. შედარებით სრულყოფილი სურათი წარმოვადგინეთ რუკაზე, რომელზეც პირობითი ნიშნების მიხედვით კლასიფიცირებულია ბუნებრივი პირობების მიხედვით თითოეული კომპონენტი და თვალსაჩინოდაა გამოსახული პალეოგეოგრაფიული შინაარსის შემცველი ტოპონიმების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე.

ეფიქრობთ, ტოპონიმების ანალიზით მიღებული პალეოგეოგრაფიული მასალა სამსახურს გაუწევს არა მარტო განყენებულ სამეცნიერო დებულებებს, არამედ პრაქტიკულ, სამეურნეო საქმიანობასაც – ლანდშაფტების შეგნებულ გარდაქმნას.

# ПАЛЕОГЕОГРАФИЧЕСКИЕ ТОПОНИМЫ СВИДЕТЕЛЬСТВУЮЩИЕ ОБ ИЗМЕНЧИВОСТИ ПРИРОДНЫХ УСЛОВИЙ

## Резюме

В статье даны об изменчивость названных топонимов природных условий в палеогеографический исторический период. Изучение данной группы топонимов приводят нас к палеогеографическим выводам, к установлению тех изменений природных условий Грузии, которые имели место в историческом прошлом.

## ლიტერატურა

საქართველო. გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2003.

შრომათა კრებული – გეოგრაფია და თანამედროვეობა,  
თბ., 2003, გვ. 244-250.

## დიდი და კატარა ლიახვი

მდ. დიდი ლიახვი კავკასიონის სამხრეთ ფერდობიდან იწყება, სათავე აქვს ყელის ვულკანურ მთიანეთში. წარმოიქმნება სოფ. გალუათას მიდამოებში, ზღვის დონიდან 2340 მ-ზე. გაივლის 98 კმ-ს და მარცხნიდან შეერთვის მდ. მტკვარს ქ. გორთან. მისი წყალშემკრები აუზის ფართობი 2440 კვადრატული კმ-ია.

ისტორიული შიდა ქართლის მდინარეთა შორის, რომლებიც მტკვარს ერთვიან, მდ. დიდი ლიახვი ყველაზე გრძელი და წყალუხვია. თავისი აუზის ფართობითაც ყველას აჭარბებს. მისი აუზის ზემო ნაწილი ჯავის რაიონის ფარგლებშია, ხოლო შუა და ქვემო ნაწილები — ცხინვალისა და გორის რაიონების ფარგლებში. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „არს მდინარე ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი, და ხმოვანი, სასმელად შემრგო და გემოიანი, მარადის ცივი, გარნა ვერ განჰყინავს ზამთარს სიჩქარისათვის, თევზნი მრავალნი. რომელნი ევლნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი და გემოიანი, და სპეტაკი“.

ლიახვის სათავეებში რთული რელიეფია. აქ არის ღრმა და ვიწრო ხეობები. ხშირია კანიონები, მწვერვალთა სიმაღლე 3000 მ-ს აღემატება. წარსულში მდინარის წყალშემკრები აუზის მთიან ნაწილში ძლიერი გამყინვარება ყოფილა, რაზეც მეტყველებს მრავალრიცხოვანი ძველმყინვარული ფორმა (კარი, ტროგი, მორენა). ამ ნაწილში ამჟამად კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე 12 მყინვარია, რომელთა საერთო ფართობი 5,5 კვადრატული კმ-ია.

დიდი ლიახვი, ვიდრე მას მდ. ფაწა შეუერთდება, სამხრეთ-დასავლეთით მოედინება, შემდეგ სამხრეთისაკენ იხრება და ამ მიმართულებით მიდის სანამ მტკვარს შეერთვის. მის ქვემო ნაწილში ტერასების ფართობი იზრდება. ზოგ ადგილას ტერასების სიგანე 2 კმ-საც კი

აღწევს. ტერასებზე გაყვანილია სარწყავი არხები. ამის წყალობით ამ-  
მიდამოებში უხვი მოსავალი მოდის.

დიდი ღიახვი ქვემო ნაწილში უფრო იტოტება და წარმოქმნის  
მოზრდილ კუნძულებს, თუმცა ამ კუნძულებზე მცენარეულობა არაა.  
გამონაკლისია ქ. ცხინვალთან წარმოქმნილი კუნძულები, რომლებიც  
ბალახითა და ბუჩქნარებითაა დაფარული.



მდ. ფაწას შეერთება დიდ ღიახვთან

მდინარის წყლის დონეს განსაზღვრავს გაზაფხულის ხანგრძლი-  
ვი წყალდიდობა, რომელიც მარტის შუა ან ბოლო რიცხვებიდან იწყე-  
ბა. წყალმცირობა ნიშანდობლივია ზამთრის თვეებში. მდინარის კვების  
ძირითადი წყაროა სეზონური ნადნობი წყლები, მუდმივი თოვლი და  
ყინული, აგრეთვე წვიმა და მიწისქვეშა წყლები.

დიდი ღიახვი ძირითადად სარწყავადაა გამოყენებული. მის აუზ-  
ში უძველესი დროიდან ყოფილა სარწყავი არხები, რომელთა ნაშთები  
ახლაცაა შემორჩენილი. იმ არხთაგან ზოგი რეკონსტრუქციის შემდეგ  
დღესაც ემსახურება ხალხს. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში არსებულა  
192

ტირიფონის არხი, ხოლო სალთვისის არხი ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, თამარ მეფეს აუშენებია. XIX ს-ში ლიახვის წყლით 17 სოფელი ირწყვებოდა (დიდი ლიახვის წყლით 9 სოფელი, პატარა ლიახვის წყლით 8 სოფელი). აქ 11 არხი არსებობს, რომელთა საერთო სიგრძე 168 კმ-ია. ამჟამად კეხვის, ტირიფონისა და სალთვისის არხები 64,2 ჰექტარს რწყავს.

დიდი ლიახვის შენაკადია პატარა ლიახვი. იგი სათავეს იღებს გერმუხის ქედის სამხრეთ კალთებზე და დიდ ლიახვს სოფ. შერთულთან უერთდება. პატარა ლიახვზე სოფ. ზონკართან აგებულია წყალსაცავი, რომლის სარკის ფართობი 7,6 კვადრატული კმ, წყლის მოცულობა – 43,5 მილიონი კუბმეტრი.

ლიახვს ქ. გორთან უერთდება მდ. მეჯუდა. იგი ზღვის დონიდან 2500 მ-ზე ძირისის მთებიდან იწყება, სიგრძით 46 კმ-ია. მისი აუზის ფართობი – 651 კვადრატული კმ. აკად. ა. შანიძის გამოკვლევით მეჯუდა იგივე მეჯვრისხევაა. მეჯვრისხევი ახლა დასახლებული პუნქტია ამავე მდინარეზე. რომელიც ძველთაგანვე სარწყავად იყო გამოყენებული.

სახელწოდება ლიახვს პირველად იხსენიებს ლეონტი მროველი. სახელწოდების წარმოშობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული: „ლი“ სვანეთში წყალს ნიშნავს, იმერეთში „ლია“ ჰქვია სველ ადგილს, რომელზედაც დგას წყალი; ლიახვი მოვარდაო, რომ იტყვიან, ეს წყალდილობას ნიშნავს. სხვათა გამოკვლევით „ლია“ ნიშნავს ლამიან ადგილს (ლამი კი უხვადაა ლიახვში). სახელწოდების მეორე ნაწილი ძველი ქართულის მიხედვით ძლიერ ხმაურს ნიშნავს. ვახუშტიც აღნიშნავს, ლიახვი „ჩქარად მომდინარე და რიყიანი, და ხმოვანი“ მდინარეაო.




## მდინარე მტკვარი

მტკვარი სათავეს იღებს თურქეთში, ყიზილ-გიაღუკის მთის (ზღვის დონიდან 742 მ) აღმოსავლეთ კალთებზე, კოლას ტაფობში, მისი სიგრძე 1364 კმ-ია. სათავიდან 185 კმ-ის გავლის შემდეგ სოფელ კართანახევის ახლოს, ვარძიის მაზლობლად საქართველოში შემოდინება. სოფელ აწყურს ქვემოთ ბორჯომის ვიწრო ხეობაში შედის. ტაშისკარიდან შიდა ქართლის ვაკეზე აღმოსავლეთით მიედინება. ხეობის შუა ნაწილში მისი კალაპოტი საკმაოდ ფართოვდება და ძლიერ იტოტება, რის გამოც წარმოქმნის მრავალრიცხოვან კუნძულებს და კლაკნილებს.

აგჭალის, დიდმის, დიდუბის მიდამოებში მტკვარში ბევრი მეჩენი, კუნძული და განტოტება იყო. აღსანიშნავია ორბელიანებისა და ორთაჭალის კუნძულები, რომლებიც მტკვრის ხელოვნურმა ჯებირებმა გააქრო.

ფონიჭალიდან მდ. ქციის შესართავამდე მტკვრის ორივე ნაპირი ვაკეა და განიერი ჭალები და დაბალი ნაპირები ეკვრის. მის კიდეებზე ბუნებრივი ტერასები საფეხურებად მაღლდება. მტკვარი საქართველოს საზღვართან აზერბაიჯანში აგებულ მინგეჩაურის წყალსაცავში ჩაედინება. წყალსაცავიდან აზერბაიჯანის ვაკე-დაბლობზე მიედინება, იერთებს მარჯვენა დიდ შენაკადს არაქს (არეზი) და შეერთვის კასპიის ზღვას.

მტკვარი სათავეებთან მცირეწყლიანია, ხოლო შუა და ქვემო ნაწილში მრავალრიცხოვანი შენაკადების გამო წყალუხვი ხდება. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტესი მდინარეები სწორედ მტკვრის შენაკადებია, რომელთა რაოდენობა 12 ათასს აჭარბებს და საერთო სიგრძით თითქმის ეკვატორის ტოლია.



მდ. მტკვარი ზაქესთან

მტკვრის მთავარი მასაზრდოებელი მანც მიწისქემა წყლებია (38,6%). მათ მცირედ ჩამორჩება თოვლის წყლები (36,6%) და წვიმის წყლები (24,8%). წყალდიდობა მარტის პირველ ნახევარში იწყება და იენისის ბოლოს მთავრდება. სწორედ გაზაფხულზეა წლიური ჩამონადენის თითქმის ნახევარი (48,5%). ივლის-აგვისტოსა და ზამთარში მტკვარი წყალმცირეა. მტკვრის წყალდიდობა ზოგჯერ კატასტროფულია, რის მიზეზიც ერთბაშად დათბობა და ხშირი წვიმებია. ამ დროს მტკვარი კალაპოტიდან გადმოდის, ტბორავს სანაპიროებს, ანგრევს ყველაფერს, რაც გზაზე შეხვდება, იტაცებს ხიდებს.

მტკვარი ძლიერ აღიღდა 1968 წელს აპრილის შუა რიცხვებში. მიზეზი იყო უჩვეულო დათბობა, რასაც თოვლის ინტენსიური დნობა და ძლიერი წვიმები მოჰყვა; წყალი გადმოვიდა კალაპოტიდან და სავარძნობლად დაზარალდა მტკვრისპირა რაიონები.

მტკვრისპირა მხარეები უძველესი დროიდან ყოფილა ათვისებული. სწორედ მის სანაპიროებზე ჩაისახა ჩვენი წინაპრების ის მძლავრი კულტურა, რომელიც დღეს მტკვარ-არაქსის სახელწოდებით არის ცნობილი.

მტკვარი საქართველოს ტერიტორიაზე ნაკლებად არის ენერგორესურსებისათვის გამოყენებული. მასზე აგებულია მხოლოდ რამდენიმე ელექტროსადგური: საქართველოს პირველი ჰიდროელექტროსადგური ზემო ავჭალაში, ორთაჭალისა და ჩითახევის ჰიდროელექტროსადგურები.

მტკვრის ნაპირებზე გვხვდება მინერალური წყაროები. ისინი სხვადასხვა შემადგენლობის და ტემპერატურისაა. აღსანიშნავია ვარძინის, ასპინძის, ბორჯომის, ყვებისის, გორიჯვრის, თბილისისა და სხვა წყაროები.

მტკვარს ძველთაგანვე იყენებდნენ სარწყავად. რუსთავეში აღმოჩენილია ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში არსებული არხი. იგი IV საუკუნეში განუახლებია ქართველთა მეფე მითრიდატეს, ხოლო XVIII საუკუნის დამდეგს — ვახტანგ მეექვსეს. ამჟამად მტკვრის წყლით იკვებება ტაშისკრის, სკრა-ქარელის, დოეს-გრაკალის, გარდაბნის არხები. გარდა ამისა, მტკვარი აწვდის წყალს გიორგიწმინდის, ქვიშხეთის, ხანდაკის, დიღმის, თბაღისის და მის მიდამოების სხვა სატუმბ სადგურებს.

ქვეყნის ეკონომიკური თუ სტრატეგიული მიზნებისათვის მტკვარზე ხიდები ჯერ კიდევ უძველეს დროს არსებობდა. დღემდე შემორჩენილია ზოგი ძველი ხიდი, ზოგან — ქვის ხიდის ბურჯები. მკვლევართა აზრით (ნ. კვეზერელი-კობახე) მცხეთის ხიდი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ ხითაგან ერთ-ერთი უძველესი საინჟინრო ნაგებობაა. ძველი ხიდები იყო აგრეთვე თმოგვთან, ხერთვისთან, ასპინძასთან, წნისთან, აწყურთან, ურბნისთან, უფლისციხესთან და სხვ. თბილისის ძველი ხიდი ჯერ კიდევ იოანე საბანის ძის „ჰაბოს წამებაში“ იხსენიება.

XIX საუკუნეში თბილისში 4 ხიდი იყო, ამჟამად ქალაქში 11 საავტომობილო და 2 სარკინიგზო ხიდია.

მტკვარი ქართული სახელწოდებაა, მაგრამ მისი აზრობრივი მნიშვნელობა და შინაარსი დღესაც სადაოა. მიაჩნიათ, რომ მტკვრის სახელი უნდა უკავშირდებოდეს საქართველოს ისტორიული მხარის კოლას სახელწოდებას, ან ზოგადად წყლის აღმნიშვნელი სიტყვის ფუძეს (ზ. ჭუმბურიძე).

სიტყვა მტკვარი წარმომდგარია „მტკუეფრობა“-სგან, რაც მიხ-ვეულ-მოხვეულს ნიშნავს (ჯ. ლომაშილი). ამასთან, ჭანურ ზმნაში ტკვარ-ტკვალ – „ღენას“ ნიშნავს (ელ. ალფენიძე). ძველი ბერძნები მტკვარს „კიროსის“ ან „კოროს“ სახელით იცნობდნენ. დროთა განმავ-ლობაში ეს სახელი გადაკეთდა „კურად“ და ამ სახით შევიდა რუსულ ენაში. თითქოსდა ამ სახელებსა და ქართულ „მტკვარს“ შორის საერთო არაფერია, მაგრამ ბერძნულ და თურქულ ენებში გადასვლისას დაკარგა ორი თანხმოვანი მტ და დარჩა კვარი. სომხური სახელწოდე-ბა „ქურ“ და აზერბაიჯანული „ქიურ“ აგრეთვე ქართული სახელწო-დების ანარეკლია (ს. ჯიქია).

გაზეთი ციციანთელა №95, 2007 წელი, გვ. 6.

## არაბპი

არაგვი აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარეა; მისი სიგრძე 109,5 კმ-ია, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი 2723,5 კვადრატული კილომეტრი. არაგვი ოთხი მთავარი შენაკადით გაედინება მთიულეთში, გუდამაყარში, ხევსურეთსა და ფშავში. სწორედ ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მიხედვით ჰქვია შენაკადებს სახელები, ხოლო მათი შეერთების შემდეგ მდინარეს ეწოდება არაგვი და ქ. მცხეთასთან ერთვის მდ. მტკვარს.

მთიულეთის ანუ თემთრი არაბპი სათავეს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე ყელის ვულკანურ ზეგანზე იღებს. სოფელ ფასანაურამდე თეთრ არაგვს ემახიან, რადგან შავი ანუ გუდამაყრის არაგვის შეერთების ადგილას მის წყალს მოთეთრო ფერი დაჰკრავს. ამ ადგილიდან კი უკვე მთიულეთის არაგვი ჰქვია.

გუდამაყრის ანუ შაპი არაბპის სათავეებიც მთავარ ქედზეა – ჭაუხისა და ქვენამთის კალთებზე, ზღვის დონიდან 3392,4 მ-ზე. მდინარის სიგრძე 31 კმ-ია, აუზის ფართობი 238,1 კვადრატული კილომეტრი. თეთრი და შავი არაგვის ხეობები გუდამაყრის ქედით არის გაყოფილი.

ფშავის არაბპი მდ. არაგვის ერთ-ერთი შემადგენელია, რომელსაც სათავე ბორბალოს კალთებზე აქვს, ზღვის დონიდან 2731 მეტრზე, მისი სიგრძე 66,5 კმ-ია, აუზის ფართობი 951,8 კვადრატული კილომეტრი, სოფელ ორწყლამდე კავკასიონის მთავარ ქედსა და ქართლის ქედის ჩრდილო ნაწილს შორის მიედინება, შემდეგ კი ჟინვალამდე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ხაშისურამთის არაბპი სოფელ ორწყალთან ფშავის არაგვს უერთდება. მისი სიგრძე 26,5 კმ-ია, აუზის ფართობი 302,5 კვადრატული კილომეტრი. მიედინება პირაქეთა ხევსურეთის ტერიტორიაზე.

თვით მდინარე არაბპს ეს სახელი ჟინვალის წყალსაცავიდან ჰქვია. სწორედ აქედან იგი მუხრან-საგურამოს ვაკეზე მიედინება და

მცხეთასთან მარცხნიდან ერთვის მდ. მტკვარს. წინათ არაგვს უწოდებ-  
დნენ აგრეთვე კაკასიონის გადაღმა მიმავალ მდინარე თერგსაც.



მდ. არაგვის ხეობა ბოდორნასთან

მდ. არაგვს ჯერ კიდევ ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯ-  
ნაზე იხსენიებს ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (დაახ-  
ლოებით ძვ. წ. 64/63 – ახ. წ. 23/24 წწ.), I-II ს-ში კი რომაელი  
ისტორიკოსი დიონ კასიუსი (დაახლოებით 153-235) თავის თხზულე-  
ბაში პომპეუსის ლაშქრობასთან დაკავშირებით.

არაგვისა და მისი შემადგენელი მდინარეების სათავეებში 2000-  
2800 მ სიმაღლეზე სუბალპური და ალპური მდელოების საფარია.  
აუზის დიდი ნაწილი ტყის ზონას უჭირავს, რომელიც 900 მ სიმაღ-  
ლეზე ვრცელდება. მდინარის ორივე მხარეზე შესართავამდე ბუნებრი-

ვი ტერასებია, რომელთა სიგანე 0,8 კმ (სოფლები – ჩინთი, ბულაჩაური) და 1,5 კმ-ია (სოფლები – ქუბრიანთკარი, ჭოპორტი, მისაქციელი). ტერასები ძირითადად სხვადასხვა სახის მცენარეებითაა დაფარული და დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოიყენება.

არაგვის სიგანე 10-დან 46 მეტრამდეა. იკვებება თოვლის, წვიმის, მყინვარისა და მიწისქვეშა წყლებით. მყინვარები მის სათავეებში მცირეა და ისინი მისი წყლის რაოდენობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენენ. წყალდიდობა თბილ პერიოდში იცის, ხოლო წყალმცირობა შემოდგომასა და ზამთარში. წყლის დონე მაღლა იწევს მარტში. აპრილის ბოლოს მკვეთრად მატულობს, მაისში კი ყველაზე მაღალია. სარწყავად გამოყენებულია მუხრანის, საგურამოს, ბულაჩაურ-ლაფანანთკარის არხები. არაგვს მდ. მტკვარში ყოველწლიურად 1,5 მილიარდი კუბური მეტრი წყალი შეაქვს.

არაგვის ხეობა აღწერილი აქვთ ბევრ ქართველ პოეტს, მათ შორის აღსანიშნავია: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვ. არაგვი მოხსენიებული აქვს ჯუანშერს: „და მასცა მდინარესა არაგვ ჰქჳან, რამეთუ ერთის მთისაგან გამოვალს თავი ორთავე: ქართლისა არაგვსა და ოვსეთისა არაგვსა“. ვახუშტი ბაგრატიონი შავ არაგვს გულამაყრის ხევს უწოდებს: „ხოლო გულამაყრის – ჳევის შესართავს ზეთ, დასავლეთ-ჩდილოს შუა, არს მთიულეთი“. საერთოდ, ძველად მთიულეთად იწოდებოდა საქართველოს ყველა ის რაიონი, რომლებიც მდებარეობენ კავკასიონის მაღალმთიან ზოლში. ასეა ძველ ისტორიკოსებთან და მწერლებთან – ლეონტი მროველთან, ჯუანშერთან, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან და სხვ. არაგვის შესახებ აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე „აჩრდილში“.

არაგვი რმდენიმე მდინარის სახელია. როგორც აღვნიშნეთ, თვით არაგვს უერთდება თეთრი, შავი, ფშავის, ხევსურეთის არაგვი. გარდა ამისა, წინათ არაგვი ერქვა აგრეთვე მდინარე თერგსაც. ფიქრობენ,

რომ შესაძლოა არაგვი ძველად საერთოდ „მდინარეს“ ნიშნავდა. აქედან მიღებული უნდა იყოს თევზის – ორაგულის სახელწოდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მდინარე არაგვი წარმოიშობა ფასანაურთან თეთრი და შავი არაგვის შეერთების შედეგად. არაგვის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ხოლო მდინარე არაგვი განყოფს ქართლსა და კახეთს. და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თვისთავე, ვინათგან ღის ჩქარად, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ ჯეგთა“! არამედ არს მდინარე ურგები, თევზი, თუნირ ორაგულისა, არარაი, და იგიცა ჟამად... ამიერ და იმიერ ჭალანი ჯღარდლოვანი, ეკლოვანი, ნადირითა, ეშვითა და ჯოკბითა საესე“.

XX ს-ის მანძილზე მდ. არაგვზე რამდენიმე წყალსადენი აიგო – ნატახტარის, ბულაჩაურის, ჭოპორტ-საგურამოსი, რომელთა წყალი თბილისსა და რუსთავს მიეწოდება. XX საუკუნის 70-ან წლებში, ჟინვალს ზემოთ 0,5 კმ-ზე, სადაც ფშავეისა და მთიულეთის არაგვი ერთმანეთს ერთვოდა, აიგო 100 მ სიმაღლის კაშხალი. მთიულეთის არაგვის ხეობაში მდინარის წყალი 12 კმ მანძილზე, ხოლო ფშავეის არაგვზე 8,5 კმ-ზე დააგუბეს. ჟინვალის წყალსაცავის ფარგობი 11,5 კვადრატული კილომეტრია. კაშხლის ძირში ააგეს 130 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგური. აქედან წყალი გვირაბით სოფელ ბოდორნასთან გამოდის. აქ სპეციალური აუზია მოწყობილი, საიდანაც წყლის ერთი ნაწილი არაგვის ხეობას უბრუნდება. ნაწილი სარწყავ ქსელს გადაეცემა, ნაწილი კი 38 კმ-ანი მაგისტრალური წყალსადენით თბილისის ზღვისაკენ მიემართება.

ყველას ვალთა გაუფრთხილდეს მდ. არაგვის ხეობას და მასში გამდინარე წყალს, რადგან სწორედ ის გახლავთ თბილისის წყალმომარაგების მთავარი წყარო.




## ქსანი

ახალგორის დედა – მდინარე

მდინარე ქსანი სიგრძის მიხედვით საქართველოში მეთვრამეტე ადგილზეა 27 ათას მდინარეს შორის. მდინარე ქსანი სათავეს ყელის ტბიდან იღებს. თვით ყელის ტბა ვულკანურ მთიანეთზეა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3000 მ-ზე მაღალია. ტბა თითქმის 8 თვის განმავლობაში ყინულით არის დაფარული და ამიტომაც მასში თევზი არ ბინადრობს. მდინარე ქსანი ტბიდან გამოსვლის შემდეგ თითქმის 2 კილომეტრზე მღორედ მოედინება და შემდეგში ეროზიულ ნაპრაღში საფეხურებად ეშვება. მდინარე 89 კილომეტრის გავლის შემდეგ მტკვარს ერთვის მარცხნიდან რკინიგზის სადგურ ქსანთან ახლოს. წყალშემკრები აუზის ფართობი 885 კვადრატული კილომეტრია. აუზში კი 330 მდინარე ითვლება, საერთო სიგრძით 75 კმ. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ალეურა (21 კმ), ჭურთულა (18 კმ), ცხრაძმულა (15 კმ) და სხვა.

მდინარის ორივე მხარეს გასდევს წყვეტილი ტერასები, რომელთა განი 50-80 მეტრიდან (სათავეებში), 300-400 მ (ქარჩოხი, ლარგვისი, კორინთა) და 500-800 მეტრია (ქსოვრისი, თეზი, ახალგორი). ბევრგან ტერასები დაქსელილია სარწყავი არხებით. ტერასები დაკავებულია ხილის ბაღებით, ვენახებით და სხვ. სათავეები დაფარულია ბუჩქნარებით და გამოყენებულია საძოვრებად. მდინარის ზემო ნაწილში ახალგორამდე შენაკადებს გააჩნიათ გამოზიდვის კონუსები (მდინარის მიერ მოტანილი და დაგროვებული ფხვიერი მასალა, რომელსაც აქვს ბრტყელი, ნახევრად კონუსის სახე სუსტად ამობურცული ზედაპირით). ზოგიერთი მათგანი 60-300 მ სიგრძისა და 80-250 მ სიგანისაა. ზოგ ადგილებში დამახასიათებელია მეწყერები, სოფელ კორინთას ქვემოთ მდინარე ალაგ ივითარებს ორ-სამ ტოტსაც. მასთან გვხვდება კუნძულებიც, რომლებიც საკმაოდ მოზრდილია და წყალდიდობის

დროს წყლით იფარება. XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ქსანზე მომხდარა ძლიერი წყალდიდობა: „ამა უამსა შეიქმნა წვიმა მძაფრი და აღიდნა ქსანი და მომართა მონასტერსა ამას და წარისხნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამოთხარა ძირი ეკლესიისა“, ნათქვამია „ძეგლი ერისთავთაში“. ლარგვისის მონასტრის მიდამოებში, სადაც კარგად ჩანს წყალდიდობის სმძლავრე.



ლარგვისის მონასტერი

მდინარეს წყალდიდობა გაზაფხულზე ახასიათებს. წყლის დონის აწევა მარტში იწყება. ამ დროს წყლის დონე 0,4-0,5 მეტრია; წვიმებით გამოწვეული ყველაზე მაღალი დონე 0,8-1,3 მეტრია. მდინარე ძირითადად იკვებება თოვლისა და წვიმის წყლით. მიწისქვეშა წყლები კი კვებაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. ყველაზე მეტი წყლიანობა მდინარეში გაზაფხულის წყალდიდობის დროსაა, წლის დანარჩენი დრო ხასიათდება მცირეწყლიანობით. საშუალო მრავალწლიური წყლის ხარჯი სოფელ კორინთასთან 10,4 მ<sup>3</sup> წამია; მდინარე გამოყენებულია წისქვილებისა და სასმელი წყლით მომარაგებისათვის, აგრეთვე

სარწყავადაც. ქსნის სათავეები კი ძველთაგანვე საზაფხულო საძოვრებად ყოფილა გამოყენებული; მუხრანბატონების საქონელი ქსნის სათავეებში, ჟამურში იმყოფებოდა, ხოლო ზამთრობით თვით სამუხრანბატონოში.



მდ. ალევის შეერთება ქსანთან სოფელ კორინთასთან

ქსნის სახელწოდებას ატარებს სოფელი მტკვართან ქსნის შესართავში. აქვე მახლობლად, მაღალ მთაზე ციხესიმაგრეა, რომელსაც ხალხი ქსნის ციხეს ეძახის.

მიიჩნევენ, რომ სახელწოდება ქსანი წარმოდგება წონის ერთეულისაგან, რომელსაც კსანი ჰქვია. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ხოლო მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით. დის და გამოსდის ქნოლოს (ყელის ტბა) ჟამურის საშუალოს კაკასს... ხოლო მდინარე მან კსან მან მოიგო სახელი ესრეთ, რამეთუ მდინარე ესე არს სხვათა მდინარეთა ერთი კსანი“. აქ იგულისხმება, რომ მდინარე კსანი მტკვართან, ლიახვთან, არაგვთან შედარებით პატარაა.

ქსნის ხეობა საქართველოს ცხოვრებაში უძველესი დროიდან დიდ როლს ასრულებდა, რასაც თავისებური ბუნებრივი პირობები უწყობდა ხელს. XIII საუკუნემდე ქსნის ხეობა ქართლის საერისთავოში შედიოდა. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა“. XIII საუკუნიდან ამ ხეობაში ჩამოყალიბდა ქსნის საერისთავო. ქსნის ერისთავების საგვარეულო სამარხს ლარგვისი წარმოადგენდა. აქ შემორჩენილია გუმბათიანი ტაძარი, რომელიც XIV საუკუნეშია აგებული. ქსნის ერისთავების რეზიდენციად ქვენიფნევი ითვლებოდა, რომელიც ლარგვისის სამხრეთით ოთხიოდე კილომეტრითაა დაშორებული. როცა ქსნის საერისთავო გაძლიერდა, რეზიდენციად ახალგორი გაუხდიათ, ხოლო საგვარეულო სამარხი პირველ ხანებში ლარგვისი დარჩენილა, შემდგომში კი იკორთა გამხდარა. ახალგორში შემორჩენილია რეზიდენციის სასახლე და ციხე-დარბაზი. 1777 წელს ერეკლე მეორე სარგებლობს ქსნის ერისთავების განდგომითა და სათავადოს აუქმებს, ხოლო მამულების უდიდესი ნაწილი უფლისწულების ხელში გადავიდა.

ქსნის ხეობა ცნობილია მატერიალური კულტურის ძეგლებითაც: აქ ნაპოვნია ყველა ეპოქის ადამიანის ცხოვრების კვალი. ყველაფერი ეს მოწმობს ამ ხეობის ძველთგანვე ათვისებაზე, მის კულტურასა და მეურნეობაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქეგურში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ნივთები, რომლებიც ისტორიაში „ახალგორის განძის“ სახელით არის ცნობილი. საინტერესო ნიმუშები აღმოჩნდა აგრეთვე ყანჩავეთში. ქსნის ხეობაში მრავლადაა შემორჩენილი ადრექრისტიანული და მოგვიანო პერიოდის ქრისტიანული ეპოქის ძეგლები. ამ მხრივ, აღსანიშნავია – წირქოლი, ყანჩავეთი, ხოფი, ლარგვისი და მრავალი სხვ. ყველაფერი ეს და ხეობაში შემორჩენილი ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები უცილობლად მოწმობს ქართველი მოსახლეობის ავტოქთონობაზე, მის განუყოფლობას საქართველოს სხვა ხეობებისა და მხარეებისაგან.

ქსნის ზეობის ერთ-ერთი დიდი ცენტრი ახალგორი ყოფილა. ეს ადგილი გაშლილ ჭალასა და ტერასებზეა მოთავსებული. ახალგორის დაარსებას მიაწერენ ფარნავაზის შვილს საურმაგს (ძველი წელთაღრიცხვის 162 წ.), რომელსაც ეწოდა მას, ახალგორი, ლიახვის გორისაგან გასარჩევად. მხოლოდ 1934 წელს უწოდეს ლენინგორი, მაგრამ 1990 წელს ძველი სახელი დაუბრუნდა.


P.S. სამწუხაროდ, 2008 წლის ოკუპაციამ ისევ „ლენინგორი“ დააბრუნა... იმედია, დროებით.

სამშვიდობო გაზეთი, №3, 31 იანვარი, 2009 წ. გვ. 4.

## ბოდორნის სახელწოდებისათვის

[ამონარიდი]


როდესაც ობიექტის სახელი წარმოითქმება, პირველ რიგში, ცნობისმოყვარეობა დაგძლევს და დაგაინტერესებს თუ რატომ შეარქვეს სახელწოდება. ბოდორნა მიღებულია – ბოდო-საგან. ამ ძირისაგან (ბოდო) საქართველოში ბევრი ადგილის სახელწოდებაა ნაწარმოები: ბოდ-ავ-ი, ბოდ-ა-ხევი, ბოდ-ბე, ბოდ-ბის-ხევი, ბოდო-ჯი და სხვ.



ბოდორნის გამოქვაბულიანი კლდეები

მეცნიერთა განმარტებით ბოდო ეწოდება მაღალსა და ციცაბო შვეულ მთას, კლდეებს. ბოდორნას ადგილმდებარეობა ზუსტად არის ასახული სახელში აქ არსებულ კლდეებისა და ფლატეების მიხედვით. ეს ტერიტორია ბაზალეთის ვაკის აღმოსავლეთით გაგრძელებას წარმოადგენს და კლდოვანი, ციცაბო ნაპრალებიანი ადგილია, რომელიც

აგებულია მეოთხეული კონგლომერატებითა და თიხებით. რაც შეეხება სუფიქსს, მისი მსგავსი წარმოშობისაა: ნოკო-რნა, ნოსო-რნა, ზოჟო-რნა და სხვ.



ბოდორნის კლდეები ღვთისმშობლის ეკლესიის ფონზე

ბუნებრივი პირობების მიხედვით შერქმეული ამ სახის სახელწოდება ზუსტად ასახავს ადგილის ნამდვილ ბუნებას. მაგალითად, კურცხანას ხეობაში (ადიგენის რაიონი, აბასთუმანთან) სოფელს (ამჟამად ნასოფლარი) ერქვა ბოდო-კლდე, ბოდოჯი (თიანეთის ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კილომეტრზე), სადაც ამჟამად დარჩენილია ნანგრევები და „ცხრაკარის“ სახელით არის ცნობილი, ბოდავი (დუშეთის რაიონი), ბოდახევი (თიანეთის რაიონი), ბოდბე, ბოდბისხევი (სიღნაღის რაიონი და სხვ.

ბოდორნა. ტურისტულ-საექსკურსიო მგზავრი. თბ., 2010, გვ. 5-6.

## 1923 წლის საბურთალოს სამედიცინო რუკის ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობა

საბურთალო თბილისის დასავლეთით ვრცელი უბანი იყო. ძველად საბურთალო საასპარეზო ადგილი ყოფილა. ვერ კიდევ თამარ მეფის დროს (XII ს.) აქ საბურთალო იყო მოწყობილი. ვახუშტი ბაგრატიონი (1997. გვ. 57) აღნიშნავს: „...გარნა ვერე წყნეთამდე წალკოტით შემკული და მრავალნი. მის სამკრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს“. საბურთალოს ველი კი იგივეა, რაც საბურთალოს ვაკე, საბურთალოს მინდორი. თბილისის მიდამოების 1800 წლის გეგმაზე დატანილია „უროშიცე საბურთალო“ და მთა „საბურთალო“.

XX საუკუნის დასაწყისში საბურთალოს დასახლება ეპიდემიამ, კერძოდ, მალარიამ მოიცვა. ამიტომ 1923 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის სამალარიო განყოფილების მიერ შესრულდა „საბურთალოს სამალარიო რუკა“.

რუკის გეოდეზიურ-ტოპოგრაფიული საფუძვლები შეასრულა მიწათმშობელმა იოსებ მარუაშვილმა, ცნობილი გეოგრაფის, პროფესორ ლევან მარუაშვილის მამამ; ეს, ის, იოსებ მარუაშვილია, რომელმაც უხელმძღვანელა უნიკალური გზის მშენებლობას აფხაზეთში, ე.წ. „ალპური შოსის“ გაყვანას გაგრიდან მთა მამძიშხამდე (33,5 კერსი). ჩაატარა ტრიანგულიაცია (გეოდეზიური გაზომვები) საქართველოს მთელ რიგ რაიონებში.

რუკა ზუსტ ტოპოგრაფიულ საფუძველზეა გაკეთებული, რომლის მასშტაბია 1:8400 (1 სმ-ში 84 მეტრი). პორიზონტალი 1,2 სმ = 100 მ-ს, ყოველი იზოპიფსს შორის ამალღება 5 მ-ია, რუკა შედგენილია ექიმ სიმონ კანდელაკის რედაქციით.

1923 წლის საბურთალოს სამალარიო რუკამ გარკვეული როლი შეასრულა ამ რეგიონში ეპიდემიის აღმოფხვრის საქმეში; რუკაზე თვალნათლივ არის ნაჩვენები ის პირობები – არხები, ჭაობები, გუბეები, საშრობი არხები, წყაროები, ხეები და სხვა, რომლებიც ხელს უწყობდა მალარიის გავრცელებას. რუკაზე დატანილი ტერიტორია მდინარე მტკვრისა და ვე-



რეს ხერთვისი ახალსოფელ-თხინვალი-ლისის პერიდიანის გაყოლებით, ჩრდილოეთით ლისის ტბის წყალგამყოფი მთლიანად. გარდა ამისა, ნაჩვენებია გზების სხვადასხვა სახეები, ბალ-ვენახები, რელიეფის სხვადასხვა ფორმები (კლდე, რიყე, ბექობი, ღრე და სხვ.).

რამ გამოიწვია აღნიშნული რუკის შედგენა?

თბილისსა და მის მიდამოებს, საუკუნეების განმავლობაში, ბევრი რამ გადახდენია; მისი მოსახლეობა მრავალ ჭირ-ვარამს უძლებდა. გარეშე მტრების არაერთ შემოსევის შედეგად ხშირად მიწისაგან აღგვილა, მაგრამ სიცოცხლე არასოდეს შეწყვეტილა და ნაქალაქარად არ ქცეული. ამაში დიდი როლი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც ითამაშა.

მოსახლეობისათვის ყველაზე დამთრგუნველი მაინც ინფექციური და-ავადებათა გავრცელება იყო, რაც არცთუ იშვიათი მოვლენა ყოფილა თბილისსა და მის შემოგარენში და, საერთოდ, საქართველოში. შემორჩენილია ცნობები, რომლებშიც მოთხრობილია XVIII-XIX საუკუნეებში და თვით XX საუკუნის 20-ან წლებშიც როგორ მუსრს ავლებდა მოსახლეობას — შავი ჭირი, ხოლერა, ყვავილი, მალარია და სხვ., რაც ხშირად იფეთქებდა ხოლმე.

მიუხედავად ამისა, მშვიდობიან პერიოდში ქალაქის მოსახლეობა სულ უფრო შორს მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ. ქალაქელები ბაღებსა და ვენახებს, ყანებსა და ბოსტნებს ქალაქის მჭიდროდ დასახლებული კვარტლების იქით აშენებდნენ. შემდეგში კი ახალი ადგილების ათვისება ხდებოდა, ერთი მხრივ, ბალ-ვენახებისა და, მეორე მხრივ, სასაფლაო-ეკლესიების აშენების გზით. თბილისელები თანდათან ჩეხავდნენ ქალაქგარეთ მდებარე ტყეებს, ავაკებდნენ კლდოვან ზედაპირებს, გაჰყავდათ მთიდან წყალი არხებისა და მილების საშუალებით. ყველაფერი ეს კარგად არის ნაჩვენები წინამდებარე რუკაზე. ამასთან, გარეშე მტრის შემოსევების შედეგად გარეუბნებშიც მრავალი ნაგებობა დაინგრა და გაპარტახდა. აღ. ამილახვარის მიხედვით 1770 წელს ქალაქში შავი ჭირის გავრცელებისას, ქალაქიდან დიღმისაკენ მიმავალ გზის პირას მოსახლეობა აღარ ჩანს (ბერძნისვილი, 1965)



1922 წლისათვის საბურთალოს დასახლება თითქმის დაცარიელდა. გაჩნდა ნანგრევები. სარწყავი სისტემიდან წყლები თავს იყრიდა საბურთალოს არსში. ჭაობდებოდა მიდამი, ბევრი უმეთვალყურეო, გაუწმენდავი არხი არსებობდა. საბურთალოს დასახლებიდან დელისის ბაღებამდე 275 დესეტინა (2775 მ<sup>2</sup>) ფართობი მთლიანად დაჭაობებული იყო, არხები გაუწმენდავი, დატბორილი ადგილები და ბაღ-ვენახები. რუკაზე არნიშნულია: თხინვალის ჭაობი, ლაპლაპას ჭაობი და სხვ.

1923-1924 წლისათვის გაიყვანეს დამწრეტი არხი და დააშვრეს მთელი ფართობი. არხები გაყვანილ იქნა ლისის ტბიდან მდინარე მტკვრამდე. საბურთალოს ჩრდილოეთით ერთ მაგისტრალური არხი განტოტებებით და ორივე ერთვოდა მტკვარს. საბურთალოს სამხრეთიდან და მცირე არხები ახალშენის (ვარაზისხევი, გმირთა მოედანი, ზოოლოგიური პარკი) ტერიტორიაზე.

აღნიშნულმა 1923 წლის საბურთალოს სამალარიო რუკამ საშუალება მისცა ნათლად წარმოედგინათ ის მიზეზები, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ტექნიკური პირობები, რამაც გამოიწვია და ხელი შეუწყო ეპიდემიის გაერცელებას. ამის შემდეგ დაიწყო მალარიასთან კომპლექსური მეთოდებით ბრძოლა.

გარდა სამედიცინო გეოგრაფიისა, ზემოაღნიშნული რუკა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას. მასზე ბევრი გეოგრაფიული ობიექტის განლაგება და მათი სახელწოდებებია მოცემული. ამ მხრივ, აღსანიშნავია დასახლებული ადგილების სახელწოდებები. სოფელ ვეძისის შესახებ ნაწილობრივ ზემოთაც ვისაუბრეთ. ვეძისი XVIII საუკუნის 20-ან წლებამდე სახასო სამეფო მამულია. 1723 წელს გაცემული სიგელით, ქართლ-კახეთის ტახტის მკერობელ მეფე კონსტანტინეს ციციშვილებისათვის უბოძებია. იგი ქალაქის შემოგარენში, მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა, რომელსაც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან უშუალოდ „საგაბაშვილო“ ემიჯნებოდა, ხოლო დასავლეთით და ჩრდილოეთით „ნახშირისგორის და დიღმის მამულები“ (თბილისის ის-

ტორია, 1990, გვ.334-336). ახალი ვეპისის ტერიტორია კანდელაკის ქუჩასა და მის მიდამოებში ვრცელდებოდა.

სხვა ტოპონიმებიდან აღსანიშნავია ლისის ტბის ჩრდილო-დასავლეთით 2,5 კმ-ზე დატანილი დასახლება „მეგრელები“. ასე რქმევია XX საუკუნის დასაწყისში სოფელს, რომელიც 20-ან წლებში უკვე აღარ არსებობდა. შემდეგში იგი ლისის დასახლებას შეუერთდა. სოფელი თხინვალი ახლაც არის. ეს სახელი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ სოფლების სიაში თხილოვანის სახელითაა ფიქსირებული. ეს სოფელი თბილისის რაიონში შედიოდა. 1966 წელს გარდაბნის რაიონში, ხოლო 1974 წლიდან მცხეთის რაიონშია. „ახალსოფელი“, რომელიც თხინვალის სამხრეთით 500-ოდ მეტრის დაშორებით იყო, 1926 წლის მოსახლეობის აღწერაში აღარ არის შეტანილი. ახალშენი ზოოლოგიური პარკის მდებარე ტერიტორიას მოიცავდა. მას საბურთალოს ახალშენიც ერქვა. ასეა XX ს-ის დასაწყისის რუკებზე. დელისი იპოდრომი-ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას გამზირების ტერიტორიას მოიცავდა ვაკე-საბურთალოს გზამდე. თვით საბურთალო მდინარე მტკვრიდან დოლიძის ქუჩამდე, ყვანიას მოედანსა და კანდელაკის ქუჩას მოიცავდა ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის გამზირის ტერიტორიებს იპოდრომამდე.

რუკაზე აღნიშნულია მდ. ვერეს ნაწილი ვაკე-საბურთალოს გზიდან საცურაო აუზამდე, მდ. მტკვრის სანაპირო-საბურთალოს გზიდან ახლანდელ თამარ მეფის ხილამდე სხვა პატარა ხეობები წარწერების გარეშეა დატოვებული. რუკაზე აღნიშნულია, აგრეთვე, ლისის ტბა, რომლის დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი სანაპიროები დაჭაობებულია. ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით 300-ოდ მეტრის დაშორებით მშრალი ტბა არის დატანილი. რუკაზე 10-ზე მეტი სიმაღლეა ფიქსირებული, ხოლო რამდენიმე ადგილზე სიმაღლის ნიშნულია წარწერების გარეშე. 17 ადგილას წყაროა დატანილი, ერთ ადგილას ჭა, ერთი გუბეც. დატანილია გაბაშვილის ბაღი, იგი თავად გაბაშვილს ეკუთვნოდა, რომელიც ახლანდელი ვაჟა-ფშაველას მეოთხე კვარტალს მოიცავდა და VI კვარტლის ნაწილს. შემდეგში იგი ოძელაშვილებს შეუძენია. აქ ყოფილა კაკლის ხეები, რომლებიც გა-

ნადგურდა. აკადემიის კოოპერატიული კორპუსი ოძელაშვილების სახლზე დგას.

რუკაზე დატანილია ყაზახაშვილების და ისტამანოვის მამულები. პირველი მათგანი ლისის ტბის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ის დაშორებით, ხოლო მეორე 600 მ-ით სამხრეთ-აღმოსავლეთით. რუკაზე 4 სერია დატანილი: უზუშბარის, შაფვერდის, გუბთის და კუზმას; ისინი ადრე ტყეებით ყოფილა შემოსილი. აქვეა ლაპლაპა და ვარსალა ანუ ქვაყრილი. ისინი ძირითადად ლისის ტბის ირგვლივ არიან განლაგებული. დელისის დასავლეთით აღნიშნულია ფარეხი – საქონლის სადგომი, აგრეთვე რამდენიმე ადგილას აღნიშნულია მიწისქვეშა არხი (ქიარიზი), კერძოდ, საბურთალოს ქუჩასა და იყალთოს გორას შორის დატანილია 2 ძველი ქიარიზი და ქიარიზი 2 წყაროს შორის. ქიარიზი რუკის პირობით ნიშნების ნუსხაშიც არის (ეს ტერმინი სპარსულია). ზოოლოგიური პარკის ტერიტორიაზე აგურხანაა აღნიშნული. დღევანდელი საბურთალოს აგრარული ბაზრის დასავლეთით, შარტავას ქუჩის ბოლოს, სადაც ამჟამად საცხოვრებელი კორპუსებია განლაგებული, 1923 წლის რუკაზე დატანილია ეკლესია. იგი 1937 წელს დაუნგრევიათ და ეკლესიისა და სასაფლაოს ტერიტორიაზე სახლები და 62-ე საჯარო სკოლა აუგიათ. ამ ტერიტორიის ნაწილზე ახლა ელექტროგამანაწილებელი ჯიხურიც დგას შარტავასა და ბულაჩაურის ქუჩების ნაწილზე. ეკლესია წმიდა გიორგის სახელობის გუმბათიანი ტაძარი ყოფილა (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2011, № 8 გვ. 4-5). აღსანიშნავია, რომ 1907 და 1913 წლების თბილისის გეგმაზე ეკლესიიდან გამოძვალ ქუჩას ეკლესიის ქუჩა“ („Церковная“) აწერია, ხოლო 1924 წლის თბილისის გეგმაზე, უკვე აღვანის, შემდგომი ანაგის ქუჩა, ახლანდელი შარტავას ქუჩა. რუკაზე დატანილი ქუჩების ნაწილი ახლაც იმავე სახელს ატარებს: ბერბუკის, საგარეჯოს, ბახტრიონის და სხვ.

როგორც აღინიშნა, საბურთალო ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიაში“ მოხსენიებულია „საბურთალოს ველის“ სახელწოდებით, ხოლო სოფლების სიაში შეტანილი არ არის. არც ვახტანგ მეექვსის „დასტურლაპლაშია“ (1886) სოფლად ფიქსირებული. მასში კკითხულობთ:

„დიღმის გამოსაღები – საბურთალოს ზვრებს პური კოდი 36. სხვა ჯერ არ დადებულა“. XVIII საუკუნის ისტორიულ წყაროებში საბურთალოს თან ახლავს „ველი“, „მინდორი“. ამდენად იმ პერიოდში საბურთალო როგორც დასახლებული პუნქტი არ არის მოხსენიებული.

ამრიგად, 1923 წლის საბურთალოს სამალარიო რუკამ თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულა ინფექციური დაავადების აღმოსაფხვრელად, ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოადგენს XX საუკუნის 20-ანი წლების თბილისის რელიეფისა და დასახლების სახეცვლის მოწმეს. ამასთან, რუკა თვალნათლივ გვიჩვენებს მალარიოგენულ ლანდშაფტს.

## ლიტერატურა

ბაგრატიონი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. თბილისი, 1997.

ბაგრატიონი ვახუშტი. საქართველოს ატლასი. თბილისი, 1997.

ბერძნიშვილი მამისა. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში. თბილისი, 1965.

ვახტანგ მეექვსე. დასტურლამალი. ტფილისი, 1886.

ზარდალიშვილი გრიგოლი. თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია. თბილისი, 1978.

თბილისის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1990.

კვიციანი თეიმურაზი. ძველთბილისური დასახლებანი. თბილისი, 1985.

მარუაშვილი გ. სიმონ კანდელაკი. თბილისი, 1978.

სონლულაშვილი ჯუანშერი. მებოსტნეობა თბილისის სანახებში. თბილისი, 1959.

სონლულაშვილი ჯუანშერი. ძველი საირიგაციო ნაგებობები დიღმის ზეობაში. – მაცნე, 1966, №1.

ჩხეიძე ვ. ვუშველოთ საბურთალოს. გაზეთი „კომუნისტი“, 18.VIII.1923.

ჩხეიძე ვ. საბურთალო 1921 წლის მოლოდინში. გაზეთი „კომუნისტი“, 22.VIII.1923.

Канделаки С.П. Опыт оздоровления злостно-малярийной (борьбы с малярией в Сабуртало). Тбилиси, 1927.

Чхеидзе В. Сабуртало, - Наше Строительство, 1925, №1.

План города Тифлиса, 1800, 1828, 1867, 1896, 1902, 1907, 1913, 1924 гг.

ამონარიდი ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებულს  
ახალი სერია, № 3 (82), თბ., 2011, გვ.360-365

## ბულბრილობისა და ამპარტაჰნობის შედეგი

შეცდომებით და ლაფსუსებით გამოცემული ატლასი ქართველი ერის საუნჯის – ტოპონიმის მიმართ გამოჩენილი გულგრილობა.

რუკაზე ისეთი ობიექტებიცაა აღნიშნული,  
ბუნების ძეგლებად რომ ვერ ჩაითვლება

ახლახან მკითხველმა მიიღო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მოზადებული „საქართველოს ეროვნული ატლასი“. უნდა ითქვას, რომ ატლასი ქვეყნის სარკეა, დიდ შრომასა და გარჯას მოითხოვს და სპეციალისტთა მრავალწლიანი მუშაობის შედეგია.

ამ მხრივ, საქართველოს დიდი გამოცდილება აქვს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დიდმა ვახუშტი ბაგრატიონმა შექმნა საქართველოს რამდენიმე ატლასი, რომლებმაც იმ დროს ევროპაში დიდი აღიარება მოიპოვეს. XX საუკუნის 30-ან წლებში აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით, გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა საქართველოს ატლასის შედგენაზე, რომელიც მხოლოდ 1964 წელს ბრწყინვალე გამოცემით დასრულდა და სამართლიანად დაიმსახურა სახელმწიფო პრემიაც. ატლასის ახალ გამოცემაზე მუშაობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო მასზე მუშაობა შეფერხდა და ნელი ტემპით მიმდინარეობდა. სარეცენზიო ატლასზე მუშაობა კი 2006 წელს განახლდა. თუმცა, ამ დროს პროფესიონალური კადრების ნაწილი გეოგრაფიის ინსტიტუტიდან გაშვებული იყო და ისინი „თამაშვარე“ აღმოჩნდნენ.

ახლა, როცა ატლასზე მუშაობა დასრულდა, მივიღეთ საბოლოო პროდუქტი – „საქართველოს ეროვნული ატლასი“, მაგრამ საკითხა-



ვია, რა მივიღეთ! აქვე შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მივიღეთ წინა გამოცემის (1964) „გადამღერება“, და თანაც ღიძღალი შეცდომებითა და ლაფსუსით გამოცემული.

„თეატრი გარდერობიდან იწყება“, ამბობს კონსტანტინე სტანის-ლაესკი. ჩვენც ატლასის გარეკანიდან დავიწყებთ: სიტყვა „ეროვნული“ აქ სრულიად ზედმეტია. რა საჭიროა ზაზგასმა, განა ქვეყნის ატლასი შეიძლება იყოს არაეროვნული?! ატლასის ყდის ღიზინი ამ საქმეში გამოუცდელ პირებს აქვთ შესრულებული. ყდის უკანა მხარეზე, ქვემოთ, მარცხნივ გეოგრაფიის ინსტიტუტის ემბლემაა. უნდა ითქვას, რომ 1983 წელს ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით, გამოცხადდა კონკურსი ემბლემის შექმნის შესახებ, რომელშიც გაიმარჯვა და პრემიაც მიიღო თენგიზ ლაშხის ესკიზმა. მას შემდეგ ეს ემბლემა ყველგან იბეჭდებოდა და იგი არავის უარყვია; 2006 წლიდან კი გეოგრაფიის ინსტიტუტის ემბლემაღ თვითნებურად გაჩნდა ინტერნეტიდან გადმოღებული გლობუსის სილუეტი (!).

გადავშალოთ ატლასი, რომელშიც ჩამოწერილია უამრავი გვარი – რედაქტორებისა (სხვათა შორის, მთავარ რედაქტორს ღიზინიც შეუსრულებია და დაუკაბადონებია კიდეც?!), სარედაქციო კოლეგიის წევრებისა, სულ 55 ავტორის გვარია და მით უფრო გასაკვირია, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრთა სიაში არც ერთი კარტოგრაფის გვარი არ არის. საკითხავია, არსებობს კარტოგრაფიული პროდუქცია, რომელსაც კარტოგრაფი არ უწევდეს რედაქტირებას?!

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ახლანდელი კარტოგრაფიული ნაწარმოები 1964 წელს გამოცემული ატლასის „გადამღერება“, რომლის შემდგენლები და რედაქტორები არავის გახსენებია. განა შეიძლება საქართველოს ატლასი გამოვიდეს და წინა ატლასის სულისჩამდგმელები – ალექსანდრე ჯავახიშვილი და ალექსანდრე ასლანიკაშვილი არ ვახსენოთ? უბრალოდ უხერხულია, თორემ იმ დიდ მეცნიერებს ამით არაფერი დააკლდებათ.

ახლა ისიც ვიკითხოთ — მსოფლიოს, კავკასიის, საქართველოს, შავი ზღვის ფიზიკური რუკების ავტორები რომ ჰყავს მითითებული, ვინ შეადგინა?! რომელიდაც ატლასიდან გადმოღება და სკანირება, ან ინტერნეტიდან ამოღება და გაქართულება ხომ ავტორობას არ ნიშნავს? ფიზიკურ რუკაზე რა შეიცვალა — რელიეფი, მდინარეთა მოხაზულობა, სანაპირო ხაზი?! ცხადია, შესრულებულია მექანიკური სამუშაო და მათზე ავტორებია მითითებული! ამასთან, 1964 წლის ატლასიდან ზოგიერთი რუკა თითქმის პირდაპირ არის გადმოტანილი, ხოლო ავტორებად სხვებია მითითებული.

რუკებზე ზოგიერთ ადგილას გადმოწეულია საზღვარი საქართველოს საზიანოდ. მაგალითად, კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. აქამდე ვიცოდით, რომ საქართველოს ჩრდილო საზღვარი აღმოსავლეთით მთა ტინოვროსომდე ვრცელდებოდა, საიდანაც სამხრეთით ეშვებოდა აღმოსავლეთის საზღვარი. თვით საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში და ქართულ ენციკლოპედიაში აღნიშნულია — „ტინოვროსო — მთა ლავოდეხის მუნიციპალიტეტში, კახეთის კავკასიონზე“. სარეცენზიო ატლასის რუკებზე იგი დაღესტნის ტერიტორიაზეა მონიშნული, ჩვენი საზღვრიდან დაახლოებით 10 კმ-ის დაშორებით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტოპონიმიკისადმი უდიერი დამოკიდებულება. ცხადია, აქ კორექტურას არ შევეხებით, თუმცა ატლასში კორექტურაც გამორიცხული უნდა იყოს. უფრო სერიოზული შეცდომებია, რომელთა ნაწილი კურიოზამდეც კი მიდის, ყველას ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, დავასახელებთ მხოლოდ მცირე ნაწილს, რომლებიც ერთი გადახედვით თვალში გვხვდება. ასე, მაგალითად, მთა ცეკურის ნაცვლად — წიქური წერია, მდ. შარეულის ნაცვლად — შარაულა, ზრესკის (ზესკის) ტბის ნაცვლად — ფასკიის ტბა, რკვიას ნაცვლად — რქვია, კინდლის ნაცვლად — კინლი, ყულანურხვას ნაცვლად — ყულანირხვა, ქეთერისის ნაცვლად — კეტრისი, წრუს ნაცვლად — ცრუ, ჩაბარუხის ნაცვლად — ჩობარეხი, ნაზარლოს

ნაცვლად – საზარლო, ტბეთის ნაცვლად – ხადიკი, ოზნის ნაცვლად – ოზანი, საპიტიახშოს ნაცვლად – სპიტიახშე, ნახიდურის ნაცვლად – არუხლო, ზოხის ქედის ნაცვლად ზორხის ქედი და სხვა მრავალი. ასე დაუსრულებლად შეიძლება ამ სიის გაზრდა, მაგრამ მგონი საკმარისია.

ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდება ატლასის სხვადასხვა რუკაზე განსხვავებულად არ უნდა აღინიშნოს. სარეცენზიო რუკებზე ეს წესიც დარღვეულია, მაგალითად, მდინარე და ჩანჩქერი კლიჩი ზოგ რუკაზე ყლიჩად არის მოხსენიებული, ზოგ რუკაზე ფოცხოვოს ფოცხოვისწყალი აწერია, უღელტეხილი – ზაგარი, ზოგ რუკაზე – ატკვერი, ზოგან მადათაფას ტბა, ზოგან მადას ტბა, ზოგან გოსტიბეს ნაცვლად – გოსტები, ზოგან – თომაშეთი, ზოგან ტომაშეთი, ზოგან თეთრი მღვიმე, ზოგან – თეთრა მღვიმე, ზოგან – ხანჩალი, ზოგან – დიდი ხანჩალი და სხვ.

ზოგიერთი ობიექტის სახელი რუკებზე არასწორადაა აღნიშნული. მაგალითად, მდ. ბზიფის სათავეებში არის ჩადიმის ქედი, წინამდებარე ატლასის რუკებზე მას ჩადიმის მთა აწერია, წოფის გამოქვაბულები მარნეულის მუნიციპალიტეტში აღნიშნულია გამოქვაბულის პირობითი ნიშნით, მაგრამ იგივე ნიშნით და წარწერით იგი წუნდასთანაც არის მონიშნული. ეს უკანასკნელი ვარძიის ცნობილ გამოქვაბულთა კომპლექსია, მაგრამ შეცდომით მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეზეა აღნიშნული. მდ. მაშაერის ხეობაში არსებულ სამკურნალო წყაროს ერთგან „შარღის წყარო“ აწერია, სინამდვილეში მას „ვახუშტის წყაროს“ უწოდებენ. ამასთან, ზოგ რუკაზე ეს წყარო დმანისის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დასავლეთით 10 კმ-ის დაშორებითაა აღნიშნული, ხოლო ზოგზე – აღმოსავლეთით დაახლოებით 20 კმ-ზე. ეს უკანასკნელი უფრო სწორია. ქ. ახალქალაქთან აღმოსავლეთით მდებარე მთას ამირანის გორა ჰქვია, ატლასის რუკებზე აღნიშნულია „თავმანთაფა“. ასევე, გლდანის დიდ ტბას ახლა თეთრი ტბა ჰქვია. დმანისის პლატო ჯავახეთის ქედის ფერდობებზე არ მდებარეობს. ვანისქვაბები

მტკვრის მარჯვენა მხარეზე ვარძიასა და თმოგვს შორის მდებარეობს, ატლასის რუკაზე კი ახალქალაქის პლატოზე, ქ. ახალქალაქთან არის აღნიშნული. სამსარის მთა დიდი აბულის მერიდიანულად არის განლაგებული, ატლასის რუკაზე კი გაცილებით დასავლეთითაა აღნიშნული და სხვ.

ტოპონიმთა ნაწილი თითქოს კორექტურაა, მაგრამ რუკის შემდგენლებს სწორად ასე მიაჩნიათ. მაგალთად, ღავითგარევი და ღავითგარეჯა, კვაისი (სხვა რუკაზე ქვაისი) და კვაისა, ეშერი და ეშერა, კვეტარი და კვეტერა, ოტა და ოთა, ბაღიატა და ბაგიათა, ფანშეთი და ფანშეტი, ჩხერე და ჩხერი, სონტა და სონთა, ელისი და ელისა, კმოსტი და ქმოსტი, ბიდარი და ბიდარა, ბრიტატა და ბრითათა, ხახმათი და ხახმატი, კილა-კუპრა და ქილაკუპრა და სხვა მრავალი.

ცალკე უნდა შევეხოთ მდ. ქციას. იგი სულ 117 კმ-ის სიგრძისაა და მთლიანად ჩვენსავე ტერიტორიაზე გაედინება. ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში ამ მდინარეს ქცია ჰქვია, XIX ს-ში რუსმა ტოპოგრაფებმა მას დაუმკვიდრეს არასწორი სახელი ხრამი. საბჭოთა წლებში მდინარის ზემო ნაწილს ქცია ეწოდებოდა, ქვემოთ კი – ხრამი. ამის შესახებ არაერთი შრომა დაიბეჭდა, მაგრამ ზოგი ავტორი მაინც დაჟინებით არასწორად ხმარობს. ასეა წინამდებარე ატლასშიც.

შეიძლება ითქვას, რომ ატლასის რუკებზე ტოპონიმიაში იმდენი შეუსაბამობა და შეცდომაა, რომ მათი ჩაბოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, რის საშუალებას წერილის მოცულობა არ გვაძლევს. ამიტომ, ამჯერად ამით დაეკმაყოფილდეთ, რამდენადაც კარგად ჩანს ის გულგრილობა, რაც ატლასში ქართული ერის საუნჯის – ტოპონიმის მიმართ არის გამოჩენილი.

მკითხველის ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ რუკაზე, რომელსაც „ბუნების ძეგლები“ ჰქვია ეს არის უეციობის ნიშნში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ის ფაქტი, რომ რუკაზე აღნიშნულ ბუნების არცერთ ძეგლს წარწერა არ აქვს. თანაც ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლი რუკის მიღმა დარჩა. მაგალითად, სემის და ახაცხის ბუ-

ნებრივი ხილები, ხორხების, ჩანჩხალოს, საბაწმინდის, ხიზას ბუნებრივი სამყინვაროები და სხვ. სამაგიეროდ, უამრავი ობიექტი მოხვდა რუკაზე, რომლებთაც საერთო არაფერი აქვთ ბუნების ძეგლებთან. ამგვარი ძეგლების შერჩევის კრიტერიუმები რომ ენახათ რუკის შემდგენლებს, ცხადია, რუკაზე არ აღნიშნავდნენ მწვერვალებს, მყინვარებს, ქვიან მყინვარებს, პანორამულ ხედებს, კლდეზვაკებს. ბუნების ის ობიექტები, რომლებიც დაცვას მოითხოვენ, ყოველთვის როდი შეიძლება იწოდოს ძეგლებად. დაცვას ხშირად საჭიროებს არა რელიეფის ცალკეული ფორმები, გეოლოგიური გაშიშვლებები და წყალსატევები, არამედ მეტ-ნაკლებად ვრცელი ტერიტორიები მათ ფარგლებში არსებული ყველა არაორგანული და ზოგჯერ ორგანული ობიექტით. ხშირად ამგვარი სივრცეები გამოცხადებულია ნაკრძალებად, აღკვეთილებად, ეროვნულ პარკებად მათი ფაუნისა და ფლორის დაცვის აბრით. ამ დროს კი ატლასის ბუნების ძეგლების რუკაზე 16 მწვერვალია აღნიშნული, 28 პანორამული ხედი. ეს უკანასკნელი სრულებით ვერ თავსდება ბუნების ძეგლებისადმი წაყენებულ კრიტერიუმებში. ასევეა მყინვარები და ქვის მყინვარები. ისინი შეიძლება დადნეს, ან დაიყოს ნაწილებად. მყინვარები დასაცავია, მაგრამ ბუნების ძეგლად არ შეიძლება გამოვაცხადოთ. რაც შეეხება კლდეზვაკებს, ეს სრული გაუგებრობაა. ბუნების ძეგლები ესთეტიკური ტკობის ობიექტია და როგორ შეიძლება კლდეზვაკი ამ დანიშნულებას ასრულებდეს. სამაგიეროდ, რუკაზე მთელ საქართველოში მხოლოდ 3 კანიონია აღნიშნული, 3 ტრავერტინი, 3 ვოკლუზი, 6 კარსტული უფსკრული, იმ დროს, როცა მსოფლიოში ღრმა უფსკრულებიდან საქართველოში 7 კარსტული უფსკრული 1000 მეტრზე ღრმაა, ხოლო მსოფლიოს უღრმესი უფსკრულების პირველი ათეულიდან ოთხი საქართველოში. როგორც აღინიშნა, ბუნებრივი საყინულები კი ბუნების ძეგლების რუკაზე საერთოდ ვერ მოხვდა.

საერთოდ, რუკის მასშტაბის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბუნების პირობითი აღნიშვნები რუკაზე გაიშვიათებულია, მით უმეტეს, რუ-  
222

კაზე ისეთი ობიექტებიცაა აღნიშნული, ბუნების ძეგლებად რომ ვერ ჩაითვლება. ამასთან, პირობით აღნიშვნებში მღვიმეებია აღნიშნული, ხოლო რუკაზე ამავე ნიშნით გამოქვაბულებიცაა. ამასთან, ქ. მარნეულის დასავლეთით მღვიმის პირობითი ნიშანია აღნიშნული, რაც ალბათ, სამშვილდის (ქცია-ჭვიჭვავის) გამოქვაბულები უნდა იგულისხმებეს. ასევე თიანეთთან – ქობთათავის გამოქვაბულები. სპელეოლოგიურ რუკაზე კი გამოქვაბულებიც კარსტული მღვიმის პირობითი ნიშნითაა აღნიშნული. ჯრუჭულას მღვიმე საჩხერის სამხრეთით არის მონიშნული, მაშინ, როცა იგი ჭიათურასა და საჩხერეს შორისაა. ახალი ათონის მღვიმე ზღვის სანაპიროსთან ახლოსაა, თვით ახალ ათონში. რუკაზე კი სანაპიროდან ძალზე დაშორებულია. მახუნცეთის ჩანჩქერი მდ. აჭარისწყლის მარჯვენა მხარეზე 300-ოდე მეტრის დაშორებითაა, ხოლო რუკაზე მდინარის მარცხენა მხარეზე და თანაც, თურქეთის საზღვართან.

რუკაზე ბუნების ძეგლებით ძალზე დარიბულად არის წარმოდგენილი აჭარის ტერიტორია. აქ მხოლოდ 5 ძეგლია აღნიშნული, მათ შორის 2 პანორამული ხედი. ამ დროს აჭარაში ბუნების 120-ზე მეტი ძეგლია აღრიცხული. აქედან 10-15 ხომ მაინც უნდა მოხვედრილიყო რუკაზე?

დაბოლოს, ჩვენ ძირითადად ატლასის რუკებზე დაშვებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებსა და „ბუნების ძეგლების“ რუკაზე ვისაუბრეთ, სათქმელი ამ და სხვა რუკებზე ბევრი დარჩა და ამის შესახებ, იმედია, შესაბამისი დარგის სპეციალისტები იტყვიან.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 5 დეკემბერი, 2012 წ. გვ. 5.

## ტოპონიმია ვახუშტი ბაბრატიონის შრომებში

ვახუშტი ბაბრატიონის რუკებზე ფიქსირებული ტოპონიმები — ფასდაუდებელია. ეს ძირითადად ეხება ტოპონიმების შეცვლას, მოსპობას, ხოლო ძველი ტოპონიმების ლოკალიზაციისათვის ხშირად ვახუშტის რუკებს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.

ვახუშტი ბაბრატიონის კარტოგრაფიული ნაწარმოებების მთავარი ღირსება, მისი პროგრესული თვისება მდგომარეობს იმაში, რომ იგი საკმაოდ სრულად და დეტალურად ასახავს საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რაც მანამდე არ იყო ასე აღნუსხული და, მით უმეტეს, შესწავლილი. ამ ღირსებას ისიც ზრდის, რომ მთელი გეოგრაფიული ნომენკლატურა დატანილია კარტოგრაფიულ გამოსახულებებზე. და, უფრო მეტიც, 1735 წლის ატლასის ტოპონიმთა ავტორისეული საძიებლება შემორჩენილი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ წლების განმავლობაში ქვეყნის ეროვნული გეოგრაფიული ნომენკლატურა განიცდიდა დემოგრაფიულ-ეროვნული სახის ბუნებრივი და იძულებითი შეცვლის პროცესებს; ვახუშტი ბაბრატიონის მიერ შედგენილმა რუკებმა კი ასეულობით გეოგრაფიული სახელწოდება შემოგვინახა, რომელთა ანალიზი საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ბევრი საკითხის დადგენის საშუალებას იძლევა. ამ მხრივ, ვერავითარი აღწერა, საბუთი თუ სხვა წერილობითი ძეგლი ვერ შეცვლის კარტოგრაფიულ გამოსახულებებს. საკმაოდ ზუსტ ტოპოგრაფიულ საფუძველზე შესრულებული ეს რუკები ფასდაუდებელია ძველი ტოპონიმების ადგილმდებარეობის დასადგენად. მით უმეტეს, რომ ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ფონდი შეცვლილი ან გარდაქმნილია.

საქართველოს ძველი ტოპონიმები სრულყოფილად მოცემულია ვახუშტი ბაბრატიონის კარტოგრაფიულ ნამუშევრებზე. მეცნიერმა საკმაოდ სრულად და დეტალურად ასახა და შემოგვინახა საქართველოს ათასობით გეოგრაფიული სახელწოდება, მოგვცა მათი კლასიფიკაცია

და ლოკალიზაცია. მართალია, მის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოცემულია საქართველოს ძველი ტოპონიმების მნიშვნელოვანი ფონდი, მაგრამ გაცილებით მეტი რაოდენობით არის ისინი აღნუსხული კარტოგრაფიულ ნაშრომებში.

ტოპონიმები ადრეულ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ ისეთი რაოდენობით განხილული, როგორც ვახუშტის შრომებშია, არსად არაა მოცემული. ამიტომ, რომ საქართველოს ძველი ტოპონიმების შესწავლის ძირითად წყაროდ ვახუშტის შრომები ითვლება. მასში მოცემულია ის სახელწოდებები, რომლებიც ვახუშტის დროს ხმარებაში იყო და ისინიც, რომლებიც ხმარებიდან იყო ამოვარდნილი. ჩანს ისინი ავტორმა ლიტერატურული და ისტორიული წყაროებით მოიძია.

ვახუშტი ბაგრატიონი სამართლიანად ითვლება ქართული მეცნიერული ტოპონიმების შესწავლის ფუძემდებლად. მეცნიერის კარტოგრაფიულ ნაშრომებში მოცემული ტოპონიმიკური მასალა ენათმეცნიერების, ისტორიკოსებისა და გეოგრაფებისათვის წარმოადგენს კვლევის ფართო ასპარეზს და შუქს ჰფენს ენობრივი წარმოშობისა და ცვალებადობის, ეთნოგენეზისა და ეთნოლოგიის, გავრცელების ქრონოლოგიური ზღვრების, მოსახლეობის მიგრაციული პროცესების, ბუნებრივი პირობების შეცვლის საკითხებს და სხვ. მაგრამ მკვლევარი ტოპონიმისტიკისათვის იგი ფასდაუდებელი წყარო და მრავალმხრივ საყურადღებო მასალაა; ცალკეული თუ კომპლექსური კვლევების შედეგად ისახება საინტერესო სურათი XVIII საუკუნის საქართველოს მდიდარი და მრავალმხრივი გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობისა და გავრცელების თავისებურებებზე. ტოპონიმიკური მასალა მნიშვნელოვანია, აგრეთვე, როგორც საინდო წყარო გაუქმებული თუ შეცვლილი ტოპონიმების ეტიმოლოგიისა და ლოკალიზაციისათვის.

ვახუშტამდელი პერიოდის წერილობით ძეგლებში საქართველოს ტოპონიმები ადრეულ ქართულ ან უცხოურ ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება. მაგრამ არსად არ გვხვდება ისე დეტალურად ჩამოთ-



ვლილი ტოპონიმები, როგორც ეს მეცნიერის შრომებშია და, მით უმეტეს, კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში დატანილი. ამიტომ საქართველოს ტოპონიმის შესწავლის ძირითად წყაროს ვახუშტი ბაგრატიონის შრომები წარმოადგენს.



ვახუშტი ბაგრატიონის რუკა (შიდა და ქვემო ქართლი)

XVIII საუკუნიდან მოყოლებული ვახუშტის შრომების ცალკეულ საკითხებზე არაერთი გამოკვლევა დაიბეჭდა; მიუხედავად ამისა, ტოპონიმიზე ცალკე კვლევა არ ჩატარებულა. მხოლოდ გაკვრით არის საუბარი ალექსანდრე ჯავახიშვილის (1947, გვ. 14), ლევან მარუაშვილის (1956, გვ. 94-95), ალექსანდრე ღლონტის (1988, გვ. 235-238), კობა ხარაძის (2010, გვ. 287-300) და ზოგიერთ სხვა გამოკვლევებში.

ვახუშტი ბაგრატიონმა არა მარტო აღრიცხა და შემოგვინახა საქართველოს ათასობით გეოგრაფიული სახელწოდება, არამედ მოგვცა ტოპონიმთა კლასიფიკაცია, ეტიმოლოგია და ლოკალიზაცია. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1905, გვ. 46) აღნიშნავდა: „ქალაქებისა და სოფლების წარმოშობის გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გეოგრაფიული ნომენკლატურის შესწავლას. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია ჯერ კიდევ არ არსებობს, ამიტომ კვლევით ვახუშტის ცნობილი შრომით“.

საქართველოს არაერთ გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა; ეს ცვლილებები უფრო მეტად გამოწვეული იყო მეზობელი აგრესიული ქვეყნების საქართველოში პერიოდული შემოჭრით და უცხო ხალხების ჩამოსახლებით. სწორედ ამ პროცესებმა გამოიწვია ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების მნიშვნელოვანი სახეცვლილებანი და ახალი გეოგრაფიული სახელწოდებების დამკვიდრება.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში მოცემული ტოპონიმიკური მასალა ემთმეცნიერებისათვის, ისტორიკოსებისა და გეოგრაფებისათვის წარმოადგენს კვლევის ობიექტს. ეს მდიდარი მასალა ბევრ საკითხს ჰფენს შუქს. მათ შორის – ენობრივი წარმოშობისა და ცვალებადობის, ეთნოგენეზისა და ეთნოგრაფიის, გავრცელების ქრონოლოგიური ზღვრების, მოსახლეობის მიგრაციული პროცესების, ბუნებრივი პირობების ცვალებადობის საკითხებს და სხვ. მაგრამ მკვლევარი ტოპონიმისტიკისათვის იგი წარმოადგენს ფასდაუდებელ წყაროსა და მრავალ-

მხრივ საყურადღებო მასალას; ცალკეული და კომპლექსური კვლევების შედეგად ვლტულობთ საინტერესო სურათს XVIII საუკუნის საქართველოს მდიდარი და მრავალმხრივი გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოშობისა და გავრცელების თავისებურებებზე. აღსანიშნავია ასეულობით ტოპონიმიკური მასალა, როგორც სანდო წყარო გაუქმებული და შეცვლილი ტოპონიმების ეტიმოლოგიასა და ლოკალიზაციაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ვახუშტის შრომებში არის ტოპონიმების ყველა სახე (მაკრო, მიკრო და საკუთრივ ტოპონიმები).

საქართველოში თანამედროვე ტოპონიმების დიდი ნაწილი ძველ-თაძველია და ჩვენამდე უცვლელად არის მოღწეული, რაზედაც ხშირად თვით სახელწოდების წარმოშობა მიგვითითებს. ახლანდელი დასახლებული პუნქტების სახელწოდებების 94,5 % – XIX საუკუნის ბოლომდეა შერქმეული, ხოლო 68 % – XVIII საუკუნის ბოლომდე.

ვახუშტი ბაგრატიონის პირველ და მეორე ატლასის რუკებზე დასახლებული პუნქტების 2738 სახელწოდებიდან ერთი მესამედი შენარჩუნებული აღარ არის; 571 შეცვლილია, 346 ნაწილობრივ არის გარდაქმნილი, ხოლო 370 ნასოფლარია. გაცილებით მეტია ტოპონიმთა რაოდენობა 1745 წლის რუსულ ენაზე შექმნილ 9 რუკაზე. მათში ტოპონიმთა რაოდენობა 3052-ია. განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება ქვემო ქართლის ტოპონიმთა ლოკალიზაციას, რამდენადაც ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობის შემდეგ ამ მხარეში ნასოფლარების რიცხვმა კოლოსალურად იმატა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კი მთელ ქვემო ქართლში მხოლოდ 40 ათასი სული ცხოვრობდა. მოსკოვის სამხედრო ისტორიულ არქივში გამოვლენილი 1805 წლის ხელნაწერ რუკაზე თრიალეთში (დაახლოებით ახლანდელი წალკის რაიონი) აბსოლუტურად ყველა ნანგრევებია (ნასოფლარებია) აღნიშნული; იმავე არქივის 1831 წლის რუკაზე უმეტესობა კვლავ ნანგრევებია და მხოლოდ 10 დასახლებული პუნქტია გაჩენილი უკვე უცხოური სახელწოდებით. შემდგომიც უცხო მოსახლეობის ჩამოსახლებასთან ერთად გაჩნდა არაქართული სახელები (თურქული, ბერძნული, სომხუ-

228

რი, გერმანული). მას შემდეგ თითქმის 2 საუკუნე გავიდა და უცხო ტომელების უმეტესობა დაბრუნდა თავიანთ ისტორიულ სამშობლოში, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ მხარეში კვლავ შენარჩუნებულია არაქართული ტოპონიმები. არადა, ვახუშტი ბაგრატიონის რუკების მიხედვით ყველა ადრინდელი ტოპონიმი ცნობილია.

ამჟამინდელი დასახლებული პუნქტების სახელწოდებებს თუ შევადარებთ ვახუშტისდროინდელი პუნქტების სახელწოდებებს, აღმოჩნდება, რომ ქვემო ქართლში 350 სახელწოდებიდან 207 შემორჩენილი აღარ არის (1992 წელს ბოლნისის რაიონში აღდგა მხოლოდ 30-მდე დასახლებული პუნქტის სახელწოდება, რომელთა ზუსტი ლოკალიზაცია ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაწარმოებების მიხედვით მოხერხდა).

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში მოცემული ტოპონიმიკური მასალა წარმოადგენს:

1. გეოგრაფიული სახელწოდებების რეალური სურათის ჩვენებას – დასახლებული პუნქტის, მთის, მდინარის, ტბის და სხვ.;
2. სახელწოდებების ქრონოლოგიურად ცვალებადობას – წინა საუკუნეებში შერქმეული, ვახუშტისდროინდელი და შემდგომში გაუქმებული სახელწოდებები;
3. ამა თუ იმ ენიდან შემოსული უცხო სახელწოდებები („აღმამედლოს“ ტიპისა);
4. შინაარსისა და ეტიმოლოგიის – ზოგიერთი სახელწოდების წარმოშობის ახსნა („ლუკუნის“ ტიპისა);
5. სტრუქტურაშეცვლილი ფონდი („დაბანისი“-„დაბანისი“-„დმანისის ტიპისა);
6. გავრცელების არეალი – რეგიონი;
7. გადაადგილებული ტოპონიმები („ბოგვის“ ტიპისა);
8. ნასოფლართა ფონდი („ჰუჯაბის“ ტიპისა) და სხვ.

ყოველივე ამის გამო, რუკების ტოპონიმიკური მასალა მრავალმხრივ არის საყურადღებო და ღირ მცენიერულ ინტერესს იწვევს. ამ

მრავალმხრივი, კოლოსალური და სანდო მასალით შეიძლება საქართველოს ტოპონიმიაში მრავალი პრობლემის გადაჭრა, რაც მნიშვნელოვანია სახელწოდებათა კომპლექსური შესწავლისათვის.

ვახუშტი ბაგრატიონს რუკებზე 4 ათასზე მეტი გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება აქვს დატანილი. მათი უმეტესი ნაწილი სხვადასხვა მიდგომით აქვს აღწერილი და დახასიათებული. გარდა ამისა, ბევრი გეოგრაფიული ობიექტის ადგილმდებარეობა მოცემულია სახელწოდებების გარეშე, თუმცა, მათი ლოკალიზაცია მეზობელი ობიექტების სახელების მიხედვით შეიძლება მოხდეს. აღსანიშნავია, რომ ვახუშტის რუკებზე საქართველოს ყველა რეგიონი ერთნაირი სისრულით არ არის მოცემული; აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონები ბევრად უფრო სრულად არის წარმოდგენილი რუკებზე, შედარებით მკრთალად სამცხე-საათაბაგო (იმ დროს ეს მხარე თურქეთის მიერ იყო დაპყრობილი). დასავლეთ საქართველოდან საკმაოდ დეტალურად არის იმერეთი და რაჭა აღნუსხული. დანარჩენი მხარეები ძალზე ზოგადად, სქემატურად არის მოცემული. ამის მიზეზი იმ დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა იყო. როგორც ჩანს, მეცნიერმა ვერ შეძლო ყველა ამ მხარეში ერთნაირი სისრულით კვლევითი სამუშაოების ჩატარება, მით უმეტეს, 28 წლის ასაკიდან იგი ემიგრაციაში წავიდა, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

სავარაუდოა, რომ ნაკლებად შესწავლილი რეგიონების ფიქსაცია ვახუშტი ბაგრატიონს გაკეთებული აქვს ლიტერატურული და ისტორიული წყაროების მიხედვით. ცხადია, ეს მხარეებიც დეტალურად რომ იყოს იმ დროს აღწერილი, მაშინ გეოგრაფიულ სახელწოდებათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა. მიუხედავად ამისა, ვახუშტი ბაგრატიონმა დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა, რითაც მან გაუსწრო არა მარტო წინამორბედებს, არამედ თანამედროვეებსაც. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სწორედ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ასეულობით გეოგრაფიული სახელწოდება გაქრა, მათი ლოკალიზაციის საქმეში ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომები ფასდაუდებელია.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში განსაკუთრებული სისრულით მოცემულია ოიკონიშები — დასახლებული პუნქტების სახელწოდებები. ქართლის, კახეთის, იმერეთის, რაჭის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის სახელია აღრიცხული. თუ შევადარებთ თანამედროვე მდგომარეობას, ნასოფლარებისა და შეცვლის გარდა, ყველა პუნქტის სახელია მოცემული. დანარჩენ მხარეებში 700 პუნქტია, იმ დროს, როცა ამ ტერიტორიებზე 2 ათასზე მეტი დასახლებული პუნქტია. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს 1735 წლის „საქართველოს ატლასის“ რუკათა გეოგრაფიული საძიებელი (დედანი ინახება სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების არქივი, თანრიგი 52, ნუსხა 1). ყველა რუკაზე მოცემული გეოგრაფიულ სახელწოდებათა კრებისთი რაოდენობა 5393-ია (მათ შორის ცალკეული რუკების საძიებლების პრინციპით გაკეთებული ნუსხა იმეორებს გეოგრაფიულ სახელწოდებებს). ეს არის უნიკალური წყარო და საკვლევი მასალა ტოპონიმიის ყველა სპეციალისტისათვის, მით უმეტეს, ეს მასალა უკლებლივ დატანილია კარტოგრაფიულ ნაწარმოებებზე. მართალია, დღეისათვის 3,5 რუკა დაკარგულად ითვლება, მაგრამ ამ ხარვეზს ავსებს რუსულ ენაზე შედგენილი 1745 წლის რუკები. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა აღნუსხვისა და გადმოცემის რაოდენობით, ვახუშტი ბაგრატიონს XX საუკუნემდე სადარი არ მოეპოვება.

ვახუშტი ბაგრატიონის დასახლებული პუნქტების კლასიფიკაცია მეტად ორიგინალური და მრავალფეროვანია. რუკებზე პირობით აღნიშვნებში დასახლებული პუნქტების 25 სახე გამოიყოფა. მართალია, თითოეულ რუკაზე დასახლებული პუნქტების ტიპების რამდენიმე პირობითი ნიშანია, მაგრამ იმავე სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების არქივში, დაცული ვახუშტისეული ავტოგრაფის ერთ ფურცელზე თავმოყრილია ყველა სახის პირობითი აღნიშვნა, მათ შორის, მდინარეთა და მთათა ტიპიზაცია.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში დასახელებულია უფრო ძველი (ხშირად ხმარებიდან გასული) ობიექტების სახელწოდებები და მათი თანამდროვე შესატყვისები ამ სახელწოდებებს კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ათეულობით ძველი სახელწოდებების ადგილმდებარეობის დადგენაში (მაჭი-თოღა, ხორნაბუჯი-ჭოეთი, აგარაკი-ახტალა, აბოცი-ყაიყული, წყალთაშუა-ბიდარი, ხერკი-საგურამო, ორბეთი-სამშვილდე, სკირეთი-ვერე, ომანისხევი-ლოჭინი, წუქეთი-ალისსულთანი, ფიფინეთი-ჭარი, ბეჭისციხე-ქუმურლუ, თაბორი-სეიდაბადი და სხვ). აქედან ზოგიც ისეთი სახელწოდებაა დასახელებული, რომლებიც ადრინდელ სხვა წყაროში არ გვხვდება. გარდა ამისა, დასახელებული აქვს პარალელური სახელწოდებებიც, ე.ი. ორმაგი სახელი (ნაქალაქევი-ციხეგოჯი, ჰერეთი-ხორანთა, ბერდუჯი-საგიში-ღებედა, გაჩინანი-ქაოზიანი-სანადირო ქალაქი, გმირთნაკვეთი-სამება, რუსთავი-ნაგები, ჩელეთი-ჟაღეთი, ნახჭევანი-ლალისყური, ლორწობანი-ბახტრიონი, ბაღდადი-თხმელისციხე და სხვ.).

ვახუშტი ბაგრატიონი დასახელებული პუნქტების კიდევ ერთ სახეს აღნიშნავს; ეს არის სახელწოდებები, რომელთა გაიგივების სისწორეში თვით არ არის დარწმუნებული და ეჭვის სახით გამოთქვამს ვარაუდს. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მან ვერ შეძლო დამატებითი კვლევები ეწარმოებინა ასეთ სახელწოდებებზე. მიუხედავად ამისა, ასეთი სახელწოდებებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჭეშმარიტების დადგენისათვის. ზოგი ტოპონიმის ლოკალიზაციას ვახუშტი ეჭვის თვალთ უყურებს და შენიშნავს: „ამას ვგონებ“, რაც ადგილის ბუნდოვნებაზე მეტყველებს და გვამცნობს, რომ არ არის დარწმუნებული ამ სახელწოდებათა სისწორეში. ცხადია, ზოგი მათგანი მართლაც საეჭვოა და არ არის სწორი, მაგრამ ნაწილი შეესაბამება ვარაუდს.

ვახუშტის შრომებში დასახელებულ პუნქტთა ნაწილი თარგმანის გზით არის მოცემული; მართალია, ასეთი რაოდენობა ბევრი არ არის, მაგრამ საყურადღებოა, რომ ქართველ მკითხველს აწვდის უცხოური

სახელების ქართულ მნიშვნელობასაც. ასეთებია – აღჯაყალა-თეთრი-ციხე, ყარაბულახი-შავი წყარო, ყიზყალა-ქალის ციხე და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ეტიმოლოგიას, ანუ სახელწოდებათა წარმოშობას. ასეთი ახსნა 120-მდე სახელწოდებას აქვს მოცემული. მართალია ზოგი მათგანი ხალხური ეტიმოლოგიაა, მაგრამ უმეტესი მათგანი სწორადაა ახსნილი და დღეს გაზიარებულია მეცნიერების მიერ. მეცნიერულად და საინტერესოდ არის ახსნილი რიგი სახელწოდებების წარმოშობა. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს: „ხოლო დბანისს უდის ჩდილოთ მაშავერა, სამჯრით ფინეზაური და ეწოდა სახელი ესე დაბნებთ გამო: „დაბანი ისი“; „არამედ მთასა ლუკუნისასა ეწოდა სახელი ლუკა მახარებლის ეკლესიისათჳს“; „არამედ მთასა ამას შანბიანი ეწოდების შამბ-ბალახ სიმაღლისაგან, რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების“; „ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი“, „ამ სათლეს ზეით არს ტბეთი, სამჯრით ამ მდინარის კიდესა, რომელმაც მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედითა და მრავალთა ტბათაგან“, „ჩხერს ზეით არს გზა ქართლს მიმავალი, მოსაკიდელი სიეიწროვისათჳს წოდებული, ვახანამდის“; „ეარიანს ზეით ერთვის ლიახვს აღმოსავლეთიდამ კატარა ლიახვი. ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შერთული“ და სხვ.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტოპონიმთა ლოკალიზაციისათვის. ყველა აღრიხნული ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროში გეოგრაფიული სახელწოდებები უბრალოდ ჩამოთვლილი და აღნუსხულია. ზოგიერთი სახელწოდების გაგნება რეგიონის მიხედვითაც ვერ ხერხდება. ამ მხრივ, ვახუშტის რუკები უნივერსალურია და მიგვანიშნებს არა მარტო რეგიონს, არამედ ხეობას, მდებარეობას ამა თუ იმ პუნქტთან, თუ სხვა გეოგრაფიულ ობიექტთან მიმართებაში. სწორედ კარტოგრაფიული ნა-



წარმოებები ადვილეს თითოეული ობიექტის ადგილმდებარეობის გარკვევას. მართალია, ვახუშტის რუკების ტოპოგრაფიული საფუძვლები თანამედროვეს არ ემთხვევა, მაგრამ კვლევის შედეგად შეძლება მისი თანამედროვე ტოპოგრაფიულ საფუძველზე გადატანა, მანძილების გაზომვა და ობიექტის სახელის ლოკალიზაცია. ცხადია, საჭიროა სიფრთხილეს, რადგან ზოგიერთი უზუსტობა თვით ვახუშტის რუკებზეც არის დაშვებული.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში, არცერთი მსხვილი დასახლებული პუნქტი არ არის გამოტოვებული, ცხადია, არც საეპისკოპოსოს ცენტრი და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეა გამორჩენილი. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა რეგიონი ერთნაირი სისრულით არ არის განხილული. ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომების მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ სწორედ მის მიერ დაწერილებით აღნიშნულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, ჯავახეთი) მოხდა გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძლიერ გარდაქმნა და შეცვლა. მით უმეტეს, ამ 300 წლის განმავლობაში მთლიანად საქართველოში ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება რამდენადმე შეიცვალა, ან სრულიად გაუქმდა. ამ მხრივ, ვახუშტის კარტოგრაფიული ნაშრომები საშუალებას იძლევა ბევრ თანამედროვე ტოპონიმს აღინდელი შესატყვისი მოვუძებნოთ. ასეთი ტოპონიმები ყველა რეგიონშია, მაგრამ ისინი განსაკუთრებით უხვადაა სამხრეთ საქართველოში. ყოველივე ეს იმ განუწყვეტელი და მძიმე ბრძოლების შედეგია, რასაც ეს მხარე განიცდიდა; დროთა განმავლობაში ნადგურდებოდა არა მარტო მოსახლეობა და მეურნეობა, არამედ გეოგრაფიული სახელწოდებებიც. ბევრი მათგანი მივიწყებას მიეცა, ზოგი კი სულაც უცხო სახელწოდებით შეიცვალა.

XVIII საუკუნის შუა წლებში თითქმის მთელი ქვემო ქართლი მოკლებული იყო აბორიგენ მოსახლეობას და რეგიონი ნასოფლარ-ნასახლარებად იქცა. ცხადია, დაიკარგა გეოგრაფიული სახელებიც. მოგვიანებით ამ მხარეში სხვა რეგიონებიდან დაბრუნდნენ ან გადმოსახ-

ლდნენ ქართველები, სხვა ქვეყნიდან – უცხოელები (სომხები, ბერძნები, გერმანელები, აზერბაიჯანელები და სხვ.). სწორედ ამან გამოიწვია ჭრელი და უცხოური გეოგრაფიული სახელწოდებების წარმოქმნა. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაწარმოებები კი მეცნიერებს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს აღნიშნულ მხარეში ბოლო საუკუნეებში გავრცელებული უცხოური და უმართებულოდ შერქმეული გეოგრაფიული სახელწოდებების ძველი ქართული ტოპონიმების დადგენის საქმეში.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომების შექმნის შემდეგ, მოსახლეობის მიგრაციული პროცესების შედეგად მოხდა ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელთა გადაადგილება ნასოფლარებზე ან დასახლებულ ადგილებზე. ამან გამოიწვია ზოგი ძველი დასახლებული პუნქტის სახელწოდების ადგილმდებარეობის შეცვლა. ამიტომ საჭიროა ტოპონიმების თავდაპირველი ადგილმდებარეობის გარკვევა, რათა მცდარ დასკვნამდე არ მივიდეთ. მაგალითად, დღევანდელი რაიონული ცენტრის წალკის სახელი სულ სხვა პუნქტს ერქვა. XVIII საუკუნეში ეს ადგილი უკაცრიელი გახდა. შემდეგში, მართალია აქ მოსახლეობა აღდგა, მაგრამ არაქართველმა მოსახლეობამ ამ ადგილის ძველი ქართული სახელი (ეძანი) ვერ შეინარჩუნა და სხვა სახელი (ბარმაქსიზი) უწოდა. ასე მოაღწია უცხო სახელმა 1932 წლამდე, რის შემდეგ წალკა უწოდეს. მსგავსი მაგალითების (ბოგვი, ღმანისი, ბოლნისი, ხაშში და სხვ.) მოტანა საკმაოდ შეიძლება (ხარაძე, 1980, გვ.165).

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში ტოპონიმიკური მასალიდან არანაკლები ადგილი უკავია ჰიდრონიმებს (ჰიდროგრაფიული ობიექტების სახელწოდებებს). ეს გასაგებიცაა, რამდენადაც მდინარეების გასწვრივაა განლაგებული უმოავრესი და უმეტესი დასახლებული პუნქტები. ჰიდრონიმების კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ყველაზე არქაული და, ამასთან, შედარებით სტაბილური სწორედ ეს სახელწოდებებია. ჰიდროგრაფიული ობიექტების საკმაო ნაწილია დატანილი ვახუშტის რუკებზე. გარდა

ამისა, ბევრი მათგანი უსახელოდაა, თუმცა, მათი ადგილმდებარეობა ზუსტად არის მინიშნებული, რაც ლოკალიზაციის საშუალებას იძლევა. რუკებზე უფრო მეტი ჰიდროგრაფიული ობიექტებია დატანილი, ვიდრე ტექსტში. ამასთან, ზოგიერთი ჰიდრონიმის სახელწოდების წარმოშობა და პარალელური სახელებიც არის აღნიშნული. რაც მთავარია, ყველა მდინარის ადგილმდებარეობა ზუსტად არის მითითებული. ჰიდრონიმები მეტად საინტერესო სურათს გვაძლევს ეტიმოლოგიური თვალსაზრისითაც. მართალია, ზოგიერთი მდინარის სახელი მსხვილი დასახლებული პუნქტის მიხედვით თვით ვახუშტის მიერ არის „შერქმეული“, მაგრამ მათი გარჩევა შესაძლებელია.

საქართველოს მდინარეთა სახელები მდიდარ სემანტიკურ სიტყვებს შეიცავს, რაც ხაზს უსვამს მდინარეთა თავისებურებებს. ამ მხრივაც ვახუშტის ნაშრომები ფასდაუდებელია, რამდენადაც ბევრი ჰიდროგრაფიული ობიექტის სახელს არსებობა შეუნარჩუნა. XX საუკუნის დასაწყისიდან, ქვემო ქართლის მდინარე ქციას შუა და ქვემო ნაწილს არასწორად დაუმკვიდრდა სახელი „ზრამი“. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებს „ზრამს“, როგორც საკუთარ სახელს. მეცნიერი აღნიშნავს: „ქციის ზრამი“, „ზრამი ქციისა“, „თეზის ზრამი“, „ახალქალაქის ზრამი“, „ჭიჭავის ზრამი“. ტერმინი „ზრამი“ მკვეთითებს მდინარის ხეობაზე, მის დახრამვაზე და არა როგორც რომელიმე მდინარის სახელწოდებაზე. ვახუშტისთან „ზრამი“ შინაარსით თანამედროვე კანიონის იდენტურია. გარკვევით ჩანს, რომ „ზრამი“, ამ შემთხვევაში, საკუთარი სახელი კი არ არის, არამედ გარკვეული ფიზიკურ-გეოგრაფიული შინაარსის ტერმინი. მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლება. ამდენად, ვახუშტის შრომები ბევრი ჰიდრონიმის სწორი მართლწერის საშუალებას გვაძლევს. გარდა ამისა, ვახუშტის მიერ ახსნილია ბევრი ჰიდრონიმის წარმოშობაც (ჭოროხი, არაგვი, ძირულა, ხეორი, ტეხური, ჭანისწყალი, წყალწითელი, ჩოლაბური, ჩხერიძელა, ხორგისწყალი, ტბეთი, ცხენისწყალი, ხანისწყალი, ყვირილა და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ყველა დასახლებუ-

236

ლი ჰიდრონიმი ემორჩილება სახელწოდებათა შერქმევის წესს, რაც მიგვითითებს ენათმეცნიერულ კანონზომიერებებზე.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიულ ნაწარმოებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია, აგრეთვე, ორონიმებს. ამ შემოხვევაშიც რუკებზე ბევრი ოროგრაფიული ერთეული უსახელოდ არის დატანილი. მიუხედავად ამისა, ლოკალიზაცია ზუსტად შეიძლება. მათი დახმარებით კი სხვა ობიექტების ადგილმდებარეობის გარკვევა სირთულეს არ წარმოადგენს. გარდა ამისა, რუკებზე დატანილია ბევრი საფორტიფიკაციო და საეკლესიო ნაგებობები, რომელთა საკმაო ნაწილი გეოგრაფიულ სახელწოდებებთან არის დაკავშირებული.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა აუცილებელია ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდებების ვახუშტისეული ლოკალიზაციის და ეტიმოლოგიის კრიტიკული შეფასება, რადგან მანც გვხვდება რიგი უზუსტობა. ხალხურ ეტიმოლოგიას მიეკუთვნება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ზოგი გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა, რომელიც სპეციალისტების მიერ დღეს გაზიარებული არ არის. ამის მაგალითია: „წოდების ამ ადგილს ტაშირი სივაკისათვის“; „პირველად იყო რაჭა შორაპნის საერისთაო, ... ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილებისა მიერ – „იხილე, რა ჭაა არს ადგილი ესე!“ „არს ციხე თუხარისი, ... არამედ მოიგო სახელი სიმაგრით სიმტკიცისათვის – „თუ ხარ შენ ციხე და არა სხვა“; „და არტანუჯი – შეენიერებისათვის: „არა ტანი, არამედ უნჯი“... და სხვ. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ათეულობით სახელწოდება სწორად არის ახსნილი და მეცნიერთა მიერ გაზიარებული.

ლოკალიზაციის დროს მცირე ნიუანსიც კი არის გასათვალისწინებელი. ასე მაგალითად, ვახუშტის თხზულების ადრინდელ (ბროსეს, 1842, გვ.16; ჯანაშვილის, 1904, გვ.41; ლომოურ-ბერძენიშვილის, 1941, გვ. 42; რედაქციებით) გამოცემებში ვკითხულობთ: „... მას ზემორ (იგულისხმება აბიბოს ნეკრესელის მონასტერი – კ.ხ.) საპონაუ-

რისა და ცხვრისის ჯევი, გამოსდის თორის მთას, მოურთვის ქციას თეზის ჯრამსა შინა, პირისპირ კოხჯის-ჯევის. ქვემორ სამჯრიდამ ერთვის ქციას ავლადის-ჯევი, გამოსდის ჯეე-ღრმის ჯრამსა...“ მოტანულ ციტატაში წერტილი თავის ადგილას არ ზის, რადგან სიტყვები „პირისპირ კოხჯის-ჯევისა“ არ შეიძლება საპონაურ-ცხვრისის ხევის ეხებოდეს. ორივე მდინარე ქციის მარცხენა შემდინარეებია, ამიტომ მათი შესართავები ერთმანეთის პირისპირ შეუძლებელია იყოს. სიმონ ყაუხჩიშვილის (1973, გვ. 320) გამოცემაში წერტილის ნაცვლად მძიმე ზის, მაგრამ ამით აზრი არ შეცვლილა. წერტილი რომ მართებულ ადგილას გადავიტანოთ (ასეც არის ვახუშტის ავტოგრაფში და ბოლო გამოცემაში, 1997, გვ. 45) სხვა აზრს მივიღებთ და ლოკალიზაციაც სწორი იქნება: „... მას ზემორ, საპონაურისა და ცხვრისის ჯევი, გამოსდის თორის მთას, მოურთვის ქციას თეზის ჯრამსა შინა. პირისპირ კოხჯის-ჯევის ქვემორ, სამჯრიდამ ერთვის ქციას ავლადის-ჯევი, გამოსდის ჯეე-ღრმის ჯრამსა...“. მართლაც, ვახუშტის რუკაზე კოხჯის ხევისა და ავლადის ხევის შესართავები ერთმანეთის პირისპირაა ნაჩვენები, ისე, რომ ავლადის ხევის შესართავი ქციის დინების მიხედვით შედარებით ქვემოთ მდებარეობს.

ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნაწარმოებების მიხედვით, ასევე საველე და კაშერალური მუშაობის საფუძველზე, ლოკალიზაციის თვალსაზრისით, გამოვიკვლიეთ ასეულობით გეოგრაფიული სახელწოდება; შევასრულეთ საქართველოს ძველი ტოპონიმების რეტროსპექტული კარტოგრაფირება; თანამედროვე ტოპოგრაფიულ საფუძველზე 1:200 000 მასშტაბის გამოსახულებაზე დავიტანეთ 4000-მდე ობიექტის სახელწოდება. გამოვლენილი ტოპონიმები დავაჯგუფეთ ძირითად კლასებად.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომების უდიდესი ღირსება არის ის, რომ მათში მოცემული მდიდარი ტოპონიმიკური მასალა საქართველოს ძველი ტოპონიმების სანდო და მრავალფეროვან ნუსხას წარმოადგენს.

რუკებზე მოცემულია ტოპონიმთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვლი, რომელთა ნაწილი დღეისათვის შეცვლილი ან გაუქმებულია. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ტოპონიმთა ქრონოლოგიურ ცვალებადობას და გამოვიტანოთ სწორი დასკვნები.

რაც შეეხება მსოფლიო ქვეყნების 27 რუკას, რომლებიც გადმოღებულია სხვა ატლასებიდან, წარმოადგენს გეოგრაფიული სახელწოდებების ქართულად გადმოცემის ცდას. რუკების ტოპონიმიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ მათი უმეტესობა იმეორებს ქართულ სინამდვილეში გავრცელებულ სახელწოდებებს. ქართული შესატყვისები შეძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს:


1. სახელწოდებები თარგმნის გზით მიღებული;
2. სახელწოდებები პირდაპირ ქართული ტრასკრიფციით გადმოტანილი;
3. სახელწოდებები ქართული ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი;

გარდა ამისა, დამატებით არის ტოპონიმები, რომლებიც უცხოურ გამოცემებში არ გვხვდება.

პირველ მათგანს მიეკუთვნება სახელები, რომლებიც ეტიმოლოგიური თვალსაზრისით გასაგებია და ადვილია მისი თარგმნა. თვით თარგმნილი სახელები განსხვავებულია სტრუქტურის მიხედვით. ძირითადად თარგმნილია ნაწარმოები სახელები. მათ შორის გვხვდება ისეთებიც, რომლებიც მთლიანად არის ნათარგმნი. ამ შემთხვევაში თარგმნილია როგორც ფუძე, ისე დართული ზმნიზედა, ან ზედსართავი სახელი. ასეთებია: ახალი ქვეყანა, ზღვა ყინულისა, სამხრის ტბა, წყნარი ზღვა, დიდი სამხრეთის ზღვა, აღმოსავლეთის ზღვა, წითელი ზღვა, შუა მდინარე, დიდი უდაბნო, საშუალქვეყნის ზღვა და სხვ.

უფრო ხშირად თარგმნილია მსაზღვრელ-საზღვრულიანი სახელებიდან მსაზღვრელი: ახალი, ძველი, წითელი, დიდი, შუა, სამხრეთის, ჩდილოეთის, აღმოსავლეთის, დაბალი და სხვ. ამავე ჯგუფში შედიან ზოგადგეოგრაფიული და ასტრონომიული სახელები, რომლებიც უმთავრესად მთლიანად არის ნათარგმნი: პტოლომეის ფიქრისაებრ,

ქვეყანა სიცივისა, სიმრგვლე სიცივისა, გრკალი სიცივისა, გრკალი კირჩხიბისა, დღის გამასწორებელი, გრკალი თხის რქისა, პირველი შუადღის ხაზი, სწორი ხაზი და სხვ.



ევროპის რუკა გადმოღებული ქართულად ვახუშტი ბაგრატიონის მიერ  
(1752)

მეორე ჯგუფის სახელები ყველაზე მრავლადაა. ისინი ზუსტად, ან მცირედენი ცვლილებით, უმთავრესად დაბოლოებით არის შეცვლილი. ასეთების ჩამოთვლა საკმაოდ შორის წაგვიყვანს: ღიშპანია, ნორვედია, შვეცია, ღერმანია, ანატოლი, მალთა, ბერლინ, კასსელ, ღამბერლ, მადრიდ, ბრეტან, ლიონ, ციურიხ და სხვ. მართალია, ღღემღე ეს ტოპონიმები, მსოფლიოს ქვეყნების ქალაქების, მდინარეების,

მთების სახელწოდებები თიოქმის არ შეცვლილა, მაგრამ ქართულში მათი ხმარების მართლწერის წესი გაუმჯობესდა. ვახუშტი ბაგრატიონის ტექსტსა და რუკებზე აღნიშნულია: პოლშა, ღიშპანია, ფრანცია, ვენგრია და სხვ. დღეს ამ ქვეყნების სახელები ქართულ ენაზე იწერება: პოლონეთი, ესპანეთი, საფრანგეთი, უნგრეთი და სხვ. ასევე, ქალაქების სახელწოდებები ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში აღნიშნულია: ამტარხანი, ლამბერლ, მინხენ, კრაკვა და სხვ. დღეს ისინი ქართულში იწერება: ასტრახანი, ჰამბურგი, მიუნხენი, კრაკოვი და სხვ. ზოგი სახელწოდება მას შემდეგ დაიხვეწა და დღეს განსხვავებული სახით იწოდება. მაგალითად, საშუალებების ზღვა – ხმელთაშუა ზღვად, ზღვა ყინულისა (მყინვარე ზღვა) – არქტიკული ზღვა (ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე) და სხვ.

მესამე გჯგუფის სახელები ქართული სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი. ასეთებია: აბაშეთი, თეთრი ზღვა და სხვ.

შეიძლება ცალკე გამოიყოს სახელები, რომლებიც დედნისეულ რუკებზე არ გვხვდება, მაგრამ დამატებულია ვახუშტის მიერ: აფხაზი, ოდიში, ქუთაისი, კახეთი, გორი, ახალციხე, მესხი და სხვ.

ამასთან, იმდროინდელი ზოგიერთი გეოგრაფიული ტერმინი განსხვავებულია დღევანდელთან შედარებით: ჭალაკი – კუნძული, ნახევარჭალაკი – ნახევარკუნძული, ნაღვარევი, რუ – სრუტე, წილი – ტერიტორია, წიად, შტო – ზღვის უბე, ყურე, ბაგე, უბე – ესტუარია და სხვ.

ამრიგად, ვახუშტის მიერ გადმოქართულებული და შედგენილი მსოფლიო ქვეყნების რუკები, წარმოადგენს ქართულად მსოფლიო ატლასის შედგენის პირველ ცდას, რაც დღემდე ერთადერთი ხელნაწერის სახით დარჩა.

ვახუშტი ბაგრატიონის დამსახურება XVIII საუკუნის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების წინსვლისა და განვითარე-



ბის საქმეში ძალზე დიდია. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული ნამუშევრები თავისი მეცნიერული ღირსებებით ევროპული კარტოგრაფიის დონეზე იდგა, ხოლო რუკების ტექნიკური გაფორმება მეტყველებს მის მაღალ გემოვნებასა და საქმის ცოდნაზე. მეცნიერმა შემოგვინახა იმდროინდელი საქართველოს ტოპონიმების ფონდი, რაც ერის სიმდიდრეა. ტოპონიმების ცვალებადობის ქრონოლოგიური ზღვრების დადგენას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია.

წიგნიდან - „უებრო ბუმბერაზი“. ვახუშტი ბაგრატიონი,  
თბ., 2013, გვ. 219-239

## ტიტანური ნაშრომის გამოცემის 100 წლისთავი

1913 წელს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიერ გამოიცა ამავე საზოგადოების წევრის დიმიტრი პაგირევის ნაშრომი – Алфавитный указатель и пятиверстной карте Кавказсеого края, издания Кавказсеого Военно-топографического Отдела. В приложении: „Перечень некоторых книг, статей и заметок о Кавказе“ и сборный лист пятиверстной карты. Тифлис, 1913, 530 стр.

წიგნი წარმოადგენს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერების („записки“) ოცდამეათე ტომს.

იმ დროისათვის ეს იყო უნიკალური გამოცემა მეცნიერების მრავალი დარგის სპეციალისტებისათვის, რომლებიც ამ ზღვა მასალაში აუცილებლად იპოვის მისთვის საჭირო გეოგრაფიულ სახელს.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე გამო-სული ეს წიგნი დამყარებულია „ხუთვერსიანი მასშტაბის“ (1:210.000) რუკებზე და მოიცავს მათზე აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებების (ტოპონიმების) სრულ სიას, რომელსაც ერთვის: წი-ნასიტყვაობა, შემოკლებათა განმარტება, კავკასიის შესახებ არსებული ზოგიერთი წიგნის, სტატიისა და შენიშვნის სია და მასში მიღებულ ბიბლიოგრაფიულ შემოკლებათა განმარტება, საგნობრივი საძიებელი.

წიგნში თავმოყრილი „ხუთვერსიანი“ რუკის 58 ფურცლიდან ამოკრებილი 34.000 გეოგრაფიული სახელი, რომლებიც ანბანის მი-ხედვით არის დალაგებული. ყოველი ტოპონიმისათვის მოცემულია ობიექტის რაობა (ქედი, მთა, ხეობა, მყინვარი, ტბა). გარდა დასახლე-ბული პუნქტებისა, აბსოლუტური სიმაღლე ფუტობით (იმ ობიექტები-სათვის, რომლებსთვისაც იგი ნაჩვენებია რუკაზე), შემოკლებული სა-ხელი იმ მაზრისა, ოლქისა ან სხვა დანაყოფისა, რომლის ტერიტორი-

აზე მდებარეობს ობიექტი (თუ ეს უკანასკნელი ორ ან რამდენიმე ად-  
მინისტრაციულ ერთეულში შედის, ჩამოთვლილია ყველა მათგანი),  
რუკის ფურცლის ნომენკლატურა, სადაც გამოსახულია ობიექტი, გე-  
ოგრაფიული კორდინატები (გრძელი და განედი).

**ЗАПИСКИ**  
**КАБЕЛАЗСКОГО ОТДЕЛА**  
**ИМПЕРАТОРСКОГО**  
**РУССКОГО ГЕОГРАФИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА.**  
Книжка XXX.

Д. Д. Пагиревъ.

**Алфавитный указатель къ пятиверстной**  
**картѣ Кавказскаго края, изданія Кавказ-**  
**скаго Военно-Топографическаго Отдѣла.**

Въ приложеніи: „Перечень нѣкоторыхъ книгъ, ста-  
тей и зачѣтокъ о Кавказѣ“ и сборный листъ пяти-  
верстной карты.

Совмѣстное изданіе Кабарскаго Отдѣла ИМПЕРАТОРСКОГО Русскаго  
Географическаго Общества и Кавказскаго Военно-Топографическаго  
Отдѣла.

Цѣна 2 р. 50 к.

ТИФЛИСЪ.

Типографія К. Ш. Бозловскаго. Гезианискія пр. 12.  
1913.

ლიბიტრი პაგირევის ნაშრომის თავფურცელი

წიგნის შემდეგი ნაწილი — ბიბლიოგრაფია კავკასიის შესახებ —  
შეიცავს 8000 სახელწოდებას, რომელთაგან 7598 რუსული წყარო-

ბისაა, ხოლო დანარჩენი ფრანგულის, გერმანულის, ინგლისურის, იტალიურისა.

ამ ჭეშმარიტად შესანიშნავი ნაშრომის ავტორი დიმიტრი დიმიტრის ძე პაგირევი დიდი ხნის განმავლობაში იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საქმეთა მმართველი ანუ მდივანი („правитель дел“). იგი ავტორია მთელი რიგი სტატიებისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ერევნის გუბერნიას ეხება.

შეიძლება გვეფიქრა, ამჟამად, როდესაც არსებობს „კერსტიან“ რუკებზე უფრო ზუსტი, მეტრული სისტემის მიხედვით შედგენილი რუკები, ან კოსმოსური რუკები, პაგირევის ნაშრომს მნიშვნელოვნად შემცირებული აქვს გამოყენების არე, მაგრამ ეს ასე არ არის.

უწინარეს ყოვლისა, რამდენადაც პაგირევის მიერ ჩატარებული მუშაობა არ ყოფილა განმეორებული ახალი რუკების მიმართ, დასახელებული ავტორის ნაშრომი დიდ დახმარებას გვიწევს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოსაძებნია რომელიმე შედარებით ნაკლებად ცნობილი ტოპონიმის ობიექტის მდებარეობა.

სხვადასხვა დარგის ლიტერატურაში (მაგალითად, გეოლოგიურში, ჰიდროლოგიურში, ბოტანიკურში და ა.შ.) ხშირად გვხვდება ძველი (სადღესოდ ახლით შეცვლილი) ტოპონიმები, რომლებსაც თანამედროვე რუკებზე ვერ ვიპოვით. პაგირევის მიერ შედგენილი ანბანური სია ამგვარი სახელწოდებების სწრაფად პოვნის შესაძლებლობას იძლევა.

ასევე ძვირფასია კავკასიით დაინტერესებული ყოველი ადამიანისათვის ლიტერატურის სია წიგნის 309-494 გვერდებზე.

არსებობს დიმიტრი დიმიტრისძე პაგირევის ნეკროლოგი. მასზე დართული პორტრეტითურთ. იგი მოთავსებულია ჟურნალ „Известия КОРГО“-ს XXII ტომის I ნაკვეთში, რომელიც 1913 წელსაა გამოცემული (იმავე წელს, როდესაც დაიბეჭდა ზემოთ განხილული ფუნდამენტური ნაშრომი). ნეკროლოგს ხელს აწერს Г.Ч. (ალბად გ.ფ. ჩურსინი).

კავკასიის მკვლევართა იმ ნაწილს, რომელსაც არ ჰქონია პაგი-რევის მთავარი ნაშრომის გაცნობა-გამოყენების შემთხვევა (გეოგრა-ფებს, ბუნებისმეტყველებს, ტოპონიმების მკვლევარებს, ისტორიკოსებს და სხვა), ვთხოვთ მხედველობაში იქონიონ ამ ლიტერატურული ძეგ-ლის არსებობა და საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ხოლმე მას.

როგორც საძიებელს, ისე კავკასიათმცოდნეობის ლიტერატურის სიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კავკასიის შესწავლაში. ნაშრომის ღირებულება საუკუნის შემდეგაც არ მცირდება.

კრ. ქართველური ონომასტიკა VI, 2013, გვ.342-345.

## აჭარის ტოპონიმია

აჭარა უძველესი პერიოდიდან საქართველოს განუყოფელი ნაწილია და, ცხადია, გეოგრაფიული სახელწოდებების ჩამოყალიბებით, გაერცვლებით და ცვალებადობით ისეთივე კანონზომიერებას ამჟღავნებს, როგორც საქართველოს სხვა რეგიონები. მისი ტოპონიმის ძირითადი ფონდი ქართული წარმოშობისაა (95,3 %). ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ აჭარაში ნაკლებად ზღბოდა მოსახლეობის მიგრაცია. აქ შემორჩენილია აგრეთვე, ქართველური ენების მიხედვით ნაწარმოები სახელები – ჭანური ტოპონიმები. როგორც ცნობილია, აჭარის ზღვისპირა ზოლი უძველესი დროიდან ზანებით იყო დასახლებული, რომლებთანაც აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. ბუნებრივია, ეს ურთიერთობა ენობრივ სფეროშიც აისახა; ზანური გამოთქმები საკმაო რაოდენობითაა აჭარულის ლექსიკასა და ტოპონიმიაში. აკადემიკოსი ნიკო მარი ტოპონიმოლოგიურ მონაცემებზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ერთ დროს აჭარა, გურია და იმერეთი მეგრულ-ჭანურ ენებზე მოლაპარაკე ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ჭანური დიალექტის კვალი აჭარაში საკმაოდაა. ამჟამად მათი რაოდენობა მთელი ტოპონიმის ერთი პროცენტია.

არაქართული ტოპონიმების საერთო რაოდენობა აჭარაში 4 %-ს აღწევს. მათგან უმთავრესად თურქული წარმოშობის სახელწოდებებია. ისინი გვხვდება როგორც მარტივ, ისე ნაერთი კომპოზიტების (ქართულ-თურქული, თურქულ-ქართული) სახით. თურქული ლექსიკით გაფორმებული სახელწოდებები (ყალე, ყული, სირთი, დერე, ქილისე და სხვ.) უმეტესად ზემო აჭარაშია. თითქმის სამი საუკუნე ეს რეგიონი თურქეთის შემადგენლობაში იყო, რამაც, ცხადია, თავისებური კვალი დაამჩნია მოსახლეობის მეტყველებასა და ტოპონიმიაში. აჭარაში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით რუსულ (კაზიონი, კანტო-

რები, ფოშტა, ბიტონიკი, გოროდოკი და სხვ.), ბერძნულ (მავროპულე-ბი, სტავროპოტამოს, ნეოზორიონ და სხვ.) და აფხაზურ (ნრცტი აბა-რა, აარცტი აბარა) სახელწოდებებსაც. ეს უკანასკნელნი ახალი ფე-ნაა და მეტწილად მხარის მიკროტოპონიმიაში გვხვდება.

აღნიშნულთან დაკავშირებით შემდეგ სურათს ვღებულობთ: ტო-პონიმთა საერთო რაოდენობა 9338-ია. აქედან ქართული (მათ შორის ჭანურ-მეგრული) 8902, თურქული 261, თურქულ-ქართული 78, ქარ-თულ-თურქული 22, რუსული 51, ბერძნული 22, აფხაზური 2. ტო-პონიმების წარმოშობის მიხედვით ასეთივე თანაფარდობა არის ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიმართ.

გეოგრაფიული სახელწოდებები წარმოშობის მიხედვით  
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (პროცენტებში)

მუნიცი- პალტ.	ქარ- თული	თურ- ქული	თურ- ქულ- ქართუ- ლი	ქარ- თულ- თურ- ქული	რუ- სული	ბერ- ძნუ- ლი	აფხა- ზური
ქობულე- თის	94,9	0,9	0,1	—	2,2	1,9	—
ხელვაჩაუ- რის	88,3	7,5	2,2	0,2	1,1	0,06	0,04
ქედის	98,6	0,9	0,4	—	0,05	—	—
შუახევის	96,7	2,3	0,9	0,05	—	—	—
ხულოს	96,4	2,5	0,7	0,3	0,1	—	—

რაც შეეხება ქალაქ ბათუმს, აქ დაფიქსირებულია ხუთი ქართუ-ლი, ერთი თურქული და სამი რუსული ტოპონიმი.

ნიშანდობლივია, რომ ზემო აჭარის ტოპონიმები რაოდენობისა და ენობრივი წარმოებით, გაცილებით ჭარბობს ზღვისპირა რაიონების ტოპონიმებს. ამის მიზეზი ძირითადად ბუნებრივი პირობების მრავალ-ფეროვნება და მოსახლეობის მდგრადობაა.

აჭარის გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოება საქართველოს სხვა რეგიონების ტოპონიმების ანალოგიურია. სახელთა საკმაო ნაწილი ნაწარმოებია აფიქსების დართვით. აფიქსები საკუთრივ ქართული წარმოშობისაა (გვხვდება ზანური მწარმოებლები). სახელთა უმეტესობა სუფიქსებით არის გაფორმებული (ეთ, თა, ურ//ულ, ევ, ის და სხვ.); შედარებით ნაკლებია პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები (სა-ა, სა-ო, სა-ურ, სა-ეთ, ნა-არ, ნა-ევ და სხვ.) ტოპონიმები. მათი რაოდენობა გაცილებით მეტია მიკროტოპონიმიაში; კიდევ უფრო ცოტაა მხოლოდ პრეფიქსული წარმოების ტოპონიმები (უმთავრესად წინავითარების ნა და დანიშნულების სა პრეფიქსები). ზემო აჭარულ ტოპონიმიაში ხშირია მრავლობითის (ებ) სუფიქსი. სუფიქსებს ზოგჯერ დაერთვის ფორმანტები (ა, ი). არის სახეცვლილი აფიქსებიანი (ბათ-ომ-ი — ბათ-უმ-ი, კეჭი-ეთ-ი — კეჭი-ათ-ი და სხვ.) ტოპონიმებიც.

აჭარაში ტოპონიმების მნიშვნელობით ხშირად ნახმარია გეოგრაფიული ტერმინები (ქედი — ქედა, ქედქედი, გორი — გორი, ფლატე — ნაფლატი, ყელი — მერიყელი, მთა ზოტის მთა, მერე — მერისი, ჭალა — ჭალახმელა, ვაკე — ბათალვაკე, საბულთივაკე, დიდვაკე და სხვ.), რაც მის სიძველეზე მიუთითებს. ზოგჯერ ტოპონიმი მიღებულია ორმაგი და სამმაგი გეოგრაფიული ტერმინისაგან (ქვაბიჭალა, რუთავი-დელე, ნაფლატიდელე, წისქვილიდელე, ყრუდელე, ქვაბიდელე, დელი-ქედი, გორახევიდელე, ხევდელევაკე და სხვ.). ასეთი ტოპონიმები შეიძლება დაჯგუფდეს იმ რიგში, რომელ ობიექტსაც იგი მიეკუთვნება (მაგალითად, ნაფლატიდელე არის დელე, ხოლო აბანოდელე აბანოს მიეკუთვნება, რამდენადაც აქ მინერალური წყალია, დიდი კლდიდუბე დუბეს აღნიშნავს, ხოლო წყაროპირი — წყაროს და სხვ.). რეგიონში გაბატონებულ სახელწოდებათა რიგს მიეკუთვნება — სხალთამერე, მიღმაყანა, დაბლაყანა, დუბეყანა, სერიყანა, მერე, ჭალა და სხვ. სახელწოდებებში ზოგჯერ დაკარგულია ბგერა, ასეთია: მინდრები, ჩილიჭალა და სხვ.



გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტოპონიმთა პალეოგეოგრაფიული ინტერპრეტაცია სიფრთხილეს მოითხოვს. ტოპონიმების თავდაპირველი გააზრება ჩვენთვის ხშირად გაურკვეველია, სადავოა. ამის მაგალითები საკმაოაა.

ბუნებრივი ლანდშაფტის კომპონენტებს შორის ორი – გეოლოგიური აღნაგობა და რელიეფი ძლიერ ნელა ცვალებადობას განიცდის. მიუხედავად ამისა, არის ექსტრემალური პერიოდები, როცა ერთბაშად ხდება რელიეფის გარდაქმნა (მიწისძვრები, მეწყრები, კლდეზვავები, ღვარცოფები, თოვლზვავები და სხვ.). ამის გამო ხშირად ობიექტი წინანდელი სახელის შინაარსს ვეღარ ამართლებს.

რელიეფისა და გეოლოგიური აღნაგობის მიხედვით შერქმეული ტოპონიმები გვხვდება სხვადასხვა ობიექტების მიმართ. კერძოდ, დასახლებული პუნქტების, უბნების, მდინარეების, ტბების, ვაკეების, ქედების, მთების, უღელტეხილების, მყინვარების, მღვიმეების და სხვათა სახელებად. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იგივე სახელწოდება მიკუთვნებული აქვს განსხვავებულ ობიექტს. ამის მაგალითებიც საკმაოაა.

აჭარაში ტერმინ კლდესთან დაკავშირებული სახელწოდებები 3ქვია 83 ობიექტს, მთასთან დაკავშირებით 15 ობიექტს, გორასთან დაკავშირებული სახელები 22 ობიექტს, ვაკესთან 139 ობიექტს, ტერმინ სერთან 170 ობიექტს, ტერმინ ფლატესთან 64 ობიექტს, უღელტეხილთან 102 ობიექტს, ქვაბთან 34, ფერდობთან 33 ობიექტს, ჭაღასთან დაკავშირებით 151 ობიექტს, მერესთან 78 ობიექტს, დუბესთან 37 ობიექტს და ასე შემდეგ. სულ რელიეფთან დაკავშირებით აჭარაში 1121 სახელია შერქმეული.

შედარებით სუსტად ცვალებადობს ისტორიულ წარსულში ნიადაგსაბურველი და კლიმატი. ამასთან, ამ კომპონენტების დახასიათება არცთუ ხშირად გამოიყენებოდა ტოპონიმების საფუძვლად, რის გამოც მათი ცვალებადობის დამოწმებელი სახელწოდებებიც უმნიშვნელო რაოდენობითაა. კლიმატთან დაკავშირებით შერქმეული ტოპონიმები აჭა-

რაში 113, ხოლო ნიადაგთან დაკავშირებით შერქმეული 215 ტოპონი-  
მია.

განსახილველი ტოპონიმების უმეტესობა არეკლავს დანარჩენი  
საში ბუნებრივი კომპონენტის – ჰიდროგრაფიული ქსელის, მცენარეუ-  
ლობისა და ცხოველთა სამყაროს ცვალებადობას, ვინაიდან ეს კომპო-  
ნენტები მოკლე ქრონოლოგიურ მონაკვეთებშიც არსებითს გარდაქმნას  
განიცდიდნენ და, გარდა ამისა, ისინი ხშირად ედებოდა საფუძვლად  
გეოგრაფიულ სახელწოდებებს.

ტოპონიმების ანალიზის საფუძველზე დადგენილი ლანდშაფტის  
ელემენტების – ჰიდროგრაფიული ობიექტების, მცენარეების, ცხოველე-  
ბის, – ადგილსამყოფელების უმრავლესობა კანონზომიერად თავსდება  
ამ მეცნიერულად დადგენილ არეალებში და, ამრიგად, მოულოდნელს  
არაფერს შეიცავს, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია, როგორც კონ-  
კრეტული მასალა ისტორიული წარსულის ბუნებრივი პირობების დე-  
ტალური რეკონსტრუქციისათვის. ამ სახის ტოპონიმთა ჩამოთვლა შე-  
უძლებელია. დავასახელებთ ზოგიერთ ტოპონიმს, რომლებიც ამ კომ-  
პონენტებთან არიან დაკავშირებული.

ჰიდროგრაფიულ ქსელთან დაკავშირებული სახელები – წყა-  
როთა, აჭარისწყალი, ჭვანისწყალი, ტბეთისწყალი, მეჯინისწყალი, ზე-  
დაღლე, ტაბახმელა, ცივწყარო, ყრულეღე, რუპირა, წყალსაყარი,  
ჭანჭახი და სხვ.

ჰიდრონიმების საკმაო ნაწილი მსაზღვრელ-საზღვრულიანია. მარ-  
თლწერის თვალსაზრისით ყველა ისინი ერთად იწერება. ასეთებია: ყო-  
როლისწყალი, მეჯინისწყალი, აჭარისწყალი, ჩირუხისწყალი, ჭვანის-  
წყალი. მაჭახლისწყალი და სხვ. აჭარაში ასეთი ჰიდრონიმები საგზაო  
ნიშნებზე უმეტესად კი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

მცენარეულ საფართან დაკავშირებული სახელები – ლაფრანა,  
თხილიანი, წიფნარი, ნაღომარი, ტყემალათა, ლეკნარი, ვერხვნალა  
თელნარა, ნაფეტვარი, ნიგზნარა, არყნალი და სხვა მრავალი.

ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა სახელების მიხედვით შერქმეულია - სამგლე, მელიეთი, საქორეთი, სალორია, დათვაური, სათეზია, საყორნია, კვატია, კურდღელაური, ბზიკაური, სატურია, ჭინკაური, აზავერა, ჩხიკეთი და სხვა მრავალი.

ცხადია ჩამოთვლილი და სხვა დანარჩენი სახელწოდებების ნაწილი ამჟამად ვეღარ ამართლებენ სახელის შინაარსს, მაგრამ თვით ეს სახელი შემორჩა ამ ადგილს ოდესღაც აქ არსებული მცენარის ან ცხოველის სახელის ნაშთად.

საბოლოოდ პალეოგეოგრაფიული ტოპონიმები აჭარაში შემდეგ სურათს გვაძლევს. ტოპონიმთა საერთო რაოდენობა 9338-ია, საიდანაც პალეოგეოგრაფიული ტოპონიმები შეადგენს 3988-ს. მუნიციპალიტეტების მიხედვით ცხრილის სახით კი ასე წარმოდგება;

მუნიციპ.	მცენ.	ცხოვ.	გეოლ.	კლიმ.	ნიად.	რელიეფ	ჰიდრო.	სულ
ქედა	240	88	25	22	38	179	198	790
შუახევი	230	99	27	26	63	337	260	1042
ხულო	255	107	43	24	40	353	294	1116
ხელვან.	141	64	38	26	50	172	122	613
ქობულ.	98	77	22	15	24	80	111	427
სულ	964	435	155	113	215	1121	995	3988

ზემოთ აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებები მხოლოდ ნაწილია იმ ქართული ტოპონიმებისა, რომლებიც წარმქმნილია ბუნებრივი პირობების კომპონენტების მიხედვით. ეს ტოპონიმები კი აჭარასა (და მთელ საქართველოს) ტერიტორიაზეა გავრცელებული. ვფიქრობთ, ტოპონიმების ანალიზით მიღებული პალეოგეოგრაფიული მასალა სამსახურს გაუწევს არა მარტო განყებულ სამეცნიერო ღებულებებს,


არამედ პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობასაც – ლანდშაფტების შეგნებულ გარდაქმნას.

საველე კვლევების, სხვადასხვა წყაროების და ლიტერატურის, მსხვილმასშტაბიანი რუკებისა და ლექსიკონების ანალიზის საფუძველზე შევადგინეთ ტოპონიმების თემატური რუკები, რომლებზეც ნაჩვენებია მხარის ტოპონიმთა მრავალფეროვნება და სპეციფიკა. რუკებზე წერტილოვანი მეთოდით გამოსახულ ტოპონიმთა მრავალფეროვნება მიგვანიშნებს მათ სივრცობრივ განლაგებასა და ხასიათზე. ეს რუკები გადაცემულ იქნა აჭარის კომპლექსური ატლასისათვის, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ინსტიტუტმა გააკეთა აჭარის მინისტრთა საბჭოს დაკვეთით. თუმცა იგი არ გამოცემულა, ხოლო შესრულებულ დედანს ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ წინამდებარე წიგნში მოთავსებული რუკების ხელახალი შესრულება მოგვიხდა.

აჭარაში ოიკონიმების (დასახლებული პუნქტების) რაოდენობა (სოფლის მნიშვნელობით გამოყოფილია ზოგიერთი უბნებიც) 2000 წელს 339 იყო. მათ შორის 330 სოფელი, 2 ქალაქი, 7 დაბა. ისინი აგებულიების მიხედვით მრავალფეროვანია. ყველაზე მეტია ერთფუძიანი სახელები (აჭი, აგარა, ხალა, ჩაო და სხვ.) – 250, შედარებით მცირეა რთული ანუ ნაერთი ტოპონიმები (ყოროლისთავი, აჭყვისთავი, ჩაქვისთავი, კაპნისთავი, მთისუბანი, ცხრაფონა, დაბაძველი და სხვ.) – 40, ანტონიმური მსახლერელები (ზედა ერგე, შუახევი, ქვედა დაგვა, ზესოფელი და სხვ.) – 40, უმნიშვნელოდაა პრეფიქს-სუფიქსიანი სახელები (საბადური, ოჩხაბური, ნამლისევი, სამოლეთი და სხვ.). მრავლობითის ებ დაბოლოებითაა 54 სახელი. ამასთან, მნიშვნელოვანი ნაწილი გვარსახელებისაგან არის მიღებული (შავლიძეები, დეკანაშვილები, ოქრუაშვილები, ღორჯომელაძეები, გოგაძეები, ხაბელაშვილები, არსენიძეები და სხვ.), თითქმის მესამედი.

ოიკონიმები ნაკლებსტაბილურია, ვიდრე ჰიდრონიმები და ორონიმები. ამასთანავე, შემდეგში შერქმეული სახელი ადგილის ნამდვილ ბუნებას ვერ გამოხატავს და არღვევს ბუნებრივად შერქმეულ სახელე-

ბის შინაარსს (მაგალითად, განახლება, ოქტომბერი, პირველი მაისი, განთიადი, წინსვლა, მნათობი და მისთანანი).





აჭარის ტოპონიმიაში საკმაო ადგილი უკავია ორონიმიას (8,28 %) და ჰიდრონიმიას (10,5 %). ამგვარი სახელწოდებების რაოდენობა მატულობს მდინარის სათავეებისაკენ. მათგან ჭარბობს რელიეფის და-ღებითი ფორმების ტერმინებისაგან წარმოებული სახელწოდებები, ჰიდრონიმებში კი მდინარეთა სახელწოდებები. თვით მდ. აჭარისწყლის აუზზე ტოპონიმთა ნახევარზე მეტი მოდის. მდინარეთა და ტბათა სა-ხელწოდებებში უმთავრესად გამოყენებულია ჰიდროგრაფიული ტერმი-ნები (აჭარისწყალი, ყოროლისწყალი, დიდღელე, ტბეთისწყალი და სხვ.).

აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში უპირატესი ადგილი უკავია ანთროპოტოპონიმის, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვნებით და რიცხვნობით როგორც ოიკონიმებში, ისე მიკროტოპონიმიაშიც. ან-თროპოტოპონიმების რუკაზე დატანილია ის მიკროტოპონიმებიც, რომ-ლებიც ბოლო წლებში საველე პირობებში აქნა შეგროვებული. ან-თროპოტოპონიმებში ყველაზე მეტია მსაზღვრელ-საზღვრულიანი სა-ხელწოდებები (ხუცუბანი, მუხაესტატე და სხვ.), შემდეგ მოდის ურ//ულ (მახვილაური, გოგმაჩაური, ბარათაული, ბუთურაული და სხვ.), ძე+ებ (ტუნაძეები, პაქსაძეები, გეგელიძეები, ვანაძეები და სხვ.), შვილი+ებ (პაპოშვილები, ბოგოშვილები, ოქრუაშვილები, ადიაშვილები და სხვ.), ურ//ულ+ებ (ხიტაურები, გიჩიტურები, ზურციაულები, სერ-ბიაულები და სხვ.), ეულ//ოულ (წიქარეული, ნიზასეული, აბდიასეუ-ლი, ანასოული, ეფრემისოული და სხვ.) სუფიქსებით ნაწარმოები ან-თროპოტოპონიმები. პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ერთადერთი ოიკო-ნიმია წარმოდგენილი (სა-ხალვაშ-ო). გვარებთან შედარებით ნაკლებია ადამიანის სახელებისაგან მიღებული ტოპონიმები. ასეთი სახელწოდე-ბები სხვადასხვა აფიქსებით არის ნაწარმოები (ეთ, ურ, ულ, ის და სხვ.). ამასთან, ადამიანის სახელი პირდაპირ ტოპონიმდაც გვხვდება აფიქსების გარეშე (კახაბერი, საჩინო, კვირიკე და სხვ.).







განმეორებადი ტოპონიმები დამახასიათებელია ტოპონიმთა ყველა სახისათვის, მათ შორის დასახლებული პუნქტებისათვის (აჭარა, ახალდაბა, ახალუბანი, ციხისძირი, სიმონეთი, ზვარე და სხვ.), მდინარეებისათვის (ლაშისხევი, ნალვარევისწყალი, ტაბახმელისწყალი, ცხენისწყალი და სხვ.), ტბების (შაეი ტბა, მწვანე ტბა და სხვ.). მთლიანად აჭარაში 344 ომონიმური ტოპონიმია. მათგან 197 დასახლებული პუნქტი, 97 მთა, 50 მდინარე და ტბა. გარდა აღნიშნულისა, რეგიონში დიდი რაოდენობით (განსაკუთრებით მიკროტოპონიმიაში) გვხვდება აგდილობრივი განმეორებადი სახელწოდებები, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ასეულია.

ყველაზე მეტად მეორდება დასახლებული პუნქტების სახელწოდებები, შემდეგ მოდის მთების სახელები, მდინარეების და ტბების. დასახლებულ პუნქტებში ყველაზე მეტად განმეორებულია შიდა ქართლის სახელწოდებები (42), შემდეგ მოდის იმერეთის (31), ქვემო ქართლის (25), გურიის (22) და ასე შემდეგ. მდინარეთა და ტბების სახელწოდებებში მეორდება იმერეთის (8), შიდა ქართლის (7), აფხაზეთის (7) და ასე შემდეგ. მთების სახელწოდებებში კი შიდა ქართლის ტოპონიმები (19), იმერეთის (14), კახეთის (11), რაჭის (10) და ასე შემდეგ.

გეოგრაფიულ სახელებში აისახა გზისა და მიმოსვლის საშუალებების ტერმინები. ამ მხრივ, აჭარაში საკმაოდაა ამ სახის ტოპონიმები.

გზიდანაა ნაწარმოები ისეთი ტერმინები, როგორიცაა: გზასავალი, გზამკვლევე, გზაუვალი, გზაბოძალი, სერიგზა, შუაგზა, გზიქვეშა, გზასახვევი, გზაკვალი, გზიპირი, გზაწერილი, გაუვალი, გზირი და სხვ. (ზარდალიშვილი, 1975). აჭარაში გზის სახეობები ტერმინებიდან ნაწარმოები ტოპონიმებია: გადათხრილი, გაჭრილი ქედი, ქედგაჭრილა, გზიპირები, გზაშვები, კაპნისთავი (კაპანი, ძველად სავალი ქვიანი გზა კლდეებს შორის), კაპნები, გაჭრილკაპანი, მინდრიკაპანი, შარა, შარაყელი, აჭარისაღმართი, დანდალო (დანდალი, კიბეთშუა საფეხური),

ქვაკიბე, კიბე, სამბოძალა, ფონა, ზეკარა (კარი), ზეკარისთავი, კარჩხალი, ჭიშკარკონი, ყელი, კარი და სხვ.

გზის საზომ ტერმინებთან არის დაკავშირებული ისეთი ტოპონიმები, როგორცაა: ადლია (ადლი, სიგრძის საზომი), ბოძაური (ბოძი, მიმართულების მაჩვენებელი) და სხვ.

საგზაო ტერმინებთან დაკავშირებულია სადგომ-საფარნი. ასეთები: დარანი – კლდეში შესასვლელი, სვანე – ბინა სადგომი (ტოპონიმები ზემო აჭარაში), სასვენო – დასასვენებელი ადგილი, ქვაბი – გამოქვაბული, ქული (ხული) – ქულბაქი, ქოხი, ღუქანი. აქედან ხულო; ხანი – ნიშნავდა მგზავრთა სადგომს, აქედან ხანისკარი, ხანისწყალი; ხინო – ხინი ან ბაკო. აქედან მთა ხინო და სხვ.

## აჭარის სახელწოდებისათვის

აჭარის სახელწოდება ადრეული პერიოდიდანვე სხვადასხვა ვარიაციებით, დადასტურებულია ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში (აჭარა, დიდ-აჭარა, აჭარისწყალი და სხვ.).

სახელწოდება აჭარა ისტორიულ წყაროებში გვხვდება VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში (ანანია შირაკაცი, 1877, გვ. 39). შემდეგში იგი არაერთ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული. ასე მაგალითად, IX-X საუკუნეების საეკლესიო მოღვაწის ტბეთის ეპისკოპოსის სტეფანე მტკვევარის მიერ: „...და ურიცხუნი იგი ერთი მართლმადიდელთანი აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყუნეს...“ (საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 396). X საუკუნის პირველი ნახევრის ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტთან (გეორგიკა, 1985, გვ. 276-289) მოხსენიებულია, როგორც აჭარის საერისთავო, რომლის ერისთავი იბერიის კურაპალატს ემორჩილებოდა. ქარ-

თველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი აღწერს რა ფარნავაზ მეფის მიერ (III ს. ჩვ. ერაზდე) ქვეყნის საერისთავოებად დაყოფას, აღნიშნავს: „მეექუსე გაგზავნა ოძრჯის ერისთავად, და მისცა ტასისკარიდგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ზღუამდეს, რომელ არს სამცხე და აჭარა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24). ასევე ნახსენებია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან (იქვე, გვ. 319).

აჭარა ნახსენებია აგრეთვე „მატიანე ქართლისაში“ (იქვე, გვ. 251). ტბელი აბუსერიძის (1981, გვ. 10) ნაშრომში და სხვ. იგივე ლეონტი მროველი ჩანართ ტექსტში, რომელშიც ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლაზეა ლაპარაკი – „შვეიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგებად სახარებისა“ (იქვე, გვ. 39). აქ მეტად საინტერესო ფაქტია დაფიქსირებული – ჯერ ერთი ის, რომ I საუკუნეში (40-50-ანი წლები) უკვე დაიწყო საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება და, ამასთან, დასახელებულია „დიდ-აჭარა“. ვახტანგ შამილაძის (1993, გვ. 511) ვარაუდით, „გამორიცხული არაა სახელწოდება აჭარას ადრე არსებობის ფაქტიც, საიდანაც იგი უნდა ესარგებლა ანანია შირაქაცს“.

ამდენად, აჭარის სახელწოდების დადასტურება ადრეული პერიოდის სხვადასხვა ვარიაციებით არის ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში (აჭარა, დიდ-აჭარა, აჭარისწყალი და სხვ.).

სახელწოდება აჭარის წარმოშობაზე არსებობს ხალხური ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია, მაგრამ ყველა მათგანი გვიანდელი შექმნილია და სინამდვილესთან კავშირი არ აქვს, რაც სამართლიანად უარყო იური სიხარულიძემ (1958, გვ. 144), ზურაბ ჭუმბურიძემ (1982, გვ. 165) და სხვ. მეცნიერული ეტიმოლოგიური ახსნა სცადა მ. ჯანაშვილმა, ნ. აღონცმა, სიმონ ჯანაშიამ, პავლე ინგოროყვამ, გიორგი ჩიტაიამ, ო. ახვლედიანმა, ხარიტონ ახვლედიანმა, იური სიხარულიძემ, შ. ვარშანიძემ, ზურაბ ჭუმბურიძემ, გურამ ბელოშვილმა, ს. გოგიტიძემ და სხვ.

მოსე ჯანაშვილის (1894, გვ. 2-3) მიხედვით, სახელწოდება „აჭარა“ – „ჭა“ ფორმასთანაა დაკავშირებული და წყაროს, წყლის თუ საკუთრივ ჭის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული – ჭა—>ა-ჭარი—>აჭარა. ნ. აღონცი (1908, გვ. 26) აჭარის სახელწოდებას დასავლეთ საქართველოს სახელს – ეგრისს უკავშირებდა. აჭარა „გერ“//„ეგერია“ – ეერსიფიკაციულ ფორმას უნდა წარმოადგენდესო. ეს აზრი, სხვათა შორის ნიკო მარს ჰქონდა აღნიშნული, რომელიც აჭარას სატომო სახელწოდება „ეგერ“ თუ „ჭან“ ფორმასთან აკავშირებდა.

სიმონ ჯანაშია (1959, გვ. 120) სახელწოდება „აჭარის“ წარმოშობას აჭარა-გურიის საზღვართან მდებარე სოფელ „აჭის“ სახელს უკავშირებდა. „მდ. აჭყვას სათავესთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება აჭ-ს (სოფელია, ზემო და ქვემო), აქედან არის ნაწარმოებია ჭ—არა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სასტემას – აჭარის ქედი – და თვით ოლქსაც“.

პავლე ინგოროყვამ (1954, გვ. 138) სახელწოდება აჭარის წარმოშობა დაუკავშირა ტომობრივ ეტიმოლოგიას. მისი აზრით, აჭარა ამ გეოგრაფიულ ოლქში მობინადრე უძველესი ქართული ტომის – ჭანების სახელწოდებიდან უნდა მომდინაროდეს. ჭან-ეთ-ი და ა-ჭან-რა, რომლის სახელნაცვალი ფორმაა: ა-ჭარა“.

კიდევ მრავალი ავტორი შეხება ამ სახელწოდების წარმოშობას, მათგან უნდა გამოვიყოს იური სიხარულიძის (1958, გვ. 143-144) დაკვირვება. მისი აზრით, აჭარა ა-ა პრეფიქს-სუფიქსით წარმოებული სახელია. მისი ფუძე „ჭ“, მკვლევარის აზრით, იგივე ფუძისეული სახელი ჭ-ან-ეთ-ი (სატომო სახელი – ჭ-ან-ი). ეს ფუძისეული „ჭ“ კი ყოფილა მსგავს სახელწოდებაში და იგი წყალთან არის დაკავშირებული. ამიტომაც, ავტორი თვლის, რომ ტერმინი აჭარა მდ. აჭარის-წყლის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ ოლქზეც გავრცელდა და მდინარის ხეობაში მდებარე მიწა-წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ტერმინად იქცა.

მოგვიანო გამოკვლევაში, იგივე ავტორი რამდენიმე ვარიანტს მიუთითებს: „ჭარ“ ფუძე, რომელიც „ჭარ-ალი“ და „ჭარ-ნალი“-ს ფუძეებთან აიგივებს, ხოლო მეორე მხრივ, შლის „აჭ“ ძირად და „არ“ აფიქსად. ამასთან, „აჭ“ ძირი სხვა ფორმითაც შემონახულა (ა-ჭ-ი), (ტბელ აბუსერიძე, 1988, გვ. 47).

განსხვავებული ვარიანტები წამოაყენა შალვა ვარშანიძემ (1974, გვ. 17), რომელიც ამ გეოგრაფიული სახელწოდების წარმოშობას „ჭა-ლას“ უკავშირებს; შემდეგში კი მიემხრო იმ ავტორებს, რომლებიც „აჭარის“ სახელწოდების წარმოშობას „ჭარ“ ფუძეზე აღმოცენებულად თვლიან (ვარშანიძე, 1990, გვ. 13-19).

ტერმინ „ჭარის“ „ჭარ“ ფუძეზე განვითარების თავისებური ვერსია წამოაყენა ს. გოგიტიძემ (1990, გვ. 120-130), რომელსაც ფუძე „ჭარ“ სატომო სახელწოდებად მიაჩნია. ეთნოგრაფიული ჯგუფის – „აჭარელის“ სახელი გეოგრაფიული ტერმინის – აჭარისაგან უნდა მომდინარეობდეს, მსგავსად კოლხების, მესხების, ჯავახების, ქართუბის, ჭანების და სხვ. შესაძლებელია არსებულიყო „ჭარ“ ან მისი ტრანსფორმირებული სახეცვლილების მქონე სახელის მატარებელი ტომი, რომელსაც დაერთო „ა“ პრეფიქსი. ამ სავარაუდო ტომის რეალური არსებობისა და მისი ადგილსამყოფელის ძიების პროცესში ს. გოგიტიძე ყურადღებას ამახვილებს ძვ. წ. VI საუკუნიდან თანამედროვე აჭარასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ბიძერებზე (ბიზერებზე). სატომო სახელი ძერ, ზირ, ძარ..., რომლის ქართული ფორმაა ჭარ, ბერძნულში ჭ ბგერის უქონლობის გამო ძ, ზ-ითი გადმოიცემოდა და „ა“-„ა“ პრეფიქს-სუფიქსის დართვით გაფორმდა. ახ. წ. VII საუკუნიდან უკვე ჩნდება სახელწოდება „აჭარა“ და შესაბამისი ეთნოგრაფიული ჯგუფის მოსახლეობა. მკვლევარი (გოგიტიძე, 1994, გვ.28-29; 2002, გვ. 63,64) დაასკვნის, რომ აჭარლები სხვა არა არიან თუ არა, უბველესი ბიძერები/მიზერები, რომლებმაც გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში საფუძველი ჩაუყარეს იბერიულ პროვინციას – „აჭარა“.

გურამ ბელოშვილმა (2001, გვ. 60-61) სახელწოდება აჭარა წყალთან, სისველესთან დააკავშირა, რაც ჭარ სიტყვით უნდა იყოს ნაწარმოებიო.

ვ. შამილაძე (1993, გვ. 516) კი აღნიშნავს: ამ ეტაპზე ძნელია რომელიმე მოსაზრებას მივანიჭოთ შეუვალი მეცნიერული პრიორიტეტი...“

ა. ლორთქიფანიძე (1995) იზიარებს იური სიხარულიძისეული ეტიმოლოგიის პირველ ვერსიას. მართებულად მიაჩნია ტოპონიმების აჭარა და ჭანეთის ერთმანეთთან დაკავშირება, მაგრამ ძირეული მასალა ჭ არ უნდა უკავშირდებოდეს წყალს, რადგან მაშინ აღარ გვექნებოდა მდ. აჭარისწყალი. იგი ეთანხმება ი. სიხარულიძეს იმაშიც, რომ აჭარა პირველად მდინარეს (ხეობას) ეწოდა.

ავტორებს – მამია ფაღავასა და ნუგზარ მგელაძეს (2005, გვ. 12) მოჰყავთ მიხეილ ქამადაძის ხელნაწერი შრომის (1999) დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარა-ში ა-ა პრეფიქს-სუფიქსის გამოყოფა სადავო არ არის, რადგანაც სამეცნიერო ლიტერატურაში ა უძველეს პრეფიქსადაა მიჩნეული – „ამ ტოპონიმების (ჭალ, ჭარ, ჭოლ, ჭორ) ძირიანი ტოპონიმების ძირეული მორფემა ზოგადად წყლიანი, ნოტიო ადგილის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამდენად აჭარა-ს მნიშვნელობა უნდა იყოს წყლიან-ბალახიანი ნოტიო მხარე, წყალუხვი ქვეყანა“ (იქვე).

ბ. ფაღავას და ნ. მგელაძეს (2005, გვ. 12) მართებულად მიაჩნიათ ტოპონიმ აჭარა-ში გამოიყოს ა-ა პრეფიქს-სუფიქსი. ასევე მისაღებად მიაჩნიათ ჭარ ძირეული მასალის სემანტიკურად წყალთან დაკავშირება. იგივე ავტორები ჭოროხსა და მაჭახელასაც სემანტიკურად წყალს უკავშირებენ. აღნიშნული ხეობები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იყვნენ, სადაც ჩამოყალიბდა სამხრული მეტყველების ტიპი (ისტორიული მესხური დიალექტის ნაწილის), რომელიც შემდგომ დანაწევრდა რამდენიმე ტერიტორიულ დიალექტად (იქვე, გვ. 14).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აჭარის სახელწოდება სატომო სახელიდან არ უნდა მომდინარეობდეს, რამდენადაც ეს რეგიონი დიდ ტერიტორიას არ მოიცავდა. იგი უფრო წარმოშობილი უნდა იყოს იგივე ვარიანტით, როგორცაა შავშეთი, კოლა, თორი, სპერი... ბუნებრივი პირობებიდან. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ აჭარის სახელწოდება თავდაპირველად გაერცელებული იყო მდ. აჭარისწყალზე, რომლის აუზი კლასიკური ქვაბულია. მისი ტერიტორია სამი მხრიდან შემოსაზღვრულია საკმაოდ მაღალი ქედებით, რომლის მეოთხე ვიწრო გასასვლელი მდინარის დინებას უჭირავს. განსაკუთრებით, შავშეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე დამახასიათებელია მნიშვნელოვან სიმაღლეზე მდებარე ეროზიული საფეხურების არსებობა. ასეთი მოვაკებული მოედნები ხშირად მეორე თანრიგის ქედებსა და მათი ტოტების თხემზეა განლაგებული. ქვაბულის ტერიტორიაზე ნალექების რაოდენობა 1000-1200 მმ-ია და გეოლოგიური აღნაგობა – ტუფოგენური ქანების წყებებია, რომლებიც ფიქლოვან ქანებთან მორიგეობენ და მიდრეკილებას იჩენენ დამეწყვრისაკენ. ამიტომაც, თანადროული და ძველი მეწყრები ფართოდაა გავრცელებული მდ. აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ხეობათა ბევრ მონაკვეთზე (მარუაშვილი, 1970, გვ. 270-274).

ძველი მეწყრების შესახებ ისტორიულ წყაროებში ჯერ კიდევ XIV საუკუნის მემატიანის მიერაა აღწერილი ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით: „და ვითარ მისჭირდა თევუდარს, იელტოდა უცნაურად, რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისწყევით, რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან, და არა დასაჯერებელ არს კაცთაგან, უკეთუ ვისმე ეხილნეს მთანი იგი რომელ წარვლნეს, რამეთუ ყოვლად შესაძრწუნებელ არს სლვა კაცისა, არა თუ ცხენისა, პირველ სიმყაფრითა (ციცაბო მდებარეობითა – კ.ხ.) და მერმე ტყისა სიჭშირითა და შქერთა და ეკალთა, რომელსა ბერწუმალ ეწოდების, განრთხმული ბრძღუამლითა (ველური ყურძენი – კ.ხ.), რომელი ნადირთაგანცა უვალ იყო ადგილი, რომელი შთავლეს. და იქმნა ესეცა, რომელ გან-



ვლეს ტყესა ერთსა, ქვეშეთ კლდიანსა და ზედათ მიწისა მცირისა მქონებელსა, და ზედა მოშენებულ იყო ტყე; გაღმართ განმავალთა წარუსქლა მთა იგი, ვითარცა ზვაგი თოვლისა...“ (ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 260-261).

მდ. აჭარისწყლის ხეობა ძველიდანვე მეწყრული პროცესების საკმაოდ მძლავრი კერა ყოფილა, რაც მხოლოდ ერთმა მემატიანემ შემოგვინახა, მაგრამ მისი ბუნებრივი პირობების თავისებურება ცხადყოფს, რომ ისტორიულ წყაროს მონათხრობში არაფერია გადაჭარბებული, მით უმეტესს, ეს რეგიონი დღესაც გამოირჩევა მეწყრული პროცესებით, რაც რელიფის თავისებურებებთან ერთად უხვი ნალექებით არის გამოწვეული.

ამდენად, სახელწოდება აჭარა მიგვაჩნია ბუნებრივი პირობების ტერმინის მიხედვით შერქმეულ სახელწოდებად – „ჭა“-სთან (ქვაბული) დაკავშირებული. ჩვენც მიგვაჩნია, რომ „ა“ ადგილის მიმანიშნებელი პრეფიქსია, ისე როგორც „სა“, ხოლო სუფიქსი უნდა იყოს „არ“. ისიც არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად ა-ჭა-არ-ა ყოფილიყო და შემდეგ ერთი ა დაიკარგა (ხარაძე, 2015).

## შიგა აჭარის ტოპონიმია

აჭარა უძველესი პერიოდიდან საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მისი ტერიტორიის ტოპონიმია საერთო ქართველური ენების მიხედვით არის წარმოშობილი. ამ მხრივ, ყურადსაღებია შიგა აჭარის ტერიტორია, სადაც მიგრაციული პროცესები ნაკლებად ხდებოდა და ტოპონიმის უძველესი ფონდი ძირითადად შენარჩუნებულ იქნა. მიუხედავად ამისა, თითქმის სამი საუკუნე ეს რეგიონი თურქეთის შემადგენლობაში იყო, რამაც ცხადია, თავისებური კვალი დაამჩნია მოსახლეობის მეტყველებას. ენის თურქული ლექსიკა აისახა ადგილობრივ ტო-

266

პონიშიაშიც. ეს სახელწოდებები გვხვდება როგორც მარტივ, ისე ნაერთ კომპოზიტების (ქართულ-თურქული, თურქულ-ქართული) სახით. შიგა აჭარაში თურქული ლექსიკით გაფორმებულ სახელწოდებებში, ეს სიტყვები უმთავრესად გამოყენებულია მიკროტოპონიშიაში და მთელს ნომინაციაში უმნიშვნელო პროცენტი უკავია.

ისიც ნიშანდობლივია, რომ შიგა აჭარის ტოპონიმები რაოდენობის, სახეობისა და ენობრივი წარმოშობით, გაცილებით ჭარბობს ზღვისპირა დაბლობი რაიონების ტოპონიმიას. ამის მიზეზი ძირითადად ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება და მოსახლეობის მდგრადობაა.

შიგა აჭარის, მდ. აჭარისწყლის აუზის ტოპონიშია აღწერილი აქვთ იური სიხარულიძეს (1958) და მიხეილ ქამადაძეს (1992). იური სიხარულიძის მიერ ორ წიგნში (1958, 1959) მთელი აჭარის ტოპონიშია აღწერილი, ხოლო მიხეილ ქამადაძემ გამოსცა ზემო აჭარის ტოპონიშია (ხულოსა და შუახევის რაიონები), რომელშიც შესულია ცხრა ათასი აღწერილი ერთეული.

მდ. აჭარისწყლის აუზის სოფლების განლაგების ძირითადი ზონა ხეობებია; მოსახლეობის განსახლებისათვის ბუნებრივი პირობები არ იძლევა დიდ გასაქანს; ამასთან, რეგიონის ქვაბულში მდებარეობის გამო არასოდეს ყოფილა მის ტერიტორიაზე ცენტრალური გზები. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ შიგა აჭარის ტერიტორიის დასახლებული პუნქტები ნაკლებ ყურადღების ცენტრში იყო აღრინდელ ქართულ და უცხოურ წყაროებში. იშვიათი გამონაკლისის გარდა შიგა აჭარის გეოგრაფიული სახელწოდებები ნაკლებად ან სრულიად არ იხსენიება ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში. ამიტომაც ქრონოლოგიურად ძალზე ძნელია ვიმსჯელოთ აჭარის ცალკეული ტოპონიმების ცვალებადობაზე. მით უმეტეს, ძველ პერიოდებზე. ერთი კი ნათელია, აჭარის გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობა და განვითარება არაფრით განსხვავდება საქართველოს დანარჩენი რეგიონების ტოპონიმებისაგან.

აჭარის ტოპონიმიში გაბატონებული ადგილი ქართული წარმოშობის სახელწოდებებს უკავიათ. ეს უფრო იმით არის გამოწვეული, რომ აჭარის, და განსაკუთრებით შიგა აჭარის მოსახლეობის მიგრაცია ნაკლებად ხდებოდა; ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე უძველესი პერიოდიდან ქართული მოსახლეობა იყო განსახლებული და ბუნებრივია, გეოგრაფიული სახელწოდებებიც ქართულ სიტყვებს ემორჩილებოდა. ამასთან, შიგა აჭარაშიც გვხვდება ქართველური ენების მიხედვით წარმოებული გეოგრაფიული სახელწოდებები, კერძოდ, ჭანურ-მეგრული ტოპონიმები. ეს დაკავშირებული იყო ამ მხარეში როგორც ჭანური მოსახლეობის გავრცელებაზე, ისე მეტყველებაში ხმარებული ჭანური ტერმინებისა. ტოპონიმიკურ მონაცემებზე დაკვირვებამ ნიკო მარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ აჭარა-გურია და იმერეთი ერთ დროს მეგრულ-ჭანურ ენებზე მოლაპარაკე ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ჭანური დიალექტის კვალი აჭარის მთელ რეგიონშია გავრცელებული, განსაკუთრებით მდ. აჭარისწყლის ხეობასა და ზღვის სანაპირო უბნებში. მიუხედავად ამისა, ამჟამად მათი რაოდენობა მთელი ტოპონიმიის მხოლოდ ერთ პროცენტამდეა. ეს უმთავრესად გამოწვეულია გვიან შუასაუკუნეებში აჭარაში თურქთა ბატონობის შედეგად, რომლის დროსაც მხარის ტოპონიმი ძლიერ გარდაიქმნა.

ქართველური ენების მიხედვით წარმოშობილი ტოპონიმების გარკვეული ნაწილი შეიცვალა უმთავრესად თურქული წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებებით.

გვიან შუასაუკუნეებიდან მოყოლებული შიგა აჭარის მაკრო და საკუთრივ ტოპონიმების გავრცელებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თურქული წყაროები, ხოლო XIX საუკუნეში რიგი კარტოგრაფიული მასალები. რაც შეეხება მიკროტოპონიმიას, ისინი გადმოცემით არის შენარჩუნებული და მათი ცვალებადობა მხოლოდ ლინგვისტურ კვლევაზეა დამყარებული. ობიექტთა რაობის მიხედვით აჭარის ტოპონიმთა დღევანდელი სახე შემდეგნაირად ჩამოყალიბდა, რისთვისაც ვიძლევიტ ცალკეული ხეობების მიხედვით ტოპონიმთა განხილვას.

## ლიტერატურა

აბუსერიძე ტბელი. ლევან მუსხელიშვილის რედაქციით და გამოკვლევით. თბ., 1941.

ბელოშვილი გ. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 2001.

გვოიტიძე ს. აჭარის ეტიმოლოგია და ბიძერების ტომის საკითხი. – ჟურნ. ჭოროხი, 1990, №1,

გოგიტიძე ს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.). ბათუმი, 2002

ვარშანიძე შ. აჭარა ანტიკური ხანიდან ერთიანი მონარქიის წარმოქმნამდე. ბათუმი, 1990.

ვარშანიძე შ. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის იისტორიიდან. ბათუმი, 1974.

ზარდალიშვილი ვრ. ქართული საგზაო ტერმინები და მათი ასახვა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. – საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XIII. თბ., 1975.

გეორგიკა, IV, 2. თბ., 1985.

ინგოროყვა პ. ვიორგი მერჩულე. თბ., 1954.

მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. II. თბ., 1970.

საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი, 1882.

სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია (აჭარის ასსრ), წიგნი I. ბათუმი, 1958.

სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია (აჭარის ასსრ), წიგნი II. ბათუმი, 1959.

ფალავა მ., მგელაძე ნ. აჭარა, მაჭახელი, ჭოროხი – ეტიმოლოგიის ცდა. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. საელმწიფო უნივერსიტეტის შრომები VII (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი, 2005.

ქამადაძე შ. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა VIII, ზემო აჭარულის ტოპონიმია. თბ., 1992.

ქართლის ცხოვრება I. თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება II. თბ., 1959.

შამილაძე ვ. აჭარის ადმინისტრაციული გეოგრაფიული ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის. წიგნში, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993.

ჭუმბურიძე ზ. რა გქვია შენ? თბ., 1982.

ხარაძე კ. აჭარის ისტორიული გზები და მიმოსვლის საშუალებანი. – გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები. საერთაშორისო კონფერენციის მასალები ეძღვნება აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავს. თბ., 2015.

ჯანაშია ს. შრომები III. თბ., 1959.

Адонц Н. Армения в эпоху Юстиняна. М., 1908.

Анания Ширакаци. Армянская география VII в. под редакцией К. Патканова. СПб., 1877.

Джанашвили М. Абхазия и Абхазцы. – ЗКОРГО, кн. XIII, Тифлис, 1894.

წიგნიდან - „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. აჭარა, თბ., 2017, გვ. 107-130

## იმერეთის ტოპონიმია

საქართველოს, მათ შორის იმერეთის ტოპონიმის ასახვა ძველი პერიოდიდან მომდირაუბდა ქართველ თუ უცხოელ მოგზაურ-გეოგრაფების მიერ, მაგრამ ამ საქმის სერიოზულ დასაწყისად ვახუშტი ბაგრატიონის შრომები უნდა ჩაითვალოს. შემდგომში მნიშვნელოვან ეტაპად რუსების მიერ ჩატარებული აგეგმვები (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ). ტოპონიმის მეცნიერული შესწავლა ქართველი მკვლევარების მიერ ამავე პერიოდში ხდებოდა. მათ შორის რაფიელ ერისთავის, მოსე ჯანაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის და სხვათა მიერ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა წლები, როცა კონკრეტულ კვლევები ხდებოდა ტოპონიმთა შესასწავლად. მიუხედავად ამისა, XX საუკუნეში ასობით გეოგრაფიული სახელწოდება შეიცვალა და გადაკეთდა. საბჭოთა წლებში დაფიქსირებული 3 ათასამდე ტოპონიმის ცვალებადობა. ეს ცვლილებები დაფიქსირებულია ქართულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ყველაზე მეტი ცვლილება დაფიქსირებულია დუშეთის, ახმეტის, ყაზბეგის, ამბროლაურის, ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (შესაბამისად 157, 103 და 157, 111, 227). როგორც ჩანს, პირველ ადგილზეა ცაგერის მუნიციპალის ტერიტორია, სადაც ყველზე მეტად გამოვლინებულია შეცვლილი ტოპონიმები. ეს გამოწვეულია იმით, რომ ეს რეგიონი დაწვრილებით არის გამოკვლეული სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მიერ. რაც შეეხება იმერეთს, აქ, ყველაზე მეტი ცვლილება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა ფიქსირებული (84), ასევეა ტყიბულის (73), თერჯოლის (57) მუნიციპალიტეტები; ცხაღია, დასახლებულ რაოდენობაში მარტო დასახლებულ პუნქტების სახელები არ შედის. აქ არის – მდინარეების, ქედების, მწვერვალები, მღვიმეების და სხვათა სახელწოდებები.

იმერეთის სახელწოდება და მისი შემადგენელი ძველი მხარეების გეოგრაფიული სახელწოდებები თითქმის ყველა ქართული წარმოშობისაა, რომელთაც ცვლილებები ნაკლებად შეხებია. როგორც მაკრო, ისე საკუთრივ და მიკროტოპონიმები დღემდე თითქმის გარდაქმნილი არ არის. თვით ანტიკური პერიოდის უცხოელი ავტორების მიერ დასახელებული ტოპონიმები ამჟამადაც ხმარებაშია. ამ მხრივ, აღსანიშნავია ოიკონიმები (დასახლებული პუნქტების სახელები), ორონიმები (რელიეფის ფორმათა სახელები), ჰიდრონიმები (მდინარეების, ტბების) და სხვ. ასეთივე მდგომარეობაა მიკროტოპონიმიაშიც.

იმერეთის ამჟამინდელი დასახლებული პუნქტების 550-მდე სახელწოდებების თითქმის ორი მესამედი სუფიქსებითაა (ეთ, ათ, ევ, ურ, ის და სხვ.) ნაწარმოები. შედარებით მცირეა პრეფიქს-სუფიქსით (სა-ო, სა-ე, ნა-ევ, და სხვ.) ნაწარმოები სახელები. საკმაო გავრცელება აქვს მარტივი, რთული და ანტონიმური წარმოშობის სახელწოდებებს. ტოპონიმების ძირითადი ნაწილი ბუნებრივი პირობების მიხედვითაა შერქმეული. ტოპონიმთა უმრავლესობა გამჭვირვალეა და კარგად ჩანს მისი წარმოშობის პირობები.

თვით სახელწოდება იმერეთი წარმოებულია „იმიერ“, „იმერ“ სიტყვისაგან, რაც ნიშნავს იქეთა, იქეთ მხარეს, ე.ი. ლიხის ქედს იქეთა მხარე. თავდაპირველად ლიხის ქედს გადაღმა მხარეს, ანუ აღმოსავლეთ საქართველოდან იქეთა, იმიერ მხარეს იმერეთი ეწოდებოდა. საკუთრივ იმერეთი კი უფრო გვიან წარმოიშვა, რომელიც ძველი ქართული პროვინციების (არგვეთი, ოკრიბა, ვაკე, სამოქალაქო და სხვ.) ეწოდა. ზოლო მოგვიანებით შეიქმნა იმერეთის სამეფო. იმერეთი მიღებულია ეთ ადგილის მიმანიშნებელი სუფიქსით (იმერ-ეთ-ი).

იმერეთის ტოპონიმია მრავალფეროვანია; საყურადღებოა მათი წარმოშობა და ქრონოლოგიური ზღვრები რაც მდიდარ მასალას იძლევა მთელი რიგი საკითხების გასარკვევად. ბევრი მათგანი გამჭვირვალე სახელწოდებებია და ამკარად ჩანს შერქმევის პირობები. მაგრამ არის სახელწოდებები, რომლებმაც ღროთა განმავლობაში ცვლილებები


განიცადეს და ლინგვისტური კვლევაა საჭირო მათი პირვანდელი სახის აღდგენისათვის. ყველა სახელწოდებას თავისი დატვირთვა, შინაარსი გააჩნია და შერქმეულია რომელიმე პიროვნების, ბუნებრივი პირობების დამახასიათებელი ნიშნების, ისტორიული მოვლენების და სხვათა მიხედვით, რაც აცოცხლებს ამ ადგილის ისტორიას. მართალია, დიდი ხანია ის პიროვნება აღარ არის, რომლის მიხედვით შეერქვა სახელი რომელიმე ადგილს, ან შეიცვალა ადგილისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი პირობები, მაგრამ მათ ნაშთად შემორჩა ეს სახელწოდებები. ცხადია, ისინი ქართული წარმოშობისაა, შემადგენლობით მარტივი, ნაერთი კომპოზიტების სახით და სხვ. ტოპონიმთა საკმაო ნაწილი ნაწარმოებია აფიქსების დართვით. ნაწილი სუფიქსებითაა გაფორმებული, ან პრეფიქს-სუფიქსებით. ტოპონიმთა დიდი ნაწილი რთული სახელებია.

გეოგრაფიული სახელწოდებები მრავლად არის ბუნებრივი პირობების მიხედვით შერქმეული და ასახავს ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. სახელწოდებების ეს ჯგუფი უძველესი პერიოდიდან არის შერქმეული, რამდენადაც ადამიანი დასაბამიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან და საცხოვრებელ ტერიტორიაზე ადგილების სახელებს, უპირველესად, მისი ბუნებრივი პირობების მიხედვით არქმევდა. გარდა ამისა, გვხვდება ანთროპოტოპონიმები (ადამიანის გეარსახელებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები).





საქართველოს ოიკონიშების (დასახლებული პუნქტების) განლაგების რუკა



- ოდენ გვარ-სახელი ●
- გვარი - ძე, ძე+ებ, ძე+ნ+ებ ⊕
- გვარი - შვილი, შვილი+ებ ⊕
- მსახდგრელ-სახდგრული ●
- წმინდა სახელებისაგან ნაწარმოები ⊕
- ს უ მ ი ქ ს ე ბ ი
- ურსულ ●
- ურ+ებ|სულ+ებ, ულ+ებ, ურ+თა, ულ+ნი ⊕

- თელილუღ ⊕
- თა, ით, ათ ●
- თა+ურ ⊕
- ან, ან+ებ ⊕
- ათ+ებ, ეთ+ებ ⊕
- ელ ●
- ის ⊕
- იმ, ემ, ან ●

- ბრფოქს-სუფოქსი
- სა-ა, სა-თ, სა-თა, სა-ურ ●
- ნა-თ, ნა-ურ, ნა-თი ●
- ლუ-თ ●
- დაბოლები ი, ა, თ, თ ●
- მრავლობითის დაბოლება  
ლა
- ნი, ებ ⊕
- არაქარაფლი გვარ-სახელები ●



მუნიციპალიტეტი	მუნიციპ-ის ფართობი კვადრატული კმ	შეცვლილი ტიპონიმე- ბი 1921-1990 წწ.
ვანის	557	22
ზესტაფონის	423,7	35
თერჯოლის	357,4	57
ბაღდათის	615,4	23
ხარაგაულის	913,9	32
სამტრედიის	364,1	18
საჩხერის	768,5	30
ტყიბულის	473,7	73
წყალტუბოს	707,6	29
ხონის	428,5	19
ჭიათურის	537,2	84
ქუთაისის	–	8

იმერეთის ტერიტორიაზე, XX საუკუნეში, საბჭოთა წლებში ტოპონიმთა ნაწილს შეეცვალა ან დაერქვა უსახელო ობიექტებს ახალი სახელები.

მათ შორის მუნიციპალიტეტების ტერიტორებზე ცხრილის სახით შემდეგნაირად წარმოგიდგება.

საუკუნის მიწურულს ზოგ მათგანს აღუდგა სახელლი. მათ შორის დასახლებულ პუნქტებს წულუკიძე – ხონი, მაიაკოვსკი – ბაღდათი, ორჯონიკიძე – ხარაგაული. ახალი სახელები დაერქვა მღვიმეებს, მღვიმეთა დარბაზებს და სხვ.

## ბუნებრივი პირობების ცვალებადობის ამსახველი ტოპონიმია იმერეთში

რეზიუმე: სტატიაში განხილულია იმერეთის მრავალფეროვანი ტოპონიმების ცვალებადობა ისტორიულ პერიოდში. ლიტერატურული და ისტორიული წყაროების შეჯერების საფუძველზე დადგენილია იმერეთის ტერიტორიაზე ბუნებრივი პირობების ცვალებადობის ამსახველი ათეულობით ტოპონიმი. საერთოდ, ტოპონიმების წარმოშობა და განვითარება რთული პროცესია, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო; მისი რელიეფი, კლიმატი, ჰიდროგრაფია, ნიადაგები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო და მისი ლანდშაფტი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ცხადია, ასეთი მრავალგვარი ბუნებრივი პირობების ქვეყანაში ტოპონიმებიც მრავალმხრივი და თავისებური ჩამოყალიბდა.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმი, ბუნებრივი პირობები, იმერეთი, ობიექტი.

### შესავალი

ტოპონიმია ქვეყნის სახეს გვიჩვენებს, რომელშიც არეკლილია ბუნებისა და მოსახლეობის თანადროული სურათი და ისტორიული განვითარება. ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს, რომელშიც უმთავრესად კონკრეტული შინაარსი იყო მოცემული. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ობიექტის სახელწოდების შერქმევის პროცესს გააზრებულად და მოტივირებულად უდგებოდნენ. სწორედ ამიტომ სახელწოდებათა დიდ ნაწილში

ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისათვის დამახასიათებელი შინაარსი აისახა. თუმცა, წლების და საუკუნეების განმავლობაში ეს პირობები გარკვეული მიზეზების გამო შეიცვალა, გარდაიქმნა, ხოლო გეოგრაფიული სახელწოდებები უმეტესად უცვლელი დარჩა. ამასთან, ზოგი სახელწოდება ამ გარდაქმნისა და შეცვლის შედეგად წარმოიშვა. ასე მივიღეთ საქართველოსა და მათ შორის, იმერეთის ტერიტორიაზე ტოპონიმთა ერთობლიობა, რომელმაც რთული და ხანგრძლივი გზა განვლო.

### ძირითადი ნაწილი

საქართველოს, მათ შორის იმერეთის ტოპონიმების ასახვა ძველი პერიოდიდან მომდინარეობდა ქართველ თუ უცხოელ მოგზაურ-გეოგრაფების მიერ, მაგრამ ამ საქმის სერიოზულ დასაწყისად ვახუშტი ბაგრატიონის შრომები უნდა ჩათვალოს. შემდგომში მნიშვნელოვან ეტაპად რუსების მიერ ჩატარებული აგეგმვები (XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი უნდა მივიჩნიოთ).

გეოგრაფიული სახელწოდებები მრავლად არის ბუნებრივი პირობების მიხედვით შერქმეული და ასახავს ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. სახელწოდებების ეს ჯგუფი უძველესი პერიოდიდან არის შერქმეული, რამდენადაც ადამიანი დასაბამიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან და საცხოვრებელ ტერიტორიაზე ადგილების სახელებს, უპირველესად, მისი ბუნებრივი პირობების მიხედვით არქმევდა. გარდა ამისა, გვხვდება ანთროპოტოპონიმები (ადამიანის გვარსახელებისაგან ნაწარმოები ტოპონიმები).

XX საუკუნეში ასობით გეოგრაფიული სახელწოდება შეიცვალა და გადაკეთდა. საბჭოთა წლებში დაფიქსირებული 3 ათასამდე ტოპონიმის ცვალებადობა. ეს ცვლილებები აღინიშნა ქართულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. რაც შეეხება იმერეთს, აქაც, საბჭოთა

წლებში ტოპონიმთა ნაწილს შეეცვალა ან დაერქვა უსახელო ობიექტებს ახალი სახელები. ყველაზე მეტი ცვლილება ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა ფიქსირებული (84), ასევეა ტყიბულის (73), თერჯოლის (57) მუნიციპალიტეტები, ცხადია, დასახლებულ რაოდენობაში მარტო დასახლებული პუნქტების სახელები არ შედის. აქ არის – მდინარეების, ქედების, მწვერვალები, მღვიმეების და სხვათა სახელწოდებები.

მათ შორის, მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ცხრილის სახით შემდგენიარად წარმოგვიდგება;

მუნიციპალიტეტი	მუნიციპ-ის ფართობი კვადრატული კმ	შეცვლილი ტიპონიმები 1921-1990 წწ.
ვანის	557	22
ზესტაფონის	423,7	35
თერჯოლის	357,4	57
ბაღდათის	615,4	23
ხარაგაულის	913,9	32
სამტრედიის	364,1	18
საჩხერის	768,5	30
ტყიბულის	473,7	73
წყალტუბოს	707,6	29
ზონის	428,5	19
ჭიათურის	537,2	84
ქუთაისის საქ. ტერ.	–	8

საუკუნის მიწურულს ზოგ მათგანს აღუდგა სახელი. მათ შორის დასახლებულ პუნქტებს წულუკიძე – ზონი, მაიაკოვსკი – ბაღ-

დათი, ორჯონიკიძე — ხარაგაული. ახალი სახელები დაერქვა მღვიმე-  
მბს, მღვიმეთა დარბაზებს და სხვ.

როგორც აღინიშნა, ტოპონიმები ხშირად წარმოიშობა ობიექტის  
დამახასიათებელი ნიშნების ასახვის საფუძველზე. ასეა შერქმეული უძ-  
ველესი პერიოდიდან უმეტესი მათგანი, რამდენადაც თვით ადამიანი  
მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსთან. ასეთი სახელწოდებები  
მრავლადაა იმერეთში, რომელთა ჩამოთვლაც შეუძლებელია, მაგრამ  
ორიოდე მაგალითს მინც ავლნიშნავთ; ტოპონიმი „წყალტუბო“ მიუთი-  
თებს მაღალი ტემპერატურის მქონე წყაროებზე, „გორი“ გორაკის არ-  
სებობაზე, „წაბლოვანი“ მცენარე წაბლის გავრცელებაზე, „კლდე“  
კლდიანობაზე, საირმე ირმების არსებობაზე და სხვ. ამასთან, საკმაო  
რაოდენობით არის ისეთი ტოპონიმები, რომელთა მნიშვნელობა ამჟა-  
მად არ შეესაბამება ობიექტს. ამგვარი სახელების გაჩენა უნდა აიხ-  
სნას იმით, რომ ისინი თავდაპირველად გამართლებული იყო ობიექტის  
ნიშანთვისებებით და მხოლოდ შემდგომში ეს უკანასკნელი გარდაიქმნა  
(დელტასუბანი, ვარდიგორა, კოპიტნარი, მუხიანი, რცხილათი, ცუცხ-  
ვათი, საირმე და სხვ.), ტოპონიმი კი ტრადიციით შემოინახა. ასეთი  
გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლას შეუძლია რიგ შემთხვევა-  
ში მიგვიყვანოს პალეოგეოგრაფიულ (უძველესი დროის გეოგრაფია)  
და ისტორიულ გეოგრაფიულ დასკვნებთან — რეგიონის ბუნებრივი პი-  
რობების იმ ცვალებადობათა დადგენასთან, რომელთაც ადგილი ჰქონდა  
ისტორიულ წარსულში (ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი 1000-1500  
წლის განმავლობაში).

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასეთი სახე-  
ლების გამოვლენაში სიფრთხილეა საჭირო. ტოპონიმთა თავდაპირველი  
გააზრება ზოგჯერ გაურკვეველია, სადავოა. ცხოველების სახელები  
ზოგ გეოგრაფიულ ობიექტს დარქმეული აქვს არა როგორც ადგილობ-  
რივი ფაუნის წარმომადგენელზე მითითება, არამედ როგორც ხატოვანი  
გამოთქმა, ადამიანის სახელის ან გვარის აღნიშვნა და ასე შემდეგ.  
ასეთია „ღვეი“ — ღვეის ტბა, ღვეისხერელი და სხვ. გადატანითი, მე-



ტაფორული სიტყვებისაგან არს ნაწარმოები ისეთი ტოპონიმები, როგორცაა კაკაბაური, მწყერისციხე, ნიკორაული, საბუეთი, სამგლეგორა, მამლისმთა, ქორეთი, ცხენისწყალი და სხვ. ზოგიერთი ცხოველის აღმნიშვნელი ტერმინები ხშირად აღამიანთა სახელებად ან გვარის ძირად იხმარება.

ტოპონიმების პალეოგეოგრაფიული ინტერპრეტაციის სიძნელეს ჰქმნის აგრეთვე თანადროული მიკროლანდშაფტის სუსტი შესწავლილობა (ობიექტების დღევანდელი მდგომარეობის აღურიცხველობა), რიგი ძველი სახელწოდებების დამახინჯებული გადმოცემა ხალხის მიერ ან აგეგმვა-აღწერისას ადგილობრივი ენა-კილოკავთა უცოდინარი ტოპოგრაფებისა და მკვლევარების მიერ; ადრეულ პერიოდში მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული რუკების მოსპობა, რის შედეგადაც დაიკარგა მრავალი სოფლის თუ ნასოფლარის, ციხის თუ საყდრის ან სხვა ობიექტის ტრადიციული სახელწოდება და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი დაბრკოლებას უქმნის დასახული ამოცანის გადაწყვეტას; ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ტიპის ტოპონიმების მოპოვებას თანადროული (ცოცხალი), ისევე ძველ (მკვდარი) ტოპონიმიაშიც.

იმერეთისა და მისი შემადგენელი ძველი მხარეების გეოგრაფიული სახელწოდებები თითქმის ყველა ქართული წარმოშობისაა, რომელთაც ცვლილებები ნაკლებად შეხებია. როგორც მაკრო, ისე საკუთრივ და მიკროტოპონიმები დღემდე თითქმის გარდაქმნილი არ არის. თვით ანტიკური პერიოდის უცხოელი ავტორების მიერ დასახელებული ტოპონიმები ამჟამადაც ხმარებაშია. ამ მხრივ, აღსანიშნავია ოიკონიმები (დასახლებული პუნქტების სახელები), ორონიმები (რელიეფის ფორმათა სახელები), ჰიდრონიმები (მდინარეების, ტბების) და სხვ. ასეთივე მდგომარეობაა მიკროტოპონიმიაშიც.

იმერეთის ამჟამინდელი დასახლებული პუნქტების 550-მდე სახელწოდებების ძირითადი ნაწილი ბუნებრივი პირობების მიხედვითაა შერქმეული.



ხდება რელიეფის გარდაქმნა (მიწისძვრები, მეწყერები, კლდეზვავები, ღვარცოფები და სხვ.); ამის გამო ხშირად ობიექტი წინანდელ სახელის შინაარსს ვეღარ ამართლებს.

რელიეფისა და გეოლოგიური აღნაგობის მიხედვით შერქმეული ტოპონიმები გვხვდება სხვადასხვა ობიექტების მიმართ; კერძოდ, დასახლებული პუნქტების, უბნების, მდინარეების, ტბების, ვაკეების, ქედების, მთების, უღელტეხილების, მღვიმეების და სხვათა სახელებად. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იგივე სახელწოდება მიკუთვნებული აქვს განსხვავებულ ობიექტს. ქვემოთ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს თითოეულ ტერმინთან ხმარებაში.

ტერმინ გორასთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები – გორაძირი, გორისა, გორმაღალი, ვარდიგორა, ზედა გორა, ქვედა გორა და სხვ. მთების – გორმაღალი, ლამაზი გორა, მდინარეების – გორთულა, გორნები, გორტანელა და სხვ.

კლდესთან დაკავშირებული სახელწოდებები ჰქვია: ქვედა კლდეეთი, ბნელაკლდე, გვარჯილას კლდე და სხვ.

ჭალასთან დაკავშირებული სახელები – დასახლებულ პუნქტებს – ვანისჭალა, ვერტყვიჭალა, ზედა ჭალოვანი, ჭალასთავი, ჭალატყვი, ჭალოვანი და სხვ. მდინარეს – ჭალა და სხვ.

ვაკესთან დაკავშირებული სახელები – ვაკევისა, ვაკისა და სხვ.

ველთან დაკავშირებული სახელები – დიდველა და სხვ.

მთასთან დაკავშირებული სახელები – მთისძირი, მთისჭალა და სხვ.

ზეგანთან დაკავშირებული სახელები – ზედა ზეგანი, ქვედა ზეგანი და სხვ.

მღვიმესთან დაკავშირებული სახელები – მღვიმევი, მალარა და სხვ.

მერესთან დაკავშირებული სახელები – მერევი და სხვ.

ქელთან დაკავშირებული სახელები – მუქელი, ლუღუმექელი, შიმშილაქელი და სხვ.

დელტასთან დაკავშირებული სახელები — დელტასუბანი და სხვ. ფონთან დაკავშირებული სახელები შორაპანი, ზესტაფონი, მიქელფონი, ფონა და სხვ.

გარდა ამისა, ქართული გეოგრაფიული სახელების წარმოშობა დაკავშირებულია სხვა ტერმინებთან — სერი, თხემი და სხვ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ რელიეფთან დაკავშირებული ტერმინებისაგან ნაწარმოები სახელები გაცილებით მეტია მიკროტოპონიმი-აში — სათიბი, საძოვარი, ტყე, ღელე, ნასახლარი, საკარმიდამო, გორი, კუთხე, ბალი, პლანტაცია, ყანა, ბუჩქნარი და სხვ., მაშინ ასეთი ტოპონიმების რიცხვი ათასეულებს გადააჭარბებს.

შედარებით სუსტად ცვალებადობს ისტორიულ წარსულში ნიადაგსაბურველი და კლიმატი; ამასთან, ამ კომპონენტების დახასიათება არცთუ ისე ხშირად გამოიყენებოდა ტოპონიმების საფუძვლად, რის გამოც მათი ცვალებადობის დამმოწმებელი სახელწოდებებიც უმნიშვნელო რაოდენობითაა.

კლიმატთან დაკავშირებული ტოპონიმებია — გრივალათი, ორპირი, საქარიქელი, ჩრდილი, საქარა და სხვ.

ნიადაგსაბურველის მიხედვით შერქმეული სახელწოდებები — დიხაშხო (შავი მიწა), ეწერი, ეწერ-ტობანიერი, მეორე ეწერბაში, პატარა ეწერი, ეწერბაში, ქვედა ეწერი, ჩხარიეწერი და სხვ.

განსახილველი ტოპონიმების უმეტესი ნაწილი არეკლავს სამი ბუნებრივი კომპონენტის — ჰიდროგრაფიული ქსელის, მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს ცვალებადობას, ვინაიდან ეს კომპონენტები მოკლე ქრონოლოგიურ მონაკვეთებშიც არსებითს გარდაქმნას განიცდიდნენ და, გარდა ამისა, ისინი ხშირად ედებოდა საფუძვლად გეოგრაფიულ სახელწოდებებს.

ტოპონიმების ანალიზის საფუძველზე დადგენილი, ლანდშაფტის ელემენტების — ჰიდროგრაფიული ობიექტების, მცენარეების, ცხოველების, — ადგილსამყოფელების უმრავლესობა კანონზომიერად თავსდება ამ მეცნიერულად დადგენილ არეალებში და, ამრიგად, მოულოდ-

ნელს არაფერს შეიცავს, მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია, როგორც კონკრეტული მასალა ისტორიული წარსულის ბუნებრივი პირობების დეტალური რეკონსტრუქციისათვის. ამასთან ერთად, არის ისეთი ტოპონიმები, რომლებიც რამდენაღმე ავსებენ, ცვლიან დაკანონებულ შეხედულებებს.

ამ სახის ტოპონიმია საკმაოდაა, ხოლო მათი საერთო რაოდენობა მიკროტოპონიმისთან ერთად გაცილებით იზრდება. ცხადია, საერთო რაოდენობა რამდენიმე ათასეულს აღრიცხავს. აქვე დავასახელებთ ზოგიერთ ტოპონიმს, რომლებიც ამ კომპონენტებთან არიან დაკავშირებული.

ჰიდროგრაფიულ ქსელთან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები – გუბი, დიდი გუბი, წყალტუბო, ცხრაწყარო, წყალფორეთი, წყალთაშუა, გაღმა წყალწითელა; მდინარეები – სატოპელა, წყალწითელა, წყალშავი, აბანოსღელე, გუბისწყალი, დიდი დელე, წყალტუბოსწყალი; მღვიმეები – წყალტუბოს მღვიმე.

მცენარეულ საფართან დაკავშირებული სახელები – დასახლებული პუნქტები – ალავერდი, გვიმრალა, გორმუხაყრუა, დარყა, კოპიტნარი, დაუნარი, დიდწიფელა, ერწო, ვაზისუბანი, ვარდციხე, ვარდიგორა, ვაშლები, ზვარე, ზედა წიფლაგაკე, თხილთაწყარო, ლელვანი, მაჩიტაური, მუხურა, მუხიანი, ნაბოსტნევი, ნავენახევი, ნაურცევი, ნაძვა, ნიგვზარა, ნიგოზეთი, ოფურჩხეთი, ოქროყანა, რცხილათი, საკურწყე, საპრასია, საწაბლე, ტყემლოვანა, ქვედა წიფლაგაკე, ცუცხვათი, ძეძილეთი, წიფლაგაკე, წიფლარი, ბარდუბანი, ბზიური, წიფნარი; მდინარეები – წაბლარისწყალი, ჩოლაბური ბალისხევი, ბოსტანი, ბჟოლისხევი; მთები – ეკლარა, ლიხი, ნაქერალა, ბოლოკაური; ჰიდროგრაფიული – ერწო, ერწოსწყალი, ვაშლეულა, ვენახისჭალა, ზვარულა, ისლარი, ლელვანურა; მღვიმე – ნავენახევი.

ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა სახელების მიხედვით – დასახლებული პუნქტები – ვირიგვერდი, გორდი, კაკაბაური, მწყერისციხე, ნიკორაული, საბუეთი, საირმე, სამტრედია, ქორეთი, ჩხენიში, 286

ცხენთარო, ბუეთი; ჰიდროგრაფიული – დევის ტბა, საირმელელე, საკალმახისლელე, ცხენისწყალი, ცხენთაროსლელე; რელიეფი – მამლის მთა, სამგლე გორა; მღვიმეები – დევისხვრელი, სათევზია და სხვ.

როგორც აღინიშნა, შედარებით მოკლე ქრონოლოგიურ მონაკვეთებში არსებით გარდაქმნებს განიცდიდნენ მცენარეთა და ცხოველთა სამყარო. ამ ცვლილებების ასახვას ვხვდებით ტოპონიმიაში. ასე მაგალითად, დაბლობის მცენარეულობა მკვეთრად გარდაიქმნა ადამიანის ჩარევით. თავდაპირველად მცენარეულ საბურველს აქ ტყის ხასიათი უნდა ჰქონოდა, რაც მუხის, რცხილისა და სხვა სახეებისგან შედგებოდა. ამაზე მიგვითითებს ტოპონიმები – მუხიანი, ნაურცვეი, ნაქერა-ლა, რცხილათი, ნავენახევი და სხვ.

## დასკვნა

ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებები მხოლოდ ნაწილია იმერეთის იმ ტოპონიმებისა, რომლებიც წარმოებულია ბუნებრივი პირობების მიხედვით. გეოგრაფიული შინაარსის შემცველი ტოპონიმების ეს არასრული სია ამოკრეფილია „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონიდან“ (თბილისი, 2003).

ვფიქრობთ, ტოპონიმების ანალიზით მიღებული პალეოგეოგრაფიული მასალა სამსახურს გაუწევს არა მარტო განყენებულ სამეცნიერო დებულებებს, არამედ პრაქტიკულ, სამეურნეო საქმიანობასაც – ლანდშაფტების შეგნებულ გარდაქმნას.

## The Toponyms that Reflect the Variations in Environmental Conditions in Imereti

**Resume.** The paper considers the variation of the rich toponymy in Imereti during the historical period. As a result of comparing the literary and historical sources many toponyms reflecting the variation of the environmental conditions on the territory of Imereti have been discovered. Generally, formation and development of toponyms are complex processes, especially in a country like Georgia, where its relief, climate, hydrography, soils, flora and fauna and the landscapes are distinguished for their diversity. Obviously, in the country with diverse natural conditions the toponyms are also versatile and special.

### ლიტერატურა – REFERENCES \_ ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი, 2003.
- 2 ხარაძე კ. ბუნებრივი პირობების ცვალებადობის ამსახველი პალეოგეოგრაფიულ ტოპონიმები. – ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომათა კრებული. – გეოგრაფია და თანამედროვეობა თბილისი, 2003, გვ. 244-250.
3. ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. იმერეთი. თბ., 2018.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ახალი სერია, 1 (19), თბ., 2018

**ის, რაც არ დაგეგმილია**



## ზოგიერთი შენიშვნა-მოსაზრება „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ ახალ გამოცემასთან დაკავშირებით

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გამოცემა სახელმწიფოებრივი საქმეა; ასეთი საცნობარო წიგნის კაცობრიობის პრაქტიკული ცხოვრებისათვის გადაფასება ძნელია. ამითაა გამოწვეული ადგილის სახელწოდებების გაუმჯობესებისადმი ზრუნვა ყველა მოწინავე სახელმწიფოში. მით უმეტეს, საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები მდიდარი, რთული და მრავალფეროვანია. ეს აიხსნება ჩვენი ქვეყნის ნაირგვარი ბუნებრივი პირობებით, მოსახლეობის ჭრელი ეროვნულ-ტომობრივი შემადგენლობით და რთული ისტორიული წარსულით. ამ ღირსებებთან ერთად, საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს არსებითი ნაკლოვანებებიც სდევს. დასახლებული პუნქტების ტრანსკრიფციის სწორი მართლწერა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. წინამდებარე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფაც საკმაოდ შეიცავს უზუსტობებს. ასეთი და სხვა უზუსტობებით ისტამბება წლების განმავლობაში იგი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მისი ფართო მასშტაბით გამოყენებისათვის. ასეთი მდგომარეობა პირველ რიგში განპირობებულია სახელწოდებების დადგენის საქმის ორგანიზაციული მოუგვარებლობით. ჩვენ მიერ შეძლებისდაგვარად ჩასწორებულ იქნა უხეში შეცდომები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

იმისათვის, რომ საპუდამოდ ბოლო მოელოს უზუსტობებს და უმართებულოდ ხმარებულ სახელწოდებებს, საჭიროა სხვა რესპუბლიკების მსგავსად დადგინდეს ერთიანი ნორმები. საქმე ისიცაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის გეოგრაფიული სახელწოდებები ყვერ კიდევ შეიცავს არამიწანშეწონილ, სხვადასხვა თვალსაზრისით მიუღებელ სახელწოდებებს, რომელთა შეცვლის აუცილებლობა დავას არ იწვევს. ჩვენი აზრით, ამისათვის საჭიროა:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმთან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დასახლებული პუნქტების სწორი მართლწერის დამდგენი საეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შევიდნენ ისტორიკოსები, გეოგრაფები, ლინგვისტები და მხარეთმცოდნენი.

2. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიდან მიღებულ იქნას ცნობები მათ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შესახებ და შედარებულ იქნას შესაბამის სახელწოდებათა ტრანსკრიფციასთან.

3. გაიწმინდოს დასახლებული პუნქტების სახელწოდებები საჩოთირო სახელებისაგან.

4. შეძლებისდაგვარად განიტვიტოს განმეორებადი სახეოლები (თუნდაც ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე) და შეიცვალოს ის უცხო სახელები, რომელთაც არაფერი საერთო აქვთ არც იმ დასახლებულ პუნქტებთან და არც რესპუბლიკასთან. მისი აღდგენა უნდა მოხდეს ისტორიული სახელებით.

5. აუცილებელია წიგნს დაერთოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ქრონოლოგიური ცვალებადობა საბჭოთა წლებისათვის, რომლის ჩვენება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

6. არათუ სასურველი, არამედ აუცილებელია, თუნდაც ერთ მილიონიანი მასშტაბის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რუკის დართვა.

7. მიზანშეწონილი და აუცილებელია წიგნის დასაწყისშივე საქართველოს სახელმწიფო ღროშისა და გერბის ფერადი სურათების ჩართვა.

8. ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია ისეთ დაბალ ესთეტიკურ და პოლიგრაფიულ ღონეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, როგორებიც წინამორბედი წიგნებია.

15.V.1985 წელი

## ყუმისთავის ტოპონიმია

1985 წლის ივნისში ექსპედიციის დროს სოფელ ყუმისთავში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) შეკვრიბეთ სოფლისა და მისი მიდამოების მიკროტოპონიმია.

არეთას ნაყანევი ვანიჩკას წკვარამთან.

აბილელა (აბლელა, ავლელა) მშრალი ჩაღრმავებული ადგილი მღვიმის შესასვლელის თავზე.

აბჟანდისგვერდი ციხისა და ეკლესიის ნანგრევები. ახლა აქ სასაფლაოა და ბურჩქარებში დამალული ეკლესიის საძირკვლის ნანგრევები. აქვე არის ღიღი ცაცხვის ხე. აქედან ჩადის გზა ცხუნკურის ადმინისტრაციულ შენობასთან. ეკლესიის ნანგრევებისგან აუციანთ სოფლის კლუბი და კანტორა.

აბლელა იხ. აბილელა.

ავლელა იხ. აბილელა.

აკაკის ჭალა დობიროში.

აკვანა მდინარე სემის სანაპიროზე, ხელოვნური ხიდიდან 1,5 კმ-ზე ჩაღრმავებული ადგილი, რომლის ჩაღრმავებულ ნაწილში წყალია ჩამდგარი.

ალექის ნაყანევი აბჟანდისგვერდის სამხრეთით.

აფხაღლე იგივე აბლელე. ძველები ასე ეძახიან (შეიძლება სწორი ფორმა იყოს).

ახალწყალი ჭა არის სოფლის თავში, გამდინარე, დაუდგიათ თავი. ადრე შორიდან მოჰქონდათ წყალი.

ბარზაველი საძოვარი, ყუმისთავის აღმოსავლეთით თავში.

ბზანარა ამაღლებული ადგილი, სადაც ტრიგონომეტრიული წერტილია. ახლაცაა დარჩენილი ბზა.

ბიები ფერდობი ყუმის გამოსავლის თავში, მუხების დასავლეთ გაგრძელებაზე, სადაც კოლმურნობას ბიები (კომში) ჰქონია გაშენებული; შემდეგ მოუჭრიათ, მაგრამ სახელი მაინც დარჩენია.

ბოლალა ყანა მელორის ქვემოთ. არის მეორე საფეხური.

ბულელა საყანე ნაპრალებთან, მელორის გაგრძელებაზე.

ბლერისწყალი მელორის ქვემოთ, იკარკება წყალი. ვილაცას ამ წყლით დაუბანია და ქავილი დაწყებია. აქედან დარქმევია ეს სახელი. აქ 5 ჰექტარი გამოყენებული იყო საყანედ.

გალმა ყუმისპირი იხ ყუმისპირი.

გიორგის ნაყანები მეორე ყანის აღმოსავლეთი ფერდობი.

გოგიძის ნამოსახლარი ეწერში, ორმუხის ზემოთ იქვე.

გოგოსიის ნაეზოვარი ჩაის ნარგავები, სოფელში, სკოლის ზემოთ.

გოითორი ადგილი და სერი მელორის დასავლეთით.

გონისოული სერი ცსუნკურის გზის გადაღმა, სანამ ყუმისთავის გადასახვევია. აქ, სერის ძირში არის წყაროები.

გიორგის ჭალა დობირის გაგრძელება.

გორდილაური გადმოღმა საყანე.

გუმბრალა ვანიჩკას წკვარამთან

გუნელა უბანი ყუმისთავის სკოლის მიდამოებში.

დაბლაყუმისპირი წყლის წისქვილთან.

დიდი ბულალა ყანა პატარა ბულალას დასავლეთით სერზე.


დიდი ეწერი წკვარამი ორმიხასთან.

დობირო დიდი ქვაბული ადმინისტრაციული შენობის ჩრდილო-დასავლეთით.

ეკლნარა მალლაფერიძეების უბანში.

ეკლესია სოფელ ყუმისთავში, სვანიძეების უბანში. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, რომელიც მოპირკეთებულია ყვითელი ქვიშაქვების კვადრებით. ნაგებობა მაღალია. შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. XX საუკუნის 30-ანი წლების ბოლოს დაუწყიათ ეკლესიის ნგრევა.

შუანგრევაში სოფლის ერთ-ერთ ქალს მთავრობიდან მოუტანია საბუთი, რომ არ დაენგრიათ ეს ეკლესია. შეუჩერებიათ ეკლესიის ნგრევა. ეკლესიის ნგრევის შეჩერების საბუთი 1985 წელს ჯერ კიდევ ჰქონდა ქალს, რომელიც სკოლის ცოტა ზემოთ ცხოვრობდა. მეორე ვარიანტით, 1925 წელს დაუწყიათ ეკლესიის ნგრევა, გადმოუგდიათ ჯვარი, დაუწვიათ ხატები. სამრეკლოზე ორი ზარი ყოფილა, ერთი ზარი წყალტუბოს სახანძროში გადაუტანიათ. ეკლესიის ნგრევის დროს საბჭოს სხდომას ესწრებოდა ვინმე ურუშაძე. მას უთქვამს, აშენებულს რატომ ვანგრევთ, სწორია ის ქალიო. გამოვიყენოთ კლუბად, საწყობადო. ამას უშველია, მხარი დაუჭერიათ. XX საუკუნის 80-ანი წლების დასაწყისში აღუდგენიათ ეკლესია. ეკლესიის ეზოში არის დიდი ცაცხვის ხეები.



სოფელ ყუმისთავის ეკლესია

ერმილეს ჭალა ყანა ყუმისთავის ყოფილი ფერმის ძირში. იქ არის საწურბლიის მღვიმეში ჩასასვლელი.

ეწერი სერი, რომელიც ტუსიანის თავზე გადაუყვება. სოფლის მიდამოებში ბევრ ადგილს ეძახიან ეწერს.

ვანიჩკას წკვარამი ცივწყალადან 200 მ-ზე, მერაბიშვილების უბანში, სადაც ჩადიოდა 20 მ-მდე სიღრმის მღვიმე, წკვარამი ფართო-პირიანია. ეს წკვარამი გადის ცივწყალში.

ვაშლარა ამ ადგილას ყოფილა ვაშლის ხეები, რომ გამხმარა ამ ადგილს დაერქვა ეს სახელი.

ზედაყუმისპირი საყანე, ჩაი, ყუმისწყლის აღმოსავლეთით.

თალათინის ყანა სოფლის თავში. ახლა არის ტყეები.

თამარის ციხე შთენილი ბორცვი, რომელზედაც არის ციხის ნანგრევები. გადმოცემით აუშენებია თამარ მეფეს.

თხმელარა ღობიროს ქვემოთ ვაკე რომ მიუყვება. მლლაფერიძეების უბანში.

თხრილი ცხუნკურის გზასთან.

იასონის წკვარამი ოფიჭოს მღვიმესთან.

იასონის ჭალა ბაიების გაღმა არის საყანე, ჭალა. გაშენებული ყოფილა ჩაიც. ეკუთვნოდა იასონა ტყაბლაძეს.

ინოური საყანე მღვიმესთან, შუა სოფელში.

ისაკოს ეზო წკვარამის მიდამო, სადაც იყო ჩაის პლანტაცია.

ისლარა ადგილი, სადაც ნაწილზეა ტყე, ნაწილზე ისლია. ისლი მალალი ბალახია, რომლითაც ხურავდნენ სახლებს.

კიკიას ტყე სკვინტილასთან.

კოდის ჭალა საყანე, ადრე წყალი იყო. ახლაც არის ხელოვნურად ამოყვანილი წყალი. ჩაუდგიათ კოდის ქვა და შიგ დგება წყალი.

კოითავი ადგილი, სადაც იყოფა გზა.

კონჯღა სოფლის თავში, მდ. სემის მარცხენა მხარეზე.

კონჯღე ადგილი სოფლის იმ ადგილას, სადაც ავტობუსი ბრუნდებოდა. აქ ყოფილა დაკვანჭული რცხილა და ამიტომ შერქმევია ეს სახელი.

კოწოლოური მთა ცხუნკურის აღმოსავლეთით, მაღალი წერტილი.

კოჯე წკვარამი ცხუნკურის გზიდან ხეობაში.

კუნჭუბა იხ. კუნჭუპოს წვერი.

კუნჭუპოს წვერი ეკლესიის დაბლა მხარეზე. ალიოშა ტყაბლადის საკარმიდამოს აღმოსავლეთი ფერდობი, მღვიმესთან ახლოს. იქ არის თიხები. იჭრება ალიზი.

ლაგამი შეგუბებული საბანაო ადგილი წისქვილთან.

ლაილაში უბანი სკოლის ქვედა მხარეს. აქ ცხოვრობენ სილაგაძეები.

ლია გვირაბთან.

მათოურე (მათოური) ეკლესიის გადმოღმა აღმოსავლეთით სასმელი წყალი, ჩამდგარი იყო ორმოში და ხმარობდნენ.

მათოური იხ. მათოურე.

მანდარინი ბზანარას დასავლეთით მანდარინის ნარგავები.

მაღლაფერიძეების ქუჩა გორაზე, ეკლესიის სერზე.

მაღლაფერიძეების უბანი ეკლესიის სერზე.

მელოური ყანა და ჩაის პლანტაცია ეკლესიის ქვემოთ.

მერაბისოული ლის გვერდით.

მიქაბერიძის ნაყანვეი ეწერში. ეწერი საერთო სახელწოდება. ამ მიქაბერიძესთან ღავა ჰქონია ტყაბლადის მამას.

მუხები ყუმისწყლის სათავეში, ფერდობზე მდებარე მუხის კორომებს „მუხებს“ ეძახიან. ფერდობის ძირში არის წყლის საქაჩავი, რომელიც 6 აუზს ავსებს და მოწყობილია სათევზე.

ნაბამბარი მიქაბერიძეების უბანში.

ნავენახარი ტყე გვირაბთან.

ნათურარი მიქაბერიძეების უბანში.

ნაკანაფარი მდ. სემის მარცხენა ნაპირზე.

ნამოსახლარი ალიოშა ტყაბლაძის სახლის გადმოღმა, აღმოსავლეთით. უცნობია ვინ ესახლა.

ნაპრალები ძველი ნამოსახლარი, ქვევრებიც არის დარჩენილი. ძველი ეკლესიიდან მომდინარეობს ეს ნაპრალები. როდინდელია, არავინ იცის. იმ პერიოდისაა აგრეთვე აქ ძველი ეკლესია. იგი ზომით დიდი არ არის 5X4 მ. კარები დასავლეთ მხარეს აქვს. აღმოსავლეთი კედელი ჩამონგრეულია.



ნაპრალების ეკლესია

ნაპურალი დობიროს აღმოსავლეთი ფერდობი.

ნასიპარი ეკლესიის ჩრდილოეთით, გზის გადაღმა.

ნაციხარი შთენილი ბორცვი სოფელ ჩუნეშის თავზე. ახლა აქ ციხის ნანგრევებია.



ნაჭები ვაკე ადგილი ყუმის სათავესთან. იქ იყო ჭა და მის წყალს ხმარობდნენ.

ორმუხა ეწრის ზემოთ მუხები ყოფილა. აქედან იწყება სოფელ მელაურის მხარე.

ორპირა საქარის დასავლეთით 1 კმ-ზე ორი პატარა ჭა, რომლებიც მიწისქვეშ 20 მეტრში ერთდებიან.

ორწყალშუა საყანე ადგილი, რომელსაც ირგვლივ მდინარე უვლის.

ოტის ნამოსახლარი ამდღებულები ადგილი ორპირადან 0,5 კმ-ის დაშორებით.

ოფიჭო წყალი, რომელიც გვირავს უერთდება.

პაატელეს ნაეზოვარი ყუმის სათავესთან.

პატარა ბულაღა ყანა მეორე საფეხურზე.

პორფილეს წკვარამი იხ. პორფილეს ჭაღა.

პორფილეს ჭაღა ჩაღრმავებული ადგილი მიქაბერიძის სახლთან. ეძახიან პორფილეს წკვარამსაც.

საბუე წკვარამი მღვიმის თავზე, ორპირის გამოქვაბულთან. აქ ყოფილა ბუები.

საკანტრახო მეორე ყანის (ქვედა) დასავლეთი ფერდობი. იყო საეკლესიო მიწა, ზედა ეკლესია.

სამიქაბერიძო უბანი საქარის გადაღმა, მდ. სემისაკენ.

სამანჩვია პატარა ხვრელები, სადაც ცხოვრობდნენ მაჩვები.

სამგლიე საყანე საქაჯიას აქეთ, ამ ადგილებში შემჩნეული იყო მგელი.

სანაშენო ტრიალი მინდორი, არის რცხილის ხეები.

სატურია გვირაბი, რომელიც ბუნებრივ ხიდიდან 5-6 მ-ის დაშორებით მდინარის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს. გვირაბი აღმავალი მიმართულებისაა და დაახლოებით 20-25 მ-ის სიღრმეზეა, რომელიც ვიწროვდება. მოფენილია სილით, რომელიც მდ. სემის წყალდიდობისას არის შეტანილი.

საქარი ამალღებული ფერღობი სკოლის დასაველეთ მზარეზე.  
ცივწყალადან 0,5 კმ-ზე.

საქაჯია კლდე ბღერისწყალთან.

საქაჯიას მღვიმე ღელედან (იხ.) ასიოდე მეტრის დაშორებით.  
მას ვიწრო შესასვლელი აქვს, სულ 60-70 სმ სიგანის და სიღრმეში  
ჰორიზონტალურად მიდის 10-15 მ და შემდეგ იყოფა ორ ნაწილად –  
მარჯვენა მზარეზე შეღის 15 მ, შემდეგ კი ისოლება და ძნელი გასავე-  
ლელია, მეორე მზარეზე 4-5 მეტრია.

საღაბო წყარო ბულელასთან.

საყვარია წყარო სვანიძეების უბანში. აქედან დასაველეთით ზე-  
მთ კიდეე არის საღაბო, აქვეა ბულალას ყანა, მის თავზეა საღაბო  
წყარო.

საცხენისის წკვარამი წკვარამი, ღელე, უფსკრული. ღობიროს  
გზიდან ჩრდილოეთ მიმართულებით.

საწურბლე გამოქვაბული, კლდე. აქ შეიძლება რამდენიმე სუ-  
ლი საქონელი გაჩერდეს. საერთოდ აქ მიღამოებს ჰქვია ეს სახელი.

საწურბლია ადგილი ეწერამდე. იქ ღგებოდა წყალი.

სერაფიონის ტყე ღიას ზემოთ.

სვანიძეების უბანი უბანი ეკლესიის მიღამოებში.

სილაგაძეების ნასახლარი სოფლის თავში, ადრე ყანები იყო,  
ახლა ტყეა.

სილაგაძის წკვარამი ოფიჭოს მღვიმესთან.

სკვინტილა სოფელ ყუმისთავის ზემოთ სერზე, სადაც მიქაბე-  
რიძეები ცხოვრობენ. აქ არის ზეობისმაგვარი ჩადბლება მღ სემისაკენ.  
აქედან 0,5 კმ-ზე არის კიდეე ღიდი წკვარამი, რომელსაც სახელი არ  
აქვს. იგი ღრმა არის და სამზრეთის მიმართულებით ეღობება კირქვის  
კლდე, სადაც ჩაღრმავებულია, მაგრამ ამოსილულია. ადრე კი გახსნი-  
ლი ყოფილა და ჰაერი ამოღიოდაო. შესვლა 20 მ-მდე შესაძლებელი  
ყოფილა და შემდეგ ისილებოდაო.

სოლკოდა კლდინი, ციცაბო ადგილი მდინარის მარცხენა მხარეზე. იქვე არის წყლის გამოსავალი.

ტურიანა სერი მდ. სემის სათავეში. მის მოპირდაპირედ არის აკვანა (იხ.). ქვა არის 4 მეტრის სიმაღლის და იქიდან შეიძლება წყალში გადახტომა.

ტუსკაძეების ქუჩა მაღლაფერიძეების გადაღმა.

ტყაბლაძე თედორეს ნატყეური წკვარამი. ოფიჭოს მღვიმესთან უგლების უბანი სვანიძეების უბნამდე.

ქვაბულა იხ. ქვახაბულა.

ქვაბისთავი შალამოურთან, დასახლება რომ მთავრდება. გამოქვაბული. თავი აქვს ქვაბივით, ადრე აქ ყანები იყო, ახლა ნაძვებია, სატყეოს ტყეებია.

ქვაპირი წყარო, სვანიძეების უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სვანიძეების ვენახთან. წყალი სასმელად არ ვარგა.

ქვალბულა ვარცლისებური ჩაღრმავება კირქვებში მდ. სემის კალაპოტში. ბუნებრივი ხიდიდან ქვემოთ 300 მეტრზე.

ქვაწითელი მელოურის თავზე, სადაც შზადებოდა საშენი ქვები. ამ ქვით უნდა იყოს აგებული ეკლესია.

ქვახაბულა ანუ ქვაბულა. ბუნებრივი ხიდიდან 200 მ-ის დაშორებით კირქვებზე გაღმოდინება ჩანჩქერი, რომელიც აჩენს ვარცლისებურ (აბაზანასავით) ჩაღრმავებულ ადგილს.

ქვახიდა სემის ბუნებრივი ხიდი. 2014 წლის 28-29 სექტემბრის წყალდიდობის დროს ჩაინგრა. ბუნებრივ ხიდან ახლოს, მის ზემოთ, XX საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს განაახლეს ადრე აგებული ხიდი (ეტყობა 30-ან წლებში). ხიდის მარცხენა მხარე პირდაპირ კირქვის ქანზეა დაშენებული, ხოლო მარჯვენა მხარეზე ხელოვნური ბურჯია გაკეთებული და იგი სამი მხრიდან გათლილი ქვიშაქვის კვადრებით არის მოპირკეტებული. ეს გათლილი ქვები სოფელ ცხუნკურის ეკლესიიდან არის მოტანილი, სადაც ეკლესია XX საუკუნის 30-ანი წლების ბოლოს დაუნგრევიათ. დაახლოებით 1949 წელს ეკლესიის

დანგრეული ქვები ხიდის, სკოლის და ფერმის მშენებლობისათვის წა-  
ულიათ. ხიდის ბურჯის აღმოსაყლეთ შუა კედელზე ჯვრის რელიეფუ-  
რი ბარელიეფია დატანებული. ჯვრის რელიეფი ფაქიზად და სუფთად  
არის გამოქანდაკებული. ბარელიეფი ჯვრის გამოსახულებით სიგანეზეა  
ჩაშენებული. იგი ქვიშაქვისგან შედგება.



ცხუნკურის ეკლესიიდან წამოღებული ბარელიეფი

მდ. სემის ხიდზე ჩაშენებული

ლელე პატარა ხევი აკვანებასთან. აქედან ასიოდე მეტრის და-  
შორებით, მარცხენა მხარეზე, არის წკვარამი, რომელიც ღრმაა და  
შემდეგ ამოქოლილია.

ლლიანა მღვიმე და წყალი ყუმისწყლის მარცხენა მხარეზე, სა-  
დაც არის 50 მეტრამდე გამჭოლი მღვიმე და იქიდან გამოდის წყალი.  
ლლიანისპირი საიდანაც წყალი გამოდის.

ღურღუნწი ყუმის სათავესთან. გადმოფარებულ კლდეში გად-  
მოჩქევს წყალი და იქვე ჩაედინება. ზუსტად ამართლებს სახელს.

ყუფიანების ქუჩა ყუმისთავისკენ რომ მიემართება ცხუნკურის  
გადასახვევიდან.

ყინვალის წკვარამი, იქ იყო ვენახი, ყანა, ტყე ოფიჭოს გამოღ-  
მა, ჩავარდნილი ჭალა იყო და მიწიდან ამოდებოდა ჰაერი. იქ რომ წყა-  
ლი ჩადგებოდა ყინულს ამოიღებდით. იქიდან გამოდის გამოქვაბულის  
თავი. ახლა კი არის პატარა წკვარამი.

ყორეები სოფლის თავში, ახლა ტყეა.

ყუმი მდინარე, რომელიც მღვიმიდან გამოედინება, ნიშნავს  
ხისტს (წყალი).

ყუმიპირი მდინარის სათავე.

ყუმისთავი მდინარე ყუმის ზემოთ, ე.ი. თავში, სათავე, მიიღო  
სახელი ყუმისთავი (შეადარეთ რუსთავი, ჯავისთავი, წყაროსთავი და  
სხვ.).



სოფლის ცენტრი, სვანიძეების უბანი

ყუმისპირი სათევზიდან დაახლოებით 500 მეტრზე, სადაც არის ჩაის ბურქები და ყანები (ჭალა), მეორე მხარეს ეძახიან გაღმა ყუმისპირს.

ყუმისწისქვილი წისქვილი ყუმისწყალზე.

შავი ტბა ჰქვია ერთ-ერთ წკვარამს, რომელიც ყუმისთავისა და სემს შორის, სერის გადაღმა. ეტყობა წყალი იყო ჩამდგარი და ამიტომ ეძახდნენ. ძველი ფერმის ადგილზე. ეს ადგილი ახლა წკვარამის სახით 30 მ-მდეა ჩაჭრილი. ეს ძაბრი თანდათან ღრმავდება და შეიმჩნევა ორი საფეხური. ადგილობრივები ამბობენ, რომ აქ იდგა სუფთა წყალი და მას სასმელად ხმარობდნენ. ამჟამად წყალი არ შეიმჩნევა და მხოლოდ წვიმების დროს იკრებს წყალს და ჩადის სიღრმეში.

შლამბერიძეების ქუჩა ეკლესიის გადმოღმა.

შლამპოურის წკვარამი ადგილ შლამპოურში.

შლამპოური ადგილი, საყანე, წყალი სკოლის აღმოსავლეთ მხარეზე. ადრე აქ ბუნებრივი ჭა ყოფილა. ყანა კი 2 ჰექტარი. აქ განთქმული იყო ხეზე ასული ვაზით, რომლის ყურძნისაგან ამ სახელით განთქმული ღვინო მზადდებოდა. ზამთარში ყურძენი რომ დარჩებოდა ხეზე, შავად მიაღწებოდაო. ამ ღვინოს საფრანგეთის გამოფენაზე ოქროს მედალი დაუმსახურებია. ახლა ეს ჯიში აღარ არის.

შლამპოურის ჭალა იხ. შლამპოური.

ჩეთილები ჩუნემის შთენილებისაკენ გაგრძელება.

ცივმთა ამ ადგილს ცივი ქარი ხვდებოდა. იყო ყანები, შემდეგ ჩაის პლანტაცია.

ცივწყალა სოფელ ჩუნემის გზაზე, სადაც ადრე წყარო მოდიოდა და იქვე ნახევარ მეტრში იკარგებოდა. ამჟამად წყარო აღარ არის.

ციხისგვერდის ეკლესია ვულკანოგენური ქანებისაგან შემდგარი ბორცვი, რომელზეც აგებულია დარბაზული ტიპის ეკლესია საკმაოდ მაღალია. ნაგებია ქვით, ნათალი ქვით. იგი ოთხ თაღიანია, შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. კედლები ღიღი სისქის ყოფილა. შიგნით და-

საფლავებულია რამდენიმე პიროვნება. ერთ-ერთი მათგანი კირქვის ორმეტრიანი ქვაა. საფლავის ქვაზე ჯვარი და ჩუქურთმებია გამოკვეთილი. არის აგრეთვე ვრცელი ლაპიდარული წარწერა. დაკრძალულია ალექსანდრე ლორთქიფანიძე, რომელიც 1861 წელს გარდაცვლილა. თავის დროზე საფლავი „ოქროს მაძიებლებს“ აუნგრევია. ეკლესიის სახურავი და კედლები სურათია დაფარული. ეკლესიის დანგრევისას აქედან ქვები მოსახლეობას წაუღია სახლების მშენებლობისათვის, ნაწილი კი ეკლესიის გარშემო იყო მიმოფანტული. ეკლესიასთან ახლოს არის ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი. ბორცვის ძირში ცხოვრობდა ნოშრევან ქუთათელაძე (1985 წელს იყო 62 წლის). მისი ჭიშკარის სვეტები მოჩუქურთმებულია. მასიური სვეტი სიმაღლით 2 მეტრისაა.

ბუბუნაწყვეტი აბილეას სამხრეთით 0,5 კმ-ზე. წარმოადგენს წკვარამს.

წაბლარა ტყე მალაფერიძეების უბანში.

წაქცეულა ყუმისხიდიდან მდინარის დაყოლებით 0,5 კმ-ზე ჭალა, სადაც სიმინდის ყანებია.

წვანიები ყუმის მიმართულებით.

წკამისპირი ყუმის შესასვლელი, საიდანაც წყალი გამოდის.

ჭამ ნაეკლესიარი და ნაციხარია. აქ მუხა ყოფილა, ახლა საყანაა. ეს ადგილი მღვიმესთან ახლოს არის.

ჭალა ხეობისმაგვარი ჩადაბლება, სადაც რამდენიმე წკვარამი შეერთებულია. ნაწილობრივ მდ. სემისაკენაა, მეორე დასავლეთით და მთლიანად ამ მიდამოებს ჭალას უწოდებენ.

ჭა-მღვიმე მიქაბერიძეების ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქვიშაქვებში გამოშუშავებულია ჭა-მღვიმე, რომელიც მდ. სემისაკენ არის დახრილი და გადის სიცარიელე.

ჭელები წყარო, იგივე ჭიელები, ცხუნკურის გზასთან.

ჭიჭენეთი გვირაბის ბოლოს გამოდმა.

ჭოლები წყარო გიორგის ნაყანების გადაღმა

ხატის ნიგოზი ნაპრალებში იყო დიდი ნიგეზის (კაკლის) ხე. ახლა აღარ არის.

ხერელისთავი აკაკის ჭალასთან.

ხორცის ჭალა ქვახიდასთან.

ხოფი ქეიანი მიწა, თავის დასაბანი მიწა, გუბრინის მსგავსი მთელ ამ ტერიტორიას ეძახიან ამ სახელს.

ჯომშელეიშვილის წკვარამი ეზოში აღდგომა დღეს ხნაუდნენ და ხარი მთლიანად ჩავარდა. გათხარეს მიწა და ამოიყვანეს ხარი. აღნიშნაუდნენ რომ რადგან აღდგომა დღეს ხნაუდნენ იმიტომ ჩავარდაო. სხვა ადგილებშიც მანქანაც ჩავარდნილა.

ჯორმაღალა ღობიროს სამხრეთ-დასავლეთით ამაღლებული ადგილი.

სოფელ ყუმისთავის ძირითადი გვარებია:

ტყაბლაძე, მიქაბერიძე, სვანიძე, ტუსკაძე, მაღლაფერიძე, ყუფიანი, შალამბერიძე.

სხვა გვარები:

ვარდანძე, ბაქრაძე, ქორქაშვილი, იობიძე, ქორიძე.

ადგილობროვი ინფორმატორები იყვნენ:

ვარდანძე დიმიტრი ბენიამინის ძე – 56 წლის (სოფელში მოსული 1934 წლიდან)

იობიძე გიორგი ივანეს ძე – 45 წლის

იობიძე ღომენტი გიორგის ძე – 60 წლის

იობიძე მარიკა ილიას ასული – 42 წლის

კეთილაძე გიგლა შალვას ძე – 55 წლის



მიქაბერიზე ალექსანდრე ილიას ძე – 63 წლის

მიქაბერიძე გრიგოლ დავითის ძე – 62 წლის

მიქაბერიძე მიხეილი ღომენტის ძე – 64 წლის

მიქაბერიძე რუბენი ევგენის ძე – 70 წლის

სილაგაძე ენუქი დიმიტრის ძე – 73 წლის

ტყაბლაძე ალექსანდრე ოქროპირის ძე – 67 წლის

ტყაბლაძე დავითი მიხეილის ძე – 84 წლის – კოლმეურნეო-

ბის პირველი თავმჯდომარე

ტყაბლაძე თინა ნესტორის ასული – 57 წლის (სოფელში  
ცხოვრობდა 35 წელი)

ტყაბლაძე კალე ლევანის ძე – 82 წლის

უგულავა ლეილა მიხეილის ასული – 39 წლის

ქუთათელაძე ნოშრევან გიორგის ძე – 62 წლის

სოფ ყუმისთავი (წყალტობოს რ-ნი), 1986 წლის ივლისი

## ბოლნისის რაიონის პრეფექტს

ბატონ იოსებ ბარათაშვილს

თქვენი თხოვნის პასუხად გაცნობებთ, რომ ბოლნისის რაიონის დღევანდელი არაქართული სახელწოდებების დასახლებული პუნქტები უძველესი პერიოდიდან XVIII საუკუნის ბოლომდე იწოდებოდნენ ქართული სახელებით; საქმე ისაა, რომ აქ ძველიდანვე მოსახლეობდნენ ქართველები და, ცხადია, მათი დასახლებული პუნქტების სახელებიც ქართული იყო. შემდეგში განუწყვეტელი შემოსევებისა და ბრძოლების შედეგად ამ მხარის მოსახლეობა თანდათან შემცირდა და XVIII საუკუნის მანძილზე, ისე როგორც თითქმის მთელ ქვემო ქართლში, მოსახლეობის რაოდენობა მინიმუმამდე დაეცა (ამოწყდა, ან გადასახლდა სხვა მხარეში). სამაგიეროდ, ნასოფლარების ტერიტორიაზე სხვადასხვა საშუალებებით განსახლდა არაქართველი მოსახლეობა — სომხები, ბერძნები, თათარ-თურქმანული მოდგმის ხალხი, გერმანელები და სხვა. რასაკვირველია, XIX საუკუნის მანძილზე ამან გამოიწვია გეოგრაფიული სახელწოდებების გარდაქმნა როგორც მთლიანად შეცვლის, ისე ძველი სახელწოდებების გადასხვაფერებით. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო ხანია დადგინდა თანამედროვე არაქართული დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შესატყვისები „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხებისა და ავტორების (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ბერი ეგნატაშვილი, ისტორიანი და აზმანი შარავანდეთიანი, ჟამთააღმწერელი და სხვ.), ვახტანგ მეექვსის, ვახუშტი ბაგრატიონის, იოანე ბატონიშვილის, ნიკო დადიანის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის, ფარსადან გორგიჯანიძის და სხვათა შრომებით, 1721 წლის მოსახლეობის კომპლობრივი აღწერის მასალებით, სხვადასხვა საუკუნეების ისტორიული საბუთების, სიგელ-გუჯრების, ნარატიული წყაროების, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებით და უამრავი საარქივო კარტოგრაფიული წყაროებით. ყოველივე ამის გამო, ბოლნისის რაიონის დასახლებული პუნქტების დღევანდელი და მათი ძველი

შესატყვისი სახელწოდებები შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხილეთ წიგნი – კობა ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბილისი, „მეცნიერება“, 1991):

1. მიგირლო – ვანათი
2. სარალარი – ზვარეთი
3. ჯაფარლო – სატრედო
4. არაქელი – ძეძენარიანი
5. ბექთაკარი – ბერთაკარი
6. ქვემო გულავერი – გეტა
7. ზემო გულავერი – წიფორი
8. ყარადაში – იწრია
9. ასანხოჯალი – ხიდისყური
10. ასმალარი – მწყენთი
11. სისკალა – ბალახაური
12. ტაშტუიკულარი – მუხრანა
13. ქოჩულო – ჭაპალა
14. დემურლო – ხახალაჯვარი
15. ზემო ქოშაქილისი – ზემო არქევანი
16. ქვემო ქოშაქილისი – ქვემო არქევანი
17. ფახრალი – ტალავერი
18. იმირასანი – სავანეთი
19. პატარა ახმედლო – ხატავეთი
20. აბდალო – ჯავშანიანი
21. ყარათიქანი – საბერეთი
22. სარაჩლო – მამხუტი
23. თაფანი – დისველი
24. წითელი სოფელი – ხატის სოფელი
25. მუსოფრიანი – ფოცხვერიანი
26. არუხლო – ნახიდური
27. ქოლაგირი – ცურტავი

28. მულანლო – ფარიზი
29. ინჯაოლლი – შუა ბოლნისი
30. კიპირჯიკი – ჭრეში

### ბატონო იოსებ!<sup>1</sup>

თქვენი წარმომადგენლის მეშვეობით გამოვიგზავნეთ ბოლნისის რაიონის არაქართული დასახლებული პუნქტების ძველი სახელწოდებების სია. უნდა გითხრათ, რომ ისტორიული უკუღმართობით გამოწვეული ეს პროცესი არ გვასვენებდა და, განსაკუთრებით, 60-იანი წლებიდან მათ აღსადგენად იბრძოდა ბევრი ქართველი პატრიოტი. დღეს ამის შესაძლებლობა არსებობს და იმედი მაქვს, კი არ გადაარქმევთ არაქართულ სოფლებს სახელებს, არამედ აღადგენთ ძველ სახელებს.

ერთი თხოვნა კიდევ მქონდა; თუ საჭიროდ ჩათვლით, ახლანდელ სოფელ არუხლოს აღუდგინეთ სულ თავდაპირველი სახელი ცურტავი. არუხლო ძველი ცურტავი იყო, რასაც ბევრი მეცნიერი ამტკიცებდა და ამტკიცებს დღესაც. ამის სასარგებლოდ მრავალი ფაქტი არსებობს. ცურტავის განადგურების შემდეგ (არაბების შემოსევისას) ამ ადგილს ნახიდური ეწოდა (დღევანდელ არუხლოსა და ქოლაგირს), რადგან ორ სოფელს შორის შემაერთებული ხიდი მოიშალა. ცურტავი ისტორიული სახელია და მისი დაკარგვა დასანანია; მასთან არის დაკავშირებული იაკობ ცურტაველის სახელი, რომელმაც შექმნა დიდებული, დღემდე შემორჩენილი, პირველი ქართული ნაწარმოები.

ამდენად, ორი ნახიდურის ნაცვლად გვექნება ერთი (ქოლაგირი) და ცურტავი (არუხლო).

---

<sup>1</sup> იგულისხმება ბოლნისის რაიონის პრევექტი იოსებ ბარათაშვილი.

პატივისცემით.

კობა ხარაძე

ქ. თბილისი, 30 ივნისი 1991 წ.

P.S. და კიდევ, დღევანდელ სოფლებს არუხლოსა და ქოლაგირს შორის ჩამავალ მდინარეს ორივე მხრიდან აწერია „მდ. ხრამი“. ხრამი ამ მდინარეს შეცდომით ეწოდება და უხერხულია მისთვის ეს სახელი. საქმე ისაა, რომ მდინარეს ზემო ნაწილში ქცია ჰქვია და ძველი პერიოდებიდანვე ქემო ნაწილსაც ქცია ერქვა. XIX საუკუნეში ამ მდინარის სახელიც დაგვიმახინჯეს (იხილეთ ჟურნალ „საქართველოს ბუნება“, №11, 1988). სასურველია თუ ამ მდინარის სახელს წარწერაზეც შეასწორობთ.<sup>1</sup> გარდა ამისა, რაიონის ტერიტორიაზე შესასწორებელი და აღსადგენია კიდევ რამდენიმე მდინარის და მთის სახელწოდება; ეს მომავლის საქმეა.

პატივისცემით,

კობა ხარაძე

---

<sup>1</sup> მალევე შესწორდა ეს სახელი და ამჟამადაც ზიდის დასაწყისსა და დასასრულს „მდ. ქცია“ აწერია.

## ისტორიული სამართლიანობა ასე არ აღდგება!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 10 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია – „ისტორიული სამართლიანობა ზეობს“. ამით ფართო საზოგადოებას ემცნო, რომ ბოლნისის რაიონის დასახლებული პუნქტების არაქართული სახელწოდებები შეიცვალა ისტორიული ქართული სახელებით. ამაზე უკეთეს რას ვინატრებდით, მით უმეტეს, ინფორმაციის ბოლოს აღნიშნულია: „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა საშური საქმეა და ამ მხრივ ბოლნისელებს მეზობელმა რაიონებმაც დროულად უნდა მიჰბაძონ“. ის, რაც ბოლნისის რაიონის გამგეობას დაუდგენია, ღმერთმა დაგვიფაროს ამდაგვარად მეზობელმა რაიონებმაც მიბაძონ. მიუხედავად ამისა, იმედს არ ვკარგავთ, რომ აღნიშნულ დადგენილებას მხარს არ დაუჭერს და არ დაამტკიცებს რესპუბლიკის მთავრობა.

საქმე ისაა, რომ მთავრობაში წარმოდგენილი ბოლნისის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებების ნუსხა, რომელიც 29 დასახლებებისაგან შედგება, მხოლოდ ერთი შეესაბამება სინამდვილეს, დანარჩენი ან ნასოფლარის სახელწოდებაა, ან სხვა რაიონის ტერიტორიიდან გადმოტანილი ისტორიული სახელია, ხოლო უმეტესად კი გამოგონილი და დასახლებული პუნქტისათვის შეუფერებელი სახელი. ვის სჭირდება ასეთი „ისტორიული სამართლიანობა“? ტოპონიმები ერის ისტორიის ორგანული ნაწილი და ცივილიზაციის ძეგლები არ შეიძლება იქცნენ თვითნებობის საგნად.

შენიშვნა:

1. ეს წერილი მოჰყვა ბოლნისის რაიონის გამგეობის №160 გადაწყვეტილებას, რომლის შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 10 ივნისის ნომერში. ახლა უკვე ბოლნისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე იყო ა. წულაია, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საბჭოში წარადგინა ეს მასალები.

2. საბუნდუოდ, ბოლნისის რაიონის გამგეობამ გაითვალისწინა ჩვენი შენიშვნები და გამგეობის 1992 წლის 26 ივნისის №140 გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 6 აგვისტოს, ოქმი № 57-ით დაამტკიცა ბოლნისის რაიონში შემავალი სოფლების ძველი ისტორიული სახელების დაბრუნებაზე.<sup>1</sup>

შენიშვნა:

მსგავსი დასკვნები გაეგზავნა დმანისის რაიონის პრეფექტს ბატონ ლერი გირგვლიანს, საქართველოს სახალხო ფრონტის მარნეულის რეგიონალურ განყოფილებას შესაბამისი სოფლების ძველი და ახალი ტობონიმების შესახებ:

---

<sup>1</sup> თუმცა საქმე ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ოქმს სჭირდებოდა დადგენილება, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ შესაბამისი ორგანიზაციები. ამიტომ არც რუკებზე, არც ენციკლოპედიაში და სხვა ორგანიზაციებში ამ ოქმის დადგენილებას არ სცნობდნენ და პირადად მომიხდა ბრძოლა ბოლნისის რაიონსა და შესაბამის უწყებებში წესრიგში მოყვანათ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილება.

დმანისის რაიონის პროექტის  
ბატონ ლერი გირგვლიანს

პატივცემულო ლერი!

თქვენი თხოვნის პასუხად გაცნობებთ, რომ დმანისის რაიონის დღევანდელი არაქართული სახელწოდებების დასახლებული პუნქტები უძველესი პერიოდიდან XVIII საუკუნის ბოლომდე იწოდებოდნენ ქართული სახელებით; ლიტერატურულ და ისტორიული წყაროების კვლევის შედეგად დადგინდა თანამედროვე სახელწოდების შესატყვისი ტოპონიმები:

1. იაყუბლო – საკარისი
2. ამამლო – ფარაჯუკი
3. ბეზაკლო – ღამიში
4. მამიშლო – აგარა
5. საფარლო – ლაკლაკაშენი
6. მამულა – სხალნარი
7. პატარა გომარეთი – ქვათეთრისი
8. დიდი გომარეთი – გომარეთი
9. ბოსლები – ბოსლეთი
10. მაშვერა – გორინჯუკი
11. ირგანჩაი – გუგუთი
12. კამარლო – კოპანეთი
13. შახმარლო – მაკვა
14. კიროვისი – შულავერი
15. ბახჩალარი – მაჩქათელა
16. დაგარუხლო – წარბასუბანი
17. საჯა – საჭე
18. ყიზილაჯლო – ნაპალატევი



- 19 სარკინეთი – ურცევანი
- 20 იაილა – ქუჩათუბანი
21. ზემო ყარაბულახი – ზურტაკეტი
22. ქემო ყარაბულახი – შესაყარი
23. ახა. – გვარჯილა
24. გელაგდალი – მუხრანა
- 25 მამიშლარი – ვართევანი
26. ხალამალეიქო – საფიქლე
27. სოღუთლო – კარუკულმართი
28. უსეინქენდი – სარეხველა
29. ყიზილქილისა – წითელი ეკლესია
30. შინდლარი – ლუკუნი
31. ჯავახი – მიჯა
32. აზაკლიანი – ქვაბევანი
33. ქარიანი – მუსისციხე
34. დუნუსი – ტნუსი
35. ლოქჯანდარი – ჭანდარაკი
36. კამიშლო – ნარია
37. ლენინო – შუნბუნი

12 ივლისი 1991 წ.

საქართველოს სახალხო ფრონტის  
მარნეულის რეგიონალურ განყოფილებას

თქვენი თხოვნის პასუხად გაცნობებთ, რომ მარნეულის რაიონის დღევანდელი არაქართული სახელწოდებების დასახლებული პუნქტები უძველესი პერიოდიდან XVIII საუკუნის ბოლომდე იწოდებოდნენ ქართული სახელებით; ლიტერატურულ და ისტორიული წყაროების კვლევის შედეგად დადგინდა თანამედროვე სახელწოდების შესატყვისი ტოპონიმები:

1. შაუმიანი – შულავერი
2. აკყულარი – ნადვალეთ
3. აზიზქენდი – ბაგრატიისელი
4. აჯიისქენდი – ღვალოვნა
5. თაზაქენდი – ღვინჭრობი
6. საბირქენდი – ნაზარას სოფელი
7. ახქერფი – ჭუჯაბი
8. ულიანოვკა – მათიში
9. ჩანახჩი – ჩაყლაპუნი
10. დამია-გიაურარხი – ვახტანგის რუ
11. მამაი (კიროვკა) – წობა
12. ალაგარი – ავლაგარი
13. კასუმლო – თეკნალი
14. ალამედლო – აკანეთერი
15. კუშჩი – გაგი (ციხის სოფელი)
16. ულაშლო – მეძღეთი
17. დიდი ბეგლარი – დიდი მახრალაჯი
18. პატარა ბეგლარი – პატარა მახრალაჯი

19. ნორგიული – ნოროვანი
20. სადახლო – ტეფური
21. ბარდაძორი – ველთა
22. თაზაქენდი – კატავეთი
23. მოლაოდლი – ველეთი
24. ქაფანახჩი – კარმიქარი
25. ილმაზლო – დარბა
26. მეორე ქესალო – ვარდისგორა
27. ქეშალო – საყალტუთნე
28. ქურთლარი – ადგი
29. ბაიდარი – წყალთაშუა
30. დიდი მულანლო – ფარიზი
31. ლეჟბადინი – ნაჯბადინი
32. ყაჩალანი – კურწიკამი
33. თექალი – ვანერი
34. ყიზილ-აჯლო – ლომთაგორა
35. ჯანდარი – ჭანდარი
36. დაშთაფა – თეთრისოფელი
37. კირიხლო – თეგანი
38. არაფლო – ხუცის სოფელი
39. ენიქენდი – ჩალიანისხევი
40. ხოჯორნი – ხოჯორნია
41. გულბალი – მელიქაშენი
42. წობი – წოფა

11 დეკემბერი 1989

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს,  
ოურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს  
ბატონ ღიმიტრი ჩიტლოვს

პატივცემულო ღიმიტრი!

თქვენი თხოვნის პასუხად გაცნობებთ, რომ წალკის სახელწოდება პირველად XII საუკუნეშია დადასტურებული; მანამდე ამ ტერიტორიას თრიალეთი ეწოდებოდა და იგი აღმინისტრაციულად ჯერ სამშვილდის საერისთავოში შედიოდა. XII საუკუნიდან თრიალეთი ანუ წალკა სამეფო დომენი გახდა, ხოლო XVI საუკუნიდან „მეწინავე სადროშოში“ შედიოდა. XIX საუკუნიდან, საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ თრიალეთი ჯერ ოკრუგის, ხოლო შემდეგ საბოქაულოს სახით თბილისის, ხოლო 1880 წლიდან ბორჩალოს მაზრაში იყო გაერთიანებული. 1929 წლიდან სოფელი ბარმაქსიზი რაიონის ცენტრი გახდა (ამ დროს გაუქმდა მაზრები და შეიქმნა რაიონები) და რაიონსაც ბარმაქსიზის რაიონი ეწოდა. 1932 წელს სოფელ ბარმაქსიზს შეეცვალა სახელი და დაერქვა წალკა. ამის მიხედვით ეწოდა წალკის რაიონი, რაც დღემდე ძალაშია.<sup>1</sup> თვით ძველ და ნამდვილი წალკა ერქვა დღევანდელ გუნია კალას, სადაც იყო ციხესიმაგრე და ეკლესია. მისი დიდი ნაწილი ახლა წალკის წყალსაცავითაა დაფარული. რაც შეეხება სახელწოდება წალკას, იგი ქართულია და წარმოებულია ყვავილოვანი მცენარის წალიკასაგან, რომელიც ამ მხარეში ბევრია გავრცელებული.

სახელწოდება რეხა უძველესიდან ჰქვია ამ ადგილს, უფრო მეტიც, იყო იქვე მეორე სოფელი რეხა, რომელიც ახლა ნასოფლარია.

---

<sup>1</sup> ამჟამად მუნიციპალიტეტი.

ახლა დანარჩენი სახელწოდებების შესახებ: წალკის რაიონის დღევანდელი არაქართული სახელწოდებების დასახლებული პუნქტების უძველესიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე იწოდებოდნენ ქართული სახელებით (ეს დასტურდება თვით XIX დასაწყისის რუსული და უცხოური რუკებითაც). საქმე ისაა, რომ აქ ძველიდანვე მოსახლეობდნენ ქართველები და ცხადია, მათი დასახლებული პუნქტების სახელებიც ქართული იყო. შემდგომში განუწყვეტელი შემოსევებისა და ბრძოლების შედეგად ამ მხარის მოსახლეობა თანდათან შემცირდა და XVIII საუკუნის ბოლოსათვის, ისე როგორც თითქმის მთელ ქვემო ქართლში, მოსახლეობის რაოდენობა მინიმუმამდე დაეცა (ამოწყდა, ან გადასახლდა სხვა მხარეში). სამაგიეროდ, XIX საუკუნის დასაწყისსა და შემდგომშიც, ნასოფლარების ტერიტორიაზე სხვადასხვა საშუალებით განსახლდა არაქართველი მოსახლეობა — ბერძნები, სომხები, თათარ-თურქმანული მოდგმის ხალხი, გერმანელები და სხვ. რასაკვირველია, XIX საუკუნის მანძილზე ამან გამოიწვია გეოგრაფიული სახელების გარდაქმნა. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო ხანია დადგინდა თანამედროვე არაქართული დასახლებული პუნქტების სახელწოდებების შესატყვისები „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხებისა და ავტორების (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ბერი ეგნატაშვილი, ჟამთა-ალმწერელი და სხვ.), ვახტანგ მეექვსის, ვახუშტი ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონის, ნიკო დადიანის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძის, ფარსადან გორგიჯანიძისა და სხვათა შრომებით, 1721 წლის მოსახლეობის კომპლობრივი აღწერის მაალებით, სხვადასხვა საუკუნეების ისტორიული საბუთების, სიგელ-გუჯრების, ნარატიული წყაროების, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებით და უამრავი საარქივო კარტოგრაფიული წყაროებით. ყოველივე ამის გამო, წალკის რაიონის დასახლებული პუნქტების დღევანდელი და მათი ძველი შესატყვისები თქვენი სიის თანმიმდევრობით შემდეგია:

1. ავრანლო — თეზი
2. ახალიკი — აბანო

3. ბაიბურთი — ოფიციალურად ასეთი სახელის სოფელი არ არის
4. ბაშკოვი — ბარეთი
5. ბელიანი — ვარდისწყარო
6. ბეშთაშენი — ბეშქენაშენი
7. გუმბათი — კოხაჯი
8. გუნიაკალა — წალკა
9. ჯინისი — არწივანი
10. ედიქილისა — საყდრიონი
11. იმერა — მეთრევანა
12. ყარაკომი — საბუჭდავი
13. ქიარაკი — ახალშენი
14. ლივადი — კირკიტა
15. ქვემო ხარაბა — ბაბია
16. ოლიანქი — მაჩეთა
17. სანთა — უწყლო
18. თარსონი — აკეთი
19. თრიალეთი — ნადვალეთი
20. თიქილისა — მერეყანა
21. ხადიკი — ტამალია
22. ხანდო — ცხვარეთი
23. ხრამქესი — . . . . .
24. წინწყარო — სამეზრო
25. ჩაპაეკა — კაეთა
26. შიპიაკი — ჩრდილისუბანი

02

1. აშკალა — ცრიცი
2. აიაზმა — თეთრიწყარო
3. ბურნაშეთი — ბოჟანო
4. დარაქოი — ფარეხა

5. დაშაში – ახალქალაქი
6. კაბური – ქედის სოფელი
7. ყიზილქილისა – ავლადი
8. კუშჩი – ლოშო
9. ნარდევანი – ოლთისი
10. ოზნი – ჩანჩხაბეჟა
11. თამლახარაბა – ახალდაბა
12. ხაჩკოვი – ჭილები
13. ჩიეთიქილისა – ლიპი

03

1. არჯევან-სარვანი – ლურჯ-საყდარი
2. გელაკლარი – კლდეკარი
3. თეჯისი – კნოლე
4. ჩოლიანი – ნალიბა

გარდა ამისა, არის კიდევ შემდეგი დასახლებული პუნ-  
ქტები:

1. ჩათახი – ლიპარიტისუბანი
2. მინოზიასქენდი – ჩამპერალა
3. თაზახარაბა – ხორხი
4. წალკა – ებანი (XIX საუკუნეში შეარქვეს ბარმაქსიზი)

შენიშვნა:

აქედან ზოგი მასალა გამოყენებულ იქნა და დაიბეჭდა მის წიგნში –  
Читлов Д. С., Читлов Ф. Д., Гуриели Э. Д. Цалкинцы дети Грузии. \_ Тб.:  
Закавказ. воен. ведомости, 1992. \_ С. 10-11.

## საიდან წარმოდგა სახელწოდება კავკასიონი<sup>1</sup>

კავკასიონის მთაგრეხილი გადაჭიმულია ტამანისა და აფშერონის ნახევარკუნძულებს შორის, ერთი მხრივ, აზოვისა და შავ ზღვას შორის, მეორე მხრივ, კასპიის ზღვის შუა და სამხრეთ ნაწილებს შორის. იგი მიეკუთვნება ალპებისა და ჰიმალაის რანგის მთათა სისტემას, რომელიც გამოყოფს კავკასიისწინეთის ბუნებრივ ოლქს სამხრეთ-კავკასიის მთათაშუეთში მდებარე კოლხეთის, იბერია-შირვანისა და მტკვარ-არაქსის ოლქებისაგან. ეს არის მკაფიოდ გამოსახული ხაზობრივი მთათა სისტემა, წრფივად განფენილი 1100 კილომეტრზე, დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთიდან აღმოსავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. კავკასიონის სიგანე ცვალებადობს 100-160 კილომეტრის ფარგლებში. მიღებულია მთაგრეხილის სამ მონაკვეთად დაყოფა, რომელთა საზღვრებს პირობითად ავლებენ იალბუზისა და მყინვარწვერის მერიდიანების გასწვრივ. საქართველოს ეკუთვნის სამივე მონაკვეთის (დასავლეთი, ცენტრალური და აღმოსავლეთი კავკასიონის) ნაწილები. მთავარი წყალგამყოფი ქედის და ამავე დროს საქართველოს მთელ ტერიტორიის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს მთა შ ხ ა რ ა (ზღვის დონიდან 5068 მ), რომელიც მეორე ადგილზეა კავკასიონის მწვერვალებს შორის, მთავარი ქედის ჩრდილოეთით ამართული იალბუზის მასივის (ზღვის დონიდან 5642 მ) შემდეგ.

საქართველოს ჩრდილო საზღვარი ძირითადად სწორედ კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემზე გადის მდ. აღფსიდან (გულაუთის რ-ი) აღმოსავლეთისაკენ მთა ვაიურ ფარსამდე. შემდეგ კი გადადის კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე და გადაივლის ჩრდილო გამყოფი ქედის მაღალ მასივებს (ხოზის, შავანას, კიდეგანის, ხეკსუ-

---

<sup>1</sup> ამ წერილის თეზისი ორ გვერდზე დაიბეჭდა 2000 წელს. იხ. ტოპონიმიკური შტუდიების I წიგნი (2018).



რეთისა და პირიქითის ქედებზე), რომელთა შორისაც კვეთს თერგის, ასას, არღუნისა და ანდის ყოისუს ხეობებს. შემდეგ საზღვარი ისევ მთავარი წყალგამყოფი ქედის თხემს უბრუნდება და მისდევს ამ უკანასკნელს ბოლომდე (მ. ტინოვროსომდე).

მთაგრეხილის სახელწოდების თანამედროვე ფორმა „კაკასიონი“ XX საუკუნეში დაუჩქვიდრდა. ძველად და XIX საუკუნეშიც მისი სახელწოდება იყო „კაკასანი“, „კაკასი“.

სახელწოდება „კაკაზუს“ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში მოხსენებულია ელადის დრამატურგ ესქილეს ტრაგედიაში – „მიჯაჭვული პრომეთოსი“. ასევე, მგოსან პინდარეს (ძველი ბერძენი ლირიკოსი, პოეტი – ძველი წელთაღრიცხვის 549 ან 546-480) „მიწის აღწერაში“. შემდეგში იგი იხსენიება ადგილობრივი და სხვა ქვეყნების მრავალ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანტიკური პერიოდის ბიზანტიელი მწერლები და მოგზაურები. მათ შორის – კლავდიოს პტოლომაიოსი, სტრაბონი, პროკოპი კესარიელი, ნიკოფორე გრიგორისი, იოანე ზონარა, იოანე ლიდე და სხვ. ბერძნებისაგან ეს სახელწოდება მემკვიდრეობით გადაეცა ჯერ რომაელებს და შემდეგ შუა საუკუნეთა ევროპელებს. ქართულ წყაროებში ეს სახელწოდება დადასტურებულია „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში. იხსენიება – „კაკასი“, „კაკასია“, „კაკასიანი“ როგორც მთის, ისე ქვეყნის სახელად.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი „კაკას“-ად კაკასიონის მთიანეთს გულისხმობდა, ხოლო თვით კაკასია იმავე ვიწრო მნიშვნელობით აქვს ნახსენები. ერთგან მეცნიერი აღნიშნავს: „კვალად არიან მთანი დიდროვანნი, რამეთუ ჩდილოთ უბეს კაკასი შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არს კ-ლ მხარი, და ჟამსა ზაფხულისასა გასქდების და, თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალუცს დათმენად სიცივისა; და ქუჭშე მისსა დის მდინა-

რენი. და არს ყინულნი მწვანე და წითელი, ვითარცა კლდე, სიძველის გამო. ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი, და შორის მთისა ამის სცხოვრებენ კაცნი“ (ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 31). ამასთანავე, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით სიტყვა „კავკასი“ იხმარებოდა არა მარტო მთლიანად კავკასიონის, არამედ მისი ცალკეული ნაწილების აღსანიშნავად. მაგალითად, კედელას კავკასი, ზეკარის კავკასი, ხოხის კავკასი და სხვა.

მოგვიანებით, სახელწოდება „კავკასი“ რუსების მიერ ეწოდა შავსა და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულ ხმელეთის ყელს, რამდენადაც კუმა-მანიჩის ღრმულის სამხრეთით შექნილი სამფლობელოები გააერთიანა განსაკუთრებულ საადმინისტრაციო ერთეულად – „კავკასიის“ მხარედ, ბუნებრივია, კავკასიონის სახელწოდების რუსული ვარიანტი „კავკაზ“ მთელ ამ ტერიტორიის სახელად იქცა. აღსანიშნავია, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რუსებისათვის „ზაკავკაზია“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასია დედამიწაზე ადამიანის ერთ-ერთი უძველესი საბინადრო რეგიონია. მისი ბუნება ფრიალ მრავალფეროვანი, უხვი და შესანიშნავია, რის გამოც მხარე უძველესი პერიოდიდან მჭიდროდ არის დასახლებული მრავალფეროვანი ხალხით. ასეთი მრავალფეროვანი მოსახლეობის გამო შეიქმნა ადმინისტრაციული დაყოფის მკვეთრი სიჭრელე. კიდევ უფრო ჭრელია კავკასიის ეთნიკური შემადგენლობა, რაც ძირითადად წინა საუკუნეებში ხალხთა ინტენსიური მიგრაციული პროცესების შედეგია. კავკასიის ტერიტორიაზე ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ და ალთაურ ენობრივ ოჯახთა ენებზე. ყოველივე ამის გამო, კავკასიის ეთნო- და ტოპონიმური დანაწილება მეტად ნაირგვარი და რთულია.

სახელწოდება კავკასიის (კავკასის) წარმოშობის შესახებ განსხვავებული აზრია; ერთი რამ უდავოა, რომ „კავკასია“ წარმოსდგა

კავკასიონის ქედის სახელისაგან. ისიც ნიშანდობლივია, რომ ეს სახელი სხვადასხვა ხალხთა ენაზე განსხვავებულად წარმოითქმოდა.

ჯერ კიდევ ბერძენი პლუტარქე (დაახლოებით 46-125 წწ.) მოგვითხრობს, რომ სახელწოდება ამ მთამ მიიღო იმის გამო, რომ გიგანტთა ბრძოლის შემდეგ სატურნი დაემალა იუპიტერის რისხვას და ნიანგად ქცეულმა თავი შეაფარა უმაღლეს მთას. ამ პრომეთეოსმა მოჰკლა ერთი ბინადარი მწყემსი, სახელად „კაკასი“, და მისი შიგნეულის მიხედვით თქვა, მტრები ახლოს არიანო. იუპიტერი მოევლინა იმ არემარეს, შეკრა მამა თვისი და გადაუშვა ჯოჯოხეთში. მთაზე კი, რომელსაც ეწოდა მწყემსის სახსოვრად „კაკასი“, მიაჯაჭვა პრომეთეოსი და მიუსია მას ტანჯვის მისაყენებლად არწიენი. აღსანიშნავია, რომ ამ ვარიანტის ქართული ვერსიის მიხედვით, ხალხისათვის თავდადებული გმირი ამირანი ღმერთმა კავკასიონზე მიაჯაჭვა. გილგამეშისა და პრომეთეს მსგავსად ამირანი საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული სახეა, რომელიც დაახლოებით 3500 წლის წინათ უნდა იყოს შექმნილი. ისიც აღსანიშნავია, რომ აფხაზეთში კიდევ მიუთითებენ პრომეთეს (ამირანის) მიჯაჭვის მთას სტრობილს (სწრობილი) კოდორის ხეობაში.

რომაელი მეცნიერის პლინიუს უფროსის (29-79 წწ. ახალი წელთაღრიცხვით) ცნობით, „სკვითები ეძახიან კავკასიის მთაგრეხილს „გრაეკაზის“, რაც თოვლივით თეთრ მთებს ნიშნავსო“ (თეთრ-თოვლიანი). პლინიუსის მიერ მოყვანილ ამ მნიშვნელობას თითქმის არ უჭერენ მხარს, მხოლოდ „გრაეკაზის“ ბევრით გადმოცემას მიიჩნევენ სარწმუნოდ და განმარტავენ სანსკრიტული ენის საშუალებით — კლდე ბრჭყვიალა, კაშკაშა, მბრწყინავი. თუმცა კ. იულის თქმით (IV საუკუნის დასაწყისი) სკვითები კაკაზს — კრუაზის უწოდებენ, რაც თოვლიანს ნიშნავსო.

გამოჩენილი გერმანელი ორიენტალისტი ჰენრიხ-იული კლაპროტი სიტყვას „კაკასიას“ კოზ-კასპი-დან, ე. ი. მთა კასპიელთად მიიჩნევს, რადგან კოზ (კუხ) ირანულად მთას ნიშნავსო.

ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძველი წელთაღრიცხვის 64 წ. და ახალი წელთაღრიცხვის 23 წ.) ემხრობა იმ აზრს, რომ სახელწოდება შესაძლოა წარმოიშვა „კასპიელთა“ ხალხის სახელიდანო (იმ დროს ეს ხალხი უკვე აღარ არსებობდა); ამ ვერსიას კი კ. სენ-მარტენი უარყოფდა, რადგან კავკასიის მთებში დღესაც იგივე ხალხი ცხოვრობს და არც ერთ „კავკასიას“, „კასპიას“ არ უწოდებსო.

3. უსლარის (XIX ს. რუსი ენათმცოდნე) აზრით, რომელსაც ზემოაღნიშნული სენ-მარტენიც ემხრობოდა, აზთა მთებს შესაძლებელია რქმეოდა გოგ-აზ ანუ გაუგაზ, რომელიც წარმოადგენს წმინდა ბერძნულს „კავკაზოს“-სო.

ამ აზრს თავის დროზე მიუღებლად თვლიდა ქართველი მეცნიერი ი. ჯიშკარიანი (აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის, ტფილისი, 1924, გვ.11), რომლის მტკიცებით უცნობია რომელ მთიელთა თქმაში აქვს „გაუგს“ მთის მნიშვნელობით სახელი და, ამასთან, აზებმა=ოსებმა კი არ მისცეს სახელწოდება კავკ-ასიას, არამედ თვით მიიღეს სახელი ოსი, იასი, აზი იმ არემარესი, სადაც ოსებიც ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიას – ღონის ქვემო ნაწილიდან იალბუზამდე. ამის გამო, სახელწოდება „კავკასიას“ ზოგი შემოტანილად მიიჩნევენ ინდოეთიდან აზებისაგან (ოსები), რომლებიც აქვე დამკვიდრებულაო. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თავდაპირველად ოსები ცხოვრებულა ცენტრალური აზიას ტერიტორიაზე, საიდანაც ჯერ ვოლგა-ურალის ქვემო ნაწილებში, შემდეგ მდ. ღონის ქვემო ნაწილში დამკვიდრებულან და თანდათანობით კავკასიონის მთების ჩრდილო ფერდობებზე მკვიდრებიან მდ.მდ. არღონ-ურუხის (თერგის მარცხენა შენაკადები) აუზებში, მაგრამ ეს გაცილებით გვიან მოხდა, ვიდრე ამ მთებს სახელს მიაკუთვნებდნენ. საყურადრებოა ის ფაქტიც, რომ ოსები თავიანთ თავს რანს (მრავლობითში ირონს) უწოდებენ, რაც ი. ჯიშკარიანის თქმით უნდა გულისხმობდეს ირანთაგან წარმოშობას. აღსანიშნავია, რომ ოსები განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო-აღმოსავლურ ჯგუფს.

აკადემიკოს სტრუვეს მიხედვით, ჩვენს ერამდე XIV საუკუნეში სამხრეთ კავკასიონის ხეობებს ებრძოდა მამაცი ტომი, რომლის სახელია კამ-კამ (კახ-კახ) და მათი სახელიდან თითქმის წარმოებულია სახელწოდება კავკასია. მოსე ჯანაშვილის შეხედულებით კავ-კავ შეიძლება ნიშნავდეს ზღუდე-ზღუდეს (მთაგრეხილი-მთაგრეხილს მისდევს).

ი. ჯიშკარიანი აღნიშნავს, რომ თეთრ-თოვლიანი ცნების ახსნას ვაპოვით ავარულთა ენაში — კახჰ=თეთრი, პაზო=თოვლი (კახ-პაზი), საიდანაც ბერძნული კავკაოს სახელად ბუნებრივია. იგივე მეცნიერი წერს, რომ არსებობს ამ სახელწოდების წარმოშობის მეორე შესაძლებლობა; სვანურ ენაში დღემდე ცოცხლად დაცულია სიტყვა „კავას“ — ბრწყინვალეს, მოწმენდლს მნიშვნელობით, ხოლო ქართულ ხალხურ თქმაში, სახელდობრ იმერეთში, ხმარებაშია სიტყვა „კას-კასი“ ცა მოკასკასებულაო, იტყვიან ხოლმე. სიტყვის მნიშვნელობა იგივეა, რაც სვანურში სიტყვა „კავკასისა“. სვანურად „კავკასი“ უცვლელად და უშუალოდ გადავიდა ბერძნულ სიტყვიერებაში და საყოველთაოდ დამკვიდრდა. ამასთანავე შენიშნავს იგი, რომ სვანებმა არ იციან ზოგადი სახელი მთაგრეხილისა და აღნიშნავენ მხოლოდ ამ მთაგრეხილის ცალ-ცალკე მწვერვალებს „თოთან“=თეთრი, „თვეთნულდ“=მოთეთრო, უშა და სხვა.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა ვერსიებისა, დადგენილი შეხედულება არ არსებობს. კიდევ ერთი ვარიანტია ამ სიტყვის წარმოშობა „ქეჟქან“—ისაგან, რაც სვანურად თოვლიან მთებს ნიშნავს (ლ. მარუაშვილი, კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია I. თბილისი, 1975, გვ. 5). ამ უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ მრავალი ფაქტი ლაპარაკობს. სვანები უხსოვარი დროიდან დაკავშირებული იყვნენ, ერთი მხრივ, კავკასიონთან და, მეორე მხრივ, შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ბერძნულ სამოსახლოებთან. ამასთან, კავკასიონის ქედის იმ ნაწილის სამხრეთით მოსახლეობდნენ, სადაც ყველაზე მეტად არის მაღალთოვლიანი მთები და მყინვარები. ისიც ნიშანდობლივია, რომ

სვანთა გავრცელების არეალი გაცილებით შორს ვრცელდებოდა. უფრო მეტიც, ჩრდილო კავკასიის გარკვეულ ტერიტორიაზე სვანებს არათუ გავლენა ჰქონია, არამედ მოსახლეობდნენ კიდეც. ყოველივე ამას ადასტურებს სვანური ტოპონიმების გავრცელება კავკასიონის ორივე მხარეზე. საინტერესო ცნობებს გვაწვდის XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი, რომ ჩრდილო კავკასია ძველად უკაცრიელი ყოფილა: „ხოლო კავკასიათა ჩრდილოთ არა იყო ხუელრი თარგამოსისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმკუდრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღვასა დარუბანდისასა. ამისთვის გამოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორი გმირნი, ლეკან და კავკასი. და მისცა ლეკანს ზღვთგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა (თერგი – კ.ხ.), ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ზაზარეთისად (კუმა? – კ.ხ.). და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავლით“ (ქართლის ცხოვრება I, თბილისი, 1955, გვ. 5-6).

ცხადია, რომ თუ ჩრდილო კავკასიაში არ სახლობდა ხალხი, ვერც სახელს შეარქმევდა. „კავკასი“ კი წერილობით წყაროებში 26 საუკუნის წინათ არის დადასტურებული. რა თქმა უნდა, ეს სახელწოდება გაცილებით ადრე იქნებოდა შერქმეული. კავკასიის მთებში ყველაზე მეტად ძველი პერიოდიდანვე სვანები ყოფილა განსახლებული. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ მოგვიანო პერიოდის სვანთა საერისთავო ოდნავადაც ვერ მოიცავს ძველ სვანეთს. სვანთა სამფლობელო, როგორც აღინიშნა, ზღვამდე ჩამოდიოდა და მათი გავლენის სფერო ჩრდილო კავკასიაშიც გადადიოდა. აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს (საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბილისი, 1975, გვ. 431) მულახში ჩაუწერია ცნობა, რომ სვანურ სიმღერაში სვანთა მოსახლეობა ზღვამდე უწევდა. ხოლო პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ სვანები კავკასიონის ჩრდილო მხარეზეც ცხოვრობენო. ამის დასტური უნდა იყოს ტოპონიმთა ნაშთი, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი რო-

გორც ჩრდილო კავკასიაში, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ერთ-ერთი მოსაზრებით, თვით სოხუმის ადრინდელი სახელი ცხომი, ცხუმი სვანურ „რცხილას“ უკავშირდება.

ყოველივე ზემოთქმული და, განსაკუთრებით, სვანური წარმოშობის გეოგრაფიული სახელების ფართო არეალი, გარკვეულწილად საფუძველს გვაძლევს, რათა კავკასიონის სახელწოდება სვანური წარმოშობის სახელად ჩავთვალოთ.

1995 წ.

## „ყოროლის წყალი“ თუ „ყოროლისწყალი“?

ქალაქ ბათუმთან შავ ზღვას ერთვის 14-ოდე კილომეტრის მდინარე, რომელსაც ყოროლისწყალი ჰქვია. მიუხედავად მდინარის სიმცირისა, მის ხეობაში რამდენიმე დასახლებული პუნქტი და ძველი ნაგებობის ნაშთია. ამ უკანასკნელის საუკეთესო ნიმუშია მდინარის შესართავთან, მარცხენა მხარეზე აღმართულ ბორცვზე მდებარე ძველი ციხესიმაგრის ნაშთი. გარკვეულ მეცნიერთა აზრით, სწორედ ეს ადგილი წარმოადგენდა ძველი ბათუმის ადგილსამყოფელს. ამის მტკიცებას ჩვენ არ შევუძლებით.

სიტყვა გავიგრძელდა და ჩვენს მთავარ საკითხსაც შევეხოთ. სახელწოდება ყოროლისწყალი მსაზღვრელ-საზღვრულიანი ჰიდრონიმია, ორი კომპოზიტის ნაერთია და იგი ერთად იწერება. ასევე ერთად იწერება მდინარეთა და დასახლებულ პუნქტთა – მეჯინისწყალი, აჭარისწყალი, ჩირუხისწყალი, ჭვანისწყალი, მაჭახლისწყალი და სხვა მისთანანი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ტრადიციით, ძველი წყაროებით მსგავსი სახელწოდებები ერთ სიტყვად იწერებოდა. ასეა XVIII საუკუნის ისტორიკოს-გეოგრაფიის ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. თუმცა 1941 წლის ბეჭდურ გამოცემაში, მსგავსი სახელწოდებები დეფისით რის გამოყოფილი. ეს შედეგია რუსული მართლწერის გავლენისა, რაც დაკანონებული იყო 30-40-იან წლებში. საბედნიეროდ, კარგა ხანია ეს უზუსტობა აღმოიფხვრა და ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის ახალი გამოცემა (1997 წელი) ამ ხარვეზს მოკლებულია.

სამი წლის წინათ, როცა აჭარაში სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი, მდ. ყოროლისწყლის ხიდის ორივე მხრიდან საგზაო ნიშანზე ეს უხერხული წარწერა ისევ დამხვდა – „ყოროლის წყალი“. მაშინ ვიფიქრე, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა, როცა წარწერას განაახლებენ ამ შეცდომასაც გაასწორებენო, მაგრამ დღესაც იგივე მდგომარეობაა: წლების განმავლობაში კი შეცდომით თვალში საცემ წარწე-



რას ათასობით ადგილობრივი თუ ჩამოსაული სტუმარი აღიქვამს, და ცხადია, ასე აღიბეჭდება მათ გონებაში. სხვათა შორის, ანალოგიური მდგომარეობაა მღ. ჭვანის წყლის საგზაო ნიშნის წარწერაზეც.

იმელს გამოეთქვამთ, ამ და სხვა უზუსტობებს გეოგრაფიულ სახელწოდებათა მართლწერაში, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე გვხვდება, შესაბამისი სამსახურის მუშაკები ამჯერად მაინც შეასწორებენ.

კობა ხარაძე

ბათუმი, 1998 წლის აგვისტო

P.S. სამწუხაროდ, შემდეგ წელსაც წარწერა არავის შეუსწორებია და არც გაზეთში დაბეჭდილა ჩვენი წერილი.

## ბეობრაზიულ ცნობარში ბეობრაზიული დამახინჯებანი<sup>1</sup>

დიდხანია მწევედ იდგა საკითხი მსგავსი ცნობარის გამოცემის აუცილებლობაზე; ასეთი ხასიათის ცნობარი მეტად საჭირო და აუცილებელია მრავალი დარგის სპეციალისტებისათვის. მასში თავმოყრილი უამრავი მასალით სწრაფად ვიპოვით ჩვენთვის საჭირო ცნობებს, რასაც სხვა შემთხვევაში დიდძალი დრო სჭირდება. ერთი სიტყვით, ასეთი ცნობარის გამოცემა საჭირო და აუცილებელიც იყო.

ახლახან გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცა „საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და ადმინისტრაციული რაიონების ცნობარი“. იგი ხომ საჭიროა მრავალი დარგის სპეციალისტებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ ცნობისმოყვარეობაზე. აღნიშნულ ცნობარში უამრავი მასალა არის თავმოყრილი, რაც ავტორთა კოლექტივის დიდი შრომის შედეგია. წიგნში შეიძლება სწრაფად ვიპოვოთ ჩვენთვის საჭირო ცნობა, რისთვისაც სხვა შემთხვევაში დიდი დრო დაგვეხარჯებოდა. ერთი სიტყვით, ასეთი ცნობარის გამოცემა დროული და აუცილებელი იყო, მაგრამ, ამასთან ცალკეული ცნობების გამოყენებისას მის სისწორეში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს; თუ ასეა, მაშინ ყოველი ცნობარი თავის მნიშვნელობას კარგავს, ხოლო გამოყენებისას არასწორ ცნობებს ვღებულობთ, რაც საფუძვლად ხდება შეცდომების ჯაჭვური რეაქციისა. სამწუხაროდ, ცნობარი საკმაოდ შეიცავს უზუსტობას. ჩვენ დაწვრილებით არ შევუდგებით მათ ჩამოთვლას, აღვნიშნავთ იმ უზუსტობებს, რომლებიც თვალის ერთი გადავლებითაც აშკარად ჩანს; ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ: ავტორისეულ, რედაქტორისეულ და კორექტურულ შეცდომებად.

---

<sup>1</sup> ეს წერილი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ ჩავაბარე. მომზადდა კიდევ დასაბეჭდად, მაგრამ გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე უკან წამოვიღე, რადგან წიგნის შემდგენლები დამიპირისპირდნენ.

ცნობარში ზოგი რაიონის მდებარეობის განსაზღვრა უზუსტო, ხოლო რამდენიმე რაიონის საზღვრების დასახელებაში გამორჩენილია მოსაზღვრე რაიონები: მოვიტანთ ზოგიერთ მაგალითს: „თეთრიწყარო (ქალაქი – კ.ხ) მდებარეობს მდინარეების ხრამისა და მაშავერას წყალგამყოფზე“ (71)<sup>1</sup>; სინამდვილეში ალგეთ-ქციის წყალგამყოფზეა; ახმეტის რაიონის მოსაზღვრედ (41) დასახელებულია ყაზბეგის რაიონი (?!); ონის რაიონის მოსაზღვრედ (98) – კი ზნაურის რაიონი (?!); გორის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის მოსაზღვრედ (54) ბორჯომის რაიონი (?!). ასეთი შეუსაბამობა წიგნში არავის არ უნდა გაპაროდა; ან კიდევ, როგორც აღვნიშნეთ, სრულყოფილი როდია ზოგი რაიონის მოსაზღვრე რაიონების ჩამოთვლა. აი ზოგი მათგანი: გეგეჭკორის რაიონის<sup>2</sup> მოსაზღვრედ (52) გამოტოვებულია ცაგერის რაიონი; კასპის რაიონის (78) – წალკის რაიონი; აბაშის რაიონის (29) – წულუკიძის რაიონი; მცხეთის რაიონის (95) – თეთრიწყაროს რაიონი; საგარეჯოს რაიონის (102) მცხეთისა და სიღნაღის რაიონები და სხვ.

ცნობარში გვხვდება ფაქტების დამახინჯების შემთხვევებიც. მაგალითად: „გაგრა გადაიქცა ქალაქად 1973 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით“. სინამდვილეში კი, 5 აპრილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაა 11 აპრილის გაზეთ „კომუნისტში“; ასევე. „თეთრიწყარო ქალაქად 1954 წელს გამოცხადდა“ (71). უნდა აღინიშნოს, რომ 1966 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში იგი დაბად არის მითითებული; შემდეგ, სოფ. ნაკადული და ნაკადულის სასოფლო საბჭო (143), 1967 წელს მეხადირის სახელით შეიცვალა. ეს ცვლილება კი ცნობარში შეტანილი არ არის.

უზუსტობაა დაშვებული ციფრობრივ მონაცემებშიც; ასე მაგალითად, ცნობარის მიხედვით, თეთრიწყაროს რაიონში ყოფილა 400 მოსწავლე, რომელსაც თურმე ასწავლის 700 მასწავლებელი (72); ხოლო

<sup>1</sup> ფრჩხილებში ნაჩვენები ციფრები ცნობარის გვერდებს შეესაბამება.

<sup>2</sup> ახლანდელი მარტვილის მუნიციპალიტეტი.

ქ. ცხინვალში 300 (?!) მოსწავლე ყოფილა და 500 მასწავლებელი (171); აბრსკილის მღვიმეს, თურმე, სიდიდით მესამე ადგალი უკავია საბჭოთა კავშირში (152), სინამდვილეში, სიგრძით იგი ოცეულში ვერ ხვდება, ხოლო მოცულობითაც ათეულს მიღმა არის დარჩენილი; ასევე, ახალციხის რაიონის ფართობი, ცნობარის მიხედვით, 101,3 კმ<sup>2</sup> (39), სინამდვილეში, მისი ფართობი 1000 კმ<sup>2</sup>-ზე მეტია; არასწორია პროცენტული გამოანგარიშება მაზარაძის<sup>1</sup> რაიონის მოსახლეობისა (91) და სოხუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიმართ (154).

ბევრი გეოგრაფიული სახელწოდების მართლწერისას დაცული არ არის გრამატიკული ბრუნვის საკითხი; აი ზოგიერთ მათგანი: ზემო ხოდაშენის (41)<sup>2</sup>, ვაკეის (60), ზინდარის (64), აკურას (74), ეწერის (75, 104), გოდოგანის (75), ჯახუნდერის (85), ყულარისში (89), ხიხაძირას (167), უშაფათოს (123) და სხვ. ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების ხმარებისას დაცული არ არის მართლწერის ელემენტები; მაგალითად, ახალიკინდლი (151), ახალ უბანი (97), ქვემო-ბოდბე (109), ზემოხეთი (116), შუაგანახლება (117) ქვემოაკეთი (85), განარჯიისმუხური (68), დიდინები (68), ზელაწერი (69), ციხის ჯვარი (49), დიდიჭყონი და სხვა. უფრო მეტიც, ზოგჯერ სხვადასხვაგვარადაა აღნიშნული ერთი და იგივე გეოგრაფიული სახელწოდება: ცოდნის კარი და ცოდნისკარი (81,82), თეთრიწყარო და თეთრი წყარო (45,70), ბაშქოი და ბაშკოი (126, 127) და სხვ.

შურის (ნარიყალა) ციხე (11), მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიერ აღიარებულია, რომ შური „ქართლის ცხოვრებაში“ შეცდომით შემოვიდა გადაშერის მიერ – „ქართა შორის“. ასე, რომ „შური“ არ უნდა იყოს გეოგრაფიული სახელი და ძველ ლიტერატურაში უბრალოდ „ციხის“, „თბილისის ციხედ“ არის დასახელებული.

1 ახლანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

2 დასახელებული სახელწოდებები ნათესაობით ბრუნვაში არასწორად არის ჩასმული.

არც ისე იშვიათია გეოგრაფიულ სახელწოდებათ დამახინჯება, რაშიც გარკვეული „წვლილი“ მიუძღვის ავტორებსაც და რელაქციასაც; ასე მაგალითად: ოლასყურე, (12), რიწეული (34), ხულგუმო (38), წოტხევი (40), ნაკვაზაო (52,53), ახრაზი (56), ყურაბულაზი (59), კმარლო (60), დოლიკაური (66), ახალკახეთი (68), შამგორი (68), ჩაკენჯა (70), ლალეთი (70), ჩხიკეთი (70), ჩოგნარი (75, 76), სიქთავრა (75,76), ზარდუბანი (76), ნორგიეთი (86), ძორი (98), ჭანჭარი (98), ნაფალაური (105), გოგოლეისუბანი (118), გორახა (119), ნაგურალეში (120), წიფერი (120), ანაკოპია (149), ლომის-ალეფი (173), არალო (190) და სხვ. მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ახლა ისიც ვიკითხოთ, საცნობარო ლიტერატურაში ამდენი დამახინჯება ხომ წარმოუდგენელია; ამ სახელწოდებათა სწორი ფორმის აქ წარმოდგენას აღარ შევუძლებით.

ზოგჯერ ცნობარში ერთიანი სტილი და სისტემა დაცული არ არის; მაგალითად, საქართველოს რაიონული და რესპუბლიკური რუსული გაზეთების სახელწოდებების დასახელებისგან ერთგან რუსული ტრანსკრიპციით გამოყენებული, მეორეგან კი ქართული (10, 14, 128, 142, 159).

ცნობარში არც ისე იშვიათია გაუმართავი და უხერხული წინადადებები; მაგალითად, „დაღმედიის ეთერზეთების მეთესლეობის“ (90)?! „სოფ. გრიგოლეთში ადგილობრივი მნიშვნელობის ერთსანატორიუმიანი საზღვაო კურორტი“ (84)?! „კურორტი შემოფარგლულია შერეული ტყით, დაფარულია მაღალი ქედებით“ (88)?! „სამხ. ზრამის ხეობა, წალკის მაღალი ზეგანი“ (70), „ქალაქში (ფოთში – კ.ხ.) არსებობს ქართული დრამატული თეატრი“ (21). გარდა იმისა, რომ „არსებობს“ აქ ცუდად ჟღერს, სიტყვა „ქართული“ ზედმეტია და სხვ.

წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „წინამდებარე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ცნობარის მიზანია მკითხველს მიაწოდოს სისტემატიზებული ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური და გეოგრაფიული მანაცემები...“ იმავე გვერდზე ვკითხულობთ: „ცნობარი მოიცავს ყველა

ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და გეოგრაფიულ მონაცემებს“. თუ როგორ მიაწოდეს ავტორებმა ჩამოთვლილი მონაცემები, ნაწილობრივ მაინც ჩანს წინამდებარე წერილიდანაც.

კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება ცნობარის უზუსტობასა და კორექტურული შეცდომების შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ ნათლად ჩანს იმის მაგალითი, თუ როგორ არ უნდა ეკიდებოდნენ ცნობარის შედგენის საქმეს. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ ცნობარის შემდგენლები მომავალი გამოცემისათვის გაითვალისწინებენ აღნიშნულ შენიშვნებს და ახალ ცნობებთან ერთად მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანენ.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> 2012 წელს საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილებამ გადაწყვიტა მსგავსი ცნობარი შეედგინათ. ეს წერილი განყოფილების გამგემ გამომართვა და მისი ასლი გადაიღო.

## საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ რედაქციას<sup>1</sup>

პატივცემულო რედაქცია! ღიღი მოწონებით სარგებლობს თქვენს მიერ შემოღებული რუბრიკა – „დღეაღმოსაღმოსი“, რომელსაც კარგად უძღვება ლევან ღვინჯილია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქვე საჭიროა ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებაც გვესაუბრა, რადგან დამახინჯებანი და შეუსაბამობანი ამ საქმეშიც საკმაოდ გვაქვს. თუ საჭიროდ ჩათვლით ასეთ გადაცემებსაც, გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს.<sup>2</sup>

### I

პატივცემული ტელემაყურებლებო! თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელსაც ტოპონიმია ჰქვია. ქართული ტოპონიმია, ანუ გეოგრაფიული სახელები, ისევე ძველი და მრავალფეროვანია, როგორც ქართული სალიტერატურო ენა. გეოგრაფიული სახელები ერის საუნჯეა და მათ ისევე სჭირდებათ მოვლა და პატრონობა, როგორც თვით ისტორიას.

ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს; ამით იგი ადგილის ბარათს ავსებდა და თაობიდან თაობას გადასცემდა. დღეს კი რაოდენ წარმოუდგენელია გეოგრაფიული სახელწოდებების გარეშე ცხოვრება. ხშირად არც ვუკვირდებით და არც გავიანზრებთ ამა თუ იმ ადგილის სახელწოდებებს, რომლებიც

---

<sup>1</sup> ტელევიზიასა და გაზეთის რედაქციებში ხშირად მასინჯდებოდა და დღესაც მასინჯდება ქართული გეოგრაფიული სახელწოდებები. ამასთან დაკავშირებით, ტელევიზიის „მოამბის“ რედაქციას ვთხოვდი შემოღებულიყო რუბრიკა ტოპონიმთა გაჯანსაღებისათვის. ამ მიზნით რამდენიმე ნიმუშში შევთავაზე ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემას.

<sup>2</sup> რამდენიმე წერილს აქ არ წარმოვადგენთ, რადგან ისინი უკვე დაბეჭდილია წერილებში. მაგალთად: თუშეთი, მტკვარი და სხვ.

ასე მძაფრად არის შემოჭრილი ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ საქმიანობაში. ალბათ ძნელი წარმოსადგენია რა ქაოსი და არეულობა იქნებოდა ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრების გარეშე. და მერე, იცით საქართველოში რამდენი ათასი გეოგრაფიული სახელწოდებაა? მათი წარმოშობა და ხასიათი ხომ განსხვავებულია. ავებლობამ და მძიმე ბრძოლებმა ათეულობით სოფელი და ქალაქი აღგავა, რომელთა სახელები ან გაქრა, ან არქივის გაყვითლებულ ფურცლებზეა შემორჩენილი. ასეულობით სახელმა ჟამთა სვლაში ცვლილება განიცადა და ამჟამად სხვა სახელწოდებად გვეკვლინება. უფრო საშუაზარია ის, რომ დღევანდელ მშვიდობიან პერიოდში მახინჯდება ზოგი ადგილის სახელი. რამდენი დაწერილა მათ შესახებ, რამდენი შესწორებულა და ყველაფერი ეს ერთი უბრალო დაუკვირებლობის და მავანის გამო მომხდარა. დამახინჯებული სახელის გასწორებას კი ზოგჯერ წლები სჭირდება. არა და, როგორ სწრაფად ითვისებს ადამიანი შეუფერებელ სახელს და ხშირად ძნელად თუ წაიშლება იგი მესხიერებიდან.

ამ რამდენიმე წლის წინ მცხეთასთან, ძველი არმაზის ადგილას პლატფორმას „ნეფტობაზა“ მიაწერეს. მართალია, შემდეგ გასწორდა ეს სახელწოდება, მაგრამ ხალხში კვლავ მტკიცედ დარჩა ეს სახელი. შემდეგ, აქვე, ძეგვსა და ქსნის სადგურებს შორის ბაქანზე გაჩნდა აბრა, რომელზედაც აღნიშნული იყო – „ბაქ. შიო-მგვიმი“, ზუსტად ასევე რუსული ტრანსკრიპციითაც მის გვერდით იყო წარწერა. ნუთუ არავის ეხამუშა ეს წარწერა? დამწერს, წამკითხველს ან ვინც ადგილზე გააკრა?! ნუთუ შეიძლება ქართველმა კაცმა ასე უაზროდ დაწეროს სიტყვა და წაიკითხოს იგი? „შიო-მღვიმი“ ხომ ისტორიული სახელწოდებაა, რომელმას საუკუნეებს გაუძლო? რა არის „მგვიმი“? ბოლოს მცხეთის რაიონული გაზეთის რედაქცია ჩავრიეთ და ბაქანი კვლავ აბრის გარეშე დატოვეს.

ჭიათურის რაიონში კი დარკვეთთან მდებარე ადგილს „ნოფი“ და „ცოფი დაუმკვიდრეს“. ან კიდევ, ვის რაში სჭირდება ხელოვნურად შეკოწიწებული და ისიც დამახინჯებული სახელები? ზაგესი,



ხრამკესი და სხვა. მით უმეტეს, დაუშვებელიც კი არის ტოპონიმიკაში რამდენიმე სიტყვისაგან მიღებული შემოკლებული სახელი.

ბევრი გეოგრაფიული სახელწოდება რომ ადგილზევე მახინჯდება, ამის უშუალო მოწმე მეც ვარ. თეთრიყაროს რაიონში დმანისი ღუმანისად გადაქცეულა, სამღერეთი, სამღრეთად, სამშვილდე სამშვილდოდ და მრავალი სხვა.

სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ქართულ ლიტერატურასა და პრესაშიც ხშირად მახინჯდება გეოგრაფიული სახელწოდებები. ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ აი ზოგი მაგალითი: გაზეთი „კომუნისტი“ — გოუბანი ღოუბნის ნაცვლად, ყურნალი „ცისკარი“ — „თერგს ჰქვია თერგი, რიცას კი რიცა...“ როკის უღელტეხილი და სასოფლო საბჭოს სახელი „რუკად“ ქცეულა საქციალურად მიძღვნილ ლიტერატურაში; უფრო მეტიც, წიგნის სათაურშივე ასეა აღნიშნული: „რუკის საუღელტეხილო გზა“.

ლიტერატურასა და პრესაში, სხვა და მნიშვნელოვან დამახინჯებებზე, კონკრეტულად შემდეგ გადაცემებში ვისაუბრებთ...

## წერილი მეორე

ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ქართული გეოგრაფიული სახელწოდების მართლწერაზე; როგორც პრესაში, სამეცნიერო თუ სხვა ლიტერატურაში, ოფიციალურ მიმოწერასა და საგზაო ნიშნებზე ერთიანი პრინციპი არ არის დაცული; ხშირად ამ საქმეში არაფრად დაგიდევნ და არავითარ დადგენილ წეს არ იცავენ. არა და, რა ხშირად გვხვდება მიუტყევებელი უზუსტობანი. მაგალითად, არავისათვის უცხო არ უნდა იყოს ის, რომ ორი ნაერთი სიტყვისაგან, ან ტერმინისაგან შედგენილი ტოპონიმი ერთად იწერება — ასე, არსილოსკალო, აჭვისთავი, ქვათეთრი, კოდიჯვარი, ვარდისუბანი, კლდეკარი, აბისისთავი, ალათუბანი, ანდრიაწმინდა, არაშენდა და სხვა მრავა-

338


ლი. ამ და ზოგიერთი მისთანა სახელწოდებების ცალ-ცალკე დაყოფა კი არც ისე იშვიათობაა. ზოგჯერ ასეთ სახელწოდებებს დეფისით ანაწევრებენ და სხვა. ამდენად, ამ რიგის გეოგრაფიულ სახელწოდებათა მართლწერა ერთ სიტყვად გადმოცემა იქნება. ასევე ერთად იწერება რთული შედგენილობის სახელები, სადაც მეორე, მსაზღვრელ კომპონენტად დასტურდება გეოგრაფიული ტერმინი. მაგალითად, არ შეიძლება ცალ-ცალკე ვწეროთ აბანოსხევი, აჭარისადმართი, ბაღებისხევი, გამდლისწყარო, გუბისწყალი, ვაკისძირი, ვერტყვიჭალა, კისისხევი, ლომისხევი და სხვა მრავალი. ამდენად, არ შეიძლება იმ მდინარეთა სახელწოდებების დანაწევრება, რომელიც აგრეთვე მსაზღვრულად დასტურდება ხევი, წყალი, წყარო და სხვა.

სამაგიეროდ, ანტონიმური მსაზღვრელები, როგორიცაა: დიდი, პატარა, ზემო, ქვემო, შუა, ზედა, გაღმა და სხვები, შევეერთოთ ძირითად სახელწოდებას და ერთად ვწეროთ. სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ირღვევა ეს პრინციპი პრესაში და, ზოგჯერ ლიტერატურაშიც. საბედნიეროდ, ასეთი დამახინჯებანი არ ჩანს რადიოსა და ტელეგადამცემებში. ამდენად, ანტონიმური მსაზღვრელები: ახალი სვირი, გაღმა ვანი, დიდი თონეთი, ზედა ეწერი, ზემო თელეთი, ქვემო ბაგები, პატარა გომარეთი და სხვა მისთანანი უნდა ვწეროთ ცალ-ცალკე.

ჩვენ ამჯერად არ შეუდგებით ამ საკითხებზე კონკრეტული მაგალითების მოტანას, რადგან, თითქმის ყველა გაზეთსა და ოფიციალურ მიმოწერაში, ასევე რაიონების საგზაო ნიშნებზე გვხვდება ასეთი დამახინჯებანი.

ახლა გვინდა შემოგთავაზოთ ფოტო, რომელზედაც სულ სხვაგვარი უზუსტობაა წარმოდგენილი. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვიპასუხეს: „ყველაფერი სწორად წერიაო“! ვითომ? აბა კიდევ ერთხელ დააკვირდით! ეს საგზაო ნიშანი ქარელის რაიონის სოფელ აელევს ეკუთვნის; ქართული წარწერა რომ პირველი უნდა იყოს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ თვით ქართულ-რუსული სიტყვების წარწერებიც რომ არეულია, ესეც შეცდომა არ არის? ქართულ ს. — სოფელი, მი-

წერილი აქვს რუსულად Авлеви, ხოლო რუსულ с. - село-ს ქართულად აელევი. იქნებ ახლა მაინც გვიპასუხონ რაიონის შესაბამისმა სამსახურმა ამის შესახებ.



### წერილი მესამე

წინა გადაცემებში ვისაუბრებთ გეოგრაფიული სახელწოდებების მართლწერის ერთიან პრინციპზე. ამ პრინციპს, რომელიც დადგენილი და დაკანონებულია, უნდა იცავდნენ პირველ რიგში პრესის მუშაკები; სამწუხაროდ, ზოგჯერ ისეთი ქაოსია, ვერც კი დაადგენ კორექტურული შეცდომა თუ უნებლიე. ადრე ზოგი მათგანი აღვნიშნეთ; ამჯერად კი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ გაზეთ „თბილისში“ სამგლოვიარო განცხადებებში მოხსენიებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებზე, ვერც ერთ წოდებულ განცხადებათა მისამართებებზე. რა დასამალია და განცხადება შეაქვს რედაქციაში სხვადასხვა განათლების, ასაკისა და ხასიათის ადამიანს; მით უმეტეს, ჭირისუფლებისა და მათ ახლობლებს ამ დროს სწორედ უნებლიე შეცდომა და უზუსტობა შეიძლება მოუვიდეს. მაგრამ რედაქციის შესაბამის თანამშრომელს ასეთი უზუსტობა

ან განცხადების მომტანთან ერთად უნდა გასწორდეს, ან დამოუკიდებლად, სპეციალური საცნობარო ლიტერატურით, მით უმეტეს, უნდა დაიცვას ერთიანი პრინციპი. ასეთი უზუსტობა ან შეცდომა იშვიათი რომ იყოს; აბა რას ვიტყვით, მაგრამ ყოველ ნომერში ორი-სამი შეცდომა რომ შეგვხვდება, ეს უკვე მიუტეტებელია. ამასთან; ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად არის საჭირო სწორი ტრანსკრიპცია და მისამართი.

ჩვენ მხოლოდ გაზეთის ათიოდე ნომრიდან ამოვწერეთ ასეთი უზუსტობანი და რა მივიღეთ, ერთ განცხადებაში მითითებული იყო ქრისტეში — ონის რაიონი, ოფიციალური საბუთებით, ასეთი სოფელი ფიქსირებული არ არის. მითითებული იყო აჯარა — გულრიფშის რაიონში; ჯერ ერთი აჟარა და არა აჯარა, მეორეც, არის ზემო და ქვემო აჟარა. ერთ განცხადებაში მითითებული იყო სიმონეთი. რაიონის მითითებლობა ამ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან კავშირგაბმულობის მუშაკებმა დეპეშა რომელ სიმონეთში გააგზავნონ? თერჯოლის რაიონში თუ ხელვაჩაურის რაიონში?! რაიონები მითითებული არ იყო აგრეთვე, ახალ ნიჩბისზე, ჯორჯიაშვილზე, უბისაზე, დიდ მიტარბზე და სხვ მრავალი. ვითომ კორექტურული შეცდომაა. ჟებიტა — ჟებოტას ნაცვლად, დავთი — დავათის ნაცვლად და სხვა. ზოლო „ნახალოკას“ მითითება რას მივაწეროთ?! ერთ განცხადებაში ქვედა მაღლაკია მითითებული, უზუსტობაა, რადგან ოფიციალურ საცნობარო ლიტერატურაში მითითებული არ არის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთი პრინციპი გეოგრაფიული სახელწოდებების წერისას მიღებული არ არის; ზოგან ანტონიმურ მსაზღვრელებს — ზემო, ქვემო, დიდი; პატარა და სხვა ერთად წერენ გეოგრაფიულ სახელთან, ზოლო ზოგჯერ ცალ-ცალკე; ასევე მსაზღვრულ მსაზღვრელიანი სიტყვები და სხვა. მათი მართლწერის შესახებ კი წინა გადაცემაში ვისაუბრეთ.

## წერილი მეოთხე<sup>1</sup>

ამჯერად გვინდა ვისაუბროთ ერთ-ერთი ტოპონიმის მცდარი აზრის შესახებ. საქმე ისაა, რომ საქართველოში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი შტატი – ჯორჯია, ატარებს საქართველოს სახელს. ეს აზრი არაერთხელ დაბეჭდილა ჩვენს პრესაშიც.

ჩვენ ცოტა როდი გვაქვს შემთხვევა, როცა ქართული ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდება უცხო ქვეყანაშიც გვხვდება. ეს არც არის ვასაკვირი, რადგან ემიგრაციაში მყოფი ადამიანი ცდილობს თავის სამშობლოს სიყვარული და მოგონება თან წაიყლოს. ზოგჯერ კი სპეციალურად, საპატივცემულოდ არის შერქმეული. მაგრამ სახელწოდებათა მიმსგავსების საფუძველზე, ასეთი დასაკვნის გაკეთება ნაადრევია და ხშირად შეცდომამდეც მივყავართ.

სინამდვილეში, ამერიკის შეერთებული შტატების – ჯორჯიას შტატის საქართველოს სახელწოდების იდენტურობისათვის არაერთარი საფუძველი არა გვაქვს და მათი კავშირი მხოლოდ სახელწოდებათა მიმსგავსებაშია გამოხატული. ორივე ეს სახელწოდება ერთი და იგივე ფუძის „გიორგი“-საგან, ინგლისურად ჯორჯი, ფრანგულად ჟორჟი წარმოდგება. ამასთან, ცნობილია, რომ გიორგიას=გეორგიას (ჯორჯიას) ევროპელები უწოდებენ საქართველოს. ხოლო რუსები გრუზიას, სომხები ვრასტან, მაჰმადიანური სამყარო გურჯის და სხვა. თვით ჩვენ საქართველოს ვეძახით.

ეტიმოლოგიური თვალსაზრისით ახსნილია ამ სახელწოდებების წარმომავლობა. ასევე ნათელია ამერიკის შეერთებული შტატების – ჯორჯიას წარმოშობაც. საქმე ისაა, რომ ინგლისელები როცა დასახ-

---

<sup>1</sup> ეს წერილი გაზეთ „ლელოს“ რედაქციასაც გაეგზავნა, ეს მცდარი შეხედულება რამენჯერმე იყო გაჟღერებული.

ლდნენ ამერიკის ტერიტორიაზე, ამ დროს, 1733 წელს, გიორგი მეორე მეფობდა, რომლის საპატივცემულოდ უწოდეს ეს სახელი.

ყოველივე ამის გამო, არაერთარი უფლება არა გვაქვს მიმსგავსების საფუძველზე გავაიგივეოთ ერთნაირი გეოგრაფიული სახელწოდებები, თორემ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გვხვდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელწოდებების მიმსგავსებული ფორმები.

### წერილი მეხუთე

ჩვენი საუბარი შეეხება როგორ გამოვიყენოთ ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი ქართული სიტყვები. წერილობით და ზეპირ მეტყველებაში ხშირად იხმარება ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი სიტყვები. მათი რიცხვი საგრძნობლად მატულობს გეოგრაფიულ ლიტერატურაში. ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი სიტყვები სხვადასხვაგვარად იხმარება გეოგრაფიულ ტერმინებთან და სახელწოდებებთან. ამ შემთხვევაში შესატყვისად იცვლება სიტყვის გრამატიკული ბრუნება და რიცხვი. ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი სიტყვა შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი. სიტყვები შეიცვლება იმის მიხედვით, თუ წინადადების რა სახეა გამოხატული. დაბოლოება კი შეიძლება გამოიხატოს *მთ*, *ურ*, *ულ* სუფიქსებით და ძირითადად *ი* დაბოლოებით. სუფიქსები იცვლება წინადადების სიტყვებთან მიმართებაში. *მთ* სუფიქსი იხმარება ვრცელი ტერიტორიისათვის, ამიტომ არ შეიძლება ვიხმაროთ აღმოსავლური, დასავლური, სამხრული, ჩრდილოური — ოკეანე, აზია, რაიონები და სხვა. სწორი ფორმები იქნება: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი — ევროპა, აზია, საქართველო, გერმანია, ოკეანე, რაიონები. მეორე მხრივ, სწორი იქნება აღმოსავლური: ენები, კულტურა, ქარი, ნაწილი, საზღვარი, მიმართულება, მუსიკა, ნახევარსფერო, ფერდობი, ნაპირი, ზღაპრები, კუთხე, და სხვა.

ასევე არ არის სწორი აღმოსავლეთი აზიის, სწორი ფორმაა აზიის აღმოსავლეთი, აზიის დასავლეთი და ასე შემდეგ. ასევე, ქრისტიანული აღმოსავლეთი, მაჰმადიანური აღმოსავლეთი, შორეული აღმოსავლეთი, ახლო აღმოსავლეთი. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ჯერ იხმარება ტერმინი, ან გეოგრაფიული სახელწოდება, ხოლო შემდეგ თვით მხარის აღმნიშვნელი სიტყვა, ესე იგი მხარის აღმნიშვნელი სიტყვა დამოკიდებულია ძირითად ტერმინზე და წარმოადგენს მსაზღვრულს. მაგრამ ყოველთვის როდია დამოკიდებული ქვეყნის მხარეთა აღმნიშვნელი სიტყვა ტერმინსა თუ გეოგრაფიულ სახელწოდებაზე. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ვიხმაროთ სუფიქსის გარეშე; მაგალითად, ჩრდილო ფერდობი, რუსეთი, ნახევარსფერო, კავკასია და სხვა. ეს დამოკიდებულია წინადადების წყობასთან. ასევე სწორი იქნება: აღმოსავლეთის ეგზოტიკა, მიმართულება, ჰავა, ქარი, ქვეყნები, მცხოვრები და სხვა. ამ შემთხვევაში მოხდა სიტყვების შეთანხმება, მათი სინტაქსური კავშირი. სხვა შემთხვევაში, ზოგიერთ სიტყვასთან მხარის აღმნიშვნელი სიტყვა ტერმინად ან გეოგრაფიულ სახელწოდებად იქცევა. მაგალითად, ჩრდილოეთის ელვარება, ჩრდილოეთის ზღვა, სამხრეთ ვიეტნამი, სამხრეთ ამერიკა და სხვა. ამასთან, შეიძლება ვიხმაროთ ისეთი სიტყვებიც, რომლებსაც დაერთვის რთული სუფიქსი. ასე მაგალითად, დასავლეთური, სამხრეთული და სხვა. მიმართულების გამოსახატავად თვით ქვეყნის მხარეთა სიტყვებს დაერთვის. მაგალითად, მზე სამხრეთისაკენ გადაიხარა. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და სხვა.

შედარებით განსხვავებულად იხმარება ქვეყნის შუალედი მხარეები. შუალედი მხარეების აღმნიშვნელი სიტყვები თავისი ბუნებით რთულია და ორი ან სამი სიტყვისაგან შედგება. ამიტომ, პირველ რიგში საჭიროა თვით ამ სიტყვების შეთანხმება და შემდეგ მთელ წინადადებასთან კავშირი. სწორი იქნება თუ ვიტყვით – სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო, დასავლეთ-აღმოსავლეთის გზა, სამხრეთ-დასავლეთ საზღვარი, ჩრდილო-დასავლეთ ან ჩრდილო-დასავლეთი მხარე და სხვა.

**შენიშვნები კანონპროექტზე –  
„საქართველოს კანონი გეოგრაფიული ობიექტების  
სახელწოდებათა შესახებ“<sup>1</sup>**

1. სხვადასხვაგვარად იკითხება მომართვაში აღნიშნული კანონპროექტისა და პროექტის სათაურები: პირველ მათგანში წერია: – „საქართველოს კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების შეცვლის“ შესახებ, ხოლო მეორეში – „საქართველოს კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების შესახებ“ (!!).

2. შესავალ ნაწილში აუცილებლად მიგვაჩნია დაემატოს სიტყვა „დაცვის“. ამასთან, ერთ წინადადებაში რამდენჯერმე განმეორებული სიტყვები; მაგალითად, „ადგენს გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდების დადგენის“. უფრო მეტიც, ამავე შესავალში ერთ წინადადებაში ორჯერ მეორდება „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა“.

3. პროექტის ძირითადი ნაწილი სხვა ენიდან არის თარგმნილი, რის გამოც წინადადებათა წყობა ქართულად ზოგჯერ გაუმართავია და ძნელად იკითხება: მაგალითად, გეოგრაფიული ობიექტების დასახელებები (გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები) – საკუთარი სახელები, რომლებიც მიკუთვნებული აქვთ გეოგრაფიულ ობიექტებს მათი გამოყოფისა და შეცნობადობისათვის“ (!!).

4 პროექტში ზოგჯერ არეულია სუბიექტისა და ობიექტის რაობა. მაგალითად, არ შეიძლება გეოგრაფიული სახელწოდება მიეკუთვნოს სუბიექტს (მუხლი 8).

5. მიუღებელი და ზედმეტია მე-10 მუხლის პირველი, მეოთხე აბზაცი და მეხუთე აბზაცის მეორე წინადადება.

---

<sup>1</sup> ეს პასუხი გაიგზავნა საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის მომართვაზე (9.09.97 წ. №5) პასუხად საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებისადმი.



6. ზედმეტია მერვე მუხლის ბოლოწინა აბზაცი.

7. მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დაემატოს მეთერთმეტე მუხლს: „გეოგრაფიულ სახელწოდებათა დარქმევის, გადარქმევისა და აღდგენის საბოლოო დასკვნას იძლევა „გეოგრაფიულ სახელწოდებათა მოწესრიგების სპეციალური მუდმივმოქმედი კომისია“.

21/09.1997 წ.

## ომონიშური ტოპონიმების გავრცელების თავისებურებანი კავკასიაში<sup>1</sup>

კავკასია დედამიწაზე ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი საბინადრო რეგიონია. მისი ბუნება მეტად მრავალფეროვანია, უხვი და შესანიშნავია, რის გამოც მხარე უძველესი პერიოდიდან მჭიდროდ არის დაკავშირებული დასახლებული მრავალეროვანი ხალხით. ასეთი მოსახლეობისაგან შეიქმნა მკვეთრი ადმინისტრაციული ერთეულების სიჭრელე.

ამჟამად კავკასიად იგულისხმება ყელი აზოვის, შავისა და კასპიის ზღვათა შორის, კუმა-მანიჩის ღრმულიდან საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის სამხრეთ საზღვრამდე თურქეთ-ირანთან. ფართობი 440 ათასი კვადრატული კილომეტრია. აღნიშნულ ტერიტორიაზე მთლიანად თავსდება: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და რუსეთის ფედერაციის ევროპული ნაწილის სამხრეთი. ამ უკანასკნელის ფარგლებშია 2 მხარე და 10 ავტონომიური რესპუბლიკა. კიდევ უფრო ჭრელია

---

<sup>1</sup> ამ წერილის გვერდნახვერიანი კონფერენციის მოხსენების თეზისი დაიბეჭდა წინა გამოცემაში (იხ. გვ.225-226). გთავაზობთ მოხსენების სრულ ვარიანტს. 346

კავკასიის ეთნიკური შემადგენლობა, რაც ძირითადად წინა საუკუნეებში ხალხთა ინტენსიური მიგრაციული პროცესების შედეგია. კავკასიის ტერიტორიაზე ცხოვრობს 50-ზე მეტი ეროვნების ხალხი, რომლებიც ლაპარაკობენ იბერიულ-კავკასიურ, ინდოევროპულ და ალთაურ ენობრივ ოჯახთა ენებზე. ყოველივე ამის გამო, კავკასიის ეთნო- და ტოპონიმური დანაწილება მეტად ნაირგვარი და რთულია.

კავკასიის თანამედროვე ტოპონიმების თითქმის ნახევარი უძველესი პერიოდიდან არის შერქმეული, რასაც ადასტურებს როგორც ისტორიული წყაროები, ისე სახელწოდებათა წარმოშობა. ტოპონიმების დანარჩენი ნაწილი კი ხალხთა მიგრაციის შედეგად არის გარდაქმნილი. კავკასიის ტერიტორიაზე მაკრო- და მიკროტოპონიმთა რაოდენობა ათასობით განისაზღვრება, ხოლო დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა 30 ათასს აჭარბებს. ტოპონიმთა 40% მარტივი წარმოშობისაა. გავრცელების მიხედვით სჭარბობს თათრულ-ირანულენოვანი გეოგრაფიული სახელწოდებები, ხოლო ცალკეულ რესპუბლიკებში ეროვნული უმრავლესობის ენაზე შერქმეული სახელები.

კავკასიის ტერიტორიაზე ჭრელი ეთნიკური შემადგენლობის მიუხედავად, აქაურ ენათა ლექსიკური მარაგის მხოლოდ უმნიშვნელო, მკაცრად შეზღუდული ნაწილი მოხმარდა ტოპონიმთა; ამის გამო, ერთი და იგივე სახელწოდება მრავალგზის მეორდება. კავკასიის ხუთვერსიანი რუკებისა და თანამედროვე კავკასიის ცალკეული რეგიონების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფების მიხედვით შევადგინეთ კავკასიის ომონიმურ ტოპონიმთა კატალოგი 1438 სახელწოდებისათვის. მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდა ზოგი კანონზომიერებანი.

კავკასიის თანამედროვე ტოპონიმიაში შეიმჩნევა ერთნაირი სახელების როგორც ლოკალური, ისე გლობალური გავრცელების შემთხვევები. ამასთან, ისინი გვხვდება დასახლებული პუნქტების და ბუნებრივი ობიექტების სახელწოდებებში. უფრო ხშირად ორივე მათგანში. ერთნაირი გეოგრაფიული სახელწოდებები განსაკუთრებით ხშირია

მეზობელ ადმინისტრაციულ რაიონებში და თვით ერთი და იმავე რაიონში, რაც გამოწვეულია ეროვნული შემადგენლობით და კუთხური კილოკავის იდენტურობით. გლობალური გავრცელება ერთნაირი გეოგრაფიული სახელწოდებებისა ძირითადად ხალხთა მიგრაციული პროცესების შედეგად არის გამოწვეული. ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია, მაგრამ დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: ა რ ლ უ ნ ი – საქართველო, აზერბაიჯანი, ჩეჩნეთი; ბ ა ი ღ ა რ ა – საქართველო, აზერბაიჯანი, ჩრდილო ოსეთი, დაღესტანი; ზ ი ა რ ა თ ი – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი; კ უ შ ჩ ი – საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი; ყ ა ლ ა – საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი; ყ ა ზ მ ა – აზერბაიჯანი, დაღესტანი, კრასნოდარის მხარე; ლ ი ს ა ი ა – საქართველო, აზერბაიჯანი, ჩრდილო ოსეთი, დაღესტანი, კრასნოდარის მხარე; ქ ი ო ნ ი – დაღესტანი, ჩრდილო ოსეთი და სხვა. მსგავსი სახელწოდებათა რაოდენობა 407-ია, რომელთა შორის ჩრდილო და სამხრეთ კავკასიონზე გვხვდება: ანდისი ახუნი, თებულო, ალაზანი, არაგვი და სხვ.

ერთნაირი გეოგრაფიული სახელწოდებები მრავლად გვხვდება თვით რესპუბლიკებს შიგნით. მათი რაოდენობა ასეულობით განისაზღვრება. ერთნაირი სახელწოდებები ზოგჯერ 10, 15 და 20-ზე მეტი შეიმჩნევა. ასეთებია: ახალსოფელი, ახალუბანი, ახალშენი, აგარა, აბანო, განანხლება, განთიადი და სხვა, რომლებიც თითქმის ყველა ენაზე და ყველა რეგიონში მრავლად არის. მსგავსი სახელწოდებების წარმოშობა დაკავშირებულია ახალდასახლებებთან ან ნასოფლართა აღდგენასთან. ამასთან, ბევრ მათგანს საკმაოდ ადრეული წარმოშობა აქვს.

კავკასიაში ფართოდ არის გავრცელებული ანტონიმური მსაზღვრელები, რომლებიც დაერთვის როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელებს, როგორცა – ზემო, ზედა, ქვემო, ქვედა, შუა, ჩრდილო, სამხრეთი, ახალი, ძველი, პატარა, დიდი, პირველი, მეორე და სხვა მრავალი. რთული შედგენილობის სახელებში მეორე საზღვრულ კომპონენტად დასტურდება გეოგრაფიული ტერმინები – 348

ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, ჭალა, ეწერი, ვაკე, ხვეი, წყარო, გორა, წყალი, რუ, ძირი, ფერდობი და სხვა. რთული შედგენილობის ტოპონიმებში ხშირია აგრეთვე — კარი, ციხე, წმინდა, ჯვარი, კლესია და სხვა. ერთნაირი გეოგრაფიული სახელების გარკვეული ნაწილი საზოგადო სახელთაგან არის წარმოქმნილი. საკმაოდაა საკუთარი სახელებისაგან წარმოშობილი ომონიმური ტოპონიმები, რომლებიც უმეტესად მიძღვნილი ხასიათისაა.

კავკასიის ტოპონიმიაში ერთმანეთის გვერდითაა სინონიმური წყვილები, ანუ დიაქრონული სახელწოდებები, რომლებიც ერთროულად, ერთმანეთის გვერდით იხმარება ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად. ერთი სახელი ახალია, ხმარებული, მეორე კი ძველი, ხმარებიდან გადავარდნილი. ასეთი გეოგრაფიული სახელწოდებები რეგიონის ყველა მხარეში გვხვდება; ისინი განსაკუთრებით მრავლადაა ხალხთა მიგრაციულ რაიონებში — შიდა ქართლის ოსებით დასახლებულ რაიონებში, ქვემო ქართლის და ჯავახეთის სომხებით და თურქულენოვანი ხალხის აზერბაიჯანელებისა და ბერძენის დასახლების რაიონებში და სხვა. ასეთ გეოგრაფიულ სახელწოდებებში საკმაოდ ბევრია ომონიმური ტოპონიმები როგორც აზერბაიჯანის, ისე თურქეთის შესაბამის ტოპონიმთა მიმართებაში. ერთნაირი გეოგრაფიული სახელწოდებები საკმაოდ იყო აღნიშნული სახელწოდებების წინამორბედ სახელებშიც. ამ უკანასკნელთა გავრცელებას უმთავრესად ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ერთნაირი გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილი მათი შეცვლის ან გაუქმების გამო იქცა მონოტოპონიმად.

ერთნაირი გეოგრაფიული სახელწოდებების განხილვასთან ერთად უნდა აღინიშნოს ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელის განსხვავებული ხმარება სხვადასხვა ენაზე. ამის მაგალითია მდინარე მტკვრის სახელი; მტკვარი ქართულში, სომხურში ქურ, თურქულსა და აზერბაიჯანულში ქაურ, ბერძნულში და ლათინურში კოროსი//კუროსი, რუსულში კურა. ასევეა თვით ქვეყნების სახელები:

სომხეთი, საქართველო და სხვა, რომელთა სახელები სხვადასხვაგვარად გამოითქმის სხვადასხვა ენაზე.

ერთნაირი გეოგრაფიული სახელები აგებულიებისა და გენეტური ტიპების მიხედვით ისეთივე პრინციპებით ხასიათდებიან, როგორც საერთოდ ტოპონიმები. ომონიმური ტოპონიმები საუკეთესო მასალაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხთა ისტორიის, მათი უძველესი ეკონომიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ურთიერთობისა და, რაც მთავარია, მიგრაციის გასარკვევად. ომონიმებში ასახულია იმ ხალხთა სახელებიც, რომელთაც ოდესღაც აქ უცხოვრიათ, მაგრამ შემდეგ აღარ ჩანან და სხვა ადგილზეა წარმოჩენილი. ამის მიხედვით შეიძლება ხალხის საცხოვრებელი ადგილის გადანაცვლებისა და ხალხთა მოძრაობის გზის დადგენა, ერთი ხალხის მეორით შეცვლის გათვალისწინება. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ომონიმური სახელები მოგვიანებით შერქმეული ვერ გამოხატავს ადგილის ნამდვილ ბუნებას, რამდენადაც არ არის გათვალისწინებული სახელწოდების შერქმევის პირობები და მექანიკურად არის გადატანილი ამა თუ იმ ობიექტზე.

ამდენად, ომონიმური ტოპონიმები წარმოადგენს ძვირფას მასალას ისეთი საკითხების გასარკვევად, როგორცაა ეთნოგენეზი, განსახლება, ხალხთა მიგრაციული პროცესები და სხვა.

1998 წელი

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის,  
ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის  
სამთავრობო კომისიაში რეგიონებიდან შემოსულ მასალებზე<sup>1</sup>

გავეცანი რა წარმოდგენილ მასალებს – გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა მოწესრიგების ანუ უმართებულად შერქმეული ტოპონიმების ძველი შესატყვისების აღდგენის საკითხებს, შეიძლება ითქვას, რომ ეს მცირედი ნაწილია იმ დიდი საქმისა, რასაც ეროვნული საუნჯის მოწესრიგება ჰქვია. სამწუხაროდ, რეგიონების ხელმძღვანელობის დიდმა ნაწილმა ამჯერად თავი შეიკავა.

დიდი მადლობის ღირსია წალკის მუნიციპალიტეტის მესვეურები, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ეს საკითხი და წარმოადგინეს რაიონის დანაგვიანებული ტოპონიმების შეცვლის თავიანთი ვარიანტი. სხვა საქმეა, რომ წარმოდგენილ სიაში არის უზუსტობები და შეუსაბამობები, რის გამოც გთავაზობთ ლიტერატურული და ისტორიული წყაროების მიხედვით მეცნიერულად დასაბუთებულ სწორ ფორმებს; თუმცა, გვაქვს გარკვეული შენიშვნები, რაც ემყარება ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროების მეცნიერულ კვლევებს;

1. ულიანოვკას (სიღნაღის მუნიციპალიტეტი) შეესატყვისება ვერხვიანი; ამასთან, ულიანოვკა არის, აგრეთვე, სოფლები ლაგოდენისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებშიც. რატომ არ ვცვლით ამ სოფლების სახელებსაც?

2. ოქტომბერი (ყვარლის მუნიციპალიტეტში) იცვლება ზინობანით. სწორი ფორმაა ზინობანი.

---

<sup>1</sup> ინსტიტუტის დირექციამ მასალები დასკვნისათვის გადმომცა, რაც ჩემი სახელით გაიგზავნებოდა. მე ვფიქრობ, ეს დასკვნა შესაბამისი უწყებისათვის არ გაგზავნილა, ხოლო შერჩევით აქედან გამოიყენა კომისიის წევრმა გეოგრაფიის ინსტიტუტიდან.

ამასთან, ოქტომბერი არის თერჯოლის, ზუგდიდის და ქედის მუნიციპალიტეტებშიც.

3. ძველი ოსების სახელწოდება დუშეთის მუნიციპალიტეტში იცვლება ნოკორნით, მაგრამ იქვე არსებულ ახალ ოსებს ვტოვებთ?

4. მარნეულის მუნიციპალიტეტში არის სოფელი ორჯონიკიძე, რომლის შეცვლა განზრახულია „საიმერლო“-თი, რაც მიუღებლად მიგვაჩნია.

5. საქართველოში ჯერ კიდევ არის ლენინოვკა, კიროვი (2), კიროვკა, კიროვკანი, კიროვისი, მიასნიკიანი, მიასნიკოვა, შაუმიანოვკა, მახარაძე და სხვ. იმ დროს, როცა ამ რეგიონების რწმუნებულები გვწერენ, რომ მათ ტერიტორიაზე ჯერჯერობით შესაცვლელი არაფერიაო.

წალკის რაიონის ახლანდელი და ძველი ტოპონიმების სიაში ბევრი დამახინჯებული და შეუსაბამობაა. გთავაზობთ ლიტერატურული და ისტორიული წყაროების მიხედვით მეცნიერულად დასაბუთებულ და სწორ მართლწერას.<sup>1</sup>

მოთხოვნაში არ არის:

თეჯისი – კნოლე

ლივადი – კირკიტა

ბურნაშეთი – ბოჟანო

თაზახარაბა – ხორხი

6. ხადიკის ტბა (წალკის მუნიციპალიტეტი) უნდა იწოდოს ტამაღის ტბად;

7. მდინარე კორსი (ქორსუ) არ შეიძლება ტვიბრად იწოდოს, მისის სახელი იყო ბრმახევი;

---

<sup>1</sup> ჩამოთვლია 40-ზე მეტი ძველი და ახალი სახელწოდებების შესატყვისები.

8. ტიკმა-დაში (უფრო სწორია თიქმა-თაში) უღელტეხილი წალკისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს შორის. მისი სახელწოდება ძველად გამოითქმოდა – ქვარჭობილი;

9. ელდალი - მთა ქ. ბოლნისთან ახლოს, ძველ წყაროებში „მოვიდა გორა“;

10. ახლანდელი სახელწოდება წალკის შეცვლა მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან იგი მუნიციპალიტეტის ცენტრია. ამასთან, დაუშვებლად მიგვაჩნია მისთვის თრიალეთის დარქმევა, რამდენადაც თრიალეთ საერთო სახელი იყო ამ მხარის, რეგიონის და არა ჰუნქტის, ზოლო დღევანდელ წალკას ძველად ეძანი ერქვა.

მიგვაჩნია, რომ გეოგრაფიული სახელწოდებების მოწესრიგება უნდა გაგრძელდეს, რათა ისტორიული სამართლიანობა აღდგეს.

28.07.2009 წ.

მომართვის №1182, 17.07.2009 წლის პასუხად გაეგზავნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მინისტრის მოადგილეს ჯამბულ ბაკურაძეს (გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე).



ბეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების,  
გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული  
ობიექტების სახელწოდებათა სფეროში  
მოქმედ სამთავრობო კომისიას

ამავე კომისიის წევრის კობა ხარაძის

დ ა ს კ ნ ა

ამა წლის 23 დეკემბრის სხდომაზე განხილულ იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თხოვნა, სოფელ აბანოეთის ძველი სახელწოდების „მიქარწმინდის“ აღდგენის შესახებ, საქართველოს მთავრობის სხდომისათვის საკითხის მომზადებაზე.

მოგახსენებთ, რომ აქ დაშვებულია რამდენიმე უზუსტობა; კერძოდ, „მიქარწმინდა“ არ წარმოადგენს სოფელ აბანოეთის ძველ სახელწოდებას. ყოველთვის არსებობდა ორივე მათგანი დამოუკიდებელ დასახლებულ პუნქტად. შორს რომ არ წავიდეთ, ამის ნათელი დადასტერებაა XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მასალები, რომელშიც აბანოეთი და მიქარწმინდა ცალ-ცალკეა აღწერილი – აბანოეთში 570 სულია დაფიქსირებული, ხოლო მიქარწმინდაში 148. ასევე, 1926 წლის „მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალებში“, რომლის მიხედვით, სოფელ აბანოეთში 466 სულია დაფიქსირებული, ხოლო სოფელ მიქარწმინდაში 149. როგორც ჩანს, 40 წლის მანძილზე მოსახლეობაში მხოლოდ ოდნავი ცვლილებებია. ანალოგიურია 1930 წლის „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფაც“, რომელშიც ორივე დასახლებული პუნქტია მოცემული. სამივე დასახლებულ წყაროში ეს დასახლებული პუნქტები ცალ-ცალკეა დაფიქსირებული. ასევე, ორ დასახლებულ პუნქტადაა ისინი დატანილი ალექსანდრე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ 1931-1932 წლების საქართველოს

1:200 000 მასშტაბის 12 ფურცლიან ტოპოგრაფიულ რუკაზე. რაც შეეხება 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფასა და იმავე პერიოდის რუკებს, მათზე მხოლოდ აბანოეთია აღნიშნული.

რაც შეეხება გორგი ბოჭორიძის ნაშრომს, რომელიც კომისიის სხდომაზე გაუღერდა, თითქოს მას ჰქონდეს მოცემული აბანოეთის და მიქარწმინდის გაიგივება, სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან გორგი ბოჭორიძემ XX საუკუნის 20-ან წლებში მიქარწმინდის ძეგლები და სიძველენი შეისწავლა და აღწერა, ხოლო აბანოეთს არ ეხება (გ. ბიჭორიძე. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველენი. თბილისი, 1994, გვ. 22, 55, 72, 128, 129, 318, 337, 351). ცხადია, მეცნიერი აბანოეთსაც იცნობდა.

ცნობილი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ბერაძე, თავის მონოგრაფიაში – „რაჭა“ აღნიშნავს: „სოფ. მიქარწმინდაში (ეს სოფელი დღეს აბანოეთთან არის მიერთებული) ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ერთი ძველი, ალბათ X საუკუნის ეკლესია იდგა. იგი მიქელ მთავარანგელოზის სახელობაზე იყო აგებული. სოფლის სახელიც აქედან მოდის, – მიქელ წმინდა – მიქარწმინდა“ (თ. ბერაძე, რაჭა. თბილისი, 2004, გვ. 88-89). ამ მონოგრაფიას თან ახლავს დანართი – რაჭის რუკა, რომელზეც ცალ-ცალკეა დატანილი სოფლები – აბანოეთი და მიქარწმინდა. ჩანს, რომ საბჭოთა წლებში (XX საუკუნის 30-ანი წლების მიწურულსა და 40-ანი წლების დასაწყისში), როცა ანტიქრისტიანული პროპაგანდა მიმდინარეობდა, მიქარწმინდა მიუერთეს მის ახლომდებარე დასახლებულ პუნქტს აბანოეთს, რის გამოც ლიტერატურიდან ამოვარდა სახელწოდება მიქარწმინდა.

კარგია მუნიციპალიტეტის სურვილი ალუდგეს ძველი სახელები დასახლებულ პუნქტებს, მაგრამ ეს შემთხვევა არ გამოდგება, რადგან ისტორიული სამართლიანობა ამ გზით ვერ აღდგება, რადგან აბანოეთიც ძველი სახელია, რომელიც მიქარწმინდის ახლოს პარალელურად არსებობდა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაკლებად არის ძველი სახელწოდებები შეცვლილი ან დამახინჯებული, მაგრამ მაინც გვხვდება. მაგალითად შრომა (ძველად ჯვარისა).

ყოველივე ზემოაღნიშნულისა, გაუმართლებლად მიგვაჩნია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფელ აბანოეთის შეცვლა მიქარწმინდის სახელწოდებით.

კობა ხარაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის  
განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი,  
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქ. თბილისი,

23.XII.2015 წ.

## დასკვნა

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეცვლილი (შერქმეული) ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების არსებობის მიზანშეწონილობაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა წლებში ძველი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილი შეიცვალა (დაერქვა) საბჭოთა რევოლუციონერთა სახელებით. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის 30 წელი გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან, საბჭოთა პერიოდში შერქმეული სახელწოდებები დღემდე შენარჩუნებული. მართალია, ჩვენი რეკომენდაცია-დასკვნა მარნეულის რაიონის სახალხო ფრონტის რეგიონალურ განყოფილებას ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების აღდგენაზე ჯერ კიდევ 1989 წლის 11 დეკემბერს გადაეგზავნა, მაგრამ დღემდე ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა. არადა, ძველი სახელწოდებების აღდგენა არათუ სასურველი, არამედ აუცილებელია. ამჯერად გთავაზობთ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შეცვლილ ტოპონიმებს:

1. ულიანოვკა — მისი სახელწოდება, ბუნებრივი პირობების მიხედვით ხალხში გავრცელებული იყო — ვერხვიანი (ვერხვნალა). რომელიც მოხსენიებულია XVII-XVIII საუკუნეების ისტორიულ საბუთებში (იხ. მასალების საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (1964), ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს გეოგრაფიაში, 1735 და 1745 წლების რუკებზე, სოფლების სიაში, 1923 წლის ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ საქართველოს ისტორიულ რუკაზე და სხვ.

სახელწოდება ულიანოვკა ამ ადგილას გაჩნდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში. იგი უკვე ფიქსირებულია

1926 წლის მოსახლეობის აღწერაში და 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

2. შაუშიანი – მისი ძველი სახელწოდებაა დაბა შულავერი. ეს სახელწოდება მას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში ეწოდა, რაც დაფიქსირებულია 1926 წლის მოსახლეობის აღწერაში და 1930 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში, ოღონდ ფრჩხილებში მიწერილი აქვს შულავერი. ამავე პერიოდში არსებობდა რკინიგზის სადგური შულავერი, რაც საქართველო-სომხეთის რკინიგზის გაყვანასთან (1898 წ.) ერთად გაჩნდა, რომელიც შემდეგ დასახლებულ პუნქტად გარდაიქმნა. რადგან მეორე შულავერიც გაჩნდა, სასურველია ყოფილ დაბა შულავერს ეწოდოს დიდი შულავერი.

3. კიროვკა – ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის გადმოცემით, როგორც პროფესორ ლევან მარუაშვილის ჩანაწერებით ირკვევა, მისი ადრინდელი სახელია რიყისპირი (ვაკისკიდე). 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში – მამაის გვერდით ფრჩხილებში კიროვკა უწერია, რაც ამ სახით დასახლებულია შემდგომ გამოცემებში. რას ნიშნავს ეს გაუგებარია, რამდენადაც დასახლებულ პუნქტს ოფიციალურად ერთი სახელი უნდა ჰქონდეს. თუმცა, 2003 წლის „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ აღნიშნულია – „კიროვკა – ყოფ. მამაი“.

4. ბუდიონოვკა – საბჭოთა წლებში გაშენდა. იგი დაფიქსირებულია 1949 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში. თუ იმასაც გაეითვალისწინებთ, რომ სოფლის მიდამოებში მოწითალო ფერის ქანებია, სახელი ამის მიხედვითაც უნდა შერქმეოდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სოფლის მიდამოებში ამ მოწითალო ფერის ქანების მიხედვით სოფელს უნდა ეწოდოს სახელი – მეწაშულა.

ამდენად, მარნეულის მუნიციპალიტეტში შესაცვლელია (აღსად-  
გენია) დასახლებული პუნქტების სახელწოდებები:

ვერხვიანი (ვერხვნალა) – ულიანოვკის ნაცვლად

დიდი შულავერი – შაუმიანის ნაცვლად

რიყისპირი (ვაკისკიდე) – მამაი-კიროვკას ნაცვლად

მეწამულა – ბუდიონოვკის ნაცვლად

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის  
მთავარი მეცნიერი, ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგე,  
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კობა ხარაძე

2018 წლის ოქტომბერი

წინასიტყვაობა	5
რ.დანიბეგაშვილის მოგზაურობის ტექსტის ზოგი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის	8
თბილისი XVIII-XIX საუკუნეების ტოპოგრაფიული გეგმის მიხედვით	15
საიდან წარმოდგა ეს სახელწოდებები	34
„რაისა ბოროტთა მოვიკვეთთ“?	56
საქართველოს ძველი და ახალი ტოპონიმების შედარებითი კვლევის ზოგი საკითხისათვის	61
ისტორიული შიდა და ქვემო ქართლის თანამედროვე ეთნიკური შემადგენლობა და ომონიმური ტოპონიმების გავრცელება	75
საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასპექტები	78
ნეტავ სულ არ მენახა	99
ყალბისმქნელებო შეჩერდი	105
ქ. ცხინვალის შემოგარენი	112
მდგომარეობა აფხაზეთში ჩვენს მიერ წლების განმავლობაში გატარებული პოლიტიკის შედეგია	117
სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და ტოპონიმთა განვითარების საკითხისათვის	128
გლდანის ტოპონიმი	130
საქართველოში გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვის არავითარი მექანიზმი არ არსებობს	137
ორბელიანის კუნძული	142
ამის მქნელს ვახუშტი ბატონიშვილი ნამდვილად მკლავს მოკვეთდა...	149
ამ რუკის შემდგენელს ვახუშტი ბატონიშვილი მარჯვენას მოჰკვეთდა	154

ასეთი რუკის შემდგენელს მარჯვენას მოჰკვეთდა ვახუშტი ბატონიშვილი	158
არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, რომ უძველესი სახელწოდებები ახლახან შერქმეულით შეეცვალათ	164
სოფელ ჩხარის (თერჯოლის მუნიციპალიტეტი) ტოპონიმია	172
ბუნებრივი პირობების ცვალებადობის ამსახველი პალეოგეოგრაფიული ტოპონიმია	180
დიდი და პატარა ლიახვი	191
მღ. მტკვარი	194
არაგვი	198
ქსანი	202
ბოდორნის სახელწოდებისათვის	207
1923 წლის საბურთალოს სამედიცინო რუკის ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობა	209
გულგრილობისა და ამპარტაენობის შედეგი	217
ტოპონიმია ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში	224
ტიტანური ნაშრომის გამოცემის 100 წლისთავი	243
აჭარის ტოპონიმია	247
აჭარის სახელწოდებისათვის	260
შიგა აჭარის ტოპონიმია	266
იმერეთის ტოპონიმია	271
ბუნებრივი პირობების ცვალებადობის ამსახველი ტოპონიმია იმერეთში	278
ის რაც არ დაბეჭდილა	289
ზოგიერთი შენიშვნა-მოსაზრება „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის“ ახალ გამოცემასთან დაკავშირებით	290
ყუმისთავის ტოპონიმია	292
ბოლნისის რაიონის პრეფექტს ბატონ იოსებ ბარათაშვილს	307



ეს ჩვენი ისტორიაა. ისტორიული სამართლიანობა ასე არ აღდგება	311
ღმანისის რაიონის პრეფექტს ბატონ ლერი გირგვლიანს საქართველოს სახალხო ფრონტის მარნეულის რეგიონალურ განყოფილებას	313
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს ბატონ დიმიტრი ჩიტლოვს	315
საიდან წარმოდგა სახელწოდება კავკასიონი	321
„ყოროლის წყალი“ თუ „ყოროლისწყალი“	329
გეოგრაფიულ ცნობარში გეოგრაფიული დამახინჯებანი	331
საინფორმაციო პროგრამა „მომბის“ რედაქციას	336
შენიშვნა კანონპროექტზე – „საქართველოს კანონი გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა შესახებ	345
ომონიმური ტოპონიმების გავრცელების თავისებურებანი კავკასიაში	346
დასკვნა – გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის სამთავრობო კომისიაში რეგიონების შემოსულ მასალებზე	351
დასკვნა – გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა მოქმედ სამთავრობო კომისიას	354
დასკვნა – მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეცვლილი (შერქმეული) ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდების არსებობის მიზანშეწონილობაზე	357

© კ. ხარაძე, 2019  
გამომცემლობა შპს „სვეტი“